ბადრი ფორჩხიძე

წიგნი II

არაისტორიული, ისტორიამდელი და ისტორიის შემდგომი ყოფიერების ფილოსოფია



ქუთაისი
2014

ბადრი ფორჩხიძე

არაისტორიული, ისტორიამდელი და ისტორიის შემდგომი ყოფიერების ფილოსოფია

წიგნი II

ქუთაისი

2013

წიგნი გათვალისწინებულია, როგორც სამეცნიერო მონოგრაფია, ფილოსოფიური, სოციოლოგიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ისტორიული, საბუნებისმეტყველო და რელიგიური პრობლემებით დაინტერესებული სათანადო გამოცდილებისა და გაგების დიაპაზონის მკითხველისათვის.

რედაქტორი: ფილოსოფიის მეცნ. დოქტ. პროფ.

ი. კალანდია.

რეცენზენტები: ფილოსოფიის აკ. დოქტ. პროფ კ. ქეცბაია.

იურიდიულ მეცნ. დოქტ. პროფ ო. მინდაძე.

ქუთაისის აწს უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-9941-453-02-1.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში, „პიროვნებათა ამოცნობის ისტორიულ-ფილოსოფიური ჰოროსკოპი“, განვიხილეთ ისტორიულ დროში მდებარე მოვლენები, რომლებიც აირეკლებოდნენ კაცობრიობის მემატიანეში შენახულ, დრამატულ ეპოქალურ ხდომილებათა სპექტრში. ისტორიული დრო პიროვნებათა აქტუალური მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან, თუ უმნიშვნელო ასპექტებთან კავშირში ცნაურდება, როგორც სოციალური ცნობიერების პოლიტიკურად შეფერადებული მეხსიერების ფონზე მიმდინარე კონფლიქტური ბატალიები, სხვაგვარად შეუძლებელია გავიაზროთ ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ისტორიის ფილოსოფიაში მყარად ფეხმოკიდებულმა ისტორიზმის კრიზისმა ნათლად გვიჩვენა ის სიძნელეები და გადაულახავი წინააღმდეგობანი, რომლებიც დახვავავებული ფაქტების მიუხედავად, ვერ იძლევიან ჭეშმარიტი სურათის აღდგენის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, წარსული მოვლენების წიაღში წვდომაც ისეთივე პრობლემატური და ირაციონალურია, როგორც მომავალში მოსახდენი ამბების წინასწარ პროგნოზირება და გათვლა. პოზიცია, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ჭეშმარიტი აზრის დადგენას, როგორც ისტორიასთან, ისე მომავალთან მიმართებაში, ობიექტურად არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ის, რაც გვაინტერესებს წარსულში, უკვე მოხდა ისე, როგორც თავისთავად მიმდინარე პროცესებს შეესაბამებოდა, ხოლო რაც უნდა მოხდეს მომავალში, ისიც აუცილებლად მოხდება ისე, როგორც თავისთავად მიმდინარე პროცესისითვისაა მოსალოდნელი. ის, რომ ჩვენ ვერ ვიგებთ ვერც წარსულში და ვერც მომავალში არსებულ მიმდინარე მოვლენებს, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი პრინციპულად დაუდგენელი და გაურკვეველია. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ შეხედულებათა ფანტასტიკურ მრავალსახეობათა ნაირგვაროვნებაში ასევე ობიექტურად არსებობს ისეთი ახსნა-განმარტების ვარიანტი, რომელიც აბსოლუტურად ზუსტად შეესაბამება ჭეშმარიტ სინამდვილეს, მაგრამ არ არსებობს არავითარი საყოველთაო დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, თუ რატომ არის რაიმე ასე, და არა სხვაგვარად? სწორედ აღნიშნული საბუთის უქონლობის გამოა, რომ დავა და კამათი ფილოსოფიურ მეცნიერებებში უსასრულოდ გრძელდება, ხოლო ის, თუ ვინ რა თვალსაზრისზე დადგება, არის არა მეცნიერულად დაფუძნებული ცოდნის, არამედ შინაგანი ინტუიტიური რწმენის ერთადერთი პრეროგატივა.

ჰერმენევტიკული კვლევა-ძიების თავისებურება მეტად მძაფრი შთაბეჭდილებებითაა დატვირთული, როდესაც საქმე ეხება ჩვენი განცდა-გრძნობების წარსულში და მომავალში გასაგნებას. ავტორი ყოველთვის მომგებიან გზას ირჩევს, უკეთუ იგი გამოდის საკუთარი „მეს“ ცხოველმყოფელი მდგომარეობიდან და გარემომცველ ყოფიერებაში ახერხებს მის შეტანას ნებისმიერი

კონკრეტული, თუნდაც წარმოსახვითი ობიექტის შიგნით. ამის საშუალებით, თავდაპირველ ეტაპზე, თვითონ კი არ იძენს, ანუ თვით კი ვერ მოიპოვებს საძიებელ საგანს, არამედ პირიქით, თვითონ დებს და ნერგავს თავის გარეთ მყოფ სრულიად უცხო, გაუცნობიერებელ მდგომარეობაში, საკუთარი „მეს“ თავისთავად გარკვეულობას, წმინდა ინდივიდუალური მგრძნობელობის შესაბამისად, რითაც კვლევა-ძიების სუბიექტს საკუთარ განცდაში შემოაქვს კვლევის ობიექტი. ასე იწყება ნებისმიერი ტექსტი, რომელიც თვითონ კითხულობს თავის თავს. სწორედ აღნიშნულ კანონზომიერებაზე ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას სტრუქტურალიზმისა და პოსტრუქტურალიზმის ენათმეცნიერული ფილოსოფიის თანამედროვე ავტორები. აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენ მიზანს წარმოადგენს ისტორიული დროის ჩარჩოებს გარეთ გასვლა, რითაც საშუალება მოგვეცემა ვეზიაროთ, როგორც ისტორიამდელ, ასევე ისტორიის შემდგომ ყოფიერებას, იმ იმედით, რომ თუ ჩვენს პირველ წიგნში ასახული ისტორიული ყოფიერების შიგნით, ავად, თუ კარგად მოვახერხეთ და განვახორციელეთ პიროვნებათა არსებაში შეღწევის ურთულესი ამოცანა, რაშიც ეფექტურად იქნა გამოყენებული ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდოლოგიური სისტემა. ახლაც შევეცდებით, უკვე აპრობირებული გამოყენებული მეთოდების გარდა, ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული ცნობიერების მიერ გადახალისებული, კრეატიული განსჯის რესურსებით. ასეთადკი, ჩვენ გვესახება ტრანცენდენტალური რედუქციისა და ჰერმენევტიკული ინტენციის კომპლექსური მეთოდები.

კითხვაზე, თუ რა მოგვცა ისტორიულ დროში მოღვაწე პიროვნებათა არსებაში წვდომის ხერხებმა და საშუალებებმა, თუ რა მიზნის განხორციელებაში დაგვეხმარა იგი, შეგვიძლია განვამარტოთ ყველა ის,სავარაუდოდ წინასწარ გააზრებული ვითარება და სიტუაცია, რომელიც აღწერილ იქნა პირველ წიგნში და რომელიც უკვე ბოლო პერიოდის ისტორიული რეალობის კუთვნილებად იქცა. მართალია, არც მაშინ, როდესაც ვიკვლევდით ისტორიულ დროში მოღვაწე პიროვნებებს, და არც ახლა, როდესაც ვიკვლევთ, თუ რა იყო ისტორიამდე და რა იქნება მის შემდეგ, არ შემოვფარგლულვართ მარტო მეცნიერულ-ფილოსოფიური პროგნოზირების მისწრაფებით, არამედ ყოველთვის გვამოძრავებდა და გვამოძრავებს კეთილგონივრული იდეის წინაშე გაწეული გულითადი სამსახური; მაინც მკითხველისთვის უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი გახლავთ წინასწარ ხედვისა და უკუჭვრეტის ისეთი უნარ-შესაძლებლობები, რომლებიც თითქოს რაღაცნაირად გვაზიარებს საოცრებათა იდუმალებასთან. რა თქმა უნდა, საკმარისზე მეტი მასალაა ინტრიგებისთვის, სხვადასხვა სახის ავანტიურათა მოტრფიალეთათვის, ესქატოლოგიურ და მაგიურ სწავლებათა მიმდევართათვის, თუმცა ჩვენი

თავისუფალი არჩევანის წესით, ყველაზე მეტი ულუფა, ისევ და ისევ ფილოსოფიით გატაცებული ხალხისთვის დაგვიტოვებია. ორივე წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიოგენეტიკური ევოლუციისა და ინტელექტუალური რეფორმაციის გლობალურ პრობლემას სოციალური ცნობიერების ტრანსფორმაციაში. თუ ისტორიულ დროში ვახასიათებდით ბუნებრივ-ისტორიული, ევოლუციური პროცესის მეორე ფაზაში მყოფ ადამიანებს, ვახდენდით მათ კლასიფიკაციას რჩეულ, საშუალო და დაბალი კატეგორიის პიროვნებებად, მოცემულ ეტაპზე, გავარკვევთ პირველი და მესამე ფაზის ადამიანთა უმთავრეს თავისებურებებს. ისტორიული დროის პიროვნებათა ანალოგიურად, არაისტორიული ყოფიერების მკვიდრთა მიმართაც ძალაში რჩება ფატალიზმისა და ვოლუნტარიზმის ინდივიდუალური ტიპოლოგია, თუმცა, მისგან განსხვავებით,რჩეული, საშუალო და დაბალი ფორმები აღარ გვხვდება, რასაც თავისი განსაკუთრებული ახსნა აქვს.

ჩვენი საერთო შეფასებით, ისტორიული დროის ადამიანები განიცდიან ტოტალურ გაუცხოებას თავიანთი ბუნებრივი, თავდაპირველი მდგომარეობისგან, რაც წარმოადგენს სავსებით კანონზომიერ და აუცილებელ რეალობას, ამდენად, საწყის ბუნებითობასთან დაპირისპირება და წინააღმდეგობა, როგორც ჩანს, თვით ადამიანური ბუნების შიგნით იქნა ჩადებული განგების უზენაესი განჩინების წესის მიხედვით. რაკი სამყაროს ერთიანობა, სიცოცხლის განუყოფელი, მარადიული პროცესის ღვთაებრივი იმპულსის უწყვეტობის განსახიერებაა,ამიტომაც ნებისმიერი სახის წესრიგი დამყარებულია ერთი შეხედვით, სტიქიურად მიმდინარე კატაკლიზმების შედეგად. ბრძოლა, დაპირისპირება და შინაგანი წინააღმდეგობა მოძრაობა-ცვალებადობის არსის განმსაზღვრელი მოუშლელი ფაქტორია, რის გარეშეც,რაიმე სახის უკვდავებას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ახლა ცოტა ხნით დავუბრუნდეთ ჩვენს მწარე სინამდვილეს და შევაფასოთ ის მდგომარეობა, რაშიც აღმოჩნდა ქართველი ერი ბოლო ათწლეულების მანძილზე. დასავლეთის ექსპანსიის მრავალმხრივი შემოტევის ბობოქარმა ტალღებმა დაგვაყენა აურაცხელი დილემის წინაშე, რომელთაგან ყველაზე საჭირბოროტო და დამღუპველი გახლავთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის უქონლობა. ის, რასაც ქართველმა ერმა ხმა მისცა 1991წ. 31 მარტს, ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ საყოველთაო რეფერენდუმზე, მსოფლიოს პოლიტიკურ-მაფიოზურმა კლანებმა, ადგილობრივი კრიმინალური ბანდებისა და ფსევდოინტელიგენციის გამოყენებით, ფეხქვეშ გაგვითელა და გაგვიქარწყლა. მას მერე, რაც დამხობილ იქნა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, ხალხი მოკლებულია რეალური და გააზრებული არჩევანის შესაძლებლობას, რომელიც მზაკვრულად ინიღბება

ფსევდოარჩევნებით და საჭიროების მიხედვით, ფსევდორევოლუციებით. მთავარი მიზეზი მაინც ისაა,რომ ხალხისთვის შეთავაზებული, ასარჩევი კანდიდატებიდან არც ერთი არ გახლავთ ჭემარიტი მამულიშვილი და ეროვნული მოღვაწე,ისინი უკლებლივ ყველანი ერთნაირი ვალდებულებით ექვემდებარებიან საერთაშორისო პოლიტიკურ სტრუქტურებს და იმართებიან მათი რეგიონალური ფილიალების მიერ. ამ რწმენას განამტკიცებს ისიც, რომ ყველა, მეტ-ნაკლებად გაპიარებული,პოლიტიკურად ანგაჟირებული, საარჩევნოდ შედგენილ-შეთითხნილი პარტიის ლიდერი და მასთან დაახლოებული ორგანიზაციული ხელმძღვანელი, არ გახლავთ დასაქმებული არც ერთ საჯარო, თუ კერძო დაწესებულებაში, საზოგადოებისთვის უცნობია მათი შემოსავლის წყარო, ბიზნესში მონაწილეობა და სხვა სახსრები, რითაც ისინი სულდგმულობენ, არჩენენ და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მავანნი იტყვიან, რომ ისინი ფინანსდებიან, როგორც სახელისუფლებო, ისე გარე პოლიტიკური ძალებიდან, რომლებიც გამუდმებით „უკვეთავენ მუსიკებს''. ძნელია არ დაეთანხმო მათ ამაში. უახლოეს ხანაში არსებითი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, თუმცა აუცილებლად აღსრულდება ბედისწერით განსაზღვრული კანონიერი მსჯავრი და მსოფლიოს განკითხვის დიადი წინასწარმეტყველება. ავბედითი ჟამის ქვემეხმა ორჯერ უკვე დაიქუხა გასულ საუკუნეში; იგი აუცილებლად მესამედაც დაიქუხებს ამ საუკუნეშიც, რომელიც გლობალური ხოცვა-ჟლეტის დასასრულის მომასწავებელ ექოდ მოეფინება ბებერ დედამიწას. დაე, სულ-ხორციელად ძრწოდეს ყველა მამაცი, ვინც ამ განსაცვიფრებელი და გამაოგნებელი საშიშროების შიშის განცდას მოკლებულია!

ქუთაისი___12.07.2013 წ.

თავი I_ისტორიული დროის არასრული გენეალოგია

/ვინც საკუთარს ნაკვალევს შლის,
ის მკვლელობის კვალს ტოვებს./

წინამდებარე წიგნში ჩატარებული ისტორიული დროის პიროვნებათა კლასიფიკაცია პირდაპირ კავშირში იყო ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხთან, რომელსაც გააჩნდა როგორც გნოსეოლოგიური, ასევე აქსიოლოგიური ღირებულება. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ემპირიული დამუშავების მეთოდი ყოველთვის წინა პლანზე წამოწევს ბუნდოვანსა და წინააღმდეგობით სავსე ასპექტებს,საიდანაც გამოსავლის ძიება ისევ და ისევ აწმყოში წარმოთქმულმა სუბიექტურმა ინტერპრეტაციამ უნდა იკისროს, თუმცა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მეცნიერული მნიშვნელობა, თუ წინასწარ შემუშავებული მეთოდური პრინციპების თანმიმდევრობას დაიცავს და ისტორიულ მოვლენათა მოჩვენებით ქაოსში წესრიგისა და კანონზომიერების ბატონობას დაადგენს. აქვე, თავის დროზე აღინიშნა ისიც, რომ ამ გამოკვლევის აქტუალობა მკვეთრად სცილდება ისტორიული მეცნიერების საზღვრებს და ფილოსოფიურ პრობლემატიკაში იჭრება. კვლევის ძირითადი მიზანი ემსახურება კაცობრიობის ისტორიის ზნეობრივ ღირებულებათა კვლავწარმოების გაცნობიერებულ იდეას, ამიტომ წმინდა ისტორიულ, ლოგიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ კატეგორიებთან ერთად, მას მიეწერება სიკეთის, ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების, ოპტიმიზმისა და პესიმიზმის პოსტულატებიც. რამდენადაც საყოველთაო ზნეობრივი ტვირთის განაწილება გარდაუვალი აუცილებლობაა, ამდენად კაცობრიობაც და თითოეული ადამიანიც ერთნაირად გადის გონების სამსჯავროს წინაშე გამოცდას: კაცობრიობის სინდისს განასახიერებს ისტორია, ხოლო ცალკეული ადამიანისას__მისი ბიოგრაფია. ამაში ვლინდება კაცობრიობისა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობის მისიაც: თუ კაცობრიობა, რომელიმე პიროვნების ბიოგრაფიის წინაშე, ანგარიშვალდებულია საკუთარი ისტორიის შესაბამისი მონაკვეთით, რაშიც აღნიშნულ ადამიანს უწევს ცხოვრება, სამაგიეროდ, თავის მხრივ, პიროვნებაც ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას იქ, სადაც იცხოვრა და მასთან, ვისთანაც იცხოვრა. ამ მოსაზრებით, ჩვენს წინამდებარე ნაშრომში გავეცით პოზიტიური პასუხი კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ზოგადად კაცობრიობის ისტორია, როგორია მისი განვითარების ძირითადი მაგისტრალი; რაში მდგომარეობს ადამიანის პიროვნულობისა და ინდივიდუალურობის გასაღები, რაში მდგომარეობს ადამიანის როლი და დანიშნულება კაცობრიობის ისტორიაში.

ისტორიისა და პიროვნების არსში წვდომის გზაზე, ანტიკური პერიოდიდან დღემდე, დაგროვილია უზარმაზარი რაოდენობის მასალა, რომლის ბაზაზეც სხვადასხვა საპირისპირო მიმართულებებიც ჩამოყალიბდა. ისტორიული ხდომილებების მთლიანობაში გააზრების აუცილებლობამ დღის წესრგში დააყენა ისტორიისფილოსოფიის წარმოშობა. ეს იყო ერთგვარი რეაქცია მკვეთრი

სუბიექტივისტური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, თუმცა თვითონაც სუბიექტივიზმის ტენდენციებით ხასიათდებოდა და ცდილობდა კაცობრიობის განვითარების შესწავლას უნივერსალური ისტორიული თვალთახედვით. ის ემპირიული მასალა, რაც საუკუნეთა მანძილზე დაგროვდა, ობიექტური კანონზომიერების ენით განზოგადებას მოითხოვდა, რაც მთელი კატეგორიულობით დადგა ისტორიის ფილოსოფიის მეცნიერულ დამფუძნებლებთან: იოჰან გოტფრიდ ჰერდერთან და ჟან-ბატისტა ვიკოსთან. ამდენად, მე_18 საუკუნესა და მე_19 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე, ისტორიის ფილოსოფია წარმოგვიდგებოდა, როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების თეორია, რომლის ძირითადი მიზანი იყო გაერკვია საკითხები, თუ რა არის ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები და რაში მდგომარეობს მისი საზრისი.

კლასიკური ისტორიის ფილოსოფიის წარმომადგენლებმა დასვეს კაცობრიობის ისტორიის შემეცნების პრობლემა, ამ მხრივ ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევია გ.ვ.ფ.ჰეგელი, რომელმაც მოგვცა ისტორიული აუცილებლობისა და თავისუფლების საოცრად ღრმა ანლიზი. ისტორიის მეტაფიზიკური სპეკულაციისთვის ნიშანდობლივი კონსტრუირებული სქემის წინააღმდეგ გალაშქრება პოზიტივისტური რეაქციის დამახასიათებელი ნიშანი გახლდათ, რომელიც საერთოდ ვერ ამჩნევდა მის პოზიტიურ მხარეს. მათთვის საბაბად იქცა ის გარემოება, რომ ისტორიის ფილოსოფიამ გვერდი აუქცია ონტოლოგიურ პრობლემატიკას, თუმცა თვით პოზიტივიზმი, რომელიც უარს ამბობდა კლასიკური მეტაფიზიკური პრობლემატიკის გააზრებაზე, სერიოზულ კრიზისს განიცდიდა მე_20 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე.

ისტორიის ობიექტური შეისწავლის მიმართ უკვე კარგა ხანია, რაც გაჩნდა კრიტიკული დამოკიდებულება, რომელშიც გამოიყოფა ორი ძირითადი მიმდინარეობა__გნოსეოლოგიური და ლოგიკურ-მეთოდოლოგიური. ისტორიული შემეცნების გნოსეოლოგიური კრიტიკის ფუძემდებლად ვილჰელმ დილთაი გვევლინება, რომლის მიხედვითაც კულტურა და ისტორია ინდივიდის'' გასაგნებულ სულს'' წარმოადგენს. სწორედ მან შემოიტანა ისტორიის კვლევაში ჰერმენევტიკული ინტენციის მეთოდი, რის მიხედვითაც, ისტორიული შემეცნების ნივთიერ ობიექტს შემმეცნებლის განცდის შემადგენელ ნაწილად აცხადებს. რასაკვირველია, ეს აშკარა სუბიექტივიზმია, თუმცა დროში და სივრცეში დაშორებული ობიექტის დასაკავშირებლად, ყველა სხვა მეთოდი აბსოლუტურად გამოუსადეგარია. მაგალითად, მეორე ალტერნატიული, პოზიტივისტური მეთოდის ავტორები, ისტორიის ფილოსოფიის ძირითად ამოცანად, ისტორიკოსის კვლევითი პროცედურის აღწერასა და ანალიზს სახავენ, მაგრამ ვინაიდან იგი გამორიცხავს ისტორიული კვლევის ლოგიკური თანმიმდევრობით დასაბუთებული სისტემის შექმნის შესაძლებლობას, იძულებულია შემოიფარგლოს მარტოდენ ისტორიკოსის

მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდის აღწერით, რასაც დამოუკიდებლად სხვა მეთოდებისაგან, არაფრის მოცემა არ შეუძლია.

კვლევის მიზანდასახული შედეგის ინტერესებიდან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლით ისტორიის მარქსისტულ თეორიასაც, რომელიც ცდილობს ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალები ეძიოს არა საზოგადოების გარეთ, არამედ იმ მოცემული საზოგადოების შიგნით, რომლის ისტორიული სინამდვილეც არის გასარკვევი(21_478). რაც შეეხება ისტორიის კრიტიკულ ფილოსოფიას, იგი ძირითადად უარყოფს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ისტორიული პროგრესი, კანონზომიერება, მოვლენათა შეცნობადობა, შინაგანი ლოგიკით განსაზღვრული მიზანშეწონილება, კაუზალობა, დეტერმინიზმი და სხვა. თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას, რაც სოციოლოგიური რელატივიზმისა და აგნოსტიციზმის სახით ვლინდება, იგი გამოხატავს „ისტორიზმის კრიზისის სახელწოდებით.“ამ მიმართულების ერთ-ერთიგამოკვეთილი წარმომადგენელი გახლავთ რაიმონ არონი, რომელიც ვ. დილთაის, მაქს ვებერისა და ნეოკანტიანელი სოციოლოგების ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, თავის მთავარ ნაშრომში, „თანამედროვე გერმანული სოციოლოგია,’’იძლევა ისტორიის ფილოსოფიის იმგვარ გაგებას, რომელიც, მისი აზრით, ერთნაირად უპირისპირდებოდა, როგორც ისტორიულ პოზიტივიზმს, ასევე ისტორიულ რაციონალიზმს. ამას ის ასაბუთებს ისტორიული ხდომილების არადროულობითა და არამატერიალურობით. რამდენადაც ისტორიული ხდომილება წმიდა მოვლენაა, ხასიათდება უეცრობით და მოულოდნელობით, რომელიც მოხდენისთანავე განიცდის საერთო ქრობას, რის გამოც, იგი მოუხელთებელი და მიუწვდომელია, ამიტომაც დევს ყოველგვარი ცოდნის ფარგლებს მიღმა(102_95).ისტორიზმის კრიზისს აღიარებენ ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიცაა: ფ. ნიცშე, ა. შოპენჰაუერი, ჰ. ჰესე, ა.ფრანსი, ჯოისი, პ. ვალერი, თ. ლესინგი და სხვა. ჯოისის აზრით, „ისტორია არის კოშმარი, იგი უკუნეთია და შუქდება სხივებით, რომლებიც სინათლეს არ შეიცავენ“(16_10). ისტორიული მეცნიერების წინააღმდეგ გალაშქრებას ა. ფრანსი ისტორიის ხელოვნებასთან კავშირით ამართლებს:„ისტორია არაა მეცნიერება, იგი ხელოვნებაა და მასში წარმატების მიღწევის საწინდარი მხოლოდ წარმოსახვაა’’(146_297). აღწერილ სიტუაციაში პოლ ვალერიგადამწყვეტ ფუნქციას სუბიექტის შემოქმედებით უნარს აკისრებს. „ისტორიული დოკუმენტისადმი ნდობა და შეულამაზებელ სინამდვილეზე დაკვირვების რწმენა აგებულია ყალბ იდოლებზე. ისტორიაში ჭეშმარიტი მხოლოდ შესაძლებელია, იგი არ ავლენს თავის თავს. ამიტომ ჭეშმარიტება ისტორიულში კი არ ამოიკითხება, არამედ წარმოიდგინება სუბიექტის შემოქმედების საფუძველზე“(107_502).

ისტორიული დროის გაცნობიერების ამოცანა ყოველთვის დღის წესრიგში სვამდა ფაქტების, ნივთიერი მასალებისა და დოკუმენტური ჩანაწერების მოპოვების საჭიროებას,მაგრამ ემპირიული მონაცემების სიუხვე არასოდეს არ ყოფილა სიცხადისა და თვალსაჩინოების დამკვიდრების პირდაპირპროპორციული ხერხი. პირიქით, ამის სანაცვლოდ, ადგილი ჰქონდა უფრო მეტ გაუგებრობასა და ცდომილებას, ტყუილად კი არ უხუმრია ჰეგელს__მით უარესი ფაქტებისთვისო. ფაქტი ინტერპრეტაციის გარეშე მოკლებულია რაიმე შინაარსსა და მნიშვნელობას, საუკეთესო შემთხვევაში, ამას იძენს სუბიექტური შეფასების შედეგად, რაც საბოლოოდ მაინც ვერ ამსუბუქებს მდომარეობას, იმდენად, რომ თუნდაც ერთ საჭირბოროტო კითხვას მაინც გაეცეს ამომწურავი პასუხი. პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როცა მივმართავთ ჰერმენევტიკულ ინტენციას და ვუერთდებით სპონტანურად გონებაში გაელვებული ტექსტის თვითმოძრაობას;რამდენადაც სუბიექტური წარმოსახვის ვარიანტები ამოუწურავია, ლოგიკურად შესაძლებელია ისეთი წარმოსახვაც, რომელიც ზუსტად დაემთხვევა ისტორიის ნამდვილ სურათს, მაგრამ ისე, რომ თვით წარმომსახველსაც არ ეცოდინება ამის შესახებ. თანაც ეს ისე ხდება, რომ მისამართების აღრევაც გარდაუვალია; მაგალითად, თვისებები, რომელიც მივაწერეთ ვიღაც წარსულში მოღვაწე რომელიმე პიროვნებას ცალკეული ცხოვრებისეული ეპიზოდის ჰიპოთეტური კუთვნილების ფორმით, შეიძლება დამახასიათებელი აღმოჩნდეს სხვისთვის, მაგრამ წარსულიმოვლენის რეპროდუქციას სახელდების გარეშეც გააჩნია ისტორიული სინამდვილის შეცნობის კანონიერი პრეტენზია. შემოქმედებითად მომართული ავტორები კი, თითქმის ყოველთვის ცდილობენ მძაფრი ემოციური ფონის შეხამებას, პერსონალიების იდეალიზებული, მისონერული როლების განაწილების მოჭარბებული ხარისხით, საზრისისეული მიზნებისა და ამოცანების მიმართ, რაც იწვევს რეალური ამბების მითებით ჩანაცვლების სტერეოტიპის შენარჩუნება-განმტკიცებას. მართალია, სადაც ინტუიციური ჭვრეტა და წარმოსახვაა, იქ ვერასოდეს ვერ ავცდებით მითებს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმას, თუ რომელი ეპოქის სულისკვეთებას ვეზიარებით და ვაზიარებთ ჩვენს თანამედროვეობას. საქმე ის გახლავთ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებისთვის და მისი შემადგენელი ცალკეული სუბიექტისთვის ყველა ეპოქა ერთნაირად მიმზიდველი და საინტერესო არ არის. მაგალითად, ქართული საზოგადოებისათვის, მისი წარმომადგენლების აბსოლუტური უმეტესობისთვის მაინც, ძალზე უსიამო განცდებთანაა დაკავშირებული გასული საუკუნის 90-იანი წლები, განსაკუთრებით, სამხედრო გადატრიალების შემდეგი პერიოდი. სხვათა შორის, ამ მიზეზის უცნაურობა ისევ იმ ხალხის კისერზეა, ვინც დიდი ვაი-ვაგლახით გამოიარა ეს

წლები; აქვე დავძენდი, რომ საერთოდ, ამ სიტუაციაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ ბარიკადის რომელ მხარეს იდგა და რამდენად აქტიურად ერთვებოდა მიმდინარე ბატალიებში; ფაქტია, რომ გამარჯვებულად რაკიღა თავს არავინ არ მიიჩნევს, იმდენად ჩამშტარია სურვილი მაშინდელი ამბების გახსენებისა, რომ ამან შესაძლოა, მომავალშიც ცუდი სამსახური გაუწიოს იმ პერიოდში ჩადენილ საზარელ დანაშაულებრივ ქმედებათა კეთილსინდისიერ გამოძიებას. მიზეზის უცნაურობას გარეგნულად უხერხულად ნიღბავს ის გარემოებაც, რომ ბარიკადების აქეთ-იქით მყოფთა შორის, თვისობრივად შეიცვალა კონფლიქტური მიდგომები; ბევრი „მტერი'' „მოკეთედ“ და „მოკეთე“ „მტრად“გადაკეთდა ისე, რომ არამც თუ ვინმემ ვისმეს აპატია, ან რაიმე ღია,საჯარო სინანულით გულწრფელად მოინანია, არამედ უბრალოდ, ქვეცნობიერი, უტყვი თანხმობის იდუმალი ფიქრის კარნახით, ვითომდა დაივიწყეს ყველაფერი, რისი გახსენებაც უკვე აღარ აწყობდათ. დავიწყებულთა შორის, რაც ყველაზე მთავარია, აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც ვერ მოინელა და ვერ გადახარშა ამდენი დაუმსახურებელი წყენა, უსამართლობა და საშინელება, იმიტომ, რომ არც არავის გარიგებიან და არც ვისმეს შერიგებიან, რამეთუ შეგუება და კომპრომისი სიბილწესთან, სამუდამო დაღუპვის ტოლფასია.

ამგვარად იკვეთება ნამდვილი ისტორიის პირქუში კონტურები იმ ავბედით ეპოქაში, როცა ფეირვერკებით ვეღარ აღნიშნავენ გრანდიოზული რევოლუციების კოშმარულ იუბილეებს, როცა ყველაზე მეტი პასუხი აქვთ იმათ, ვისაც არაფერს ეკითხებიან, როცა ყველაზე მეტად ივიწყებენ ნამდვილს და იხსენებენ გამოგონილ სახელებს, რათა საგნებს ააცილონ და მოჩვენებებს შეაჩეჩონ, როგორც სატყუარას მოთხოვნილებით გაუმაძღარი სოციუმის მოთმინების უნარის გამხნევება-გაკაჟების პროფილაქტიკური ელექსირი. ასევე ხდება ხალხის მიერ შექმნილი ნამდვილი ისტორიის გადაკეთებაც „მეფეთა ისტორიის''მეხოტბე ფარისევლობის თხზულებად, იმ სირცხვილის ლაფში მოთხვრილი ეგრეთწოდებული პოლიტიკოსების ძალისხმევით, რომელთა შმორიანი ტალახის მოსარეცხი წყალი არც ერთი მდინარის კალაპოტში არ თავსდება.

ისტორიის პოზიტიური გაგების კრიტერიუმები, შინაგანად ოპტიმიზმის ენით მონუსხული მაგიური ლოცვების მაგვარი ფანტაზმები, თუ მითოლოგემებია, სემანტიკური თვალსაჩინოებისა და ფონემური ჟღერადობის უპირობო კონტექსტში თავმოყრის შედეგად, გადამწყვეტ მომენტში მაინც, ისინი გამოყენებულნი არიან ადამიანთა პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობის პრიორიტეტის სასარგებლოდ, რომელთაც მეტ-ნაკლები დოზით ექვემდებარებიან დოკუმენტური ემპირიული მასალებიც და მათი სპეკულაციის შესატყვისი ინტერპრეტაციებიც. მოხერხებული მანიპულაციების საშუალებით,წარსული იქმნება აწმყოში

გამოხატული ნებასურვილის კარნახით; მართალია, ყველაფერ ამას ისტორიისადმი რელატივისტური, სუბიექტივისტური მიდგომის კვალიფიკაცია ენიჭება, თუმცა ამ მიდგომას პირველ რიგში ვერ აცდნენ ისინიც, რომლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ მსგავსი შეხედულებების კრიტიკას. ასეთები იყვნენ პოზიტივისტურ-პრაგმატისტული მიმდინარეობანი და განსაკუთრებით მარქსისტული ისტორიოგრაფია, სადაც ისტორიული სუბიექტის როლი, მარადიული ქმნადობისა და განახლების ფონზე გვევლინება იმ თავისუფალ, დამოუკიდებელ ძალად, რომელსაც შეუძლია ძირეული გადატრიალება მოახდინოს სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში. აბსურდია ნებისმიერი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ცალკე აღებული მასა და პიროვნება შეიძლება განასახიერებდეს ისტორიულ სუბიექტს. მასა იშვიათ შემთხვევაში აღწევს თავს ჩვეულ ინერტულობას, როდესაც საკითხი ეხება მის აუცილებელ საარსებო ინტერესებს (არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს); ამ შემთხვევაშიც მას ესაჭიროება განსაკუთრებული თვისებების მატარებელი პიროვნება-ლიდერი, რომელიც გონივრულად გაუძღვება, მისი ნდობით აღჭურვილ უახლოეს ჯგუფთან ერთად, ჩამოყალიბებულ ძალას და ამ გზით წამოიწყებს მიზანდასახულ ბრძოლას რეალური შედეგის მისაღწევად. ასევე **ცალკე აღებული პიროვნებაც, რაც უნდა აქტიურიც შეიძლება იყოს ის, ვერაფრით ვერ აიყოლიებს მასას განსაკუთრებული პირობების მომწიფების გარეშე. ეს პირობები კი გლობალური მნი-შვნელობის ფაქტორებზეა დამყარებული. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ინტენსიურად გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამუშავებული პიარტექნოლოგიები, ისეთი იმპერიული მონსტრების მიერ, როგორებიც იყვნენ აშშ და საბჭოთა კავშირი. აქვე, ბევრისგან გასაოცრად, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში მაინც (თუ მანამდე არა, სტალინის სიკვდილის მერე), ორთავე ზესახელმწიფო იმ ერთი ფარული საერთაშორისო მაფიოზური პოლიტიკური კლანების მიერ იმართებოდა, რომლებიც დღეს, განსაკუთრებული მოქნილობითა და რაფინირებული მეთოდებით, აკონტროლებენ მსოფლიოს არანაკლებ 70 %-ს.**

თავის დროზე, მათმა აგენტურულმა ქსელმა შეძლო გერმანული მმართველი ელიტის დარწმუნება სსრკ-ს წინაამღმდეგ ომის წამოწყების აუცილებლობაში. არსებობსიმის სერიოზული ეჭვიც, რომ აღნიშნული ომის დაწყებამდე, რამდენიმე თვით ადრე, ნამდვილი ჰიტლერი ორეულით შეცვალეს, ხოლო ომის საბოლოო დამთავრებამდე, სამხრეთ ამერიკაში გააპარეს, სადაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა. რა მოიგეს მათ ამით? ის, რომ ებრაელებს წამებული ერის იმიჯი შეუქმნეს, რათა მათი მფარველობისა და მათ მიმართ საერთაშორისო ანგარიშვალდებულების იდეის პროპაგანდით გზა გაეკაფათ სიონიზმის მსოფლიო

ბატონობისკენ. აღნიშნულ ეჭვებს აძლიერებს „სიონისტ ბრძენთა'' მოძღვრებაში ამოკითხული ქადაგებანი. რა თქმა უნდა,მართალიც რომ აღმოჩნდეს ეს ეჭვი, ამის გამო ებრაელი ერი არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს გაკიცხვას, ისევე, როგორც გერმანელი, რუსი, ან ინგლისელი ერი, იმის გამო, რომ მათ მიერ შექმნილი იმპერიები საშინელ დღეში აგდებდა დაპყრობილ ხალხებს, ვინაიდან ისტორიულად დამკვიდრებული ძალმომრეობისა და სისასტიკის გამოვლინება ყველა ძლიერი სახელმწიფოს საბედისწერო ხვედრია, რომელიც სისხლიანი ღვარცოფებისგან წალეკილი წყალ-ხმელეთის ადგილ-სანახებში ერთნაირად მუსრავს, აცამტვერებს, როგორც საკუთარი, ისე სხვა ქვეყნის ბინადართა ბედნიერებას, კეთილდღეობასა და სიცოცხლეს.

არც ერთ ხალხს არ უნდა ომი, მაგრამ ყველა მათგანი ჩაბმულია მზაკვრული წაქეზებით თავსმოხვეულ გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტაში, რადგან ყველა დროში ახერხებენ მათ შეტყუებას ლამაზად შენიღბული დემაგოგიისა და სიბრიყვის მოჯადოებულ ჭაობში, სადაც მათ უდიდეს უმრავლესობას გულწრფელად სჯერა, რომ მისი ბრძოლა საამაყო და სამართლიანია, სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერების წმინდათაწმინდა ვალდებულების აღსასრულებლად. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ისტორიული სუბიექტის ფუნქციას ახორციელებენ რჩეული პიროვნებები, მათ მიერ მართულ მასებთან ერთად, თუმცა გარეშე ძალების მიერ მზაკვრულად შენიღბული ცრუ ლიდერების ჯაშუშური საქმიანობა კატეგორიულად გამორიცხავს ისტორიული სუბიექტის ფუნქციას, ვინაიდან დადგმული პოლიტიკური სცენარები ვერასოდეს ვერ შეიძენენ ისტორიულ, საზრისისეულ მნიშვნელობებს, რამდენადაც ისინი მოკლებულნი არიან ჭეშმარიტ მიზანდასახულობასა და ცხოვრებისეულ ნამდვილობას.

უცხო ძალების მიერ ხელდასხმული რენეგატები ამყარებენ მარიონეტულ რეჟიმებს, რომელთა მიმართ შეურიგებელი, მამხილებელი და დაუღალავად მებრძოლი ძალა ქმნის ერის ნამდვილ ისტორიას, რომელსაც თუ ვინმე ვერ ჩაწვდება, ვერ გაიგებს და ფეხს ვერ აუწყობს, აღმოჩნდება სხვა სხეულის დანამატი. ამგვარად დგინდება კიდევ ერთი ნამდვილი კრიტერიუმი ისტორიაში: ის, ვინც არ მოქმედებს საკუთარი საზოგადოებისა და ხალხის ნების კარნახით, საბოლოოდ, ყველასაგან მოძულებული და დაკარგულია. საერთოდ, ფაქტის ინტერპრეტაციის წარმომავლობასა და ხასიათზე ბევრი რამაა დამოკიდებული ისტორიის გაგებაში. ამ შეხედულებას ზოგიერთი ავტორიტეტული სოციოლოგიც კი აღიარებს. ე.კარი პირდაპირ აცხადებს: „ისტორია არის ინტერპრეტაცია; ინტერპრეტაცია არის ისტორიის არტერიული სისხლი“(5_30).

ჩვენს პირველ გამოცემაში, გარკვეულ მეთოდოლოგიურ არგუმენტებზე დაყრდნობით, შესაძლებლად მივიჩნიეთ ისტორიის ცნების რამდენიმე პოზიტიური ნიშნით ჩამოყალიბება: 1.ისტორია, როგორც კაცობრიობის მიერ განვლილი ცხოვრების გზა; 2.ისტორია, როგორც მარადიული ქმნადობის შინაარსით ჩამოყალიბებულ თაობათა შეცვლის ფორმა,რომელიც ექვემდებარება ამ პროცესის არსებითად უცვლელი კანონზომიერების წესრიგს; 3.ისტორია, როგორც საზოგადოებისა და პიროვნების არსებათა ურთიერთ განმსაზღვრელი მექანიზმი(31_14). ისტორიის ცნების არსებითი ნიშნების ჩამოყალიბების შემდეგ, გაშუქებულ იქნა პიროვნების ცნების ძირითადი ასპექტებიც, რადგანაც ისტორიისა და პიროვნების ცნება იმდენად ურთიერთგადახლართულ კვანძებს მოიცავს, რომ თითოეული მათგანის განსაზღვრა, ამავდროულად მეორეს განსაზღვრის პირობაცაა.თომას კარლაილის ცნობილი დებულებაც, „ისტორია დიდი ადამიანების ბიოგრაფიაა," სწორედ ამ მდგომარეობაზე მეტყველებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო, ჩვენს მიერ, ადამიანური ინდივიდისა და პიროვნებას შორის რეალური ურთიერთგანსხვავების ერთმნიშვნელოვანი აღიარებაც, რაც მარტო ლოგიკური მსჯელობის ობიექტი კი არაა, არამედ ისტორიული სინამდვილეა. მართალია, მარქსისტული თვალსაზრისი ითვალისწინებდა ინდივიდებს შორის არსებულ წინააღმდეგობას, თუმცა ამას არ მიჯნავდა პიროვნული ურთიერთობების კონტექსტიდან, რასაც პრინციპულად განსხვავებულ დასკვნებთან მივყავართ. ის, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობები მათი თვითმოქმედების უნარსა და ხასიათს აღარ შეესაბამება, უდავო ფაქტია, მაგრამ ფაქტს ესაჭიროება ახსნა-განმარტება და დასაბუთება, რასაც მარქსისტული თვალსაზრისი, მთელ რიგ პოზიციებში, მათ შორის აქაც, მოკლებულია თანმიმდევრულ და დამაჯერებელ არგუმენტაციას. „ადამიანთა თვითმოქმედების არიალი იზღუდება ცხოვრების იმ პირობებით, რომლებიც თავდაპირველად თვითმოქმედების პირობებად გვევლინებოდნენ, შემდეგში კი ამ თვითმოქმედების ბორკილები აღმოჩნდნენ"(21_100).

როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ადამიანური ინდივიდის არსებაში უკვე იმთავითვე მოცემულია განვითარებული მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაპირისპირება ცხოვრების საარსებო პირობებისადმი; ცხოველური ინდივიდები კი თავიანთ საარსებო წესს ვერ ცვლიან, ვინაიდან დეტერმინირებულნი არიან არსებობის ბუნებრივი მზამზარეული წესით და სავსებით კმაყოფილდებიან მოცემულით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეულმა ტოტალურმა საშიშროებამ დაგვანახა, რომ ადამიანი, რომელმაც თავისი ინტელექტუალური მახვილი შრომის იარაღების კეთების უნარით აღმართა, თანდათანობით დაშორდა ინდივიდუალობას

და სოციალურ ერთობლიობაში გასაგნებულ პიროვნებად გადაიქცა. შრომის იარაღების დამზადებისა და გამოყენების უნარი, ძირითადად მაინც გვესახება არა ცალკე აღებული ადამიანის ინდივიდუალურ ფუნქციად, არამედ სოციაურ ურთიერთობებში ჩამოყალიბებულ პიროვნულ არსებად. ადამიანური ინდივიდის სპეციფიკა, ცხოველურისგან განსხვავებით, გამოიხატება არა უშუალოდ ინტელექტუალურ ფუნქციათა ფლობაში და შინაგანი უნარების გარეგან ფორმებში გატანასა და განივთებაში, არამედ, იმ შესაძლებლობაში, რომელიც გარკვეული პირობების შექმნისთანავე, მას დაუკარგავდა ინდივიდუალობას და აქცევდა სოციალურ ურთიერთობათა ერთობლიობად, ანუ პიროვნებად.

ასე, რომ ადამიანური ინდივიდის განსხვავება ცხოველური ინდივიდუალობისაგან მდგომარეობს საკუთარი ინდივიდუალობისაგან გაუცხოების უნარში, რომელიც უნდა გამოვლენილიყო მხოლოდ განსაზღვრულ ობიექტურ პირობებში. აღნიშნული საკითხი ჩვენს მიერ გაშუქებულ იქნა გამოცემული წიგნის ბოლო თავში, სადაც საკითხი ეხებოდა ისტორიული პროგრესისა და ისტორიულ პიროვნებათა პროგრესულობის პრობლემას. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ტექნიკური პირობების ტრანსფორმაციის კვალდაკვალ, ადამიანური ინდივიდები, სოციალური გაუცხოების შედეგად, სახელმწიფო-პოლიტიკური გაერთიანებების რთული სტრუქტურული ორგანიზაციის დაფუძნების გზით, ისტორიაში დამკვიდრდნენ, ხოლოცხოველურმაინდივიდებმა ბიო-გენეტიკური ევოლუციის მემკვიდრეობითობა შეინარჩუნეს. ადამიანის არსება არ შეიძლება ყველა მიმართებაში პიროვნებას გამოხატავდეს, ვინაიდან ადამიანის ინდივიდუალური განსაკუთრებულობა, მართალია, სოციალურ გარემოში ვლინდება, მაგრამ ეს სოციალური ურთიერთზემოქმედების შედეგი კი არ არის, არამედ ამ ურთიერ თზემოქმედების უნარი, რომელიც აპრიორი, ადამიანის არსების განუყოფელი ნაწილია. ინდივიდუალობის უმთავრესი ნიშანი გარკვეული გენეტიკური მემკვიდრეობის საფუძველზე აღმოცენებული სოციალურ ურთიერთობათა უნარია, სადაც შედის არა მარტო სულიერი გუნება-განწყობილება და გონებრივი თავისებურება, არამედ გარეგნული ფიზიკური მონაცემებიც, რომლებიც მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ სოციალურ ურთიერთობათა სამყაროში. პიროვნების არსება, მართალია, ადამიანის ინდივიდუალური არსებიდან მომდინარეობს, მაგრამ მისგან განსხვავებულ სპეციფიკას იძენს. ადამიანი იბადება ინდივიდად და არა პიროვნებად, რომელიც როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, თავის მხრივ წარმოგვიდგება, არა როგორც ამ ურთიერთობის უნართა ერთობლიობა, რაც როგორც უკვე ითქვა, ინდივიდის არსებაა, არამედ ურთიერთობის შედეგთა ერთობლიობა, რითაც ადამიანური ინდივიდი საზოგადოებაში შესვლით იძენს

პიროვნულობას(უმრავლეს შემთხვევაში, ინდივიდუალურობის დაკარგვის ფასად),ხდება იძულებით-კომპრომისული ურთიერთობების ერთ-ერთი რიგითი წევრი. ამ ურთიერთობების იძულებით-დათმობითი შინაარსი კი ცხადდება საზოგადოების მიერ თითოეული წევრის დაქვემდებარებაში.

იძულების წესით ინდივიდუალური „მინდა“ იცვლება პიროვნული „უნდა“_თი, რაც ადამიანის არსებაში უბრალო მექანიკურ გადაადგილებას კი არ წარმოადგენს, არამედ ძირეულ გადატრიალებას, რომლის არსიც მდგომარეობს ინდივიდის მიერ თავისი მინდას“მტკივნეულ და ეტაპობრივ დათმობაში. თავიდან ინდივიდი თმობს „მინდას“რომელიმე ცალკეულ ნაწილს, იგივე მინდას მეორე, შედარებით ღირებული ნაწილის შენარჩუნების მიზნით, შემდეგში კი ურთიერთობებში შეძენილ უნდას ისისხლხორცებს ისე, როგორც საკუთარ „ მინდას“.საბოლოოდდგება მომენტი, როდესაც ადამიანი დიდი ცდისა და გარჯის მიუხედავად, ვეღარ ერკვევა, თუ რომელია მისი „მინდა“ და რომელი საზოგადოებრივი „ უნდა“.სწორედ ამ მომენტში იქცევა იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობად, ანუ პიროვნებად.სწორედ პიროვნებაა ის მძაფრი პოლიგონი, სადაც იკვრება ათასნაირი ურთიერთზემოქმედების კვანძები; განსხვავებული ინდივიდუალობის მქონე პიროვნებები კი თანდათან ისე ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ თითქოსდა აზრიც კი ეკარგება მათიგანსაკუთრებულობის გამოკვლევას, რაც ისტორიული დროის თავისებურებათა გამოკვლევაში თავის დროზე ძალიან დაგვეხმარა.

ჩატარებული კვლევა-ძიების ნაყოფიერად შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართველი ფილოსოფოს-სოციოლოგთა მეტად საინტერესო შრომებმა, როგორიცაა გურამ ასათიანის გამოკვლევა_ „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიაა“და ედუარდ კოდუას შრომები: „ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის“და„ისტორიის საზრისის საკითხისათვის“. მას შემდეგ, რაც განვახორციელეთ პიროვნებათა ზოგადი და კერძო კლასიფიკაცია, შევქმენით ისეთი ლოგიკურ-ფილოსოფიური სქემა, რომელიც პიროვნებათა მსოფლმხედველობის შესაძლო ტიპებსა და ვარიანტებს დააფუძნებდა გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და კანონზომიერების მიხედვით.ზოგადი კლასიფიკაცია გამოყენებულ იქნა, როგორც კერძო კლასიფიკაციის თეორიულ-ლოგიკური კრედო, მისი არსებითი ნიშნების გამომხატველი. თავის მხრივ, კერძო კლასიფიკაციის მეშვეობით, რითაც ხელთ ვიპყრეთ ისტორიულ პერსონაჟთა ამოცნობის იარაღი, აღვასრულეთ ზოგადი კლასიფიკაციით გათვალისწინებული ფუნქციების რეალიზაცია. კერძო და ზოგადი კლასიფიკაციების ურთიერთშეთავსების გზით ნათელი მოეფინა ისტორიულ დროში დაფარული საქმეების არსს; მართალია, წიგნის გამოცემის მიუხედავად, მხოლოდ ჩვენი

ფილოსოფიური საზოგადოების ვიწრო წრისთვისაა ცნობილი, თუ რა სახის ალგორითმები იქნა წამოყენებული ისტორიულ-ფილოსოფიური წიაღსვლების მიხედვით, თუმცა უკვე შევეგუეთ იმასაც, რომ „შინაურ მღვდლებს“ჩვენს ქვეყანაში შენდობა არა აქვთ, მრავალგვარ უგვან და უკეთურ მიზეზთა გამო. დღესდღეობით, თუ მეცნიერი პოლიტიკური ლობისტების დაინტერესების ფოკუსში არაა მოქცეული, მის გამოკვლევებს სათანადო აღიარება არ ეღირსებათ; ამას კიდევ დავუმატოთ ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში დასადგურებული შემოქმედებითი ნიჰილიზმი, უცხოელ ავტორიტეტთა მიმართ უნიჭო მიბაძვა, გუნდრუკის კმევა და მაჩანჩალობის რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებაც, ახლო პერსპექტივაში მაინც, სანუგეშოს ვერაფერს ვიხილავთ. რა ხანია, რაც ქართულ უნივერსიტეტებში ჩამობრძანებული სხვადასხვა დარგის უცხოელი სპეციალისტები და კონსტრუქტორები ავლენენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ გენიალურ მოღვაწეთა მიმართ ერთობ ზედაპირულ წარმოდგენას, ან სრულ გაუთვითცნობიერებლობას, რაც ძალაუნებურად გვფიქრებინებს, რომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ მედიდურად ზემოდან გვიყურონ და კუთხეში ატუზული, დარცხვენილი, ცუღლუტი ბავშვებივით გამუდმებით ჭკუა გვარიგონ. ეს კი ნამდვილად არ ეკადრება არც ერთი დიადი კულტურის მქონე, ღირსეულ და თავმოყვარე ერს.

ჩვენიპირველიწიგნისძირითადიდანიშნულებაგანისაზღვრაშემდეგისახისმიზნებისა დაამოცანებისგანხორციელებით:

1.ისტორიულდროშიმოღვაწეპიროვნებათაკლასიფიკაცია,ძალაუფლებისტიპობრივი დანაწილებისპარალელურიშეხამებისკუთხით, ემყარებოდაარა მარტოპიროვნებათაარსებითი, ინდივიდუალურინიშნებისამოცნობისმეთოდს, არამედგანაპირობებდაისტორიულპიროვნებათაპროგრესულობისსაკითხისგარკვევი სმიზნისგადაწყვეტას,რაცკავშირშიიყოინდივიდუალურინების, სოციალურივალდებულებისადაიძულების, აგრეთვენებისყოფისფუნქციათაანალიზისამოცანებთან.2.დიდ ისტორიულპიროვნებათასიდიდისკრიტერიუმისდასადგენადსაჭიროდჩავთვალეთჩა ვწვდომოდითისეთინდივიდუალურ-პიროვნულმახასიათებლებს,როგორიცაა: გულწრფელობა, სკეპტიკურობა, აუცილებლობისწვდომისუნარიდაშემოქმედებითისიახლისკენლტოლვა.

ესისნიშნებია, რომელთასპეციფიკურ, ორგანულკავშირს შეუძლია დიდი ადამიანების საოცარი უნარების გამომუშავება, ამიტომ მათი შესწავლის გარეშე არ მოხერხდებოდა დასახული მიზნის განხორციელება. 3.ისტორიულ პიროვნებათა ზოგადი და კერძო კლასიფიკაციის მიზნის განსახორციელებლად დღის წესრიგში დადგა, ერთი მხრივ, ადამიანთა სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და ინდივიდუალური მისწრაფების სხვადასხვა ვარიანტების შედგენა, მეორე მხრივ კი, ისტორიულ პიროვნებათა შესახებ მოცემული უტყუარი ემპირიული მასალის სათანადო შერჩევა დასისტემატურობა-თანმიმდევრულობის დაურღვევლად მისი

დახასიათება.4.ძალაუფლების ფენომენის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების დასადგენად განსაზღვრულ იქნა ძალაუფლების ცნების მეტაფიზიკური მნიშვნელობა. ქართული ენის ეტიმოლოგიაში მოპოვებული მასალის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ისტორიულ პიროვნებათა კლასიფიკაციის ტიპებზე მათი შესატყვისი ფორმების მორგება და მათგან ოპტიმალური სარეკომენდაციო დასკვნების შემუშავება. 5.გამოქვეყნებული ნაშრომის ძირითად სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა ისტორიული პროგრესის როგორც ცალკეული, ისე მთლიანი ეტაპებისა და დინამიური პარამეტრების განჭვრეტა, რისთვისაც სიღრმისეულად გასააზრებელი გახდა ისტორიული მისიის მატარებელ პიროვნებათა დადებითი და უარყოფითი ფუნქციების შემაჯამებელი შეფასება. ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევა ახალ ეტაპს წარმოადგენდა ისტორიული სინამდვილის შემეცნების საკითხში, ვინაიდან ჩვენს მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების დადებითად გადაწყვეტას საფუძვლიანად უნდა ჰქონოდა ფილოსოფიური კვლევა-ძიების ახალი,საინტერესო ობიექტის აღმოჩენის პრეტენზია, მართალია, სიახლეთა მეცნიერულობის თაობაზე ყოველთვის თავშეკავებული იყო ჩვენი დამოკიდებულება, იმ გაგებით, რომ ყოველი, ერთი შეხედვით, ახალი, კარგად დავიწყებული ძველია, რომ არ არსებობს არავითარი თვისობრივად უპრეცედენტო მოვლენა, აზრი, ნივთი, ქიმერა და ასე შემდეგ, რომელიც უნაშთოდ ძველზე არ დაიყვანება, მაგრამ სტრუქტურული კავშირების სინთეზური გაშინაარსებისა და გაფორმების მიხედვით, არაორდინალური წიაღსვლები და მიგნებები თავის განუმეორებელ, ნათელ კვალს არასოდეს დაკარგავენ. განა ამგვარად არაა მოწყობილი მთელი მატერიალური სინამდვილეც? აბსოლუტურად ერთნაირი ატომებისა და მოლეკულების შეერთების შედეგად; მაინც როგორი მდიდარი და ამოუწურავია ეს უკიდეგანო კოსმიური სივრცე?!

საერთოდ, ფილოსოფია, თავისი თეორიულ-ლოგიკური ფორმის მიუხედავად, პირველ რიგში წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რომლისთვისაც მეცნიერულობა მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციის ერთ-ერთი მხარეა და არა ერთადერთი. ფილოსოფიის ისტორიაში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, როგორც ფილოსოფიის მეცნიერულობის მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენიც, რომელთაც ფილოსოფიის მთავარ ღირსებად მისი მსოფლმხედველობრივი ნაირგვაროვნება მიაჩნიათ. მართალია, ჩვენ, როგორც მაშინ, ისე ახლაც ვემხრობით ფილოსოფიის მეცნიერულ კონცეფციას და ამ საკითხში სავსებით ვიზიარებთ ჰეგელის თვალსაზრისს, თუმცა დამატებით, როცა საქმე ეხება ფილოსოფიური და კერძო მეცნიერებათა შემეცნების სპეციფიკის განხილვას, ვთვლით, რომ აზრი, ობიექტური ჭეშმარიტების დასაბუთების განსხვავებული კომპეტენციების შესახებ, რამდენადმე გადაჭარბებულია. საქმე ისაა, რომ კლასიკური მეტაფიზიკური ცნების ლოგიკურ-მეთოდოლოგიური განმარტების გარეშე, ყოველი კონკრეტული მეცნიერული დისციპლინისათვის ნებისმიერი სახის ჭეშმარიტება აბსოლუტურად აზრს დაკარგავდა.

მთავარი შეცდომის წყარო კი მაინც მომდინარეობს ემპირიული, რაციონალური დაირაციონალური დებულებების არამართებულ გადანაწილება-გადამისამართებაზე. მაგალითად, როდესაც ვინმე ამტკიცებს, რომ კერძო ბუნებისმეტყველური დებულება: „ლითონი ელექტროგამტარია“,საყოველთაო, უდავო ჭეშმარიტებაა, ხოლო სულის უკვდავება ან მოკვდავობა სადაო და დაუსაბუთებელია, ამიტომაც მეტაფიზიკურია, რადგანაც ერთი ცდაში გვეძლევა, ხოლო მეორე არა, სწორი არაა, იმიტომ, ჯერ ერთი, მეტაფიზიკური ცოდნის ინსტანცია, რამდენადაც დროში და სივრცეში არსებულ მოვლენებს არ ემყარება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი მისგან მოწყვეტილი და შინაგანად წინააღმდეგობრივი, დაპირისპირებულია, მეორეც, რის საფუძველზე ცდილობენ, ფილოსოფიისთვის ემპირიული ცოდნის კომპეტენციის ჩამორთმევას და კერძო მეცნიერების ფარგლებში მასზე მონოპოლიის დაწესებას? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არის კი საკმარისი ემპირიული გამოცდილება ჭეშმარიტი ცოდნის მისაღწევად და სხვა? ჩვენი კატეგორიული აზრით, ის დებულება, რასაც ფაქტობრივი, თუნდაც ობიექტური ჭეშმარიტების პრეტენზია გააჩნია, სავსებით შესაძლებელია ფილოსოფიურ შეხედულებადაც ჩამოყალიბდეს, ისევე, როგორც გამორიცხული არაა, წმინდა მეტაფიზიკური დებულებაც იქცეს საბუნებისმეტყველო გამოკვლევის ობიექტად; განა ვინმემ შეიძლება მეცნიერებებს გადაულახავი ბარიერი დაუწესოს? ეს ხომ აზროვნების თავისუფლების უხეში შელახვა იქნებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ისეთი მიმართულება ფილოსოფიაში, როგორიც პოზიტივიზმია, სწორედ ცდისეულ ცოდნაზე დამყარებით ცდილობს საკუთარი ამოსავალი პრინციპების დაცვას; სხვა საკითხია, ახერხებს თუ არა ის ამას უფრო მეტი წარმატებით, ვიდრე დანარჩენი მოძღვრებანი.

ფილოსოფიის ისტორიაში, ანტიკურობიდან დღემდე, არაერთხელ წამოჭრილა პრობლემა ჭეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ; ადრე სექსტემპირიკოსისა და ენეზიდემის, ხოლო მოგვიანებით, მიშელ მონტენისა და დევიდ ჰიუმისარგუმენტები იმდენად მყარი და დამაჯერებელია, რომ თვით ყველაზე უფრო თავგამოდებულ ორთოდოქსებსაც ხასიათი გაუფუჭდებათ მათი უკუგდებისა და გაბათილების უმძიმესი საპასუხისმგებლო ტვირთის დაკისრებისას. ერთადერთი, რაც სოკრატეს ტიპის მოაზროვნეებმა ამას დაუპირისპირეს, იყო დებულება, რითაც აპაგოგიურად მტკიცდება, რომ ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტების უარყოფა თავადვე გულისხმობს ყველასთვის სავალდებულო ჭეშმარიტების აღიარებას, თუმცა, უარყოფით კონტექსტში მოქცეული რაციონალიზმის ეს ფასდაუდებელი არგუმენტი ვერავითარ შეღავათს ვერ ანიჭებს პრაგმატული მოსაზრებითაღძრულ მოიმედე-მონუგეშე ოპტიმისტებს, იმიტომ რომ მათთვის სასურველი ყოველთვის შორსაა რეალურისგან და ობიექტურისაგან; მიზეზი კი ის გახლავთ, რომ არსებობს უამრავი ისეთი „ჭეშმარიტება“, რომელიც მწარე გამოცდილების მიღებამდე მაინც, დაუმსახურებელი სასჯელის ტყვეობაში გვამწყვდევს, ჭკუის სასწავლებლად გამოუსადეგარია, როგორც წესი, ისტორიიდან გაკვეთილების გამოტანის შესაძლებლობას მოკლებულია და თან რაც მთავარია, შეცდომების დაუსრულებელი

რიგების გავლა ყველაზე უკუღმართი ჩვევების შეთვისებისა და მემკვიდრეობით გადაცემის უტყუარი გარანტიაა. ამ ყველაფრისგან თავისდაღწევა და გათავისუფლება კი ისტორიულ დროში შეუძლებელია.

ჩავთვალოთ ასეთნაირად, **როცა აღარ გამეორდება ისტორიული შეცდომები და წერტილი დაესმება პარადიგმების ბატონობას, ისტორიაც მაშინ დამთავრდება.ობიექტური ჭეშმარიტების გაგებაში იმთავითვე ჩადებული იყო ნებისყოფისაგან და ცნობიერებისაგან მისი დამოუკიდებლობა, რასაც ერთი შეხედვით, რელატივიზმის საფრთხისაგან თავი უნდა დაეზღვია, მაგრამ მოხდა ისე, რომ ნებისყოფის გაცნობიერებული შრეების: სურვილთა და მისწრაფებათა დიფერენციაცია თვითონ აღმოჩნდა ცვალებადი და რელატიური იმდენად, რამდენადაც, ერთ მთლიანობად აღებული ნებისყოფის კონკრეტულ განსაზღვრულობას, მისი არც ერთი დანაწევრებული ელემენტი არ შეესაბამებოდა; სახელდობრ, რაკიღა დადგინდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტების ყოველი ცალკეული ფაქტისთვის ყოველთვის მოიძებნება ნებისყოფის ისეთივე აქტი, რომელიც სრულ ჰარმონიულ შესატყვისობასა და თანხმობაში მოდის მასთან, ეს ნიშნავს ნებისყოფის მონისტური გაგების ისეთივე საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დაყენებას, როგორც თავის დროზე, აბსოლუტური ჭეშმარიტების გაგების წინაშე დადგა.**

ამის საილუსტრაციოდ, ავიღოთ ნებისმიერი უბედური, უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც ერთი შეხედვით, ყველასათვის არასასურველი რომ გვგონია, სინამდვილეში იმდენად სასურველი აღმოჩნდება, რომ თვით უშუალო დაზარალებულებიც კი, არამც თუ ვეღარ წარმოიდგენენ სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობას, არამედ ბევრჯერ ამას ღვთისგან მოვლენილ დამსახურებულ სასჯელად, უმაღლესი გამოცდის პრივილეგიად, ან სულაც, კურთხეულ სამსხვერპლო ზვარაკად მოვლენილ ჯილდოდ აღიქვამენ, რაც მათი ცხოვრების ერთადერთი მიზნისა და აზრის დიადი გაცხადება და გამართლებაა. ასეთივე მიდგომებია ბუნებასა და კოსმოსშიც, სადაც ნებისმიერი ლოკალური სტიქიური მოვლენა, თუ გლობალური კატაკლიზმა, აქტიური სასიცოცხლო პროცესების მოსაწესრიგებლად განმაპირობებელ-განმკარგულებელი განგების უზენაესი განჩინებაა, რომლის სამართლიანობასა და გონივრულობაში ეჭვის შეტანაც მომაკვდინებელი ცოდვა და დანაშაულია. მაშასადამე, ჭეშმარიტებისა და ნებისყოფის რელატივიზმის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: პატარა ნებისყოფით აღქმული პატარა ჭეშმარიტება ყოველთვის მოულოდნელი,არასასურველი, შემთხვევითი,ან სულაც იღბალზე გათამაშებული უცნაური ლატარიაა, ხოლო დიადი ნებისყოფა თვითონაა იმავდროულად უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების ღვთაებრივი დასტური და მოწმობა, რომელიც გრძნობად-ემოციური განცდადობის მხრივ, სრულიად გულგრილია კონკრეტული, კერძო სურვილებისა და მისწრაფებათა გამოვლინებისადმი, თუმცა რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივად გარდაქმნისა და პირუკუ დიალექტიკური მნიშვნელობით, გრძნობად-ემოციური გულგრილობისა და განურჩევლობის წიაღში იკვეთება ძირითადი საზრისისეული მიზანი, რომელიც სამყაროს არსებობის

ყოველმხრივ გამართლებას ემსახურება. აქ შეიძლება კიდეც შემოგვედაონ, თუ რამდენად მისაღებია ღვთაებრივი სრულყოფილებისათვის მიზნების შეთავსება? ხომ არ ნიშნავს ეს ღმერთის ფარული ნაკლოვანების უნებურ აღიარებას და აქედან გამომდინარე, არა მარტო მის სასწაულქმედებაში, არამედ, პირდაპირი მნიშვნელობით, მის არსებობაში დაეჭვებას?__არამც და არამც, ვინაიდან ღმერთისა და მისგან წარმოებული სამყაროს ერთარსებაში მიზანიც, მისი განხორციელების გარდაუვალობაც, არსებაც და მოვლენაც, შესაძლებლობაც და სინამდვილეც, მიზეზიც და შედეგიც, აუცილებლობაც და შემთხვევითობაც, თავისუფლებაც და იძულებაც, ერთეულიც, ზოგადიც, ფორმაც და შინაარსიც ურთიერთგანპირობებული, ურთიერთგანმსაზღვრელი კანონზომიერი კავშირურთიერთობების გამომხატველი კატეგორიები ერთმანეთს აბსოლუტურად ემთხვევა. ამიტომაც როდესაც საუბრობენ მიზნებთან ასოცირებული ნაკლოვანებების შესახებ, აქ ნებსით თუ უნებლიეთ ერთმანეთში ურევენ მოკვდავთა ამწუთისოფლიური წარმავლობა-ცვალებადობით გაჟღენთილსა და უკვდავი უნივერსუმის მარადიულ-განუწყვეტელ, უცვლელ არსებაზე თანდართულ, მუდმივ-განხორციელებად მიზნებს.

ნებისმიერი წარმავალი მიზანი, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად წარმატებით ხორციელდებიან ისინი, განიცდიან დროთა განმავლობაში გაუფასურებასა და დაკნინებას, ისეთნაირად, რომ გარკვეული ხნის დისტანციის გადასახედიდან მათ მიმართ გამოხატული მღელვარება, შიში და დაუდგრომელი აღტაცების ჟინი, ირონიული ღიმილის მომგვრელიც კი გამხდარან. ასე, რომ ერთიანი და მთლიანი ნებისყოფა, თავისი შემადგენელი მცირე მასშტაბის სურვილებისა და ახირებების მიმართ, იმდენად ამაღლებული და მიუწვდომელია, როგორც მთის მწვერვალი ხეიბართათვის. ამის მიუხედავად, ყოველ ცალკეულ ახირებულ გრძნობად-ემოციურ მისწრაფებაში მიმალულია იმ იდუმალი ძალისხმევის სასწაულმოქმედი დვრიტა, რასაც თვით ზებუნებრივ ქმნილებათა გრანდიოზულ გაფორმებაშიც უდევს უცილობელი წილი; ასევეა ფილოსოფიაც, როგორც უნივერსალური მეცნიერებათა მეცნიერება, რომელიც სამყაროს მთლიანობაში იაზრებს და ამიტომაც ვერ შემოიფარგლება თუნდაც ერთი და იმავე ობიექტის მიმართ ერთადერთი აზრის გამოთქმის უფლებით, როგორც სხვა რიგითი მეცნიერებანი, იმიტომ რომ მასში თავჩენილი ყველა შესაძლო პოზიცია და მიმართულება ამ უსასრულო, მდიდარ და მრავალფეროვან სამყაროში, აუცილებლად იპოვის ცხადი რეალიზაციისა და გამართლების შესაბამის ობიექტს.

ფილოსოფიისადმი მკაცრი, პოზიტივისტური, ერთმნიშვნელოვანი მეცნიერული პოზიციის გატარების მოთხოვნა ნიშნავს სრულყოფილი სამყაროს გაღარიბებისა და დაკნინების ვიწროეგოისტური ზრახვის გამომჟღავნებას, რასაც ჭეშმარიტ სიბრძნისმოყვარულთაგან მხარდაჭერა არ ეღირსება; რასაკვირველია, ეს არ

ათავისუფლებს ფილოსოფიას ლოგიკური დასაბუთების თანმიმდევრულობისა და კორექტულობისაგან, რის გარეშეც ესა თუ ის მსოფლმხედველობა ეპისტემოლოგიური მნიშვნელობის აზრს კარგავს. ჩვენი კვლევა-ძიების ათეული წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვეულება არასოდეს უღალატებს ლოგიკური არგუმენტაციის პრინციპს, სადაც ამის თეორიული შესაძლებლობა არსებობს. ხოლო სადაც ვარაუდებისა და ინტუიტივიზმის ინსტანციაში შევაბიჯებთ, იქ ირაციონალური ჭვრეტის უტყუარი ალღოს წინამძღვრობა არ აგვცდება.

ისტორიულ პიროვნებათა განსაზღვრისა და შეცნობის სოციალურ-ფსიქოლოგიურმა, ანთროპოლოგიურმა და ბიოგენეტიკურმა კრიტერიუმებმა მთლიანობაში შეადგინათავისებური ჰერმენევტიკული ხელსაწყო ანუ ალგორითმი, რაც პირობითად მოვიხსენიეთ ჰოროსკოპის სახელით, შესაბამისად, იმ პირველ წიგნსაც დავარქვით „პიროვნებათა ამოცნობის ისტორიულ-ფილოსოფიური ჰოროსკოპი“, სადაც შემლებისდაგვარად გადმოვეცით მეტნაკლებად მნიშვნელოვანი და არსებითი შეხედულებანი, დასკვნები, რითაც ხასიათდებოდა ისტორიული დროის მოღვაწენი, მათი სოციალური პირობები და თავისებურებანი. **მოცემულ შემთხვევაში, მეორე წიგნის შექმნის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს იმის აღწერა, თუ რა ხდება ისტორიის მიღმა, არა მარტო მანამდე და შემდეგ, როცა ოდესღაც არ იყო და არ იქნება ისტორია, არამედ ისტორიული დროის შიგნითაც, რაც არ, ან ვერ აისახა ამ ძუნწი და ფალსიფიცირებული ისტორიის გაცრეცილ-გადაყვითლებულ ფურცლებზე. ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველს შევახსენო დროისა და სივრცის პარადოქსთან დაკავშირებული ცდომილებანი, რომელიც ზედმიწევნით აისახება ისტორიული და არაისტორიული ფენომენის მეტად უხერხულ მდგომარეობაზე.**

ჩვენი სამგანზომილებიანი დრო და სივრცე ერთიმეორის შემდეგ და ერთიმეორის გვერდით ვერასოდეს ვერ შემოგვთავაზებს თუნდაც წამის მეასედის და ერთი ციდა ადგილ-სამყოფელის იმ კონკრეტული გარკვეულობის ნივთიერ სამხილსა და მოწმობას, რომელთა აღქმაც აწმყოსგან და აქ მოცემულისგან დისტანცირების გარეშე, რეალურად შეუძლებელია. სწორედ ამაზე უთქვამთ ეფესოელ სიბრძნისმეტყველ ჰერაკლიტესა და მის მოწაფე კრატილოსს ეპოქალური მნიშვნელობის დებულებანი, რის მიხედვითაც, ერთ მდინარეში არამც თუ ორჯერ, ერთჯერ შესვლაც შეუძლებელია(145_211).ყოველი კერძო მეცნიერება, რაოდენ ობიექტურობაზე და საყოველთაობაზეც არ უნდა ჰქონდეთ მათ პრეტენზია, გადამწყვეტ ვითარებაში, თავს ვერ დააღწევენ ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ინტენსიურ გავლენას; აღნიშნული მეცნიერებანი კი ყოველთვის ექვემდებარებიან „აქ და ამჟამად“არსებულ ნამდვილ ობიექტზე დამყარებულ ათვლის კონსტრუქციულ სქემას. თუკი აღმოჩნდება, რომ

„აქ და ამჯამად“ არსებული ობიექტი, რომელიც დამოუკიდებელია ჩვენი ნებისყოფისაგან და ცნობიერებისაგან, აღმოჩნდება მარტოოდენ უბრალო ფიქცია და მეტი არაფერი, მაშინ ყველა მეცნიერების მონაპოვარი, რითაც მარადიული და სააყოველთაო ჭეშმარიტება უნდა გამოცხადებულიყო, ი. კანტის ენით წოდებულ, სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის უცილობელ კუთვნილებად, თავდაყირა დადგება. აღნიშნულ საკითხებზე უფრო ვრცლად და დაწვრილებით განმარტებას მკითხველს შევთავაზებთ სპეციალურ თავში, რომელიც ეძღვნება საგანთა დასაბამ საზღვრით სიდიდეთა მეტაფიზიკურ არსებას.

საზოგადოების ისტორიასთან ფილოსოფიის მიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებასთან. როგორც ცნობიერება ასოცირდება არაცნობიერთან, ქვეცნობიერთან და ზე-„მე“ ცნობიერთან, ისტორიაც უშუალო შეხებაშია არაისტორიულ, ისტორიამდელ და ისტორიისშემდგომყოფიერებასთან. ამის გათვალისწინებით, მეორე წიგნში ბევრად უფრო მეტი ყურადღება დავუთმეთ ბიოგენეტიკური ევოლუციისა და ინტელექტუალური რეფორმაციის პრობლემის განხილვას, რომელიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი ურთიერთობების ეპოქალურ ცვლილებათა და საზოგადოებრივი ცნობიერების დინამიური ტრანსფორმაციის გრადაციულ პერიმეტრთა ურთიერთშეხამებით.

თავი II_ უისტორიო წარსულისა და უწარსულო ისტორიის თვალსაწიერი

/იხილე წარსული, რომელშიც არ თხზავენ ისტორიებს
და გაიგებ როგორია შენი მომავალი აწმყოში!/

არა მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები, არამედ ისინიც, ვისაც განათლებასა და ცოდნაზე სერიოზული პრეტენზია აქვს, გარდა იმისა, რომ აიგივებენ თავიანთ წარსულსა და მავანთა ისტორიას ერთმანეთთან, „მშობლიურად“, „დედა-ისტორიად“, ან სულაც „ჩვენი ისტორიის“ სახელით მოიხსენიებენ, იმ მემატიანურ თხზულებებს, რომელშიც არც ერთი მათი გენეტიკური წინაპრისთვის ადგილი არ მოიპოვება. ჩვენი ერის თვით ისეთი სწორუპოვარი მოამაგე, ილია ჭავჭავაძის სახით, რომელიც ქართველთა ისტორიას უზომოდ ადიდებდა და აღმერთებდა, ვისაც გულწრფელად სჯეროდა, რომ „ყოველიერითვისის ისტორიითსულდგმულობს. იგიასაგანძე,საცაერიპოულობსთვისისსულისღონეს, თვისისგულისბგერას, თვისისზნეობითსდაგონებითსაღმატებულებას, თვისვინაობას, თვისთვითებას. ჩვენისფიქრით, არცერთობაენისა, არცერთობასარწმუნოებისადაგვარტომობისაისეარშეამსჭვალებსხოლმეადამიანთერ თმანეთთან,როგორცერთობაისტორიისა,ერიერთისღვაწლისდამდები,ერთს ისტორიულს
უღელშებმულიერთადმებრძოლი,ერთსადაიმავეჭირსადალხინშიგამოტარებულიერ თსულობით,ერთგულობით,ძლიერია“ (ყიფშიძე 1987: 70-71, - განსხვავებანიხაზგასმულია,შდრ. ჭავჭავაძე 1955: 9), სხვაგან დანანებით დასძენდა, ჩვენი ისტორია, ძირითადად მაინც, მეფეთა ისტორიაო.

უდავო ფაქტია, რომ ილია უსაყვედურებდა არა იმ ისტორიას, რომლითაც ყოველი ერი სულდგმულობს, მაგრამ ძალიან ძნელი დასაწერია, არამედ კარის მეხოტბეთა მიერ გამოგონილ და შეთხზულ ფარისევლობას, რასაც ისტორია ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა წარსულის ფალსიფიკაცია. მემატიანური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ კრიტიკოსთა თავდასხმები, როგორც ცნობილია, იმდენად ღიად და ფეხმოკიდებულად ვრცელდებოდა მთელ დასავლურ სამეცნიერო წრეებში, რომ აუცილებელი გახდა ისტორიის, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ძირითადი კრიტერიუმებისა და მიზანდასახული ორიენტირების გადასინჯვა, რისთვისაც დღის წესრიგში დადგა ისტორიული წყაროების შედარებითი ანალიზის კომპლექსური მეთოდების გამოყენება. წყაროთმცოდნეობისუმთავრესიამოცანააწერილობითიწყაროებისდაჯგუფება, მათისისტემატიზაციადაკლასიფიკაცია.

ამასარსებითიმნიშვნელობაენიჭებაწყაროთმცოდნეობითისაკითხებისმთელიკომპლ
ექსისგადაწყვეტისდროს.
არსებობსწყაროთაკლასიფიკაციისსხვადასხვასისტემა,რომლებსაცსაფუძვლადუდევს
სხვადასხვაპრინციპი:წყაროთაკლასიფიკაციაშინაარსის,
წარმოშობისადაისტორიულიწყაროებისსახებათამიხედვით
(რაცუფრომეტადააგავრცელებული).
წერილობითწყაროებზემუშაობისპროცესშითავსიყრისისეთისაკითხები,როგორიცაა:
1.წყაროთაგამოვლენა (ევრისტიკა),როცაისტორიულიკვლევისსაფუძველიფაქტებია.
მათგამოსავლენადსაჭიროაყველასახისისტორიულიწყაროსდამუშავება.2.წყაროსტექს
ტისდადგენა,
რაცგულისხმობსტექსტისწაკითხვას,ძირითადიტექსტისადამისიდამატებების,
ანპარალელურიადგილებისდადგენას;ტექსტისენისადასტილის, შემოკლებათა,
ანსაიდუმლონიშნებისშესწავლისადაგაშიფვრის, ზომა-
წონისადაფულადიერთეულებისმნიშვნელობისდადგენას,
გეოგრაფიულსახელწოდებათადასაკუთარსახელთაშესწავლას.
ტექსტისმინაწერებისადაჩამატებების (ინტერპოლაციების) განმარტებასდაა.
შ.3.წყაროსწარმოშობისგარკვევა (ავტორი, დრო, ადგილი, უტყუარობა,
წყაროსშედგენისგარემოებანიდამიზნები);პირადი თუთანაავტორების,
მიახლოებითიდათარიღებისსაკითხისშესწავლა,დათარიღებისძველისისტემისგადაყ
ვანაახალზე;უნდაგაირკვესნამდვილიაწყაროთუყალბი,დედანია,თუპირიდასხვა.
4.სანდოობისადასიზუსტისდადგენა,
პოლიტიკურიმიმართულებისადაწყაროსკლასობრივიარსისგანსაზღვრა.
წყაროთმცოდნეობითისინთეზი:
წყაროთაგენეალოგიურიკავშირებისგარკვევა,შედარებამათი
სანდოობისადასიზუსტისხარისხისმიხედვით.5.წყაროთმცოდნეობითიანალიზი
(ჰერმენევტიკა), ე. ი. ისტორიულცნობათასისრულის,
ურთიერთდამოკიდებულებაამათუიმმოვლენისასახვისთვალსაზრისით,
საკვლევითემისათვისსაჭიროყველაფაქტისდადგენა,
გამოვლენილფაქტთამთელსისტემაშიგამოტოვებულიმომენტისგანსაზღვრადაა.შესაბ
ამისი
წყაროებისშესწავლასაჭიროამათისტორიულგანვითარებაში;წყაროთმცოდნეობისზოგ
ადამოცანებს,
მეთოდიკასადაკვლევისხერხებსიყენებენძირითადადყველაპერიოდისწყაროსმიმართ
.ისტორიულიწყაროებისკრიტიკისსაწყისებსვხვდებითჯერკიდევძველისტორიკოსებ
თან(ჰეროდოტე, თუკიდიდე, პოლიბიოსი, ტაციტუსი, იოსებფლავიუსი).
ადრინდელშუასაუკუნეებშიისტორიულწყაროებსკრიტიკულადარსწავლობდნენ,მაგ
რამ აღორძინების ხანაშიმანკვლავიჩინათავი (ლორენცოვალა).ბ.
ნიბურის, ლეოპოლდრანკეს,თ.

მომზენისგამოკვლევებშიმოცემულიიყოისტორიულწყაროთაწყაროთმცოდნეობითიკ
რიტიკისცალკეულიმეთოდებისადახერხებისგამოყენებისნიმუშები.როგორცდამოუკ
იდებელიმეცნიერება,კვლევისსაკუთარისაგნითადა შესწავლისსპეციფიკურიმეთოდე
ბით,წყაროთმცოდნეობჩამოყალიბდა XIXსაუკუნის II ნახევარი- XX საუკუნის
დასაწყისში (იოჰანგუსტავდროიზენის,ე.ბერნჰაიმის,ე. ფრიმენისშ. ლანგლუას,შ,
სენიობოსისადასხვათანაშრომები) (19_363-364).
ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ტიპის ძვრებმა ყველაზე უფრო ინტენსიური და
ნაყოფიერი ხასიათი შეიძინა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, რაშიც ყველაზე
დიდი დამსახურება ჩვენს ბუმბერაზ ისტორიკოსს, ივ.ჯავახიშვილს მიუძღვის,
რომელმაც ფაქტიურად დასაბამი დაუდო ისტორიის ფილოსოფიის ქართულ
მეცნიერულ ტრადიციას. მართალია, ამ დიად ეროვნულ თაოსნობას ბევრი
მიმდევარი არ გამოუჩნდა, რასაც მეტად სავალალო, გაუმართლებელი მიზეზი
განსაზღვრავს, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ ქართული ისტორიული მეცნიერების
ყამირის ხნული გავლებულია და ვითარების გაჯანსაღების გზებიც მოძებნილია.
წყაროთმცოდნეებშიციყვნენარამარტოპრაქტიკოსები, არამედთეორეტიკოსებიც.
მასალისშერჩევისადადამუშავების,თხზულებისშედგენის,თარგმნის,
თურედაქტირებისდროს,
ისინიუკვეჩამოყალიბებულიპრინციპებითხელმძღვანელობდნენ,გარკვეულხერხებსა
დამეთოდებსიყენებდნენ.ყოველგანათლებულისტორიკოსსწინასწარმოფიქრებულიგ
ეგმითუნდადაეწერათხზულება,ეზრუნათხრობისსანდოობაზე. გიორგიმთაწმიდელი
ს აზრით (XI საუკუნე)
თუავტორითვითონარიყოაღწერილიამბებისმომსწრე,უნდაგამოეყენებინასანდოთვი
თმხილველისნაამბობი,აგრეთვეწერილობითი (მ. შ. დოკუმენტური)
დანივთიერიწყაროები.ძველიქართველიისტორიკოსებითავიანთსაქმიანობაშიიყენებ
დნენროგორცქართულ,ისეუცხოურწერილობითწყაროებს.
ამავედროს,ისინიზოგჯერცდილობდნენუტყუარიფაქტისადაგამონაგონისგარჩევას.ე
რთმანეთსუპირისპირებდნენწყაროთასაწინააღმდეგოჩვენებებს,
იყენებდნენშედარებითმეთოდებს. XIX-XX
საუკუნეების მიჯნაზედიდიყურადღებაექცეოდაქართულიწერილობითიძეგლებისგა
მოვლენას,პირველადდამუშავებასადაგამოცემას,ისტორიულიფაქტებისდაგროვებას.ს
აქართველოსისტორიისწყაროთმცოდნეობა,
როგორცსაკუთარისაგნისადაკვლევისმეთოდებისმქონედამოუკიდებელიმეცნიერება,
საბოლოოდჩამოყალიბდა XX საუკუნის I
მეოთხედში, ივანეჯავახიშვილის შრომებში.შემდეგგრძელდებოდამუშაობაძირითად
ადკონკრეტულიწყაროთმცოდნეობისადაისტორიულიტექსტებისპუბლიკაციისხაზი

თ. 70-
იანიწლებიდანგაცხოველდასაქმიანობაზოგადიწყაროთმცოდნეობისდარგში,გამრავა
ლფეროვნდათემატიკა,დაისახაახალიპრობლემები.
ქართველმაისტორიკოსებმადაიწყესწყაროთმცოდნეობისთეორიულიპრობლემებისდ
ამუშავება. წყაროთმცოდნეობაგანიხილება,
როგორცსაისტორიომეცნიერებისკომპლექსურიდარგი,მუშავდებაისეთისაკითხები,რ
ოგორიცააწყაროთმცოდნეობისდეფინიცია, მისისტრუქტურადასაგნობრივისფერო,
წყაროთმცოდნეობითიკვლევისმეთოდიკა,
ისტორიულიწყაროსსაინფორმაციოუკუგებისგაზრდისსაშუალებანი,წყაროთმცოდნე
ობისადასპეციალურიისტორიულიდისციპლინებისურთიერთობა,
ისტორიულიწყაროებისკლასიფიკაციადასისტემატიზაცია,წყაროთმცოდნეობითიტე
რმინოლოგია,სამეცნიეროპუბლიკაციისტიპები,ტექსტისრაოდენობრივიანალიზისმე
თოდები, ჰაგიოგრაფია, როგორცისტორიულიწყარო.
დიდიყურადღებაექცეოდა „ქართლისცხოვრების“ კრებულისშესწავლას.
საქართველოსისტორიისქართულიდაუცხოურიწყაროებისგამოცემას.ძირითადიმუშა
ობაზოგადწყაროთმცოდნეობითპრობლემატიკაზემიმდინარეობდაი.ჯავახიშვილისს
ახელობის ისტორიისადაეთნოლოგიისინსტიტუტის საქართველოსძველიდაშუასაუკ
უნეებისისტორიისწყაროთმცოდნეობისგანყოფილებაში. კ.
კეკელიძისსახელობის ხელნაწერთაინსტიტუტში.
წყაროთმცოდნეობისკონკრეტულსაკითხებსამუშავებდნენგ.
წერეთლისსახელობისაღმოსავლეთმცოდნეობისინსტიტუტში, თსუსა და საქართველ
ოსცენტრალურარქივში(იქვე). გაწეული ტიტანური შრომის საგულისხმო შედეგების
მიუხედავად, მაინც მთელი სიგრძე-სიგანით რჩება უმთავრესი კითხვა, თუ რატომ
არაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ადგილი ჩვენი წინაპრებისათვის, ხოლო ის
რამდენიმე ათეული ადამიანი, ვისი სახელიც აღიბეჭდა სხვადასხვა ჭკუითა და
გონებით მომართული ჟამთააღმწერლების მიერ, რამდენად განასახიერებს ჩვენი
მოკლე მეხსიერებისა და მორალური უნიათობის წყალობით მიჩქმალულ-
მივიწყებულ, გარდასულ თვისტომთა, ჯილაგთა, გვართა და ნათესავთა
მამულიშვილურ სინდისს, ადამიანურ ღირსებას, ეს ცალკე სასაუბრო თემაა, რის
შესახებაც საჯარო დისკუსიების გამართვას ეროვნული ცნობიერების შიგნით
დარჩენილი უმნიშვნელოვანესი ხარვეზის აღმოფხვრა არ შეუძლია.
უკვე დროა, შევუდგეთ იმ მიზეზთა გარკვეული წყების განხილვას, რამაც
განაპირობა რეალური, საკუთარი წარსულის დავიწყება და მის ნაცვლად, ნებსით
თუ უნებლიედ თავსმოხვეულ, შელამაზებულ-შეკაზმულ სხვათა ამბავთა თხრობაზე
არჩევანისგაკეთება: **1. რეალური საგნებისა და მიმდინარე პროცესების**

არაადექვატური ასახვის ტენდენცია, რომელიც ბავშვური მიდრეკილებების ქვეცნობიერი გამომჟღავნების პროდუქტია. ეს ნიშნავს წარმოსახვითი შთაბეჭდილებების ეიფორიულ მდგომარეობაში დარჩენას, რაც გამოიხატება არსებულის სასურველით ჩანაცვლების ხიბლითა და აღფრთოვანებით. ასეთ ვითარებაში ხშირად, თავგადასავალის მოყვარულთა ფანტაზია იმდენად შორს მიდის, რომ ისინი იოლად კარგავენ საკუთარი სიტყვების გაკონტროლების უნარს, რის გამოც მეტად სულელურ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან; რაკი ერთხელავე კარგავენ დამაჯერებლობას და სანდოობას, მათ სერიოზულ ანგარიშს აღარ უწევენ და კოლექტიური განქიქების საგნად აიტაცებენ. საჯარო დაცინვისა და ქილიკის შიში იმდენად დამთრგუნველი და ძლიერია, რომ ბევრი ადამიანი ამის გამო საკუთარი ამბების მოყოლის ყოველგვარ ხალისს კარგავს, მაგრამ მეორე მხრივ, იზრდება სხვათა წაქეზებისა და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი ავნტიურის მოწყობის წყურვილი, რომელიც გამუდმებით ითრევს თავგადასავალთა მოყვარულებს მარჯვედ დაგებულ ხაფანგში და უკეთური ზრახვაც სისრულეშია მოყვანილი. აღნიშნული მდგომარეობა იმდენად სიმპტომატური და მძაფრია ქართულ საზოგადოებაში, რომ დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას საუკუნეების მანძილზე მოარული გამოთქმა__ „ხალხის ყბაში ჩავარდნა," რაც დროთა განმავლობაში გამოყენებულია, როგორც ანეკდოტების საუკეთესო მასალა. აქ საინტერესო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ თავდაპირველად ცალკეულ პირზე გამოთქმული ოხუნჯობანი, დროთა განმავლობაში, იქცევა ჯერ იმ სოფლის, შემდეგში კი იმ კუთხის უწყინარი დაცინვა-გამასხარავების ანეკდოტად, სადაც არის იგი შექმნილი. ამიტომაცაა, რომ სვანებზე, რაჭველებზე, კახელებზე, მეგრელებსა და გურულებზე გამოთქმული სასაცილო ამბები მათივე მკვიდრთა მიერაა მოგონილი. აქ კიდევ ერთი დეტალია საყურადღებო: კახელებისა და ქუთაისლების შესახებ გამოთქმულ ანეკდოტებში რატომღაც დომინირებს განსაზოგადოებულიმნიშვნელობისმქონეისეთისაკუთარისახელები,როგორიცაა თბილისის კოლორიტული უბნის კინტოურ-ყარაჩოღელური წარმონაქმნი__საქულა,კახური ანეკდოტის ეგზოტიკა__მიხო, მიტუა,მარო და ქუთაისელ-ბაღისკიდელთა უბერებელი მკვიდრნი__ჭიჭიკია და ბიჭიკია. რაც შეეხება დანარჩენ კუთხეებს, უხვი, მხიარული მასალის მიუხედავად, ამოჩემებული სახელების ხსენება საერთოდ არ გვხვდება. ასევე, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, არც თბილისში, არც კახეთსა და ქუთაისში ამ სახელებს თითქმის არავის აღარ არქმევენ. ჩვენი შეხედულებით, მოცემულ სიტუაციაში, ადგილი აქვს, ანონიმურ სუბიექტთა მიმართ, საკუთარ სახელთა მიწერას, კუთხის სპეციფიკის ხაზგასასმელად,განსაზოგადოებული მნიშვნელობით. რაც შეეხება სხვა კუთხეებს,

სადაც ანალოგიური პრეცენდენტის გარეშეც ხერხდება კოლორიტული იუმორის წარმოჩენა, აქ არსებობს ტრადიციულ სახელთა მიმართ პატივისცემის უხმაურო, უხილავი, თუმცა მაინც მყარი ტენდენცია, რისი პათოსიც მომართულია სახასიათო ნიშნების მატარებელისიმბოლოების შეუბღალავად შენარჩუნებისაკენ.**2.ღია და ფარული კონფლიქტების უარყოფითი გავლენა ინფორმაციის მემკვიდრული გადაცემის საშუალებებზე.**

ადამიანთა შორის კონფლიტური დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ამყველაფრისუკან, ხშირად, უარყოფილიჭეშმარიტებაიმალება__ადამიანიარარისრბილიდამოსიყვარულეარსება, რომელსაცუკიდურესშემთხვევაში, თავდასხმისგანთავისდაცვაშეუძლია. გასათვალისწინებელიაისიც, რომმისილტოლვებისმნიშვნელოვანინაწილიაგრესიისკენმიდრეკილებითხასიათდება. აქედანგამომდინარე, ადამიანისთვისმოყვასიარამხოლოდშესაძლომხარდამჭერიდასექსუალურიობიექტია, არამედცდუნებაც__აქციოსისსაკუთარიაგრესიისდაკმაყოფილებისსაშუალებად, მისიშრომაანაზღაურებისგარეშეგამოიყენოს, მისითანხმობისგარეშეგაიხადოსსექსუალურობიექტად, დაეპატრონოსმისქონებას, დაამციროს, ტკივილიმიაყენოს, აწამოსდამოკლასის. Homo homini lupus (48_ზიგმუნდ ფროიდი –კულტურითუკმაყოფილება|ბურუსიBURUSI burusi.wordpress.com/2013/03/15/freud/)ᴲ ისეთი სისასტიკე და დაუნდობლობა, როგორსაც ადამიანები იჩენენ ერთურთის მიმართ, არც ერთ სხვა ცოცხალ სახეობას არ ახასიათებს. მშობელთა და შვილთა ბრძოლის საყოველთაოდ აღიარებულმა ფენომენმა იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ფროიდისეულ საგანგებო ტერმინით მოხსენიებულ „ოიდიპოსის კომპლექსის“ მეცნიერულად დასაბუთებულ კვალიფიკაციას არგუმენტირებული კრიტიკა არც შეხვედრია. ერთერთი რეალური მიზეზი, შვილთა მიერ მამათა ღირსეულ ღვაწლთა დავიწყებისა, არის მათი ინტერესების ნაწილობრივი, ან მთლიანი შეუთავსებლობა, ასეთდროს, როგორც წესი, ზრდასრული, დაოჯახებული შვილები, იმდენადარაკეთილსინდისიერ მიდგომებს ამჟღავნებენ მშობელთა მიმართ, რომ ეს მკვეთრად უარყოფითად აისახება შვილიშვილებისა და მათი შთამომავლების სულისკვეთებაზე, რომელიც ბებია-ბაბუების მიმართ უმრავლეს შემთხვევაში არაჯანსაღ გამოხატულებას იძენს.საბოლოოდ, ყველაფერი მომდინარეობს გულგრილობისგან, რისი ლოგიკური გაგრძელებაც გახლავთ ნიჰილიზმი და ცინიზმი. აი, სწორედ ესენიამშობლიურ გრძნობებში აღმოცენებული პარაზიტული ყლორტები სარეველისა, რაც დავიწყების ქარ-ცეცხლით შთანთქმას უქადის მადლიან საქმეებსა და მათ დალოცვილ ხელთმქმნელ მუშაკებს. ერთადერთი, მეხამრიდი, რასაც შეუძლია უღირსი შთამომავლისგან დაიცვას ღირსეული წინაპარი, არის ის საზოგადოება რომლის წიაღშიც იშვება ყოველი პიროვნება, თუმცა საზოგადოება არაერთგვაროვანი, ჭრელია, ამიტომაც თეთრი და შავის გარჩევა, სამართლიანი შეფასება და

დამსახურებული სიკეთის აღიარება ბევრჯერ მას არ ძალუძს.**3. განახლება-აღმშენებლობის სტიქიურად გამოხატულ წყურვილში შეფარული ნგრევის პათოლოგიური ინსტინქტი.**

ნგრევისა და განადგურებისკენ სწრაფვის გნოსეოლოგიურ-ფსიქოლოგისტური სწრაფვის წანამძღვრები თავმოყრილია ზ. ფროიდის ფსიქოანალიზურ გამოკვლევებში. საწყის დებულებად მიღებულია ადამიანის მოქმედებაში ინსტინქტურ მიდრეკილებებზე უპირატესი მნიშვნელობის მიკუთვნება. ესენია: სექსუალური ინსტინქტი, როგორც სახეობათა შენარჩუნებისა და გამრავლების საშუალება, თავდაცვის, ანუ „სიცოცხლის ინსტინქტი"(ეროსი), რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის თვითშენახვასა და უშიშროებას და „სიკვდილის ინსტინქტი"(თანატოსი), რაც გამოხატავს ცოცხალი მატერიის ყოველნაირი სახეობისათვის ნიშანდობლივ მისწრაფებას „არაორგანული სიმშვიდისა და წონასწორობის" თავდაპირველი მდგომარეობისაკენ. ფროიდის აზრით, ეს უკანასკნელი ვლინდება ნგრევის, თვითმოსპობის, ანუ აგრესიის ფორმებში. სწორედ სიცოცხლის შენარჩუნება-კვლავწარმოებისა და აგრესია-მოსპობის ინსტინქტებს შორის შინაგანი ბრძოლა წარმოადგენს კულტურისადა ცივილიზაციის ევოლუციური განვითარების წყაროს. ანალოგიურად უდგება საზოგადოებისა და ადამიანის პრობლემებს თანამედროვე დასავლური ნეოფროიდისტული სოციოლოგიური ძალმომრეობის თეორიაც. სპეციფიკა აქ მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ საზოგადოებრივ მასშტაბებში გამოვლენილი ძალმომრეობა აიხსნება ცალკეული ინდივიდის ფსიქიკური დაავადების საფუძველზე. თვით ფროიდიც „ინსტინქტური აგრესიულობის" თეზისს იყენებდა არა მხოლოდ პიროვნების ინდივიდუალური ქცევის ახსნისათვის, არამედ ცდილობდა მის გავრცელებას სოციალური ერთობების-კლასების, ერების, სახელმწიფოების ურთიერთობათა გაგებაზეც; „სიძულვილი და აგრესია გრძნობათა ამბივალენტობის საყოველთაო გავრცელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადასტურებაა"(147_43).ფროიდის თანამედროვე მიმდევრები კიდევ უფრო შორს მიდიან ფსიქოპათოლოგიური მოვლენებით სოციალური კოლიზიების ახსნის საკითხში. ისინი ომების, ნგრევა-განადგურებისა და აგრესიის მოვლენებს აკავშირებენ მასობრივ ნევროზულ-ფსიქოზურ მდგომარეობებთან. ავსტრიელი სოციოლოგი ა. მიჩერლიხი ინსტინქტს თვლის არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ მთელი ხალხის აგრესიული მოქმედების გენეტიკურ წანამძღვრად. აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებდნენ ამერიკელი სოციოლოგებიც: ჩ. ბრენერი, კ. ვილსონი და სხვები. ბრენერის აზრით, ნებისმიერი პოლიტიკური აგრესია ყოველგვარი „ფსიქოლოგიური კონფლიქტის" გარდაუვალი მოქმედების შედეგია, რომელიც გამოიხატება ნევროზებისა და სტრესების მეშვეობით. მისი აზრით, პიროვნების ფსიქიკური სტრუქტურის „შინაგანი წონასწორობის"დარღვევა ავტომატურად იწვევს მის აგრესიულ რეაქციას გარემოს მიმართ(143_68). ყველაზე უფრო დამაფიქრებელი და შინაგანად უპერსპექტივო ვითარება სოციალური წესრიგის მიმართულებით, რასაც თითქმის ვერ ამჩნევენ დასავლელი ფსიქოანალიტიკოსები და სოციოლოგები,

არის განახლება-აღმშენებლობის დაუცხრომელი წყურვილის საფარქვეშ მიმალული ნგრევისა და განადგურების ავბედითი ზრახვების სისრულეში მოყვანის დაუოკებელი ჟინი.გადაკეთებისა და გარდაქმნის ნოვატორული იდეებით ყალყზე შემართული აგრესიული ჯგუფების რაოდენობა არც თუ მცირეა ყველა დროისა და ყველა სახეობის საზოგადოებაში, მათი საქმიანობის არსში უკეთ ჩაწვდომის ერთერთი საუკეთესო მაგალითია ჩვენი ქვეყნის ანტიეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობა. ისინი, აღმშენებლობის, განახლებისა და ყბადაღებული რეფორმების დევიზით, იკმაყოფილებენ რა,თავიანთ ამბიციურსა და უცნაურად განსაცვიფრებელ,ატროფირებული გემოვნების ახირებებს, ცდილობენ რადიკალურად შეცვალონ შენობების, ქუჩების, მოედნებისა და ღირშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლების იერსახე, ეს კიდევ არაფერია, იმასთან შედარებით, რაცეროვნული ტრადიციების, ისტორიის, ზნე-ჩვეულებებისა და სარწმუნოების ხელყოფის ტოლფასია. გარდა იმისა, რომ ასეთი პოლიტიკა ძირს უთხრის ჩვენს კულტურას და ეროვნული თვითმყოფადობას, ამას მოსდევს როგორც მატერიალური და ფიზიკური ზიანი, ისე ადამიანური აუნაზღაურებელი მსხვერპლიც, თუმცა ამ სავალალო შედეგებმა მათი შეჩერებისა და დაფიქრების ნაცვლად,უფრო მეტი გააფთრება დასიძულვილი გამოიწვია ქართველი ხალხის მიმართ.

როდესაც ერთიმეორეს ვადარებთ აღმშენებლისა და დამანგრეველის საქმიანობას, ყოველთვის უნდაგვახსოვდეს, ერთმანეთში არ აგვერიოს აღდგენა-განახლებისა და ძირფესვიანი ცვლილება-გაახლების ცნებები. პირველი ნიშნავს ყველა იმ დაზიანებული, დარღვეული, სტრუქტურულიერთეულის შენარჩუნების მიზნით გატარებული აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას, რომელიც თავდაპირველი არსებული სიძველის დაბრუნებასა და მისი განუმეორებლობის დაცვას ემსახურება.მეორე სახით კი გულისხმობს ძველის ადგილზე თვისობრივად განსხვავებული ისეთი რაღაცის შექმნას, რომელსაც გენეტიკურად არაფერი არ აკავშირებს წარსულში არსებულ რეალობასთან.

ზომიერებისთვის დამახასიათებელი ოქროს შუალედის პრინციპით თუ ვიხელმძღვანელებთ, ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის, განვითარებისა და უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისთვის, თავ-თავის ადგილზე, ნგრევაც და შენებაც საჭირო და აუცილებელია, ისე, რომ თვითმიზანი არც ერთიუნდა იყოს და არც მეორე, რათა გრანდიოზული სიძველეების გვერდით, გამუდმებულად იგრძნობოდეს ახალი, ცხოველმყოფელი სუნთქვისა და მაჯისცემის ჯანსაღი რიტმი. აწმყოს უმთავრესი არსი და დანიშნულებაც მდგომარეობს იმაში, რომ მან უზრუნველყოს წარსულისა და მომავლის ერთიანობის,განუყოფლობისა და უწყვეტობის მედიუმის, ანუყოველმხრივი, უშუალო და პირდაპირი კავშირის ფუნქცია.

საერთოდ, როგორც აღმშენებლებს, ასევე მნგრეველებსაც ჰყავთ თავ-თავიანთი პოზიტიური და ნეგატიური ნიშან-თვისებების მქონე წარმომადგენლები, რომელთა დახასიათებაც ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიაში დაკარგულ-გაუჩინარებული წარსულის ზემოდჩამოთვლილ მიზეზთა ასახსნელად. პოზიტიური აღმშენებლები

იმდენად კარგად ამართლებენ აღნიშნულ სახელწოდებას, რომ მათ დასახასიათებლად ამაზე მეტის თქმა უბრალოდ ზედმეტია; რაც შეეხება ნეგატიურ კატეგორიას, მას პირობითად ვუწოდეთ აღმშენებელი, თორემ სინამდვილეში, აქ გაერთიანებული პირები, რაიმეს მკეთებლები კი არა,გამფუჭებლები არიან. საფუძველი, რის გამოც მოვახვედრეთ ისინი აღმშენებლებში, წმინდა თეორიული შინაარსისაა, მაგრამ ამას არსებითი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ეს გამფუჭებლები, რომლებიც გარეგნულად, განზრახ აზიანებენ, სპობენ და იავარქმნიან ყოველივეს, რასაც კი მოიხელთებენ, უფრო მეტიც, ამას ისინი სჩადიან ნგრევის პირდაპირი მოთხოვნილების გაგებით, მიუხედავად ამისა, ამით ისინი განსაკუთრებულ მოტივაციას ანიჭებენ პოზიტიურ აღმშენებლებს, რომელთა იდუმალი, შინაგანი და მგზნებარე მოწოდება ყოველთვის გახლავთ ბარბაროსულად ხელყოფილი სიძველის ფასეულობათა შენახვა-აღდგენა და პირვანდელი ბრწყინვალებით გამომზეურება. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ნეგატიური აღმშენებლები, თავიანთი ბარბაროსული, მტრული ქმედების ღია აგრესიითა და ვანდალური მისწრაფების თავხედური დემონსტრირებით, სერიოზულ გამოწვევასუკეთებენ და თავისებურად დიდ ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ პოზიტიურ აღმშენებლებს, თავიანთი კეთილშობილური ისტორიული მისიის აღსრულებაში. მავანი იკითხავს, მსახვრალი ხელის ზემოქმედების გარეშე, ნუთუ აღმშენებლობა შეჩერდებოდა და ძველი დიდების ნაშთებისადმი ტრფიალი აზრს დაკარგავდა? რასაკვირველია, რასაც ჟამთა სიავის ყავლგასულობის დამღა დაედება, მისი შენარჩუნება უკვე მოითხოვს არა განახლება-აღმშენებლობის, არამედ კონსერვაციის საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარებას, რასაც პრინციპულად განსხვავებული დატვირთვა გააჩნია, ვიდრე დანგრეულისა და დაზიანებულის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას. ესეც რომ არ იყოს, ის, რაც ბუნებრივად, თავისით ისპობა და ნადგურდება, ვადაგასულად ითვლება, მისი გაქრობაც კანონზომიერადაც ფასდება, რაც თავის მხრივ, პოზიტიურ აღმშენებელთა ენთუზიაზმის გასაღვივებლად არ გამოდგება. ამ ლოგიკით იმის დაშვებაც შესაძლებელია, რომ დიდი ისტორიული ძეგლების მიმართ გამოჩენილი მტრული აგრესიისა და ვანდალიზმის აღმაშფოთებელი ფაქტების გარეშე, ხელყოფილი ფასეულობების მიმართ საოცარი თანაგრძნობის გამოწვევის წინაპირობებიც გაქრებოდა,რაც პოზიტიურ აღმშენებლობას კეთილ სამსახურს ვერ გაუწევდა. სამაგიეროდ, განსაკუთრებით გაიზრდებოდა დამანგრეველ ძალთა პოზიტიური და ნეგატიური მოღვაწეობის როლი.

სანამ უშუალოდ შევეხებით ამ უკანასკნელთა საქმიანობის არსის დადგენას, მანამდე გავარკვიოთ პოზიტიური და ნეგატიური დამანგრევლების კატეგორია. პირველიმათგანი მიმართულია დრომოჭმული, ჩამორჩენილი წეს-წყობის, შეხედულებების, ცრურწმენების,წარმოების,განათლების დახავსებული ფორმებისა და გადამეტებული კონსერვატული მიდგომების წინააღმდეგ. პოზიტიურ მნგრეველთა შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნის კუთხით, საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ პეტრე I და ქემალ ათათურქი, რომელთა მოღვაწეობა

კონსერვატიზმის მიმართ სრულიშეუწყნარებლობისა და უკომპრომისობის მიუხედავად, უდავოდ პროგრესული და წარმატებული იყო.გარდაქმნისა და რეფორმიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი პოლიტიკური ლიდერები და მეცნიერების ავტორიტეტული მოღვაწეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თამაშობენ დადებით, პროგრესულ ისტორიულ როლს, როდესაც ხელაღებით, ბრმად და უკრიტიკოდ არ ეტანებიან თავიანთი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის უცხო, ეროვნული იდენტობისა და ცნობიერებისთვის შეუსაბამო ფასეულობებს. რა თქმა უნდა, მოწინავე საწარმოო ინფრასტრუქტურისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსთვის უპირველესი საზრუნავია, თუმცა ამას ყველაფერს აზრი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მაღალი დონის საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვალიფიცირებული კერებისა და იქ სტაბილურად დასაქმებული, პროფესიული ცოდნით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო პედაგოგიური კადრების ეფექტური და ნაყოფიერი ფუნქციონირება. განვითარებული მრეწველობა, მოწინავე ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, იურისპრუდენცია და სხვა, შესაბამისი სამეცნიერო,დარგობრივი კომპეტენციების გარეშე, აბსოლუტურად მოკლებულია მართვის ბერკეტებსა და კონტროლის სადავეებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მხრიდან და ექვემდებარება უცხო ექსპანსიურ პოლიტიკურ-სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

ნეგატიური მნგრეველები მოუსვენარი, დაუდგრომელი ხალხია, ისინი ვერ იტანენ ვერაფერს, რასაც მათი ხელწერა და საავტორო დამღა არ აზის, ამიტომაც მუდმივად იმის ცდაში არიან, რომ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალონ და გადააკეთონ. ისინი უკან არაფრის წინაშე იხევენ, მზად არიან აღგაონ და გააცამტვერონ ყოველივე, რაც ხელში მოხვდებათ. ჩვეულებრივი გამფუჭებლებისა და დამზიანებლებისაგან განსხვავებით,მათი ნამოქმედარი აუნაზღაურებელი ზარალისა და გამოუსწორებელი დანაშაულის ამაზრზენი ილუსტრაციაა. თვითონ საკუთარი თავი აღმშენებლებად მოაქვთ; ცოტას თუ სჯერა იმ ნაუცბათევად, სოკოებივით ამოწვერილი, უგემოვნოდ და უადგილოდ კოპირებულიბუტაფორიებისა და ხუხულებისა, რითაც ისინი ანაცვლებენ კულტურულ ქმნილებებსა და ღირშესანიშნავ ძეგლებს, მიზანდასახულად შლიან ისტორიულ იერსახეს, მაგრამ როგორც ადგილობრივი, ისე გარეშე მტრულად მომართული ძალების შენიღბული ჩანაფიქრის პოლიტიკური დაკვეთითა და ფინანსური მხარდაჭერითგათამამებულნი და გალაღებულნი, ანგარიშს არ უწევენ ძველი და ახალითაობების სასიცოცხლო მისწრაფებებსა და კანონიერ მოთხოვნებს. ნეგატიურ მნგრეველთა კლასიკური განსახიერებანი გახლავთ: რომის იმპერატორი ნერონი და საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელთა აგრესიას, ცინიზმსა და ავადმყოფურ ფანტაზიას საზღვარი არ გააჩნია.

ძირითადად ეს სამი დასახელებული მიზეზი უშლის ხელს, როგორც ღირსეულ პიროვნებას, ისე მათ ხელქმნილ საუნჯეთა მემკვიდრეობას, რათა წარსული ღვაწლის უხილავი აჩრდილი და უხმო გამოძახილი იქცეს ისტორიულ სინამდვილედ; ბევრი

რამის დასახელება შეგვიძლია დამატებით ამის გარდა, მაგალითად: შური, უმადურობა, გაუტანლობა, სიზარმაცე, დაუდევრობა და სხვა, მაგრამ მთავარი მაინც დასახელებული მიზეზებია, რომელიც ყველა ამ ჩამონათვალს რაღაცნაირად მაინც გულისხმობს.რაც შეეხება აღმშენებელთა და მნგრეველთა კატეგორიების მოყვანილ ნიმუშებს, საკითხის რელიეფურად წარმოჩენის მიზნით, შედარებით მაღალი რანგის პერსონაჟები წარმოვადგინეთ; არ გაგვიჭირდებოდა აგრეთვე ბევრად უფრო მცირე მასშტაბის პერსონაჟთა მაგალითების განზოგადებაც, თუმცა ეს აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, მას მერე, რაც წინასწარჩავთვალეთ, რომ შემცირებული განზომილებების სიბრტყეში, მცირეკალიბრიანი ფაქტებისა და მოვლენების ანალოგიურ მაჩვენებლებს წავაწყდებოდით. ნაჩქარევი დასკვნის მოყვარულები აქ აუცილებლად გააპროტესტებენ ამგვარ შედარებასა და არჩევანს, იმ მოტივით, რომ ეს სწორედ ის უდიერი მიდგომაა, როგორც წარსულისადმი, ისე ისტორიისადმი, რასაც ვაკრიტიკებთ და რისი ალტერნატივის შესაქმნელადაც იწერება ეს წიგნი. ალბათ საოცარი გულუბრყვილობა იქნებოდა ჩვენიმხრიდან, იმისგაფიქრებაც, რომდღესდღეობით არსებული თუნდაც ყველაზე პატარა ქვეყნის მოსახლეობის ყველა დროისა და ყველა გვარის წინაპართა შესახებ გვქონოდა თუნდაც ერთადერთი მოკლე ინფორმაცია, რაც აბსოლუტურად შეუძლებელია. აქ საკითხი დგას არა ერათადერთი და საყოველთაო ისტორიის, არამედ იმდენი ისტორიის არსებობის პერსპექტივაზე, რამდენი გვარიცაა ამჟამად დაფიქსირებული ოფიციალურად აღწერილი მოსახლეობის ნუსხაში. რომ არაფერი ვთქვათ, უარეს რაიმეზე, რაოდენ საოცარი დაუდევრობაა ამა თუ იმ გვარის შესახებ არაფრისმთქმელი, უკეთეს შემთხვევაში,საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის მწირი მასალის არსებობა?არც თუ ისე ცოტანი არიან ისეთი ენთუზიაზისტები, რომლებიც თავდაჯერებულად აცხადებენ თავიანთი გვარის წარმომავლობისა და დაფუძნების ისტორიის ცოდნის თაობაზე, თუმცა მათი არგუმენტები უმრავლეს შემთხვევაში, მოკლებულია ყოველგვარ სიცხადესა და დამაჯერებლობას.

გავრცელებული ვერსიები და ჰიპოთეზები, გვარების შესახებ, არც თუ დიდი ხნის შექმნილია, მაგრამ მიუხედავად მათი ფალსიფიკაციისა და გამოგონილი თქმულებებისა, უთუოდ მისასალმებელია გვარის ღირსეულ მოამაგეთა ვინაობის შეცნობა-გაგების სურვილი. ისე, ვინ იცის, რაოდენი საქებარი და ჟრუანტელისმომგვრელი სიტყვაა გამოთქმული შორეულ-მახლობელი წინაპრების შესახებ, და მაინც, ყველაფერ ამის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, ოთხი-ხუთი თაობის იქით, ისტორიული მეხსიერების სრული წყვდიადია. აღნიშნული მოვლენა იმდენად სიმპტომატურია, რომ თავისებური ბრძენმეტყველური ხალხური ფილოსოფიაც გამოითქვა ამის შესახებ,შვილიშვილის მიმართნათქვამ ბაბუის სადღეგრძელოში: „სანამ იქნები, მეც შენთან ვიქნები, მერე კი, მეც მაშინ მოვკვდები, როცა შენ მოკვდები... იყავ დღეგრძელი და გახსოვდეს წინაპარი შენი!“მართლაცდა, ბებია-ბაბუის, ანუ ნაცნობი წინაპრის ხსოვნის საწყაული შვილიშვილის მეხსიერების კალაპოტით იზომება.

თვით „წინაპრის“ ეტიმოლოგიურ განსაზღვრულობაშიჩადებულია თვალსა და ხელს შუა გაპარვის ქვეშეცნეული ინტონაცია__„წინნაპარი,“რაც პირდაპირ მიგვანიშნებს ამწუთისოფლიურ მუხთლობასა და ამაოებაზე. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამის გამოა, რომ უკანასკნელი, სულ მცირე, ორი ათასწლეულის განმავლობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერები ფასდებიან არა იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობები შექმნეს და დაამკვიდრეს მომავალი თაობების სულიერ საზრდოდ, არამედ იმით, თუ რა ღირებულებები ხელყვეს და გააცამტვერეს; რა „ზედმეტი პასუხისმგებლობისაგან“გაათავისუფლეს მათ საზოგადოება, ანუ სამართლიანობისა და სიკეთის რამდენი ნერვი გაუწყვიტეს და დაუზიანეს მათ ტრადიციულ თვითშეგნებას.საზოგადოების ტრადიციული თვითშეგნება კი ყოველთვის იყო და კვლავ დიდხანს იქნება ისტორიული ყოფიერების მთავარი მოქმედი პირებისთვის ძირითადი შეტევის ობიექტი, რომლის დასალაშქრავად ისინი წარმატებით იყენებდნენ და მომვალშიც დიდხანს გამოიყენებენ საზოგადოების ყველაზე მოწინავე აქტიურ ძალებს. კვლავაც ინტენსიურად მიმდინარეობს საზოგადოებისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ავანტიურისტების დესტრუქციული კამპანია საკუთარი ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი გემოვნებისამებრ თხზავენ პირადი მოღვაწეობის ფალსიფიცირებულ ისტორიებს, თუმცა ადრე თუ გვიან, ტრადიციულ ღირებულებათა სრული გაქარწყლების შედეგად, მთელი საზოგადოება აღმოჩნდება ამ ანტისოციალური ძალების ბნელი ზრახვების პირისპირ, რომლის უკანაც კონსტრუქციული ურთიერთთანაცხოვრების რეალური მეხსიერება წაშლილი აღმოჩნდება. ეს ის კულმინაციური კვანძია, რომელიც გადაიქცევა ძირითად ბერკეტად და ინსტრუმენტად სიცრუის მონოლითურად შეკრული მანქანის შინაგანი თვითლიკვიდაციის მისიის აღსრულებაში, ამიტომაც დესტრუქციული ძალაუფლების პათოლოგიური ლტოლვებით განმსჭვალული სუბიექტების თავხედურ პარპაშს რამდენადაც აქვს ისტორიული დასაწყისი, იმდენად აუცილებლად ექნება დასასრულიც, რომლის მერეც და მანამდეც, ისტორიული წესით, ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, უბრალოდ წარმოუდგენელია.

პირდაპირ განსაცვიფრებელია, ის, თუ როგორ გაგრძელდა ამდენი ხნით, მუდმივი დაუკმაყოფილებლობისა და კონფლიქტის შინაგანად დაძაბული, სტრესული დამოკიდებულება ადამიანურ ინდივიდსა და სოციალურ გარემოცვას შორის; შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია, თავისი ნამდვილობისა და სიცხადის უპირატესი ხვედრითი წილით, ინახება არა მარტო მიწის ზედაპირზე, არამედ მიწისქვეშეთში, რამეთუ ყოველი ეპოქის თანამედროვე სულისკვეთება და გაგება იმდენად შეუწყნარებელი და აგრესიულია წინამორბედთან, რომ უმეტეს შემთხვევაში, აცამტვერებს და ანიორწყლებს მას ისე, რომ საძირკველს საკუთარი ზედნაშენისათვის ხელუხლებლად ტოვებს. ამგვარი ხელწერით გრძელდება სულსწრაფი და უდიერი ხელყოფის უნუგეშო მემკვიდრეობა. ჩვენდა საუბედუროდ, დამანგრევლები და წამხდენ-გამფუჭებლები ბარე ათიათასგზის ჭარბობენ აღმშენებელ-შემოქმედთ. ისინი მუდამ სიძულვილითა და

მტრობით იმსჭვალებოდნენ იმ უმცირესობის მიმართ, რომელთა კისერზეც იდო უზარმაზარი გონითი პასუხისმგებლობის ტვირთი მთელი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა მარტო გარეშე მტერთა კირთების ამარა რომ დარჩენილიყო, მისი მრავალსაუკუნოვანი განძი და მემკვიდრეობა იმდენად არ განიავდებოდა და გაქარწყლდებოდა, რამდენადაც შინაური მტარვალების ძალისხმევით. მათ ყველაზე უფრო უკეთ, გულმოდგინედ და თანმიმდევრულად აღასრულეს უნიკალური მემკვიდრული სახიერების მოშლისა და დავიწყების შავბნელი მისია. სრულიად მართებულად და გადაუჭარბებლად აფასებს კ. პოპერი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ისტორიას, რომელიც „...სხვა არაფერია, თუ არა მასობრივი დანაშაულის,ხოცვა-ჟლეტის, უსამართლობის, განუკითხაობისა და კულტურულ ღირებულებათა განადგურების ისტორია“(133_გვ.185).

ისტორიული პროგრესი მტკნარი სიცრუე, ფიქციაა, ვინაიდან არ არსებობს თვისობრივად ახალი რაიმე იმგვარი, რაც უნაშთოდ არ დაიყვანება ძველზე, ამიტომაც თუ რაიმეს გაგებას მოვინდომებთ, უნდა ჩავუღრმავდეთ საწყისებს, ძირებს, რომელსაც ფესვები სიძველეში აქვს გადგმული, საამისოდ აუცილებელია, ნიადაგის სიღრმეში ჩასვლა, არა მარტო მიწის, არამედ გონის, ფიქრის, რეალობისა და მითის სახით. თუ ძიება არის სიცხადისკენ მიზანმიმართული, თავისუფალი თვითშემოქმედების აქტი, აუცილებლად გამოჩნდება ყველა ეპოქისთვის ერთი საერთო საძირკველი, რომლის იქითაც, არც წინ და არც უკან, არაფერი არ ჩანს. ის, რასაც ჩვენს ისტორიას ვუწოდებთ, სინამდვილეში ეს არის ბურუსით მოცული, მოჩვენებითი, წარმავალი, დაკნინებულ-დაჩლუნგებული ღირებულებების უბადრუკი ლანდები და კონტურები, რომლის გაგება-ამოცნობაში ვათენ-ვაღამებთ, რითაც კიდევ უფრო ვაუფერულებთ ჩვენი ცხოვრებისეული ღირსებისა და საზრისის ისედაც ჩამკრთალებულ კვალს. გონიერ კაცთაგანძალიან ცოტას სჯეროდა ისტორიული სამართლიანობისა და კეთილდღეობის მიზანსწრაფული მომავლისა. ნ. მაკიაველის თანამედროვე პოლიტიკური თეორეტიკოსის, ფრანჩესკო გვიჩარდინის სიტყვები ჯიუტ პარადიგმად ჟღერს თითქმის ყველა ეპოქის მისამართით: „ამაოდ სჯერათ ისტორიული სამართლიანობისა და კაცობრიობის მომავალი ბედნიერების ტრიუმფის, რამეთუ ისტორიაში ბატონობს უხეში ძალმომრეობა და ბრმა ბედისწერა“(20_გვ.184). საერთოდ, კონფლიქტის, აგრესიისა და ყოველგვარი დესტრუქციის თემას გვერდს არ უვლიდა არა მარტო ფილოსოფია და მეცნიერება, არამედ კლასიკური კულტურის მატარებელი რელიგიური კერებიც. ეს აპოკალიფსის სულის შემცველი კანონზომიერებაა, რაც მუდმივი ფიქრის, განსჯის, საქმიანობისა და უზენაესი ძალებისადმი დამოკიდებულების ქვაკუთხედადაც გვევლინებოდა. ასე

შეიქმნა უძველესი ბიბლიური მოძღვრება__ესქატოლოგია, რომელიც დედამიწაზე აყვავებულ-გაფურჩქნული სიცოცხლის იავარყოფას, გადაბუგვასა და გატიალებას გვპირდება. ვინ იცის მერამდენედ და რისთვის? იქნებ იმისთვის, რომ დამღუპველი, ავბედითი განაჩენის წრებრუნვის ისტორიას განუმეორებელი ხიბლი არ მოეშალოს, რათა მას ჰქონდეს დასაწყისიც და დასასრულიც, რათა უსასრულო განმეორების ერთფეროვნებამ სიკვდილსა და გადაშენებას აზრი არ დაუკარგოს, რათა, ასევე რაც ყველაზე მთავარია, პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია ერთხელ და სამუდამოდ გაქრეს თავის დამანგრეველ ხიბლთან ერთად.

ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება, აზრს იძენს მხოლოდ გარკვეულ ღირებულებათა კონტექსტში, რასაც სოციალური ურთიერთობების შესატყვისი ტრადიციის ფორმები წარმოქმნიან. ტრადიცია კი ყოველთვის ასოცირდება წარსულთან, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში_ისტორიულ წარსულთან. რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგვეჩვენოს, ქართული ტრადიციების აბსოლუტურ უმეტესობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისტორია არ გააჩნია; თანაც ეს იშვიათი გამონაკლისები თითქმის დამაჯერებლობის იგივე დოზითაა არგუმენტირებული, როგორც მამაპაპური გვარების შესახებ შეთხზული ეგზოტიკური ლეგენდები. მართალია, არც შემთხვევით და არც უმიზეზოდ არაფერი არც ხდება და არც წარმოიშობა, თუმცა აქ უკვე არა ცალკეულ მუცლითმეზღაპრე, მეოცნებე პიროვნებას, რომელიც მეტად სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა, როდესაც ცდილობდა წარმოსახვით ილუზიებში ნეტარებით შესვლას და სხვათა აყოლიებას, არამედ მთელ საზოგადოებას ახასიათებს მისტიკის უმდაბლესი ხარისხის საბურველში გათანგვა, რისი წყალობითაც ცხადსა და ნამდვილს მუდამ ურჩევნია გამოგონილი ტყუილი, საკუთარი გაუთვითცნობიერებლობის გამო. მაგალითად, გაყიდულ მსხვილფეხა პირუტყვს, გლეხები, როგორც წესი, თოკს არ ატანენ, (მაშინაც, როცა თავიანთთვის აღარ იტოვებენ) აქაოდა, საქონელი საბმულში გაგვირწყვებაო. არანაკლები ბრიყვული ჩვეულების თანახმად, ორშაბათობით სახლიდან რაიმეს გატანა და ვინმეზე მიცემა თურმე მთელი კვირის განმავლობაში დანაკარგისა და ხელმოცარულობის დამკვიდრებას მოასწავებს; არც თუ ცოტაა აგრეთვე სულელურ ფეხის ხმას აყოლილნი, უსაგნო შიშით მონუსხულნი, ვისაც ორშაბათობით დაბანა, თმისა და ფრჩხილის შეკვეცა, თუნდაც წვერის გაპარსვა, საშინელი განსაცდელის უეჭველ მიზეზად და ავისმომასწავებელი ცოდვის ჩადენად მიაჩნიათ. არავის ეგონოს, რომ თავიდანვე ასეთი უსუსური, ახირებული მოსაზრებები ედო საფუძვლად ათასწლეულების მანძილზე გადაკეთებულ-გადასხვაფერებულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც ისევე ასოცირდებოდნენ უძველესი კოსმოგონიური ხანის მითოსთან და პრეისტორიული ეპოქის რელიგიურ მისტიკურ სიბრძნისმეტყველებასთან, როგორც ღორღი და ქვიშა ზღვის სანაპირო ზოლთან. ტრადიციასთანაც, ისევე, როგორც გვართან მიმართებაში, რეალობის არაადექვატური აღქმა და გამოგონილ-შეთხზულ თავგადასავალთა, ავან-ჩავანთა, ჭრელა-ჭრულად მიკიბულ-მოკიბულობა ემსახურება წარსული ცხოვრების ისტორიული

მეხსიერებიდან ამოშლის უმიზნო, გაუაზრებელ, უნებისყოფო ლტოლვასა და მისწრაფებას.
რეალურ გარემოებათა მიჩქმალვის, შეკაზმვა-შელამაზებისა და ფაქტობრივი გაყალბების ძვალ-რბილში გამჯდარი სოციალურ-ანთროპოლოგიური ინსტინქტი იმდენად მყარი და მოუხელთებელია,რომ სავსებით შესაძლებელია ვიდაოთ მის თანდაყოლილ თუ შეძენილ ბუნებაზე. არადა ეს ადამიანური ყოფიერების განუყოფელი ატრიბუტია, რომელიც საფუძვლიანად გვაფიქრებინებს, რომ მისი ზოგადი ცნების განსაზღვრებისთვისაც კი აუცილებელი და საკმარისი პირობის მომცველია. ლოგიკური ცნების განსაზღვრებებიდან, საერთაშორისო მეცნიერებაში პოპულარულ ისეთ ფორმულირებებს, რომლის მიხედვითაც არისტოტელე ადამიანს განმარტავდა, იარაღის მკეთებელ ცხოველად, პლატონი_უბუმბულო ორფეხა არსებად, თომა აქვინელი__საზოგადოებრივ ცხოველად აღიქვამდა, კასირერი__ სიმბოლოების მკეთებლად, ხოლო ფრანკლინი კი, იარაღის მკეთებელ ცხოველად. ჩვენის მხრივ ამას დავუმატებდით შემდეგ განსაზღვრებას: „ადამიანი არის სიცრუის მეშვეობით საზოგადოებაში ადაპტირებული ცხოველი, ანუ მატყუარა ცხოველი.“გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ჩამოთვლილი განმარტებებიდან ყველა მათგანი მიუთითებს არსებით და მნიშვნელოვან თავისებურებაზე, თუმცა ისე ნათლად და ერთმნიშვნელოვნად არაფერი არ ახასიათებს ადამიანურ სოციალურ არსებას, როგორც უკანასკნელი. მიუხედავად ასეთი ფუნდამენტური სახის დამოკიდებულებისა სოციალურ-ანთროპოლოგიური არსების მიმართ, მაინც მიგვაჩნია, რომ ეს ნიშანი არ არის ბუნებრივად თანდაყოლილი, იგი გახლავთ ისტორიული დროის ყოფიერებაში გამომუშავებული, შეძენილი პირობითი რეფლექსის კატეგორია, რომელიც გაქრება ისტორიული დროის უკანასკნელი საათის ამოწურვასთან ერთად. სიცრუის სოციალურ-ანთროპოლოგიური ფენომენის შესახებ მომდევნო თავში სპეციალურად შევჩერდებით, მანამდე კი მიზანშეწონილია მისი ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ანალიზი, რათა დადგინდეს მისი წარმომავლობის ბიო-გენეტიკური და სოციო-ფსიქოლოგიური წანამძღვრები.
სიცრუის ბიოგენეტიკური წვდომის მიზნით, შეიძლება ანალოგიების ძებნა ცხოველთა სამყაროში, სადაც მტაცებელთა და მათ პოტენციურ მსხვერპლთა შორის დამოკიდებულებაში შეიმჩნევა სიფრთხილის ბუნებრივი, თანდაყოლილი ალღო, რომელიც პირდაპირ კავშირშია საფრთხის მოახლოების შეგრძნებასთან. ორივე შემთხვევაში საფრთხე შიშის ძირითადი გამოხატულებაა. უმეტეს წილად, საფრთხეს, ანუ საშიშროებას აიგივებენ შიშთან, რაც პრაქტიკული ურთიერთდამთხვევის მიუხედავად, თეორიულად გაუმართლებელია, რადგანაც არსებობს ექსისტენციალური შიშის განცდაც, მაგალითად: ულმობელი ბედისწერის

მოსალოდნელი ხვედრის, წუთისოფლის ამაოების, სიბერის, უკურნებელი სენის, სულის მოკვდაობის, სულიერი კრიზისის, ღმერთის არარსებობის, შთამომავალთა მხრიდან გამოხატული უმადურობის, საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმის, რელიგიური, სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალური ნიჰილიზმისა და სხვა. აქვე შეგვიძლია ადამიანური არსების მქონე ადამიანთა კიდევ ერთი არსებითი ნიშნის განსაზღვრაც, რასაც ეწოდება ექსისტენციური შიშის განცდის უნარი, რაც ადამიანთა დიდ უმრავლესობას, ჩვენი შეხედულებით, ან საერთოდ არ გააჩნია, ან ძალიან სუსტად აქვთ განვითარებული; აქ ისიც საყურადღებოა, რომ თუ ამ განცდის აბსოლუტური უქონლობა ცხოველებში უკუჩვენებას არ იძლევა სხვადასხვა რეალური საფრთხის შეგრძნებასთან დაკავშირებით, სამაგიეროდ, ადამიანთა დიდ ნაწილში ეს იწვევს ერთგვარ გრძნობად დალტონიზმს, ანუ გარკვეული სახის საშიშროების წინაშე მგრძნობელობის ამაღლებას, ხოლო სხვა დანარჩენის მიმართ, მკვეთრ დაქვეითებას, ან სულაც გაქრობას. მაგალითად, სიხარბის, შურის, ანგარიშსწორების, სქესობრივი აღვირახსნილობის ჟინით აღვსებულნი, იმდენად კარგავენ სიფრთხილის ბუნებრივ გრძნობას, რომ არავის და არაფერს არ ერიდებიან, რის გამოც ბევრს ეს დიდი სიმამაცე ჰგონია, სინამდვილეში კი, ასეთი უტიფარი, თავზეხელაღებული საქციელი უგუნური, ავი ზნეა და მეტი არაფერი.

დავუბრუნდეთ ისევ სიფრთხილის ბუნებრივი გრძნობის გამოხატულებას ცხოველებში. როგორც ითქვა, მტაცებლები და მათი პოტენციური მსხვერპლი საფრთხეს აღიქვამენ სხვადასხვა ფორმით: მტაცებელი უფრთხის მსხვერპლის ფხიზელ თვალყურს, რათა შეუმჩნევლად მიეპაროს და მოხერხებულად დაეუფლოს ნადავლს, მსხვერპლი კი ცდილობს დაიმალოს, რათა ნადირისთვის შეუმჩნეველი დარჩეს; ორივე შემთხვევაში, მიპარვაც და დასხლტომაც დამალვის, ანუ ერთგვარი მოტყუებისა და ცრუ მანევრის ხარჯზე ხდება. ორივე შემთხვევაში, ბუნებრივი ინსტინქტით გამოხატულ სიცრუეს გააჩნია თავდაცვის ფუნქცია, ვინაიდან ნადირის მხრიდან გამოხატული თავდასხმის სურვილიც განიხილება, როგორც საუკეთესო თავდაცვისკენ მისწრაფება. დამალვის სატყუარას შექმნის შესაძლებლობის გაზრდას ხელს უწყობს აგრეთვე ბუნებრივი ადაპტაციის პირობებიც, მიმიკრიის საშუალებით, რითაც ამა თუ იმ სახეობას არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენის მეტი შანსი ეძლევა.

თუ თანმიმდევრული ვიქნებით, მეტად საკვირველ დასკვნამდე მივალთ ჩვენი გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დახასიათებაში: ჩვენი მაცოცხლებელი ბუნება იმდენად წარმტაცი, მრავალფეროვანი და ხილული მშვენიერებით აღსავსეა, რამდენადაც მასში ყოველი სულდგმული, თავისი გენეტიკური მოწინააღმდეგისაგან, იგივე მტრისგან გამოცალკევებული, დამალული, გაუჩინარებულია და ეს ყოველივე სასიკვდილო საფრთხის მოლოდინის გრანდიოზული ტრიუმფია. ალბათ, ლაღი, დაუდგრომელი, დასაღუპად განწირული სიცოცხლის აზრიც ესაა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიშველიოთ დარვინის ევოლუციური

თეორია, რომლის თანახმადაც ცოცხალი ორგანიზმების შობადობის სიჭარბე შეუთავსებელია ბუნების მიერ მათი გამოკვების რესურსის განაწილებასთან. სხვათა შორის, მალთუსის ჭარბმოსახლეობის დოქტრინაც, რითაც ცდილობენ დაპყრობითი ომების გამართლებას, ანალოგიურია. ვფიქრობთ, სავსებით მართებულია რ. დარენდორფის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დარვინმა არსებობისათვის ბრძოლის პრინციპი სოციალური კონფლიქტების ანალოგიით, აიღო მალთუსიდან და გაავრცელა დანარჩენ ცოცხალ სახეობებზეც(112_142-147).არსებობისათვის ბრძოლა მიმდინარეობს საკვებისა და ადგილსამყოფელის მოსაპოვებლად, რაშიც იმარჯვებს უფრო ძლიერი, რომელიც წარმოშობს ძლიერ შთამომავლობას და ამ გზით ხდება ბუნებრივი გადარჩევა. აღნიშნულ მოსაზრებას სერიოზული კრიტიკოსები გამოუჩნდნენ, ვინაიდან აქ იგნორირებულია თანაარსებობისთვის ნიშანდობლივი ურთიერთდახმარებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენების ფორმები, რისი წყალობითაც სადაო ხდება სახეობათა ევოლუციური განვითარების შეუქცევადი, სწორხაზობრივი პროცესის დასაბუთება. ამ კრიტიკას უერთდებიან არა მარტო ევოლუციის თეორიის მოწინააღმდეგენი, რომლებიც პრინციპულად უარყოფენ განვითარების იდეას, არამედ მომხრეებიც, ვინც ეჭვქვეშ აყენებს არა ევოლუციის თეორიას საერთოდ, არამედ მხოლოდ ევოლუციის შეუქცევადი, განუწყვეტელი მიმდინარეობის დეკლარირებას. სწორედ ასეთნაირადაა მოტივირებული ფრ. ენგელსის კრიტიკული არგუმენტები დარვინის მიმართ ბუნების დიალექტიკაში(12_327).

ჩვენც, როგორც ევოლუციის თეორიის მხარდამჭერნი, ვიზიარებთ აღნიშნულ კრიტიკას, რის თანახმადაც არ ვიზიარებთ განვითარების სწორხაზობრივ თეორიას, თუმცა ცალმხრივად აღვიქვამთ როგორც განვითარების წრებრუნვის, ისე სპირალურ თეორიებსაც. ვინაიდან ჯერჯერობით სხვა თეორია ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში, პოპულარული არ გახლავთ. შეიძლება მკითხველმა ამის გამო იფიქროს, რომ საერთოდ ვუარყოფთ განვითარების შესაძლებლობას, რაც არასწორია. ჩვენთვის მიუღებელია მხოლოდ განვითარების ის ცნება და თეორია, რომელიც უშვებს თვისობრივად ახლის წარმოშობის შესაძლებლობას, ასევე როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატეგორიულად მიუღებელია განვითარების სწორხაზობრივი თეორიაც, ხოლო წრებრუნვისა და სპირალური მოდელები მიგვაჩნია ცალმხრივად, რადგანაც მათში დევს რაციონალურიც და ურთიერთგამომრიცხავი ელემენტებიც. წრებრუნვის იდეაში რაციონალურია განმეორებადობის, მიზეზობრივი დეტერმინიზმისა და მარადიული კვლავწარმოების კანონზომიერება, სპირალურ მოდელს ვერავინ დაუკარგავს დიალექტიკური სინთეზის, მიზეზობრივი და დეტერმინიზმისა და ერთი შეხედვით, ტელეოლოგიზმის კანონზომიერებას (მხოლოდ ერთი შეხედვით). სამაგიეროდ, წრებრუნვის იდეაში მიუღებელი და გაუმართლებელია ქცევადობა-კვლავწარმოქმნის ერთგვაროვნება. თუ ამ პოზიციაზე დავდგებით, უნდა ვაღიაროთ მუდმივად ერთი და იმავე არსებულის ერთი და იგივენაირი განმეორებადობა და ქცევადობა, რაც არსებობას ყოველგვარ აზრს უკარგავს და რაც სამყაროს ღვთაებრივი გონივრული წესრიგის ყველა კანონს ეწინააღმდეგება.

აი, ვთქვათ, რომელიმე ადამიანი, თავისი ღირსება-ნაკლოვანებით, გარდაცვალების მერეც ისეთივე თვისებებით უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას და ცხოვრების ისეთივე გზა უნდა განვლოს, რაც მანამდე გაიარა, რაც სრული უაზრობა და სისულელეა. შესაძლოა, ვინმემ გვისაყვედუროს, რომ წრებრუნვა ეხება მთელ სამყაროს, როგორც აბსოლუტურ არსს და არა მის რომელიღაც მცირე წარმონაქმნს, რომ ეს ყოველივე ლოკალურ კი არა, გლობალურ მასშტაბებში განიხილება და სხვა, რაც ასევე მიუღებელია,რადგან მაშინჯერ ერთი, უნდა დავუშვათ სამყაროს სასრულობა, რაც მექანიკურად ნიშნავს არარსის ონტოლოგიური არსებობის აღიარებას, რასაც ძველი ბერძნები, რომელთაც ეკუთვნით ამ იდეის ავტორობა, ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ; როგორც პარმენიდე იტყოდა, ვინც არარსის არსებობას აღიარებს, მას ორი თავი უნდა ჰქონდესო. სამყაროს უსასრულობის პირობებში კი, ერთი დაიმავეს იგივენაირი განმეორებადობა აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგანაც უსასრულობაში პირობითად სასრულიპროცესების ერთიანი და განუყოფელი პროცესუალობაცდაუსრულებელია,რისგამოც, ეს ყოველივე ლოგიკური უძრაობის ტოლფასია; ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბსოლუტური არსი შინაარსით დიალექტიკურია, ხოლო ფორმით მეტაფიზიკური, რადგანაც აბსოლუტურ არსს შინაარსობრივი სისავსისა და ღვთაებრივი სრულყოფილების გამო, არავითარი ფორმა არ გააჩნია, იგი ფორმალური თვალსაზრისით, რამდენადაც უძრავია, კონკრეტულ გრძნობად-აღქმად ნიშან-თვისებებს მოკლებულია, ამდენად რეალურად არარსებული და მეტაფიზიკურია, რომელიც განვითარების კანონზომიერებას საერთოდ არ ექვემდებარება. სპირალური მოდელის შემთხვევაში, აბსოლუტური ერთგვაროვნებისა და უაზრო განმეორებადობის საფრთხე მოხსნილია, თუმცა დაუსრულებელი აღმავლობის ხაზი, მართალია, ზიგზაგობრივი, მართალია, დახრილი, რაც მიუთითებს არაერთმნიშვნელოვანი პროცესების მრავალფეროვნებაზე, მაინც აღმავლობის დაუსრულებელი ხაზია, რომელიც სინამდვილეში სულაც არაა აღმავალი, ვინაიდან იგი, თუ მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, რაც მართლაც ასეა, მიისწრაფვის სადღაც, კაცმა არ იცის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა მაღლა და ზევით, რადგანაც მას არ გააჩნია არავითარი მიზნობრივი ორიენტირი, თუნდაც ღმერთის სახით, რომელიც იერარქიული თვალსაზრისით, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. სპირალური განვითარების კონცეფცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი შეხედვით ტოვებს განვითარების შთაბეჭდილებას, თუმცა საქმის არსიდან გამომდინარე, მიზნობრივი ორიენტირის გარეშე, არც მიმართულება არა აქვს მას და არც მიმდინარეობა და მაშასადამე სვლა, ვინაიდან მიმართულების უქონლობა მოძრაობა-ცვალებადობის კანონებს ყოველმხრივ ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ არგუმენტი, რაც საფუძვლად დაედო აღნიშნულ კონცეფციას, რითაც ცდილობდნენ სწორხაზობრივი და წრებრუნვის თეორიების ნაკლოვანების დაძლევას, უფრო მეტად გაუმართლებელი და აბსურდული აღმოჩნდა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული რადიაციული, ანუგანვითარების ტალღური კონცეფცია კი, სავსებით შეესაბამება ღვთაებრივი თვითმოქმედების წმინდა

ეზოთერულ-თეოლოგიურ კონცეფციას. ეს არის სინათლის ენერგეტიკული გავრცელების ბუნებრივი მოდელი, რომლის თანახმადაც არსებობს ერთი უნივერსალური სუბსტანციის უსასრულო სიმრავლეში გარდასახულ-გამოვლენილი ინდივიდუალური საწყისები, რომლებიც ცხოველმყოფელი „მე“-ს თვითგანცდების სახითაა წარმოდგენილი, ისინი ერთმანეთისადმი იგივეობრივნი არიან, როგორც შინაარსობრივად, ისე განცდადობის ფორმით, თუმცა მათში არსებობს განსხვავების, ანუ განივთება-გასაგნების ინტენსიური ტოტალობის შემოქმედებითი უნარი, რომლის მეშვეობით ცხოველმყოფელ „მე-“ს შეუძლია შექმნას, ააგოს და აღიქვას საკუთარი გარემო, როგორც სხვა, როგორც არა „მე“. განვითარების არსი აქ ემყარება არა თვისობრივად ახლის შექმნას, არამედ თანაარსებობის მოვლენათა რაოდენობრივი ცვლილებების განცდას, რისი დაუზუსტებელი მაჩვენებლის აქტიური ზემოქმედების შთამბეჭდავი ცოცხალი კვალი აღიქმება, როგორც თვისობრიობა.

მართლაც, როცა ვერ განვსაზღვრავთ, ამა თუ იმ საგნისა, თუ ნივთიერების ფიზიკურ და ქიმიურ კომპონენტთა შემცველობას, საგანს პირდაპირ ვარქმევთ რაღაც ზოგად სახელწოდებას და ვაერთიანებთ მისნაირთა, ანუ მსგავსთა გვარეობის საგანთა კლასში. მეორე მხრივ, განვითარებაში გვესმის ცხოველმყოფელ ინდივიდთა შესაძლებლობების, ასევე რაოდენობრივი მასშტაბების ზრდა და გაფართოება წმინდა ნებელობითი აქტების წარმატებულ მიღწევამდე. ჩვენი დაჟინებული წარმოდგენით, განვითარების შესაძლებლობა გააჩნიათ მხოლოდ ცოცხალ არსებებსა და სახეობებს. რაც არ უნდა ბევრი ისაუბრონ ტექნიკისა და პროგრამული განვითარების სხვადასხვა ნოვაციებზე, სულერთია, მისი წყარო მაინც სასიცოცხლო უნარების დასაბამიდან მოედინება. რადიაციულ მოდელში იკვეთება არა მარტო ცოცხალი ინდივიდის მიზანშეწონილი სწრაფვა ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ, არამედ თვით უფლის ცოცხალი მისწრაფებაც, რათა იგი ცხოველმყოფელი „მე“-ს მგრძნობელობის მარადიული შენარჩუნების მიზნით, მუდმივად გარდასახულ იქნეს ყოველ ცოცხალ, მის მიერვე ხელთქმნილ სულდგმულში, რამეთუ სრულყოფილების ერთგვაროვანი მარადიულობის განუწყვეტელ-განუახლებელი განცდა თვით უფლისთვისაც მოსაწყენი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, სრულიად ნორმალურად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფრ. ნიცშეს მიერ დეკლარირებული დებულება ღმერთის სიკვდილის შესახებ, რადგანაც სწორედ ამაში მდგომარეობს სიკვდილის სიკვდილითვე დათრგუნვისა და უმაღლესი მიზანდასახულობის მისტიკურ-ღვთაებრივი საიდუმლოების დედაარსი. ყოველ მოკვდავ სულდგმულში მისი გარდასახვა, სრულქმნილობაში დაბრუნების მყარი გარანტიით, როგორცაბსოლუტურ, ისე ინდივიდუალურ, ცხოველმყოფელი არსის არსებობას, თვითგანცდადი მგრძნობელობისა და (ადამიანად ყოფნის ვითარებაში) თვითშემეცნებადი ცნობიერების სახით, ანიჭებს მშვენიერებისა და გონივრული წესრიგის განსაკუთრებულ ნიშანსა და ხასიათს.

ერთი წამით მოვწყდეთ ყველაფერს და გავიაზროთ ჩვენი თვითობა: ნუთუ ეს არაა ღვთის სასწაული? ნუთუ უფლის გარდა, რომელიმე ჩვენთაგანის ყოფნა ვინმეს

ხელეწიფებოდა? გავიხსენოთ ქსენოფონტის გადმოცემის მიხედვით სოკრატეს საუბარი არისტოდემესთან: „როგორ ფიქრობ, არისტოდემე _ ვინც დასაბამიდან ადამიანი შექმნა, განა არ აღჭურვა სხეული გრძნობისათვის საჭირო და სასარგებლო ყველა ნაწილით, რომელთა მეშვეობითაც გარემოს ყველა მოვლენა აღიქმება?“ (34_გვ.5-6).მართებულად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფ: ს. ავალიანის მოსაზრება სუბსტანციურ არსთან, ანუ ღვთაებასთან დაკავშირებით; აბსოლუტური არსი, რომელიც აგრეთვე გამოვლინდება,ამ გამოვლენაზე დაკვირვების გზით შეიმეცნება.

სამყაროში არსებული გასაოცარი კანონზომიერება__ბუნების კანონები, ცოცხალი სამყაროს კანონების ჩათვლით__აბსოლუტური არსების გამოვლენას წარმოადგენს. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალურ არსებათა სამყარო__სპეციალურ მეცნიერებათა კვლევის საგანი__აბსოლუტური არსის, ანუ სუბსტანციური არსების გამოვლენას წარმოადგენს.სპეციალურ არსებათა სამყაროს შემეცნებას სუბსტანციური არსების შემეცნებამდე მივყავართ. სწორედ ამაში გამოიხატება ფილოსოფიისა (პირველი ფილოსოფიის, ანუ ონტოლოგიის) და სპეციალურმეცნიერებათა აუცილებელი კავშირი(1_გვ.22).ჩვენი კვლევა-ძიების უმთავრესი ამოცანის განხორციელებაც მთლიანად დამოკიდებულია იმაზე,თუ როგორი პოზიცია გვექნება ონტოლოგიურ ასპექტში. ამასვე ითვალისწინებს ჰეგელის თვალსაზრისიც: „არ არსებობს არავითარი ფილოსოფია აბსოლუტურზე მოძღვრების გარეშე...ფილოსოფია არის მეცნიერება აბსოლუტურის შესახებ“(108_70).ვინც აღნიშნულ მიდგომას ეწინააღმდეგება, მისთვის დამახასიათებელია ინდეტერმინისტული შეხედულება, რომლის თანახმადაც გამართლებულია შემთხვევითობის აღიარება, ყოველგვარი აუცილებლობისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობით.მართალია, შემთხვევითობა შესაძლებელია დეტერმინიზმის პოზიციიდანაც აღიარონ, როგორც ამას აკეთებდა ჰეგელი, და რასაც ასევე ჩვენც ვეთანხმებით, თუმცა ჰეგელის ანალოგიურად, მიგვაჩნია, რომ ისევე,როგორც რეალური საგნებისა და მოვლენების რელატივიზმი წარმოადგენს აბსოლუტური სუბსტანციური არსის გარეგანი გამოხატულების ნიშანს, ასევე, შემთხვევითობაც გახლავთ აუცილებლობის კანონზომიერი ხასიათის არაპირდაპირი გამოვლინება და დადასტურება. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ისეთი მაგალითების მოყვანაც, რაც აქამდე ნაკლებად იყო გაცნობიერებული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ბუნების სეზონური ცვალებადობის კანონზომიერებისთვის საპირისპირო მოვლენები, რომელთა ახსნაც ემპირიულ მეცნიერებას არ შეუძლია და მიაწერს წმინდა წყლის შემთხვევითობას. ჯერ, სანამ ასეთი ფაქტების გარჩევას შევუდგებით, მანამ მსურს მკითხველს შევახსენო მეცნიერების კონსტიტუციური უფლება-მოვალეობის ძირითადი ნორმები: **ფაქტებისა და მოვლენების რაციონალური ახსნა; მომავალში მოსახდენხდომილებათა პროგნოზირება.**

სინამდვილეში კი ხდება ისე, რომ ამ მოთხოვნას მეცნიერი წარა-მარა უგულებელყოფს და ცდილობს ლოგიკურ-მეთოდოლოგიური არგუმენტებით

დაასაბუთოს ობიექტური კანონზომიერების უარყოფა შემთხვევითი, აუხსნელი ფაქტებისა და მოვლენების დემონსტრირებით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოფისტებიდან მოყოლებული, ყველა სახის სკეპტიკურ-აგნოსტიკური და პოსტ-პოზიტივისტური შეხედულებები უდიდესი სტიმულის მომცემი გახლდათ მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრის განვითარების კუთხით, თუმცა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის შემდგომ გაძლიერდა კლასიკური მეცნიერულ-ფილოსოფიური პრინციპების საწინააღმდეგო ტენდენციები, რამაც გასული საუკუნის ბოლოსათვის, პოსტ-მოდერნისტული იდეების მასშტაბური გავრცელების გზით, პიკს მიაღწია. შექმნილმა სიტუაციამ ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ფსევდოინტელექტუალისტური, დილეტანტური და თაღლითურ-ავანტიურისტული ფენომენის მომძლავრებას მსოფლიო მასშტაბით, რაც არც მეტი და არც ნაკლები, უშუალოდ განაპირობებს ამ ტიპის ხალხის ხელში სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მოქცევას და არატრადიციული, დამღუპველი, ანტიღირებულებების მასობრივ პროპაგანდას, რომელიც მიმართულია კულტურულ-ისტორიული ერების ცნობიერებისა და ფიზიკური არსებობისსაპირისპიროდ.

ყოველივე მოცემულის გათვალისწინებით, თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფილოსოფიისა და მეცნიერების სასიცოცხლო, განუყოფელი ინტერესების დაცვას და ერთიანი ფრონტით გალაშქრებას, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილ,დესტრუქციულ ძალთა მიერ უზურპირებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჰეგემონიის წინააღმდეგ. ახლა დავუბრუნდეთ ისევ ზემოთმოყვანილ მაგალითს: გავიხსენოთ ცალკეული ანომალიური შემთხვევა, როგორიცაა უჩვეულოდ ცხელი იანვრის მიწურულს ახალი ნიგოზის დამწიფება იმგვარად, როგორც ეს ჩვეულებრივ შუა აგვისტოში ხდება; ან შუა სექტემბერში, ან ივნის-ივლისში თოვლის მოსვლა__მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ერთ, ორ, სამ, ან მეტ საუკუნეში ერთხელ, რაც ცხოველმყოფელი ბუნებრივი მოვლენების რეგულარობის ხანდაზმულობისა და დრომოჭმული სტაბილური წონასწორობის გადახალისების მიზნით, სავსებით ნორმალურია. რომ არ ვიყოთ ათასწლეულების მანძილზე მსგავსი მოვლენების სტატისტიკის გადამოწმებას მოკლებულნი, თუნდაც მარტოდენ გაყალბებული ისტორიის მიერ მივიწყებული წარსულის გამო, დავრწმუნდებოდით, რომ ამგვარი გამონაკლისებიც რეგულარული და კანონზომიერია უფრო ვრცელი გლობალური მასშტაბების გადმოსახედიდან. უფრო მეტიც, სწორედ ამგვარ, ერთი შეხედვით, „გამონაკლისებსა და შემთხვევითობებზეა“ დამყარებული და ყველა კანონზომიერება და აუცილებლობა, რასაც ბუნებრივი მიზანშეწონილების უტყუარი ტელეოლოგიური ბეჭედი აზის. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია პოსტ-პოზიტივიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, კ. რ. პოპერის დასკვნა იმის შესახებ, თითქოს ევოლუციური ჰიპოთეზა ბუნების უნივერსალური კანონი არაა(28_გვ.126).

კონკრეტულ ეტაპზე ჩვენ უკვე შევეცდებით სიცრუის ევოლუციის კანონზომიერების გაგებას, ადამიანური ცხოვრების წესისამებრ, ისტორიული დროის ჩარჩოებში.

მართალია, სიცრუის ისტორიული ფენომენის შედარებით სიღრმისეულ გამოკვლევას სპეციალურ თავს მივუძღვნით, თუმცა მანამდე განვიხილავთ იმას, თუ რა ფუნდამენტური განსხვავებაა ბუნებრივად თანდაყოლილ უპირობო (სიფრთხილის, ანუ საფრთხის მოლოდინის განცდის) ინსტინქტსა და უკუღმართი ისტორიული ქარტეხილების ორომტრიალში შეძენილსა და გამომუშავებულ პირობით (ტყუილისა და გაყალბებისკენ მიდრეკილების) რეფლექსს შორის. ეს განსხვავება შეგვიძლია დავყოთ სამ კატეგორიად: **1.თანდაყოლილი სიფრთხილის მეშვეობით, თითოეული ცოცხალი სახეობა,მტაცებლის შემთხვევაში, საკვების ვერ მოპოვების გამო, ავლენს გარდაუვალი მოსპობა-განადგურების შიშს, რაც როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებულად გამოვლენილი აგრესიის მიუხედავად, მაინც თავდაცვითი რეაქციაა** (ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მაძღარი ლომი მის სიახლოვეს მობალახე ირმებს გასკდომამდე თუ არ შესანსლავდა, უბრალოდ გაგუდავდა მაინც).**მსხვერპლის სიტუაციაში მყოფი სახეობა კი, ძლიერი მტაცებლის შიშით, ცდილობს გაექცეს, დაემალოს უეცარი დაღუპვის საფრთხეს, რაც ასევე თავდაცვითი რეაქციაა და რაც, რიგ შემთხვევაში, მიმართულია მისი სახეობის ჯოგის, გუნდისა თუ ჯგუფის გადარჩენად** (ასე რომ არ იყოს, მაშინ ამ ჯოგისა თუ გუნდის მამრი წევრები, თავიანთ შთამომავალთა და მეწყვილეთა გადასარჩენად, თავს არ გადადებდნენ და რქებ მომარჯვებულნი, შემჭიდროებული რკალის მეშვობით, დამცავ ზღუდეს ვერ აღმართავდნენ).**რაც შეეხება შეძენილი ტყუილისა და გაყალბებისაკენ მიდრეკილების რეფლექსს, ამის წყალობით, ადამიანი ცდილობს სხვა ადამიანებს თავი მოაჩვენოს საცოდავ მსხვერპლად,რათა ამით გახდეს უფრო სასტიკი და დაუნდობელი მტაცებელი.** (ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ადამიანთა მიერ ურთიერთნდობისა და თანადგომის დამკვიდრებისთვისარათუ „ერთი ფუთი მარილის შემჭმა,“ არამედ „ერთნამცეცპურსა და წვეთ ღვინოსთან ზიარებაც“თავისუფლად იკმარებდა).**2. თანდაყოლილი სიფრთხილის საშუალებით, ცოცხალ სახეობებს, შორი მანძილების მიუხედავად, არ უჭირთ ერთიმეორის პოვნა, რის გამოც, ჭირსა თუ ლხინში მუდამ გვერდი-გვერდ, განუყრელად არიან; სამაგიეროდ, ადამიანები, თავიანთი „ფასდაუდებელი,“ შეძენილი რეფლექსის ხელშეწყობით, იოლად კარგავენ სულ იქვე, ახლო-მახლო მყოფ ნაცნობ-მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და მოკეთეებს, რომელთა სანაცვლოდ პოულობენ კაცთმოძულე, ვერაგ და დაუნდობელ მტრებს, რის გამოც საბოლოოდ განწირულნი არიან იმედგაცრუებისა და მარტოობისთვის, თუმცა ხდება ისეც, რომ აქა-იქ შემორჩენილი, უიშვიათესი გონიერი, სპეტაკი და კეთილმადლმოსხმული პიროვნება, გადაგვარებული და ამორალური საზოგადოებისგან თავის დასაღწევად, ამჯობინებს მისგან მოშორებით ყოფნას, განცალკევებას, არა შეუგნებლად, ან რაიმე**

ვიწრო ეგოისტური ფიქრით, არამედ ისევ საკუთარი საზოგადოებისთვის გასაცემი ღვაწლისა და ზრუნვის პრინციპით.

ასე იქცევიან სხვადასხვა ფუნდამენტურ, რელიგიურსწავლებათა ჭეშმარიტი მიმდევრები, დიდი მწერლები, ფილოსოფოსები და ხელოვნების მოღვაწენი,რომლებიც მიელტვიან რაც შეიძლება, ნაკლებ დასახლებულ, ან სრულიად უკაცრიელ ბუნებრივ გარემოს. თუ მათ შორის რომელიმეს, მთიან სოფელში, მკაცრ კლიმატურ პირობებში მოუწია ბავშობა და ყრმობა, მაშინ მას აღარ ესაჭიროება დამატებით ძალისხმევა, რადგანაც პირქუშ პირობებთან შეგუებული მცირერიცხოვანი საზოგადოება, სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით, ჯანსაღი და შეურყვნელია, ამიტომაც ის სერიოზულ დისკომფორტს ვერ შეუქმნის შემოქმედებით ტალანტსა და კეთილსასურველ სულიერ მდგომარეობას. საქართველოში ასეთს არაერთ ბუმბერაზ მოღვაწეს უღვაწია, გასახსენებლად კმარავაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, შიო-მღვიმელი, თუნდაც სულმნათი ბერი__მამა გაბრიელი, ვისზეც საოცარ ამბებს ყვებიან. ჟან-ჟაკ რუსოს ლოზუნგი__უკან ბუნებისაკენ! თვით რუსოსთვის არ ქცეულა რეალობაში განხორციელების ქმედით გადაწყვეტილებად, მაგრამ ამგვარ აღმაფრენას არცმანამდე და არცმერე არ დაკლებია პირუთვნელი, თანმიმდევრული შემსრულებლები.მე-19 ს. ერთ-ერთი გავლენიანი ამერიკელი მწერალი, ფილოსოფოსი, ტრანსცენდენტალისტთა სახელოვანი კლუბის წევრი, თორო ჰენრი, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა რუსოს პრინციპი, ტყის მკაცრ პირობებში, ერთ მიტოვებულ პატარა ქოხში, რამდენიმე წლის მანძილზე ეულად ყოფნით, ასეთნაირადაფასებდა ე.წ. „ცივილიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას“__ „სამოქალაქო საზოგადოება ზედმეტად ხელმისაწვდომია. ჩვენს გახშირებულ, ზერელე ურთიერთობებში, ნივთების შეძენის წყურვილით გაჯერებული შთაბეჭდილებების გაზიარების გარდა, ვერც კი ვასწრებთ სხვა ფასეულობებზე ფიქრსა და საუბარს....ასე მასიურად შემჭიდროებულ დასახლებებში სულ უფრო ვცილდებით ლაღ, ბუნებრივ, ცოცხალ, ადამიანურ ურთიერთობებს, ამგვარად ვკარგავთ სიყვარულსა და ერთურთის პატივისცემას; ნუთუ ამის ფონზე რამე შეედრება უბრალოებას, პიროვნულ დამოუკიდებლობასა და რწმენის დიდსულოვნებას?!“(140_47).

3.თანდაყოლილი სიფრთხილის ინსტინქტი ცოცხალ სახეობებს ანიჭებს ზომიერების განცდას, როგორც საკვების რაციონალური მოპოვებისა და მოხმარების წესით, ასევე სხვადასხვა ტიპის სიამოვნების მიღების შესატყვისად გათვალისწინებული საჭიროებით, რაც მათი ბუნებრივი სიჯანსაღის თვალნათლივი დასტურია. ადამიანთა მიერ ისტორიულად შეძენილ და გამომუშავებულ სიცრუის რეფლექსს კი შეუძლია საერთოდ დააკარგვინოს მთელ მის მოდგმას ყოველგვარი ზომიერებისა და

ბუნებრივად გადმონერგილი სიფრთხილის შეგრძნება, თუ მას მხსნელად არ მოევლინა გონივრულად გააზრებული მაღალზნეობრივი ექსისტენციალური შიშის განცდა, რაც პირდაპირი მნიშვნელობით შეგვიძლია გავაიგივოთ ღვთისმოშიშობასთან.

ზომიერების შეტყობის უნარ დაკარგულმა ხარბმა, გაუმაძღარმა, ათასგვარი გაუკუღმართებული პათოლოგიური განცხრომის ჟინით შეპყრობილმა მომხმარებელმა, უფუნქციო სოციალურმა მასამ უკანმოუხედავად, ერთიანად გადაჭამა, გადათხარა, გამოშიგნა და მომწამლავი ნარჩენებით დაასნებოვნა ბუნებრივი გარემო. მისმა ულტრათანამედროვე ნანოტექნოლოგიური ზემოქმედების ინსტრუმენტებმა და პოსტინდუსტრიული სერიული მრეწველობის ავტომატურად მართულმა, პროგრამულმა სტრუქტურებმა და სისტემებმა აზრი, დანიშნულება, რეალურიინტერესიდაუკარგააქტიურ, ინდივიდუალურ, შემოქმედებითმოღვაწეობასადაყოფა-ცხოვრებას.

რაცუნდადიდიმსგავსებადაანალოგიებიუნდამოვიძიოთადამიანურისიცრუისადადა ნარჩენიცოცხალისახეობისმიერგამოხატულსიფრთხილესშორის, ფაქტია, რომმათიმთლიანი, ანთუნდაცნაწილობრივიგაიგივებისთვის, არავითარისაფუძველიარარსებობს. მართალია, ესორირამჩვენერთმანეთთანშეგნებულადდავაკავშირეთ, ვინაიდანმიგვაჩნია, რომმათაქვთსხვადასხვატიპისშიშიდანგამომდინარე, თავდაცვითირეაქციითგანპირობებულისაერთომახასიათებელი, თუმცაესსაკმარისიარაამათიერთნიშნამაჩვენებლითწარმოდგენისთვის, ისევე, როგორცშეუძლებელია, ადამიანურიმეტყველება, გახმოვანებისთვისებისმიხედვით, რაღაცნაირადდავიყვანოთიმგარეშესაგნებზედაარსებებზე, რასაცთავისით, თუსხვისიდახმარებით, შეუძლიაგარკვეულიბგერებისგამოცემა, მიუხედავადიმისა, რომმათშორისმეტადსაგულისხმოშინაგანიკავშირურთიერთობებიცშეგვიძლიადავძებნოთ. მხედველობიდანარუნდაგამოგვრჩესისიც, თუროგორაისახებასაკუთრივადამიანისინდივიდუალურდაპიროვნულ-სოციალურარსებათაშინაგანიგაორების, კონფლიქტისფონზებუნებრივადთანდაყოლილსიფრთხილისინსტინქტსა (რაც, სხვაცოცხალსახეობებთანერთად, მისთვისაცუმთავრესიბიო-გენეტიკურიატრიბუტიდაგანმსაზღვრელიფაქტორიგახლავთ) და ისტორიულად გამომუშავებულ სიცრუის რეფლექსს შორის რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე არსებული ურთიერთმიმართება (დღეისათვის მსოფლიოში მცხოვრებ ხალხთა დიდი უმრავლესობის ისტორია მაქსიმუმ ათასხუთას წელიწადზე მეტს არ ითვლის, თუმცა ამის გამო მათ პრივილეგია კი არა, პირიქით სერიოზული ხარვეზი და

ნაკლოვანება გააჩნიათ, კულტურული და მორალური ტრადიციების თვალსაზრისით, იმ ერებთან შედარებით, ვისი ცივილიზებული ყოფა და საქმიანობაც უხსოვარი ეპოქებიდან იღებდა დასაბამს). რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ განვმარტეთ,ბუნებრივი სიფრთხილის მიზანშეწონილება მოტივირებულია სიკვდილის ბიოგენეტიკური შიშის ძირითადი თავისებურებით, რაცრეალურ ასახვას ჰპოვებს, სოციალურად ტრანსფორმირებული ინტელექტუალიზაციის ბაზაზე,სიცრუის რეფლექსის გამომუშავებაში. აქაც ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც გარკვეული თავდაცვითი რეაქცია, ოღონდ ამ შემთხევაში არა რომელიმე სხვა სახეობის მიმართ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური სოციუმის (სხვა სოციუმი არც არსებობს) შიგნით, სადაც არა მარტო შეგნებულად თუ შეუგნებლად ატყუებენ ერთმანეთს, არამედ არაჩვეულებრივად ახერხებენ საკუთარი თავის მოტყუებასაც. მაშასადამე, ადამიანი, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებაში სიცრუის მეშვეობით ადაპტირებული, როგორც ზემოთ ვუწოდეთ__ მატყუარა ცხოველი.

თავის დროზე, როდესაც არისტოტელემ ადამიანი განმარტა, როგორც პოლიტიკური ცხოველი, იგითვლიდა, რომ ესიყო ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, „რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროსმიზანიც იგივე იქნება. ასეთი სფერო არის პოლიტიკა, სადაც სიკეთე სამართლიანობაა, ხოლო სამართლიანობა კი სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის“(4_ნაწ.I, გვ.84-85). სამწუხაროდ, არისტოტელეს მიმართ ჩვენი დიდი მოკრძალებისა და პატივისცემის მიუხედავად, აღნიშნულ მოსაზრებას მხოლოდ იმ გამონაკლის პირობებში დავეთანხმებით, როდესაც სახელმწიფოს მართავს მაღალზნეობრივი, ეროვნული იდეალებით განმსჭვალული სამშობლოსთვის თავგანწირული მამულიშვილი, თუნდაც ზვიად გამსახურდიასნაირი წინამძღოლი. სხვა სიტუაციაში კი, რეალობასთან უფრო ახლოს დგას მაქს ვებერი, რომელიც თავის ერთ-ერთ პოპულარულ შრომაში__„პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა,“ პოლიტიკას განსაზღვრავდა ვიწრო და ფართო გაგებით, ვიწრო მნიშვნელობით პოლიტიკა ხასიათდება, როგორც საშუალებათა ერთობლიაობა, რომელიც აუცილებელია, ხელისუფლებაში მოსასვლელად და ძალაუფლების განსამტკიცებლად. ფართო გაგებით კი, საზოგადოებაში პოლიტიკისგან თავისუფალი არავინ არ არის; თვით ერთი ჩვეულებრივი დიასახლისიც, რომელიც ღიად და საჯაროდ ცნობს ქმრის, როგორც ოჯახის უფროსისა დაბატონ-პატრონის პრივილეგიას, ფარულად კი ცდილობს ოჯახის მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას და მეუღლის სახელით გახმოვანებული საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებას.

აი, სწორედ ეს გახლავთ პოლიტიკური დიპლომატიის, ანუ იგივე სიცრუის მოქნილი ენით გამოვლენილი ძალაუფლებისაკენ ლტოლვა__„სხვა იდეალურ, ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად, რათა დატკბე გარკვეული სოციალური უფლებით მონიჭებული პრესტიჟის გრძნობით.“(13_11-13 გვ).აქვე მიზანშეწონილია, რომ პოლიტიკა და დიპლომატია ერთმანეთს არ დავამთხვიოთ, ვინაიდან ნებისმიერი სახის დიპლომატია, პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, არსის გამოხატულებაა, მაგრამ ის ვერ განსაზღვრავს მის უმთავრეს სტრატეგიასა და ორიენტაციას. დიპლომატია არის პოლიტიკური მიზნის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება. პოლიტიკურ საშუალებებს შორის განსაკუთრებული ადგილი ომსაც უჭირავს, რომელიც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საკითხში ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს; მაშინაც კი, როდესაც ფორმალური თვალსაზრისით მშვიდობიანობის პერიოდი დგას, საომარი ძალის ფაქტორს მაინც წამყვანი ადგილი უჭირავს.

მართალია, მაქს ვებერი ცდილობს პოლიტიკის ფართო გაგების ნებისმიერი სახის ადამიანური ურთიერთობისაგან გამიჯვნას, იმმოტივით, რომ მისი აზრით, არსებობს ისეთი სახის ურიერთობებიც საზოგადოებაში, სადაც არც დიპლომატიაა და არც ძალადობა, რაც ჩვენთვის მხოლოდ თეორიულადაა დასაშვები, რამდენადაც პრაქტიკულად, ყველანაირ სოციალურად გაცნობიერებულ წვრილმანი მნიშვნელობის ურთიერთობებშიც, რაღაც მინიმალური დოზით,ძალადობა და ტყუილზე დამყარებული დიპლომატია სადმე მაინც გარკვეულ ადგილს იკავებს. ასეა თუ ისე, ვებერი, დასაბუთებული მოსაზრებით, პოლიტიკის ფუნქციებს მხოლოდ სახელმწიფოთი განსაზღვრავს, ამ ნაწილში მას ვეთანხმებით, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკა ფართო გაგებით, ყოვლისმომცველი ხდება მარტოდენ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში და ეს არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მმართველი ძალის პრეროგატივა. ამიტომაც თვლის ვებერი, რომ „პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა, რაზეც ლეგიტიმური, თუ აღიარებულიუფლება მხოლოდ სახელმწიფოს აქვს“(13_გვ.81).

აქამდე ვიხილავდით სინამდვილის გაყალბებისა და ფალსიფიკაციის ტენდენციის ნეგატიურ სოციალურ წანამძღვრებს, რომლებიც ადრეული ბავშვობიდანვე იძულებით უყალიბებენ ადამიანებს ინტელექტუალური გაუცხოების უნარ-ჩვევებს. ახლა კი გვმართებს პოზიტიურ მხარეზეც ყურადღების გამახვილება. ეს გახლავთ მიბაძვის ფენომენი, რომელიც შეინიშნება ცალკეული ჯიშის ცხოველებსა და ფრინველებში. ზოგჯერ იმდენად რაფინირებული და დახვეწილია აღნიშნული წმინდა ბიოგენეტიკური უნარი, რომ მათ ადამიანური მეტყველების საოცარი იმიტაციაც შეუძლიათ, უფრო მეტიც, ცალკეული თუთიყუშების სახეობები არა

მარტო უბრალოდ წარმოთქვამენ დანაწევრებული ბგერებისაგან შემდგარ სიტყვებს, არამედ სიტუაციის შესაბამისადაც ამბობენ სხვადასხვა შინაარსის ფრაზებს ისე, რომ გააზრებულად ნათქვამის შთაბეჭდილებასაც ტოვებენ. ადამიანებს მითუმეტეს ახასიათებთ მიბაძვის, იმიტაციის, კოპირებისა და პაროდიზირების ბუნებრივად მომადლებული ნიჭი, რითაც ისინი, ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში ქმნიდნენ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ამ ნიჭის გარეშე არ იარსებებდა მითოსური ნექტრით ნასაზრდოები ფოლკლორი, თავისი წარუშლელი ქორეოგრაფიით, პოლიფონიური სიმღერებით და მაგიური ოსტატობის გენიალური შედევრებით, რასაც პირდაპირი დანიშნულებისამებრ მოიხმარდნენ წარმოებასა და საბრძოლო ხელოვნებაში. მიბაძვის ელემენტების გაძლიერებულ და განვითარებულ შესაძლებლობებზე დამყარებული წარმოსახვის გზით, ადამიანს არა მარტო შეეძლო სინამდვილის ნაცვლად ილუზორულ ქმნილებათა ეფექტური გამჟღავნება, არამედ რიგ შემთხვევებში, მოჩვენების სინამდვილედ და პირიქით გარდაქმნა, რითაც ის ზებუნებრივ ძალებთან ნაზიარებ სასწაულმოქმედებას მიესადაგებოდა.წარმოსახვითი აღქმებისადა შთაბეჭდილებების დემონსტრირების უნარმომადლებული ვირტუოზებისადმი აღმაფრენა და ტრფიალი ჩვეულებრივ ადამიანთა უმრავლესობისთვის არ აღმოჩნდებოდა საკმარისი იგივე ძალის გამოსავლენად; ამიტომაც მათ ფრთაშეუსხმელ ოცნებებს გასავალი ისევ და ისევ წარმოსახვით სამყაროში, ანუ ვირტუალურ რეალობაში უნდა ეპოვათ. ამგვარი ყაიდის მისწრაფებებს გააჩნიათ სასურველის რეალურად წარმოჩენის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება__რისი აკვიატებული ჟინის მომძლავრებაც ადამიანს უბიძგებს არსებული სინამდვილის ფალსიფიკაციისკენ, ანუ სიცრუისკენ. როდესაც სოციალური პრესტიჟისა და ავტორიტეტული იმიჯის დამკვიდრება-შენარჩუნების საკითხი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნების მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის განსაზღვრის საქმეში, თავდაპირველი უწყინარი ოცნებები ერთბაშად გადაიქცევიან საბედისწერო შეცდომებისა და დანაშაულებრივი გაყალბების წინაპირობებად, რაშიც სხვადასხვა ანგარებიანი განზრახვის მქონე პირთა შეთანხმებული თანამონაწილეობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდება შეთხზული და გამოგონილი ავან-ჩავანის, ჭორების, ათასგვარი დაუფიქრებელი სისულელეების პოპულარიზაციისთვის. ასეთია უწარსულო ისტორიის მოჩმახვის სამზარეულოს შინაარსობრივი აღწერილობა, რომელიც ამძიმებს უსირცხვილოდ გაბრიყვებული შთამომავლობის საცოდავ მეხსიერებას, რეალური წარსულის მიჩქმალვისა და დაუნდობელი ძარცვის საზღაურად.უწარსულო ისტორიის კიდევ ერთი უმთავრესი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას ძირითადად შეკვეთით თხზავენ არა თვითმხილველნი, ან ღირშესანიშნავ მოვლენათა უშუალო მონაწილენი, არამედ

სრულიად გარეშე პირნი, ვინც ცხელი კვალის ახლომახლო არ გაჭაჭანებულა, ვინც შორეული დისტანციიდან ზერელე თვალთვალით კმაყოფილდებოდა ისე, რომ არასოდეს ამჟღავნებდა სიმართლის გაგების დაუოკებელ ენთუზიაზმს. ამგვარად ყალიბდებოდა მუცლითმეზღაპრეობისა და ეპიგონობის ვიწრო კოლექტიურ-თანამზრახველთა კასტა, რომელსაც თითქმის ყველა ისტორიული დროის კონკრეტულ მონაკვეთსა და მოსამხრობზე შეეძლო დაწყობილ-დალაგებულ სამხილთა და მოწმობათათავდაყირა დაყენება. ამ საქმეში მათ ფასდაუდებელ დახმარებას უწევდნენ იმ კატეგორიის თვითმხილველნი და ნაკლებად აქტიური მონაწილენი, ვინც ერთიმეორის შურითა და ჯიბრით, ცდილობდა ამა თუ იმ არასახარბიელო პირთა რეალური ღვაწლისა და სასიქადულო საქმეთა მიჩქმალვას, გაქარწყლებას, ხოლო მათ სანაცვლოდ, ყალბად შერაცხულ გმირთა აღზევებას. თუ ვინმეს ამაში იოტისოდენი ეჭვი მაინც ეპარება, მიმოიხედოს ირგვლივ, შეეცადოს გააცნობიეროს, თუ რა ხდება არა სადღაც შორს, არამედ ცხვირწინ: უამრავი დანაშაული, სისასტიკე, უსამართლობა, ღალატი, ექსპლოატაცია, ჩაგვრა და რამდენი რამ; ყველამ ძალიან კარგად იცის ვინაა დამნაშავე, ვინ დაზარალებული, მაგრამ ისჯებიან ისევ და ისევ ისინი, ვის წინაშეცაა ჩადენილი დანაშაული, ხოლო ვინც მთელ ერსა და საზოგადოებას ავნო, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, წახალისებულნი,მედიდურად აღზევებულნი, კვლავაც არხეინად დათარეშობენ და კვლავაც განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეთა აღსრულებას.

ამ განუკითხავ, საერთო უბედურებასა და სატკივარს, ერთი შეხედვით, დასაბამი, ან დასასრული არ გააჩნია, მაგრამ თავი შეგვიძლია ვინუგეშოთ სხვადასხვა ჯურის მლიქვნელ-მეხოტბეთა მიერ გაყალბებულ-გაუკუღმართებული, ე. წ. მეფეთა ისტორიის გარდაუვალი დასასრულით, რაც უკვე ამჟამად მიმდინარეობს. ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: ივ.ჯავახიშვილის, ამ უდიდესი მეცნიერის, ჭეშმარიტი მამულიშვილის განსაკუთრებული, ზეადამიანური ნიჭი და ძალისხმევა რომ არა, ქართველ ერს ნამდვილი ისტორიის არც ერთი ფრაგმენტი არ შემორჩებოდაშორ-მახლობელი დიდებული წარსულიდან, თუმცა ეს ტიტანური შრომით მოკვლეული და ჩვენამდე შემონახული ერთდაგვარი მარგალიტები, მაინც ზღვაში წვეთია, იმასთან შედარებით, რაც ავბედითი დავიწყების მრუმე წყვდიადში იქნა დანთქმული. ორად-ორი მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ ვაჩვენოთ უცნაური და განსაცვიფრებელი ისტორიული უპასუხისმგებლობა იმ ჟამთააღმწერელთა მხრიდან, ვინც მაღალფარდოვნად აგვიღწერა ცხრა ძმა ხერხეულიძის, ან სამასი არაგველის საარაკო თავდადება, შეუპოვრობა, გმირობა, მაგრამ მათი სახელების უბრალო ხსენებაც კი საჭიროდ არ ჩათვალა.ამის მერე რაღა გვეთქმის ასიათასი ქართველი ქრისტიანიმოწამის შესახებ, რომელთაგან არც ერთი

მათგანის ვინაობა არ შემოუნახავთ?__ უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, უამრავი კითხვისნიშანი ისმება ყველგან და ყველაფერში, რასაც ამომწურავი და გამამართლებელი პასუხი არ ღირსებია, რაც პირდაპირ და ხმამაღლა მეტყველებს ამ მართლაც უწარსულო ისტორიის თვითმარქვია შემოქმედთა უბადრუკ სიძუნწესა და არაკეთილსინდისიერ ზრახვებზე. საინტერესოა, როგორ შეაყვარებენ ასეთი მამები და მასწავლებლები თავიანთი მრავალტანჯული ერის მომავალ თაობებს იმ გაუგებარი და უსახური წარმომავლობის თხზულებას, რაშიც ისინი საკუთარ გენეტიკურ კვალს ვერ პოულობენ ცალკეული გვარისა და ჯილაგის საიდენტიფიკაციო კოდების უცოდინრობის გამო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,უწარსულო ისტორიის შემაჯამებელი განსაზღვრება ჩამოყალიბდება შემდგნაირად: **უწარსულო ისტორიის რეალური არსებობის ფაქტით დასტურდება აქამდე უცნობი, დროის კიდევ ერთი, მეოთხე განზომილების არსებობა, რომელსაც არავითარი კავშირი არ გააჩნია არც წარსულთან და მითუმეტეს არც მომავალთან. ამას ეწოდება ადამიანის ტექნიკური გაუცხოების პროცესში შეწყვეტილი ბიო-გენეტიკური ევოლუციის საფუძველზე, სოციალურად ტრანსფორმირებული ცნობიერების მიერ გამომუშავებულისიცრუის რეფლექსის იმგვარი ხანგრძლივობა,რომელშიც მიმდინარეობს ობიექტური სინამდვილის ფალსიფიკაცია, რაც სხვაარაფერია თუ არა, სამგანზომილებიანი დროის საპირისპიროდ, ვირტუალური სამყაროს შეთხზვისა და დაპროგრამების ალტერნატივა.** რამდენადაც ეს ე.წ. დროის მეოთხე განზომილება შეუთავსებელია სამგანზომილებიანი დროის სისტემასთან, ამდენად იგი შეუთავსებელია რეალურ სივრცესთანაც, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის პირდაპირ შესაბამისობაში იმყოფება წარმოსახვით სივრცესთან, ანუ ვირტუალურ რეალობასთან.იმ მიზეზით, რომ სივრცე-დროსთან მიმართებაში სუბსტანციურად უფრო მყარი, უზოგადესი ფორმაა, რადგან იგი დროის მსგავსად, მოძრაობა-ცვალებადობის კანონზომიერებას არ ექვემდებარება, რომ პირიქით, მოძრაობა-ცვალებადობაა დამოკიდებული სივრცეზე, რომელიც არა მარტო უსასრულობაში აღწევს წმინდა მეტაფიზიკური გაგებით, სრულ უძრაობას, არამედ სასრულ სიდიდეებშიც ინარჩუნებს, რელატიური გაგებით, პირობითი უძრაობის მდგომარეობას, მექანიკური გადაადგილების, ანუ კლასიკური კანონების მიხედვით, მოძრაობის პროცესის, როგორც შიგნით, ისე პარალელურად, მის გარეთ; მაშინ, როდესაც დროის გაჩერება უბრალო წარმოდგენითაც კი შეუძლებელია. რაც შეეხება მარადიულობას, რასაკვირველია, ესეც დროის კატეგორიას განეკუთვნება და იგი გამოხატავს სამივე განზომილების: წარსულის, აწმყოსა და მომავლის განუყოფელ ერთიანობას, რაც რეალურ ასახვას ჰპოვებს წმინდა ინდივიდუალური მგრძნობელობის თვითგანცდაში, ანუ იგივე

აწმყოში, თუმცა მარადიულობაც ისევე გამორიცხავს გაჩერებული მდგომარეობის შესაძლებლობას, როგორც უსასრულობაში დამყარებული უძრაობა. საქმე ისაა, რომ მოძრაობა თავის თავში გულისხმობს გაჩერებასაც და გადაადგილებასაც, რის გარეშეც იგი უბრალოდ არ განხორციელდება, ხოლო ჭეშმარიტი უძრაობა გაჩერება-გადაადგილების წესებს საერთოდ არ ექვემდებარება. გაჩერებული დროის შესახებ გამოთქმული სიტყვები პოეტური ხერხის გარდა, არაფერს არ შეიცავს, თუმცა ცალკეულმეცნიერულგანმარტებათა ავტორები, გადაზრდილნი, მხატვრულ-ესთეტიკურ რევერანსთა ტრფიალში, ფოტოგრაფიას, კინემატოგრაფიასა და აუდიო-ვიდეოჩანაწერებს, ასაღებენ, როგორც დროის გაჩერებული იმპულსის ტექნოლოგიურ საოცრებათა ქმნილებებს, რაშიც ძალიან მწარედ სცოდავენ, რაკიღაიმდენად უდრტვინველად შეეჩვივნენ გაჩერებული სივრცეების სიღრმეში შეყოვნებული ქაოსის უშფოთველი ძილქუშის მდებარეობას, რომ დროის გაჩერების უნაყოფო ფიქრებით შეპყრობილნი, თავის გამოშტერების გარდა, სხვა საზრუნავს ვეღარ პოულობენ. არასოდეს, არსად ისე მძლავრად არ იგრძნობა დროის კოლოსალური მოძრაობის სისწრაფის ფეთქებადი რიტმი, როგორც მუდმივად და ყველგან, გაჩერებული სივრცის წიაღში შეყოვნებული, მთვლემარე ქაოსის გამოღიძების დაზაფრულ ლოდინში.ხოლო მას მერე, რაც ქაოსის გრანდიოზული გამოღვიძების ზარი ჩამოკრავს, დრო არა თუ ჩერდება, არამედ ელვის უსწრაფესად, თვალისდახამხამებაში ქრება და ამით მთავრდება მოჩვენებათა გაჭიანურებული ზმანებების მორიგი ციკლი, რაც ამქვეყნიური ყოფა-ცხოვრების განვლილი მანძილითააგამოთვლილ-დაანგარიშებული. რელიგიურ-ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში კვალიფიციურადაა დამკვიდრებული ზედროულის ცნება, მაშინ როცა სივრცესთან მიმართებაში, აღმატებული მნიშვნელობის სუფიქსის გამოყენება მიზანშეუწონელია. ფილოსოფოსთა უმეტესმა ნაწილმა შესაძლოა ზედმეტადაც კი ჩათვალა ამ ერთი შეხედვით, წვრილმანი დეტალის გაცნობიერება, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამას მეტად სერიოზული მიზეზი განსაზღვრავს, რომლისარსიც სივრცის უნივერსალური და განუწყვეტელი ხასიათის თავისებურებაში მდგომარეობს, რასაც მარადისობის მიჯნამდე მიღწეული და უეცრად შეწყვეტილი სამგანზომილებიანი დრო სავსებითმოკლებულია.რაც შეეხება დროის მეოთხე განზომილებას, რის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელეთ, იგი მარადისობასთან მიმართებაში არსებული ნაპრალის ამოვსების მაგიერ, უფრო ღრმა, დამატებით, ისტორიული სიცრუის ნაპრალს აჩენს ადამიანურ ცნობიერებაში, თვით სამიგანზომილების შიგნით; აი, სწორედამის პირდაპირი შედეგი გახლავთ ისტორიული დროის ფაქტორით განპირობებული წყვეტა იმ ბიოგენეტიკური ევოლუციის ბუნებრივი პროცესისა, რომლის კვლავგაგრძელების გარეშეც ადამიანური გონის შემოქმედებითი

განვითარების პოტენციალი,ტექნიკური გაუცხოებისკულმინაციურ ფაზაში, უკვალოდ დაიღუპება და ჩაიფერფლება.
უწარსულო ისტორიისგან გაყალბებული და შეურაცხყოფილი უისტორიო წარსული კი, სინამდვილის ფანტასტიკურად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი სიმართლეა, რომლის გაგებაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საკუთარ სულში იმ აუტანელ, მწარე სატკივარს გავისაგნებთ და გავითავისებთ, რაც მუდმივად ირგვლივ ტრიალებს და მანამ ვერ შევიგრძნობთ, სანამ უეცრად თვითონ არ მოგვივარდება და მსახვრალი ხელით არ შეგვეხება.რომ შეიძლებოდეს ნებისმიერი ასეთი განსაცდელის სიმძიმის თანადროული, ერთგვაროვანი, მკაფიო და გააზრებული აღქმა, მაშინ, რათქმა უნდა, ისტორიული გაყალბების ალბათობა უკიდურესად შემცირდებოდა, თუმცა მაინც არ გაქრებოდა; მიზეზი_ისევ და ისევ ეპოქალური მნიშვნელობის ტყუილებზე აშენებული მანკიერი და ცალმხრივი იდეოლოგიებია,რომლებიც ყოველმხრივ უსახური, არაკეთილსინდისიერი კონფორმიზმის ვრცელ ჭაობში ითრევს უარესის მოლოდინის შიშით გაწამებულ და აფორიაქებულ მასობრივ საზოგადოებას. ამ ყველაფრის ნათელი მაგალითები იმდენად ბევრია, რომ კეთილი მოგონებების გუნება-განწყობილების გასაფუჭებლად თავზესაყრელია, ამის მიუხედავად, ერთი-ორი რამის გახსენება საჭიროდ მიგვაჩნია. გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულამდე, საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ტოტალური და მასობრივი რეპრესიების, ასევე ოცდაათიანი წლებისუკრაინაში გამძვინვარებული, მილიონობით გაჭირვებულ-გაღატაკებული მოსახლეობის შემმუსვრელი ტრაგიკული შიმშილობის შესახებ, გაკვრითაც არაფერი იყო ნათქვამი. პირიქით, ამის სანაცვლოდ, უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა, არაადამიანური წამება და გადასახლება საღდებოდა ხალხის მტრების წინააღმდეგ ჰუმანური, მშრომელთა სამართლიანი ინტერესების დასაცავად გაჩაღებულ ძლევამოსილ და წარმატებულ ბრძოლად, ხოლო აუტანელი შიმშილით, სიცივით, უსახსრობით გამოწვეული მსხვერპლის მიზეზად სახელდებოდა ე.წ. კულაკების, როგორც კლასობრივ მოწინააღმდეგეთა მიერ შეგნებული საბოტაჟით ჩადენილი მავნებლობანი და არა ფაშისტური გერმანიის უხვი მომარაგება მარცვლეულითა და საკვები პროდუქტებით, რომელთა შესახებ ვერსიებიც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გავრცელდა.
დღემდე არ არსებობს ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული აზრი იმის თაობაზე, თუ რაში სჭირდებოდა ი.ბ. სტალინს ჰიტლერისთვის, როგორც ოფიციალურად დეკლარირებული იდეურ-პოლიტიკური მეტოქისთვის ასეთი ფართომასშტაბიანი ხელშეწყობა? დიდ ინტერესს იწვევს ამასთან დაკავშირებით აგრეთვე, თუ რატომ ჩაუფლავა მან მთელი ევროპის „გაწითლების“იმედები ევროპული კომპარტიების

ლიდერებს, როდესაც მათი თანდასწრებით, ფაშისტური გერმანიის მიმართ გამოხატული სიმპათიის ნიშნად, ჰიტლერის სადღეგრძელო შესვა. ამ უცნაურ ფაქტებთან დაკავშირებით, საკუთარი შეხედულებაც გაგვაჩნია, რომელიც სტალინის თავგამოდებული მამხილებლებისა და განმაქიქებელთა წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს, თუმცა მოცემულ ეტაპზე თავს შევიკავებთ იმ მოსაზრებით, რომ ისტორიული დროის ამოწურვამდე ბევრი აღარაფერი დარჩა და ყოველივე დაფარულს, მალე ნათელი მოეფინება.

გავიხსენოთ თუნდაც ჩვენს ახლო წარსულში მომხდარი ძალადობისა და ხოცვა-ჟლეტის უამრავი ფაქტები, რომლებიც ჩადენილ იქნა საქართველოს არაკანონიერი რეჟიმების მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დაყოველივე ეს არა მარტო ჩვენში, არამედ მაღალი დემოკრატიული იმიჯის მქონე ქვეყნებშიც წესრიგისა და დემოკრატიის კანონიერი ინტერესების დაცვად აღიქმებოდა.მოყვანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ უდანაშაულო, გაჭირვებული და ბედისანაბრად მიტოვებული საწყალი ხალხის უბედურება ამა ქვეყნის ძლიერთ საერთოდ არ ანაღვლებთ, ეს მათ მხოლოდ სპეკულაციისთვის, ბნელი და უკუღმართი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებად ესაჭიროებათ, ამიტომაც, როცა თვითონ ჩადიან ამგვარ რაღაცეებს, ამას ყველაფერს უტიფრად ჩქმალავენ, ხოლო სხვათა მიმართ კი, ნიანგის ცრემლის დემონსტრირებით, შანტაჟის ენის გამონახვის ფორმებს მოხერხებულ ფასადს უქმნიან. პოლიტიკური ცეზარიზმისა და მაკიაველიზმისუალტერნატივო იდეოლოგიურ დოქტრინას: „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ," აქამდე ნირი არასოდეს შეცვლია, მაგრამ როგორც წესი, დამარცხებულთა ცალმხრივ და მიკერძოებულ სამსჯავროზე თვალახვეულ თემიდას მუდამ ავიწყდება, რომ ყველა ტიპის სახელმწიფო-პოლიტიკური ძალაუფლების გამარჯვება არა მარტო დროებითი და მოჩვენებითი, არამედ მორიგი, ათმაგად გამძვინვარებულ საშინელებათა დაუსრულებელი დასაწყისია მთელი საკაცობრიო, ისტორიულ დროში გაჭიანურებული, ქანცგაწყვეტილი დისტანციის მანძილზე.

დროის მეოთხე განზომილებაში შეთხზული უწარსულო ისტორიის უკლებლივ ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი და მნიშვნელოვანი პერსონალია იმდენად დაცლილია რეალური ინდივიდუალური ატრიბუტიკისაგან, რომ თითოეული თავისთავად ღირებული, უნიკალური და საინტერესო მათგანის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენა, სულ რაღაც, სამი-ოთხი ფსიქო-სოციალური ვარიაციით გავრცელებული და დამკვიდრებული ტიპობრივინიმუშებით ამოიწურება. თავის დროზე, როდესაც მიზნად დავისახეთ პიროვნებათა ისტორიულ-ფილოსოფიური ჰოროსკოპის შექმნა, უმაღლეს დონეზე პროფანიზებული, ფალსიფიცირებული და დილეტანტი შარლატანების მიერ აჟიტირებული ასტროლოგიური ჰოროსკოპებისაგან განსხვავებით, ვცდილობდით იმგვარი

ბუნებრივად თანდაყოლილი და სოციალური ადაპტაციის პირობებში შეძენილი ინდივიდუალურ-პიროვნული მახასიათებლების დადგენას, რომლებიც ხსენებული შაბლონური სტერეოტიპების კონტრუქციის ანალოგიურად არ განისაზღვრებოდა, რაიმე ღიად თვალში საცემი ლტოლვებით, ჩვევებით და მიდრეკილებებით, რისი მეშვეობითაც იოლად შეიძლება ადამიანთა საგრძნობი ნაწილის გაბრიყვება, თითქოსდა, მისი ზოდიაქალურ ნიშანთა ჩამონათვალი მართლაც ობიექტურ ასახვას პოვებს მის ფაქტობრივ მდგომარეობაზე.

ამ ბავშვურ-მიამიტური ცდომილების მიზეზი კი გახლავთ სრულიად ელემენტარული ზოგადფილოსოფიური ჭეშმარიტების უცოდინრობა__„ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, არც ერთი ადამიანური თვისება უცხო არ არის.“ბევრს კი რატომღაც ჰგონია, რომ ის, რაც მას ახასიათებს, უცილობლად მხოლოდ მისიკუთვნილებაა. ინდივიდუალურ-პიროვნული მახასიათებლები, მარტოდენ თვისობრივი თავისებურებების ხარჯზე, ვერ მოჰფენენ ნათელს ისტორიული გაყალბების სუდარით დაბინდულ წარსულს, ამიტომაც აუცილებელი იყო, პირველ რიგში, უზოგადეს მიმართებათა, ანუ ძირითად, ამოსავალ დამოკიდებულებათა კატეგორიების განსაზღვრაც, ეს გახლავთ ოთხი ძირითადი დამოკიდებულების ექსისტენციალური მოდუსი: ღმერთთან, ბედისწერასთან, საზოგადოებასთან და საკუთარ თავთან, რაც ჩვენი რწმენით, დაგვეხმარებოდა პიროვნებათა რეალური სახის არა მარტო ამოცნობაში, არამედ წარსულში მომხდარი ფაქტების ალტერნატიულ ანალიზსა და შეფასებაში. ისტორიული ფალსიფიკაციის გამოუსწორებელი დანაშაულებრივი კვალის დასაფარავად, სერიოზული ძალისხმევის წარმოჩენა უწევთ მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომელთა მიერ წარმოსახული გმირების იდეალიზებულ თარგზე მოჭრილი ისტორიული პერსონალიები მუდმივად ამაღლებულ შთაბეჭდილებათა შთაგონების წყაროდაა გადაქცეული. არც თუ ისე იშვიათად, ამგვარი ცალმხრივი, ტენდენციური მიდგომები იქცევა კონტრასტული შეხედულებების, დასკვნებისა და შეფასებების საბაბად, რაც იწვევს დიამეტრულად საპირისპირო არაერთგვაროვანი პოზიციების კონფლიქტს, რის გარეშეც, ჩვენს დროში განსაკუთრებით, ნებისმიერი საჯარო განხილვისა და დისკუსიის თემა აქტუალობას კარგავს.

ლოგიკურად თანმიმდევრული ანალიზიდან გამომდინარე, მივდივართ ისეთ დასკვნამდე, სადაც იკვეთება ისტორიულ პიროვნებათა შეგნებული ფალსიფიკაციის სურათი; ეს კი ცხადად მოწმობს, რომ უწარსულო ისტორია, ჩვენს უსახელო, უგზო-უკვლოდ გადაგებულ წინაპრებთან ერთად, თავის გაცრეცილ-გახუნებულ ფურცლებზე, გულმოდგინედ ჩქმალავს და შლის თვით იმ მქუხარედ განთქმულ სახელთა ავტორებისპიროვნულ-ინდივიდუალურ თავისებურებებსაც, ვისი უშუალო დაკვეთითა და მონაწილეობით წილად გვერგუნა ათასნაირად დახლართულ-გაყალბებული, რთულად გასარკვევ-ამოსაცნობიისტორიები. მაშასადამე, სოციალურ-ანთროპოლოგიური გაუცხოების პირობებში, მთელი კაცობრიობა ემსახურება სიცრუის კოლოსალური ენერგიით გაჯერებული და დამუხტული ჯოჯოხეთის ხომალდის მსვლელობას, რითაც მისი უდიდესი ნაწილი დავიწყების

გზით შორდება საკუთარი ყოფიერების წარსულს, ხოლო უმცირესი__ყალბი ცნობიერებით მომართული მეხსიერების შენარჩუნებისა და განახლების დაუშრეტელი ენთუზიაზმით ახანგრძლივებს დროის მეოთხე განზომილებაში მოქცეულ ათვლისისტორიულ სისტემას.

უისტორიო წარსული იყო და კვლავაც რჩება ისტორიული დროის პროეცირების ერთადერთ უცვლელ წყაროდ, ვინაიდან ისტორია ექვემდებარება გაყალბების პოტენციური შესაძლებლობების მხოლოდ იმგვარ მოტივაციას, როგორსაც გვაძლევს რეალური პიროვნების ცოცხალინებისყოფის შესატყვისი ლტოლვები და მისწრაფებები. არარეალური პერსონაჟები კი მხატვრული ლიტერატურის გალერეის უცილობელი საკუთრებაა, რაც ამაღლებული ესთეტიკური გემოვნების დაუწერელი კანონების რწმუნებულებით, გაყალბების ნორმებსა და მოთხოვნებთან სრულიად შეუთავსებელია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჯერ ერთი, ლიტერატურა აღმოჩნდებოდა მხატვრული სიმართლის (ანდა რა უნდა ვქნათ, თუ მხატვრული სიმართლე ერთადერთი სიმართლეა ამქვეყნად) გარეშე, რითაც იგი, როგორც სიტყვაკაზმული ხელოვნების უკვდავი ჟანრი, საერთოდ დაკარგავდა თავის ფუნქციას; მეორეც, რეალურ ადამიანებზე ორიენტირებული ფალსიფიკაციის ისტორიულად დამკვიდრებულ ჩვეულებას, მითოსიდან მოხმობილ, ნახევრად თუ მთლიანად გამოგონილ გმირებთან არასოდეს არაფერი არ ესაქმება.მაშასადამე უწარსულო ისტორიისა და უისტორიო წარსულის ურთიერთმიმართების დრამატულ ფონზე ვაწყდებით მეტად უცნაურ დიალექტიკურ პარადოქსს__**ნამდვილ ადამიანთა გაყალბების დაკვეთით შეთხზულ ისტორიაში შემავალი ისტორიული პიროვნებები ისტორიაში შესვლისთანავე ქრებიან და ისევ იმ უისტორიო წარსულში რჩებიან, რისი დავიწყებისა და დაკარგვის ქვეცნობიერი მიზანდასახულობითაც მიმდინარეობს სოციალური ცნობიერების ტოტალური გაუცხოების პროცესი.**მართლაც, ნათქვამის საილუსტრაციოდ, ქრისტეს დაბადებისმიხედვით, ათვლილ-დაანგარიშებული წელთაღრიცხვაც კმარა.წელთაღრიცხვა, ანუ ერა,დასაბამს იღებს იესო ქრისტეს დაბადებიდან, რისი ზუსტი თარიღიც, ისევე, როგორც ჯვარცმისა და ცადამაღლებისა_საერთოდუცნობია.ერა_ესარისმოვლენა,საიდანაციწყებაწელთაღრიცხივისსისტემა. მსოფლიოშიდაახლოებით 200 ერააცნობილი. ქრისტიანულმაეკლესიამვერშეძლოამმოვლენისერთიანითარიღისდადგენადასხვადასხვაწელთაღრიცხვაშიათვლისსხვადასხვაწერტილსგამოიყენებდნენ.ყველაზემყარიგამოდგაისქრისტიანულიერა, რომელიცწლებისათვლასქრისტესშობიდანიწყებს.დოკუმენტებშიქრისტიანულიერაპირველად VII საუკუნის პირველინახევრიდანგამოიყენეს.საყოველთაოდკი,ესწელთაღრიცხვაXVIII საუკუნიდან დამკვიდრდა.ქრისტესშობიდან,წელთაღრიცხვისშემოღებისშემდეგ,და დგასაკითხი,თუროგორგამოეთვალათ,მისიწინარეხნისმოვლენები. დიდხანს,ქრისტიანობისშემოღებისშემდეგაც,ასეთიპრაქტიკულიმიზნებისთვის „მსოფლიოერებს“ იყენებდნენ, ხოლოსაყოველთაოდგავრცელებულიერის -

„ქრისტესშობამდე“-გამოყენებადაიწყესინგლისელმამეცნიერებმა XVIII საუკუნეში. თარიღთაგამოთვლისესხერხიბევრგაუგებრობასიწვევდა,მაგრამ,იგი მაინცმყარადდამკვიდრდა.

ქართული ისტორიის ქრონოლოგიისფუძემდებელია ვახუშტიბატონიშვილი. უძველესიქართულიკალენდარიმთვარისკალენდარიიყო, რომელიცარაუგვიანესქრისტესშობიდან Iსაუკუნეში მზისალექსანდრიულ „მუდმივწელიწადზე“ დაფუძნებულიკალენდრით. VII საუკუნეშითვეებმამიიღესდღემდეჩვენთვისჩვეულირომაულისახელწოდებებიწლის დასაწყისადთავიდანსაქართველოშიმიჩნეულიიყო 6 აგვისტო, ე.წ „აგვისტოსწელი“. აგვისტოსწელიასევეგავრცელებულიიყო: ეგვიპტეში, სპარსეთში, კაბადოკიასა და სომხეთში. VII საუკუნისდასაწყისიდან, VIII საუკუნისდასასრულამდე საქართველოშივრცელდებაე.წ „ინდიქტიონურიწელი“ ახალმაწელმაუკვე 1 სექტემბრიდანგადაინაცვლა 25მარტს. X საუკუნისმეორენახევრიდანგავრცელებასიწყებსიანვრისწელიწადი,რომლისპარალელურადქორონიკონულიაღრიცხვისათვისრჩებამარტისწელიწადი,იანვრისწელისრულადმკვიდრდება XIV საუკუნიდან.

ქართულისტორიულძეგლებშიძირითადადარისსამიერა: „დასაბამითგანქვეყნისა“, „ქორონიკონი“ და „ქრისტესით“(86_org/wiki/). მთელი ეს აღწერილი ისტორიულ-ქრონოლოგიური ცვლილებები გამომდინარეობდა დროის დაზუსტების პრაგმატული საჭიროებიდან, თუმცა ისტორიაში გაუჩინარებული ისტორიული პიროვნებების მსგავსად, დაზუსტების ყოველი მომდევნო ეტაპის პროპორციულად, დაცილების ეფექტი იმდენად შესამჩნევად მატულობდა, რომ თავდაპირველ წყაროებთან რეალური კავშირიც თითქმის მთლიანად დაიკარგა.

უისტორიო წარსულის გრანდიოზული იდუმალებით მოცულ სიბნელეში უხილავად დაბუდებული ამქვეყნიური სიმართლის ნათელი კვალი იმდენად თვალისმომჭრელია, რომ ისტორიული დროის ჭუჭყიანი კვამლით გამურული სარკმლის ღრიჭოებიდან და ჭუჭრუტანებიდან მისი სრულყოფილი აღქმა შეუძლებელია. ამიტომაც ბოლომდე ვერავინ ჩაწვდა უფალი იესოს კაც-ღვთაებრივი მოღვაწეობის აზრს. რაკიღა მავანთათვის მიუღებელი აღმოჩნდა მაცხოვრის ჭეშმარიტი ვინაობის ამოცნობა და დადგენა, ამდენად მისი პერსონალური გაყალბების ყოველი მცდელობა კრახით დასრულდა. ისტორიული მუხთლობისა და ცრუობის ჟამთააღწერილობისთვის, მასთან ერთად, აგრეთვე მოუხელთებელი აღმოჩნდამოყვასის სიყვარულის სანუგეშო ღვაწლი დაგანცდაც, რის გარეშე, ნებისმიერი ჩვენთაგანიუძლურია, საკუთარი მორალური თვითშეგნებისა, თუ ქცევის შესაბამისად, გახდეს ჭეშმარიტი ქრისტესმიერი სულიერი ძმა და გულისხმიერი მეგობარი; „ვაი, თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომცათა სასუფეველს კეტავთ ადამიანთა წინაშე, რადგან არც თქვენ შედიხართ და არც შემავალთ უშვებთ“

(მათე 23,13).უისტორიო წარსული, თავისბნელ, არაცნობიერ, მისტიურად აღმატებულ მითიურწარმოსახვაში, ამოუწურავი შთაგონებებით გაჟღენთილ-გაჯერებული იმპულსის მადლით და ძალით განასახიერებს აბსოლუტური სულის ღვთაებრივი ერთიანობისა და საყოველთაობის მეტაფიზიკას, რაშიც თითოეულ, ნებისმიერ ჩვენთაგანს, თავისი ცხოველმყოფელი „მე“_ს უკვდავი, დაუშრეტელი განცდა-მგრძნობელობით, უდევს უნიკალური, განსაკუთრებული და განუმეორებელი წილი.

თავი III_სიცრუის სიბრძნის
პოზიტიური და ნეგატიური დიალექტიკა

/თუკი სიკვდილამდე ერთხელაც არ გეყო გამბედაობა,
რათასაქვეყნოდ გეღიარებინა, რომ მთელი
ცხოვრებასიცრუეშიგაგიტარებია,სიმართლის
თქმის უკანასკნელი შესაძლებლობაც დაგიკარგავს!/

სიცრუისფენომენისსისტემურიანალიზი, ანმისიცალკეაღებულიპრობლემისსახითდასმა,იმდენადიშვიათიპრეცენდენტიგახლავთ, რომჩვენთვისხელმისაწვდომენციკლოპედიურლექსიკონებსა, თუფილოსოფიისისტორიულნარკვევებშიპრაქტიკულადარგვხვდება, თუმცაამისმიუხედავად, გარკვეულიგამონაკლისიმაინცგვაქვს, თუმხედველობაშიმივიღებთუდიდესიქართველიფილოსოფოსის, შალვანუცუბიძისერთ-ერთმნიშვნელოვანსამეცნიეროგამოკვლევას, სადაცწარმოდგენილიქნაჩვენიფასდაუდებელი, სიტყვაკაზმულიმწერლობისდიდოსტატის,სულხან-საბაორბელიანისმეტადორიგინალურიფილოსოფიურიკონცეფციისმონახაზი, იგავ-არაკთაკრებულზე_„სიბრძნე-სიცრუისა“_დაყრდნობით. თავის დროზე, აღნიშნული

პრობლემის დასმას მივუძღვენით ორი პუბლიკაცია: „სიცრუის ფენომენი სოციალური ცნობიერების ტექნიკური გაუცხოების პროცესში“ და „„სიბრძნე-სიცრუისას“ფილოსოფიური საზრისის საკითხისათვის“.საერთოდ, სიცრუისცნება, სხვადასხვაპერიოდისავტორიტეტულფილოსოფოსებში,ასოცირდებოდაეთიკურიშინაარსისდებულებებთან,
ხოლოდანარჩენად,მისიპრინციპულიგამიჯვნალოგიკურიმცდარობისადაშეცდომისა განარდაფიქსირებულა.ზემოდთქმულიმაინცარგვაძლევსსოფისტებზეგვერდისავლი სუფლებას, ვინაიდანისინიპირველებიიყვნენ, ვინცყურადღებამიაქციესადამიანურინებისყოფისფაქტორს,
რასაცშემეცნებისმთელიმიზნსწრაფვა,
თვითგნოსეოლოგიურიჭეშმარიტებისჩათვლით, დაუქვემდებარეს.
სოფისტებმასაფუძველიჩაუყარესისეთმეცნიერებებს, როგორიცაარიტორიკა (დაამუშავესარსებითისახელის, ზედსართავისახელის, სქესების, ზმნებისსაკითხები) დასტილისტიკა. მათშემოიღესდიალექტიკა, როგორცდავის, კამათისხელოვნება, სადაცმთავარიყურადღებაექცეოდაარააზრისჭეშმარიტებასდაშინაარსს,არამედფორმას, როგორცაზრისგადაცემისხერხს. სოფისტებისმიზანიიყოისეთიხერხების შემუშავება, რომელთაგამოყენებით, ყოველპიროვნებასუნდაშესძლებოდაიმაზრისდასაბუთება,
რომელიცმისთვისსასარგებლოიყო.
მთავარიიყოხალხზეგავლენისმოხდენადაარაობიექტურიჭეშმარიტება.
სწორედამისგამოსოფისტიკა არა მარტო ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ კულტურის სხვა სისტემებშიც დამკვიდრდა როგორც კამათის, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანისა და მოტყუების რაფინირებული ტექნოლოგია. რომლის ნიმუშსაც ყველაზე კარგად განასახიერებს ე. წ. აპორიები, ანუ პარადოქსები. სოფისტური აპორეტიკის ფონზე ნიშანდობლივია მეგარელთა სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ევბულიდე მილეტელის „ცრუს“ანტინომია, ეს აპორია მეტად საინტერესო თემას შეადგენდა ანტიკურ მწერლობაში; მის შესახებ თეოფრასტეს სამი წიგნი დაწერია, ხრიზიპოსს ათი, ხოლო ერთ-ერთი ფილოსოფოსი კიდეც გაგიჟებულა ამ პრობლემასთან ჭიდილში(9_130).აი,სიცრუის ერთ-ერთიტიპიური ნიმუში ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით__თუკი ასეთი სახის პრობლემასაც შეეძლო ვინმეს, მითუმეტეს ფილოსოფოსის გაგიჟება, მაშინ მანამდე, ასეთი ემოციების პატრონი, როგორ გადაურჩებოდა ბევრად უფრო მძაფრი და საჭირბოროტო ცხოვრებისეული პრობლემების გროვას? ამ ანტინომიის ანალოგიით თავისუფლად შეგვიძლია, დილემური კვანძის მოცულობა გავზარდოთ და გავავრცელოთ მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების მასშტაბებზე, მით უფრო იმის

გათვალისწინებით, რომ ტექნიკური გაუცხოების პროცესში, პარადოქსულ აზრებსა და მდგომარეობებს სულ უფრო მეტი დატვირთვა ეკისრება.
უკეთესი თვალსაჩინოების მიზნით, გავიხსენოთ დიოგენე ლაერციუსის გადმოცემის მიხედვით, აღნიშნული ლოგიკური პარადოქსი: „კრეტელი ამბობს_ყველა კრეტელი ცრუობს,“(118_144),რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ცრუობს,მაშინ მართალს ამბობს, ხოლო თუ მართალს ამბობს, მაშინ ცრუობს. ადამიანთა, და მათ შორის ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი, მსგავსი ტიპის პარადოქსებს სიტყვების ოინბაზურ ჟონგლიორობად აღიქვამენ, ისე რომ სერიოზულად მათი გააზრების სურვილსაც არ გამოხატავენ. იქნებ ამგვარმა ზერელე მიდგომამაც განაპირობა, დროთა განმავლობაში, სოფიზმების სალანძღავი მნიშვნელობით დამკვიდრება საჯარო პოლემიკებსა თუ გაცხარებულ დისკუსიებში. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ სოფისტების არაჯანსაღი შეფასების საკითხში ლომისწილი მიუძღვით სოკრატეს, პლატონსა და არისტოტელეს,რითაც თავიანთი ზოგადსაკაცობრიო ღვაწლის მიუხედავად, ცოტათი მაინც ავნეს ფილოსოფიური აზრის განვითარებას. თავისი უვარგისი ნაყოფი ამან იმ მხრივ გამოიღო, რომ გვიანი ანტიკურობისა და შუა საუკუნეების თავისუფალი შემოქმედების შეფერხებაზე, ასევე თეორიული ცნობიერების დეკადანსის გახანგრძლივებაზე, ერთგვარი წამახალისებელი ზეგავლენა მოახდინა.სოფისტების სახელები, სამწუხაროდ, დღემდე ასოცირდება ცრუპენტელობასთან, ანგარებასთან და სხვადასხვაგვარ უზნეობასთან. მაგალითად,ყური იმდენად მიეჩვია დემაგოგიის ტერმინის გამოყენებას სიტყვიერი შეურაცხყოფის მასალად, რომ ოპონენტთა სიძულვილის ენით მოხსენიებაში ბადალი ლამის არ მოეპოვება. თავის დროზე, დემაგოგია და ერისტიკა რიტორიკული მჭევრმეტყველების განუყოფელი ელემენტი გახლდათ, რომელიც ათწლეულების მანძილზე მუშავდებოდა და იხვეწებოდა ორატორული ხელოვნების საუკეთესო მასწავლებელთა მიერ.ახლა, როცა გააფთრებული კამათის მსვლელობისას, დაპირისპირებულ მხარეებს არგუმენტები შემოელევათ, თავიანთი სისუსტის დასაფარავად, გადადიან ურთიერთშეურაცხმყოფელ მიმართვებზე და სწორედ მაშინ იყენებენ მას. სინამდვილეში, სოფისტები ანტიკური სამყაროს ერთერთი პიონერები იყვნენ, ვინც უშიშრად და გაბედულად თვალი გაუსწორეს სიცრუეს, რითაც ბევრად უფრო მართალნი აღმოჩნდნენ მათთან შედარებით, ვინც ყბადაღებული, უსაგნო ჭეშმარიტების დეკლარირებითა და სიქველე-სათნოების ქედმაღლურად მყვირალა პროპაგანდით, მთელ საზოგადოებას აბრიყვებდნენ და თვალში ნაცარს აყრიდნენ.სოფისტებმა ისიც ძალიან კარგად უწყოდნენ, თუ რაოდენ დიდი საფიქრალის გაჩენა შეეძლო სიცრუეს, ბევრად მეტად, ვიდრე ვინმეს ეს სიტყვების თამაშისა და გართობის მიღმა ნაკლებად წარმოუდგენია, რომ სიცრუის პარადოქსები

რეალური მოვლენების, ცოცხალი ადამიანური ურთიერთობების შინაგან კანონზომიერებათა ამსახველი სიძნელეები, გადაულახავი წინააღმდეგობებია, რომ მათგან წარმოქმნილი დილემების გაცნობიერება და გამოაშკარავებააუცილებელია თავისუფალი აზროვნების ხალხში გავრცელებისა და უწყვეტი განვითარებისთვის. სხვათა შორის, სოკრატე, რომელიც სოფისტების აუგადმოსახსენებლად და საზოგადოებრივ ჩირქსაცხებად ძალ-ღონეს არ იშურებდა, შესაშური წარმატებით იყენებდა დიალოგის, იგივე კამათის დიალექტიკის, სოფისტური ტექნოლოგიისა და საბრძოლო არსენალის შესაძლებლობებს ისევ მათ საწინააღმდეგოდ, ამიტომაც, როგორც მიიჩნევს მოსე გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორიის მკვლევართა უმეტესობამ მას მემარჯვენე ფრთის სოფისტის კვალიფიკაცია მიანიჭეს. თვითშემეცნების ორაკულური სიბრძნის მიმდევარ სოკრატეს გიგანტური ნებისყოფის სიმტკიცე და დაუდგრომელი მიზანსწრაფვა საკუთარ მოწინააღმდეგეებთან უკომპრომისო ბრძოლაში, საბოლოოდ დასრულდა იმით, რომ არცოდნის გაცნობიერების მოლიპული საფეხურიდან ნაბიჯი წინ ვერ წადგა და პოზიტიურ ცოდნამდე მაინც ვერ ამაღლდა.

სიცრუის, როგორც სოციალური ურთიერთობების უმთავრესი დეტერმინანტის გნოსეოლოგიური და ეთიკური განსაზღვრების ლოგიკური თანაფარდობა დაგვეხმარება სოციალური ცნობიერებისტექნიკური გაუცხოების ისტორიულად დამკვიდრებული მექანიზმის უკეთ გარკვევაში.**საერთო თვალსაზრისით, სიცრუე გახლავთ, სიტყვიერი გამოსახულების, ანუ ნათქვამის, ერთიმხრივ, აზრთან და ჩანაფიქრთან, ხოლო მეორე მხრივ, საგნობრივ ვითარებასთან, ანუფაქტობრივ მდგომარეობასთან განზრახ შეუსაბამო მდგომარეობა.**ფორმალური ლოგიკის თანახმად განმარტებული ჭეშმარიტება და მცდარობა იოლად შეიძლება გადავაკეთოთ სიმართლისა და სიცრუის განმარტებებად, თუ ამ განმარტებებს დავურთავთ შეგნებული განზრახვით მოტივირებულ როგორც ჭეშმარიტებას, ასევე მცდარობას. ეს განხორციელდება ასეთნაირად: „თხრობითი წინადადებით გამოხატული მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ როდესაც იმგვარად ადასტურებს, ან უარყოფს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას, ან განუხორციელებლობას, რომ იგი მართლაც სინამდვილეში შეესაბამება არსებულ საგნობრივ ვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა მცდარია”(23_4).**თხრობითი წინადადებით გამოხატული მსჯელობა სიმართლეა, მაშინ როდესაც იმგვარად ადასტურებს, ან უარყოფს რაიმე საგნობრივი ვითარების განხორციელებას, ან განუხორციელებლობას, როგორც საკუთარი წარმოდგენის საფუძველზე მიიჩნევს, ან რაშიც შინაგანად დარწმუნებულია მსჯელობის სუბიექტი__მთქმელი, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად შეესაბამება მისი ნათქვამი სინამდვილეში არსებულ საგნობრივ ვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში__თუ მსჯელობა შეგნებულად, განზრახ არ გამომდინარეობს მთქმელის წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი შინაგანი რწმუნებულებიდან,**

დამოუკიდებლად იმისა, შეესაბამება თუ არანათქვამი სინამდვილეში არსებულ საგნობრივ ვითარებას__სიცრუეა.

აქედან თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავსებით დასაშვებია,ვინემ ისეთნაირად იცრუოს, რომ ამით თქვას ჭეშმარიტება, ხოლო მართლის ნათქვამი მცდარი აღმოჩნდეს. მაგალითად, ხშირად ხდება, როდესაც მავანი უარს ეუბნება მეზობელს, ამხანაგს, ან ნათესავს, გაჰყვეს საკუთარი ავტომობილით შორეულ მანძილზე, იმიტომ, რომ უბრალოდ ეზარება თავის შეწუხება, ან ზედმეტად უფრთხილდება თავის მანქანას, მაგრამ მიზეზად ასახელებს ამა თუ იმ დასახელების მექანიზმის მწყობრიდან გამოყვანას; ამ დროს პატრონისთვის სრულიად მოულოდნელად, შეიძლება აღნიშნული ნაწილი რეალურად აღმოჩნდეს დაზიანებული. ასეთ შემთხვევაში, ე.წ. სიცრუის ჭეშმარიტების შესახებ, ეცოდინება მხოლოდ მას, ან იშვიათ შემთხვევაში იმასაც, თუ ვინმეს გაუმხილა ამის შესახებ. საერთოდ, მართლის მთქმელი ბევრად უფრო ხშირად ცდება, ვიდრე ტყუილის მთქმელი თავისდაუნებურად ამბობს ჭეშმარიტებას, რაც იმდენად ნათელი და უეჭველია, რომ თვით ქართულ ბიბლიად წოდებული ვეფხისტყაოსნის ავტორმაცკი, მართლის თქმის მსურველებს ღრმა ფილოსოფიური აფორიზმით მოუწოდა განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების."სიცრუის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური განმარტება უშუალოდ ერწყმის მორალურ შეფასებას, რადგანაც აქ იმთავითვე ადგილს იჭერს სუბიექტის ნებაზე დამყარებული შეგნებული და მიზანდასახული განზრახვა სხვათა მოტყუების შესახებ, რაც ეთიკური ნორმების დარღვევად აღიქმება და ექვემდებარება გასაკიცხ ქცევათა კატეგორიას. მოყვანილი აფორიზმიდან ისიც ჩანს, რომ ზოგჯერ სიმართლის არ თქმის, დამალვის, დუმილის გზით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი სასარგებლო საქმეების მოგვარება, რომელიც უზნეობად არ ჩაითვლება, მაგრამ ეს დამოკიდებულია სიტუაციებზე. მორალის პოზიციებიდან დღემდე მიმდინარეობს დავა__სიმართლის არ თქმისა და სიცრუის ურთიერთგაიგივების შესახებ. მაგალითად, კანტი თვლიდა: „ადამიანებიერთმანეთსგაექცეოდნენ, თვითოეულისგულიდასულისთქმარომდაფარულიარიყოს;"ფრანკლინისთვის საიდუმლოს შენახვა იმდენად ამაღლებული, არამიწიერი ნებისყოფის უნარის გამოვლინებაა, რომ მისი შენახვა მოკვდავთაგან ვერც კი წარმოედგინა: „სამსშეუძლიასაიდუმლოსშენახვა, თუ 2 მათგანიმკვდარია."

სიცრუის ინტენსივობა და მასშტაბები განსაკუთრებით იზრდება ფუნდამენტური სასიცოცხლო მოთხოვნილებებისა და სოციალური ინტერესების კრიტიკული საჭიროების პროცესში, რაც კარგად ჩანს ოტო ფონ ბისმარკის სიტყვებში: „ადამიანებიიმდენსარასდროსარცრუობენ, როგორცნადირობისშემდეგ, ომისდროს ,ანარჩევნებისწინ". თეოდორ დოსტოევსკი, უსაფუძვლოდ როდი ამტკიცებდა სიცრუის მეთოდოლოგიური ფუნქციის აუცილებლობას სიმართლის მიმართ: „იცითკი, რომსიმართლემუდამდაუჯერებელია? სიმართლერომდასაჯერებელიგახდეს, უთუოდტყუილიუნდაშეურიო."(57_Posted by galomani).ჩვენი პოზიცია, სიმართლის არ თქმისა და სიცრუის გაიგივების

საკითხში, ემყარება ლოგიკური თავსებადობის ფორმალურ პრინციპს, რომლის თანახმად, დუმილთან შედარებით, სიმართლის დამალვის, ართქმის ეფექტური ხერხი გახლავთ ტყუილის თქმა. თუმცა დუმილიც, როდესაც შეგნებულად არ ამბობ იმას, რაც იცი და რაც, ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, დამნაშავის წისქვილზე ასხამს წყალს, ისეთივე უზნეობა და დანაშაულია, როგორც ნებისმიერი მძიმე სახის ბოროტმოქმედება, ხოლო ის, ვინც დუმს, დამნაშავის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების თანამონაწილეა.თავის უკვდავ რომანში, „ძმები კარამაზოვები“, თეოდორ დოსტოევსკი დიდი ინკვიზიტორის პირით ასახელებს სამ ძალას, რომელსაც შეუძლია სამარადჟამოდ დაამარცხოს და დაიპყროს „უნებისყოფო მოჯანყეთა“სინდისი. ეს ძალებია: სასწაული, საიდუმლოება და ავტორიტეტი, ის, რაც იესომ თავისი პირადი ცხოვრების მაგალითით უარყო და ის, რაზეც შემდეგში დაფუძნდა მისი სახელით ეკლესიის მთელი ძალაუფლება. „სულიერმა მამებმა,“რომლებმაც კარგად უწყიან უფლის მიერ დაკისრებული თავისუფალი არჩევანის უზარმაზარი ზნეობრივი ტვირთის პასუხისმგებლობის მთელი სიძნელე, რასაც ადამიანთა უძლური უმრავლესობა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს, მათი მდგომარეობისშესამსუბუქებლად, შეიმუშავეს „აღსარების საიდუმლოების“უნიკალური მეთოდი, რითაც ცოდვილ სულებს ოსტატურად ათავისუფლებენ ულმობელი და სასტიკი სინდისის ქენჯნისაგან; აღსარება-მონანიების მეშვეობით გამჩატებული და ნუგეშცემული მრევლიც ისეთნაირად ემალება უფალს ღვთისმსახურის ანაფორის კალთებში, როგორც ძერას_კრუხის ბუმბულქვეშ გატრუნული წიწილა.

ამგვარად ხორციელდება, უფლის სახელით, უფლის განდევნა აღმსარებლის სულიდან, ეკლესიური შუამავლობის მეოხებით. კლერიკალური პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული დიდი ინკვიზიტორი კი, ნიშნისმოგებით უცხადებს მის წინაშე მდგარ იესოს: „იმის ნაცვლად, რომ თავისუფლებას დაპატრონებოდი, შენ მას თავისუფლება გაუზარდე. ნუთუ დაგავიწყდა, რომ ადამიანს სიმშვიდე და იქნებ სიკვდილიც ურჩევნია კეთილსა და ბოროტს შორის თავისუფალი არჩევანის გამოტანის შესაძლებლობას?!“(10_334).აღსარების საიდუმლოების შესახებ გაორებულ მიდგომას არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი სიბრძნით აძლიერებს ნეტარი ავგუსტინე:„მაგრამ აღსარებაც რომ არ მეთქვა შენთვის, უფალო, განა რაიმე დაემალებოდა შენს თვალს, რომლისთვისაც „არა არის რა დაფარული, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გამოაშკარავებული, თვით უფსკრულიც კი ადამიანის სინიდისისა? შენ შეიძლება დაფარული იყო ჩემთვის, მე კი ვერსად დაგემალები. და ახლა, როცა ჩემი გმინვა თვალნათლივ მოწმობს, რომ აღარად მიმაჩნია ჩემივე თავი, ათასწილ უფრო მეტად ბრწყინავ, სიტკბოებავ და სინათლევ ჩემო, რათა მიყვარდე და დაუოკებლად ვილტვოდე შენსკენ; რათა სირცხვილმა დამწვას, უარვყო ჩემი თავი და მის სანაცვლოდ შენ აგირჩიო, რომ მხოლოდ შენით მომწონდეს თავი და მოსაწონი ვიყო შენთვისაც. როგორიც უნდა ვიყო, უფალო, მთლიანად შენს წინაშე ვდგავარ; უკვე გითხარი, რა ნაყოფსაც მოველი ამ ჩემი აღსარებიდან, რომელსაც ხორციელი ხმითა და სიტყვებით როდი გეუბნები,

არამედ სულის სიტყვებითა და ფიქრთა ღაღადისით, რასაც აღიქვამს შენი სასმენელი. როდესაც უკეთურება მომჭარბდება, მთელი ჩემი აღსარება შენდამი ისაა, რომ თვითონვე არ მომწონს ჩემივე თავი, ხოლო როცა სიკეთე მძლავრობს ჩემში, აი, ჩემი აღსარება შენდამი: ჩემს თავს როდი მივაწერ ამას, რადგანაც „შენ აკურთხებ მართალს, უფალო,“ მაგრამ მანამდე „შენვე უჩვენებ სიმართლის გზას იმას,“ ვინც ადრე ცოდვილი იყო. ჩემი აღსარება შენს წინაშე მდუმარეცაა და დაუდუმებელიც. დუმს ენა, მაგრამ ღაღადებს გული. არ არსებობს ისეთი წრფელი სიტყვა, ხალხს რომ ვუთხრა და უმალ შენ არ ისმინო, და არც რა გსმენია ჩემგან ისეთი, უმალ შენ რომ არ გეთქვას ჩემთვის“(80_www.orthodoxy.ge).

აღსარების საიდუმლოებასთან დაკავშირებით, საგანგებოდ შერჩეული ანალიტიკური კითხვარების მეშვეობით გავესაუბრეთ არაერთ სასულიერო პირს; კითხვარის არსი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად__როგორ უნდა მოიქცეს მოძღვარი იმ შემთხვევაში, როდესაც აღმსარებელი პირი მის წინაშე აღიარებს ისეთი უმძიმესი დანაშაულის ჩადენის ფაქტს, რაშიც მის მაგიერ ბრალდება დააკისრეს სრულიად უდანაშაულო პიროვნებას, ვისაც სასამართლომგამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი, რომელიც უახლოეს ხანებში უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში?__ცალსახად ერთმნიშვნელოვანი პასუხი სასულიერო პირებმა აღნიშნულ კითხვას ვერ გასცეს. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ მათ შორის ყველაზე განსწავლულმა, ფილოსოფიურად მოაზროვნე ნაწილმა გულახდილად აღიარა გადაულახავი რთული დესტრუქციული დილემისვითარება, რომლის გადაწყვეტაც მთლიანად მოძღვრის თავისუფალ სინდისზე იქნებოდა დამყარებული. ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამეც თქვა: „მართალია, სჯულის კანონით სასტიკად გვეკრძალება წმინდა საიდუმლოების გაცემა, მაგრამ უდანაშაულო ადამიანის დასახსნელად, მზადა ვარ დავარღვიო აღთქმა, ამის მერე ავიყარო სასულიერო პირის ყველანაირი რეგალია,წოდება, უფლება და როგორც ერთ-ერთმა რიგითმა ცოდვილმა, მკაცრად ვაგო პასუხი უმაღლესი სამსჯავროს წინაშე.“არაგულწრფელი პასუხებიდან ძირითადად ჭარბობდა მსგავსი დილემებისგან საგანგებოდ დამუშავებული თავისდაღწევის ხერხი, რომლის დედაარსიც და პათოსიც დაახლოებით ასეთი იყო: „აღსარების საიდუმლოება წმინდა, შეუვალი სჯულის კანონია, რისი დარღვევაც სულიწმიდის გმობის ტოლფასია, ამიტომაც თუ რომელიმე მამაო გაფიქრებითაც კი დაუშვებს ამას, ის განკვეთილ უნდა იქნეს წმინდა სინოდის მიერ. ასეთ დროს, ყველა სასულიერო პირი ვალდებულია აღმსარებელს შთააგონოს ჩადენილი დანაშაულის აღიარება და დაარწმუნოს ის, რომ უფლის წინაშე ამ აღიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ამის მერე მან უნდა გააძლიეროს ლოცვა, რათა ღმერთმა გონება გაუნათოს დამნაშავეს და შეაძლებინოს სიმართლის თქმა. მოძღვარი, რომელიც უმტკიცესი და უეჭველი რწმენით არ გამოირჩევა, წარმოადგენს, არა ზეციური მწყემსის კუთვნილ ფარაში ერთ-ერთ უბრალო, უწყინარ კრავს, არამედ ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს; ჭეშმარიტი რწმენის მქონე მოძღვარს კი ყოველთვის უნდა სწამდეს უფლის კეთილმოწყალების, რომელიც გულმხურვალე ლოცვა-ვედრების მიმართ არასოდეს არ რჩება გულგრილი; თუ მაინც ვერ გაჭრა მისმა ცდამ,

მონდომებამ და დამნაშავეში არ აღიძრა სიმართლის გამხელის წყურვილი, მაშინ გამოდის, რომ მნიშვნელოვანი რაღაც მაინც დააკლო, რაკიღა ვერ შეძლო აღმსარებლის სიკეთის გზაზე დაყენება. ამ შემთხვევაში, მოძღვარმა სხვისი და საკუთარი უბედურების მიზეზი ისევთავისავე რწმენის სისუსტეში უნდა იპოვოს, რათა გამუდმებითიღვაწოს შეჭირვებულთა, უმწეოთა სანუგეშოდ და გასამხნევებლად.“არსებული დილემის გადაწყვეტის სხვადასხვა რეცეპტის გადამოწმება-განსჯა უმჯობესია მკითხველს მივანდოთ, თუმცა ერთი მაინც უნდა ვთქვათ უეჭველი რწმენის სიმტკიცეში თავდაჯერებული სამღვდელოების მიმართ__ნუთუ რომელიმე მათგანს მართლა ჰგონია, რომ თუნდაც იოტისოდენ, მდოგვის მარცვლის ტოლფარდ რწმენას ფლობს, რითაც უზარმაზარი მთების დაძვრაა შესაძლებელი?__უკეთუ ეს კარგად უწყიან, მაშინ ნუღარავის დაუმალავენ: ლოცვა, მოწყვეტილი საქმის კეთებისგან, უკეთურობის მომასწავებელია.

საქართველოს ისტორიის ერთერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი გახლავთ ბერი თევდორეს გმირობა, რომელიც განუყოფელ კავშირშია სიცრუის პოზიტიური დანიშნულების მოვლენასთან.გავრცელებული შეხედულებით, სიცრუის მორალური აკრძალვის იმპერატიულ მოთხოვნას რატომღაც ათი მცნების საერთო სულისკვეთების კონტექსტში წარმოაჩენენ. კერძოდ, საკითხი ეხება მეცხრე მცნებას__„არაცილისწამომოყუასსაშენსაწამებითაცრუჲთა.“მართალია, ცილისწამება სიცრუის უარყოფით ნაირსახეობას განეკუთვნება, თუმცა სიცრუის ზოგად ცნებასთან მისი გაიგივება სწორი მაინც არაა, ვინაიდან ცილისწამების გარდა, არსებობს სხვა სპეციფიკის ნეგატიური და პოზიტიური ფორმაც, რომელიც თავისი წარმომავლობით სიცრუის გამოხატულებაა. ბერი თევდორეს გმირობა ემყარება სიცრუის პოზიტიური გაგებისა და პრაქტიკული გამოყენების საფუძველს, რასაც თავდაცვითი დანიშნულება გააჩნია. ამ გზით მოწამეობრივად აღსრულებულმა ბერმა არა მარტო გადაარჩინა ქართლის მეფის ლუარსაბის ხელშეუხებლობა, არამედ იხსნა ქვეყანა მტრის მორიგი მაოხარი ლაშქრობისაგან. მადლიერმა ერმა მას დამსახურებულად მიანიჭა გმირის წოდება, ხოლო ქართულმა სამღვდელოებამ ასევე სამართლიანად წმინდანად შერაცხა. გზააბნეული ოსმალო დამპყრობლების თვალში კი ბერი თევდორე იყო მატყუარა, რომელმაც იცრუა როგორც მტრის, ისე ქრისტიანული სჯულის კანონის წინაშე, რადგანაც მათი ცნობით, ქრისტიანული მოძღვრებისთვის სიცრუე ყველა შემთხვევაში მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩათვლილიყო. სწორედ ამ აზრმა უბიძგა მათ მეგზურობის არჩევანიბერისთვის დაეკისრებინათ, რაკიღა მას ღვთის მიმართ საერო პირთაგან განსხვავებული პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა და ტყუილის თქმა ვერ უნდა გაებედა. სინამდვილეში ბერი თევდორე ცამდე მართალი იყო იმაში, რომ მან მტრის წინაშე იცრუა; ასე თუ არ მოიქცეოდა, მაშინ ის მტყუანი იქნებოდა ღვთის, ერის, ბერისა და საკუთარი სინდისის წინაშე. მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს კრეტელის

„ცრუს“პარადოქსის ცოცხალი შინაარსით გამყარებას; რაც ფორმულირდება შემდეგნაირად: ვინც მტერს მოატყუებს, ის მოყვასისთვის მართალიდა პირნათელი იქნება.

აღწერილი ნიმუშები იძლევიან სიცრუის სიბრძნის პოზიტიური და ნეგატიური დიალექტიკის პრობლემური განხილვის ხელსაყრელ საშუალებას. როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორიაში აღიარებულია დიალექტიკის ორი სახეობა: პოზიტიური და ნეგატიური დიალექტიკა. მკვლევართა უმეტესობა მათ ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებს ანიჭებს, რადგანაც პოზიტიური დიალექტიკის კონცეფციას ისინი აღიქვამენ წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებებისადმი დადებით დამოკიდებულებად, ხოლო ნეგატიური დიალექტიკა ესმით პირიქით. პოზიტიური დიალექტიკის გამოკვეთილ წარმომადგენლებად ანტიკური პერიოდიდან თანამედროვეობის ჩათვლით მიჩნეული არიან ჰერაკლიტე და ჰეგელი, ხოლო ნეგატიურისა__ძენონი და კანტი(2_70;71).ის ფაქტი, რომ ორივე მხარე ცნობს რეალური ცვალებადობა-მოძრაობის, განვითარების, წინააღმდეგობა-დაპირისპირების არსებობას, ცხადად თუ მოჩვენებითად, სავსებით საკმარისია მათი მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანმსაზღვრელი განპირობებულობისათვის, თუმცა ეს არ გვაძლევს, მათ კანონონიერ კომპეტენციებს შორის, ყოველგვარი სადემარკაციო ხაზისმოხსნისუფლებას. სიცრუის პარადოქსებთან მიმართებაში პოზიტიურად ჩაითვლება ისეთი სახის ტყუილი, რომელიც განისაზღვრება ზნეობრივი ღირებულების შესანარჩუნებლად წარმართული და საზოგადო კეთილდღეობის დასაცავად გამართლებული ექსისტენციალური შიშით. ეს უკანასკნელი, ცხოველური, ბიოლოგიური შიშისგან განსხვავებით, ამაღლებულია ვიწრო ეგოისტურ მისწრაფებებსა და ინტერესებზე, რაც ნათელი, ჭეშმარიტი იდეალებისთვის გაღებული მსხვერპლის საფასურით იწონება. რაც შეეხება ბიოლოგიური შიშისგან გამოწვეულ, პირადი უსაფრთხოების დასაცავად გამოთქმულ ტყუილს, მხოლოდ იმ პირობით მივიჩნევთნეგატიურად, თუ აღნიშნული უსაფრთხოების გარანტიებს შეეწირება უდანაშაულო ადამიანთა უსაფრთხოების ინტერესები. აღწერილი მაგალითებიდან სახეზე გვაქვს ერთიც და მეორეც.

აღსარების საიდუმლოების შენახვა, დამნაშავისთვის რეალური ხელშეწყობისა და უდანაშაულო პირის დასჯის გამომწვევი დუმილის მიზეზით, შეირაცხება ნეგატიურ, დანაშაულებრივ სიცრუედ. დუმილისა და გაჩუმების გზით დამალული, მოპარული სიმართლე, რომელიც უდანაშაულო მსხვერპლის უბედურების ფასად ჯდება, ყველაზე საზიზღარ ვერაგობას უდრის, ამიტომაც იგი სიცრუის ყველაზე

უარესი კატეგორიაა. ასეთი სიცრუე აუტანელი და შეუწყნარებელია იმის გამოც, რომ იგი ინიღბება ცრუ პასუხისმგებლობისა და ღვთისმოსაობის ნიღბით. სწორედ ასეთი ტიპის მოძღვარნი გვევლინებიან ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებად, რომელთა ფარული ზრახვა და საქმიანობა წარმოადგენს არა ღვთისადმი უანგარო, კეთილსინდისიერ მორჩილებასა და ღვაწლმოსილებას, არამედ მამონას კულტისადმი მსახურებას.საპირისპირო არჩევანის გამკეთებელი ხალასი გულის ღვთისმსახურები, რომელთაც მხურვალე ფიცი აქვთ დადებული აღსარების საიდუმლოების შენახვის უცილობელ ვალდებულებაზე, თვითონაც საღად ათვითცნობიერებენ მომაკვდინებელი ცოდვისა და წინასწარ გაუთვალისწინებელი სიცრუის აუტანელ საშინელებას, მაგრამ მაინც ჰყოფნით საკმარისი ვაჟკაცობა იმისთვის, რომ თავდაჯერებული რწმენის ყოვლისშემძლეობის ფარისევლურ ნიღაბს არ ამოეფარონ და ზეციური სამსჯავროს წინაშე პირუთვნელი პასუხი აგონ; მანამდე, მათ არანაკლები განსაცდელის გადატანა მოუწევს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთშიც_ოფიციალური ეკლესიური საზოგადოება და მასთან ასოცირებული მრევლი სასტიკად დაგმობს ასეთ საქციელს, თვით საკუთარი ოჯახის წევრებიც შეგნებულადარ შეეცდებიან ფაქტის ძირეულ ახსნასა და გაგებას, გამართლებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი. ისინი ძნელად იპოვიან თანაგრძნობას და მადლიერების ნატამალს თვით იმ უდანაშაულო განსასჯელის უახლოეს მეგობრებსა და ახლო ნათესავებშიც, ვინც სამართლიანობის ზეიმს უნდა დღესასწაულობდეს და ბოროტების კლანჭებიდან თავდაღწეულ სამსხვერპლო ზვარაკს სიხარულით აძგერებულ გულში იკრავდეს. ადვილი დასაშვებია ისიც, რომ შერჩევითი სამართლის პრინციპით მომართულმა სასამართლომ არაფრად ჩააგდოს ღვთისმსახურის მიერ მიცემული ჩვენება და წინასწარ გამიზნული განაჩენი ძალაში დატოვოს. ნაცვლად მადლიერებისა და საქებარი ეპითეტებისა, შეუსმენელი ოპონენტები, უდანაშაულოდ ბრალდებული გულშემატკივრების ჩათვლით, მაქსიმალურად ეცდებიან თავიანთიეჭვების გასამყარებლად, კეთილისმყოფელ სუბიექტს საქვეყნოდ ცილი დასწამონ ათასგვარ ანგარებასა დაქვეგამხედვარობაში. საბოლოოდ, უდანაშაულო მსხვერპლის გადასარჩენად დარღვეული უზენაესი აღთქმა და ფიცი მთავრდება მხსნელის ჯოჯოხეთური, დაუმსახურებელი დასჯის ტრაგიკული ფინალით. ერთი უდანაშაულო მსხვერპლის გადარჩენის უანგარო ლტოლვა და ძალისხმევა, ორივეს თუ არა, მეორეს მაინც შეიწირავს, თანაც ისე, რომ თუკი პირველის უდანაშაულობაში დარწმუნებულია მტერიც და მოყვარეც, სამაგიეროდ, მეორე რჩება ყოველგვარი თანაგრძნობისა და გულშემატკივრობის გარეშე, უმადური ხალხის ამარა, რომელთაგან ნაწილი ეძებს ათასნაირი კუდის გამობმის საბაბსა და საფუძველს, ხოლო ნაწილიუაზრობასა და სისულელეს

უწოდებს, ვიღაცის გულისთვის, უტკივარი თავის ატკივებასა და განსაცდელში ნებაყოფლობით ჩავარდნას.

ამ სავალალო პერსპექტივის წინასწარ განჭვრეტა იქნებ რაიმეს შეცვლიდა იმ მოძღვართა ცნობიერებაში, ვისაც შეუძლია, უდანაშაულო ადამიანის გადასარჩენად, საკუთარი ანგარიშვალდებულების, ღირსებისა და წოდებრივი თავმოყვარეობის მომაკვდინებელი საფრთხის პირისპირ დაყენება?_ნებისმიერი მათგანი, ვინც ჩვენისთანა მეთოდოლოგიური სკეპტიკოსებისაგან იმსახურებს ნდობასა და პატივისცემას, მუდმივად ამის მზადყოფნაში არიან, ისინი არასოდეს არ ღებულობენ ბრმა, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, ისინი მაშინაც ჭვრეტენ დიდი ცდომილების გარდაუვალობას, როდესაც ფიცს დებენ სჯულის კანონის აღსრულებაზე. რაკი ჭვრეტენ და ფიცის გატეხვის ალბათობას მაინც უშვებენ, მაშასადამე შეგნებულად ცრუობენ ღვთისა და მრევლის წინაშე. ამის მერე რა გამართლება უნდა ჰქონდეს აღთქმის დარღვევას?__უდანაშაულო ადამიანის დასახსნელად გაღებული მსხვერპლი აუცილებელი არაა ყოველთვის უმანკოებისა და სენტიმენტალიზმის საბურველით შეიმოსოს. თურმე მარტო პოლიტიკა არ ყოფილა ერთადერთი სარბიელი, სადაც ზნეობრივ ქცევას იავარდებით მოფენილი შარაგზა არ ელოდება, ნათელი მიზნისთვის მომართული უღირსი საშუალება, რასაც შეუძლია ორი უბედურებიდან ნაკლებ უარესზე არჩევანის გაკეთება,ნიშანდობლივია ამ ცხოვრების ყველა უბნისთვის და კუთხე-კუნჭულისთვის. რასაც მაკიაველი ამბობდა სახელმწიფოს მეთაურზე, რომ ის თავისი საქვეყნო ვალდებულებით, ვერ უერთგულებს იმას, რის გამოც ადამიანს კაი კაცად თვლიანო, ვრცელდება ყველა სფეროს მუშაკზე, ვისაც რაიმე მისია და ვალდებულება აკისრია საზოგადოების წინაშე; ამიტომაცაა ადამიანი, პოლიტიკური, ანუ საზოგადოებასთან ტყუილების მეშვეობით ადაპტირებული ცხოველი.

ასეთი ხისტი და შეუვალი განსჯის კრიტერიუმებით, თუ თანმიმდევრულობას გამოვიჩენდით, თვალს დავხუჭავდით მეფეზე, ხალხზე, სამშობლოს სიყვარულსა და გმირობის იმ ვრცელ მასშტაბებზე, სადაც პიროვნული ნაკლოვანების ყოველგვარი დასტური ფერმკრთალდება და ქარწყლდება, სადაც უკვე ზნეობრივი დუალიზმის, ანუ ორმაგი ღირებულების სტანდარტებს ნოყიერი ნიადაგი ხვდებათ,თვით ბერი თევდორეს თავდადებასაც გაუმართლებლად ჩავთვლიდით და სიცრუის გამო ბრალს დავდებდით. ის, რომ მან მტერი მოატყუა, ამ ლოგიკით, არსებითად არაფერიიცვლება, რადგანაც ნებისმიერ მატყუარას შეუძლია, სხვადასხვა მიზეზით, მტრად შერაცხოს ყველა, ვის წინაშეც რაღაცის გამო, იძულებულია იცრუოს.დიდაქტიკურ-მორალისტური დოქტრინების ობივატელური აპოლოგიის თანახმად კი, სიცრუის ყოველგვარი გამოხატულებამიუღებელი და დაუშვებელია. ამ

პრინციპის მიმდევრთა შორის, ისეთი საკმაოდ ავტორიტეტული და გავლენიანი მოაზროვნენიც არიან, როგორიცაა პლატონი, რუსთაველი და კანტი.ისინი არაჩვეულებრივად აცნობიერებენ რეალური სიცრუის საყოველთაო ხასიათს, მაგრამ თეორიულად მაინც უშვებენ ისეთნაირ, კრისტალურად უმწიკვლო, ალალმართალი ხალხის არსებობას, ვისაც, მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთხელაც არ უთქვამს ტყუილი. მათთვის სიცრუის სიბრძნეზე დამყარებული ჭეშმარიტება სოფისტიკის მაცდური ფანდია, რომელიც დიდსა პატარას თავგზას აუბნევს და უბედურებას შეამთხვევს. მაშასადამე, მათი შეფასებით:**სიცრუის სიბრძნე არის მეთოდოლოგიურად შემუშავებულ საშუალებათა აზრობრივი ტექნოლოგია, რომელიც ემსახურება კერძო-პიროვნულ, ან კოლექტიურ-ჯგუფურ, პრაგმატული სარგებლობის ინტერესებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მორალურ-ზნეობრივ ღირებულებებთან და კატეგორიულად გამორიცხავს ამ გზით სიმართლის დაცვის შესაძლებლობას.** მოცემულ პოზიციას შეგვიძლია ვუწოდოთ სიცრუის სიბრძნის ნეგატიური დიალექტიკა, თუმცა უფრო სწორი იქნება, დაზუსტების მიზნით, „ნეგატიური დიალექტიკის“ნაცვლად, ვიხმაროთ „დიალექტიკის ნეგატიური ინტერპრეტაცია.“რაც უნდა უარყოფითი ყოფილიყო ხსენებული კატეგორიის მოაზროვნეთა შეხედულება სიცრუის სიბრძნის დიალექტიკის მიმართ, მისი ეფექტური გათვითცნობიერებისა და გამოყენების გარეშე, ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალების დალაშქვრას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ.

სიცრუის სიბრძნის პოზიტიური დიალექტიკის მიმდევარნი, ჩვენი ჩათვლით, სიცრუეს არ უკარგავენ ზნეობრივ ღირებულებებთან მჭიდრო კავშირისა და სიმართლის დაცვის ფუნქციას. ჩვენი გამოკვლევის კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინებით:**ისტორიულ დროში, სოციალურ-ანთროპოლოგიური ცნობიერების ტექნიკური გაუცხოების პროცესში, მეთოდოლოგიური სიცრუის აზრობრივი ტექნოლოგიის მიერ გამომუშავებული ხერხების თეორიული და პრაქტიკულიცოდნის დაუფლების გარეშე, საერთოდ წარმოუდგენელიასიმართლის დამაჯერებლობისა და სამართლიანობის მაღალზნეობრივი იდეალების განხორციელებისთვის წარმატებული ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის ეფექტური გამოყენება.**მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური გერმანული ფილოსოფიის მიერ დამკვიდრებულ ტერმინ „გაუცხოებასთან“ შესაბამისობაში მოყვანილი სიცრუის მეტაფიზიკური საზრისი ასოცირდება გაყალბებული ისტორიული დროის ე. წ. მეოთხე განზომილებასთან, ანუ იგივე ამქვეყნიურ, ჯოჯოხეთურ ჭირ-ვარამთან, რომლის მეშვეობითაც ხდება ნამდვილი წარსულის დავიწყება და ბუნებრივი ყოფიერების არსის იგნორირება, იგი გახლავთ

კანონზომიერი, აუცილებელი და გადამწყვეტი სასიცოცხლო მნიშვნელობის მოქმედი ფაქტორი, სოციალური ცნობიერების მიმდინარე ტრანსფორმაციის შიგნით. ამის გამო, მეტაფიზიკური სიცრუე წარმოგვიდგენია, როგორც სუბიექტის ცნობიერების ტოტალური გაუცხოების ფორმა, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი ყოფიერების მიზანსწრაფულ შეცვლას მოჩვენებით შთაბეჭდილებათა კომპლექსით. იქ, სადაც ცნობიერებას არა აქვს არავითარი სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ თავისთავად არსებული შეცვალოს მოჩვენებით, სიცრუე რჩება შემეცნებისა და საერთოდ, ჭეშმარიტ სიბრძნესთან ზიარების ერთადერთ გზად, რითაც ცნობიერება ამართლებს საკუთარ დანიშნულებას. ამიტომაც არ არსებობს სხვა სიმართლე, თუ არა სიცრუის აღიარება, სხვაგვარად აზროვნება უბრალოდ წარმოუდგენელიცაა. აქედან გამომდინარეობს ერთი შეხედვით უცნაური, თუმცა ლოგიკურად მართებული დასკვნა: იმდენი მოჩვენებითობაა სინამდვილეში, რამდენი ნამდვილობაცაა მოჩვენებითში. შესაბამისად ჭეშმარიტია აზრი, რომელიც სინამდვილეში არ განხორციელებულა. სწორედ ამაში მდგომარეობს წმინდა აზრისა და არსის იგივეობის არსი, რაც ლოგიკურად კიდევ ერთხელ ადასტურებს ღმერთის არსებობას, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია რწმენის გამოხატვა წმინდა აზრის რაციონალურფორმაში. მაგალითად, ნეოპლატონიზმში,პლოტინთან,შემეცნებისპირველისაფეხურიხორციელდებამსოფლიოსულში, რომელიცმოიცავსსამყაროსმთელმრავალფეროვანერთიანობას;ღმერთებიკისხვაარაფერნიარიან, თუარამისიმრავალფეროვანიგამოვლინებები. შემდგომისაფეხურიაადამიანის, - როგორცსამყაროსცენტრისგონება *(νους)*. "ნუს"-ისდონეიგივეა, რაცყოფიერებისდონე, ე.ი."ნუს"-იდა "ყოფიერება", აზრიდამისიობიექტიიგივეობრივნიარიან: ობიექტიიმიტომარსებობს, რომიგიმოიაზრება *(*გააზრებადია*)*, ხოლოაზრიარსებობსიმისათვის, რომობიექტისაბოლოოდინტელექტუალურარსზედაიყვანება. მაგრამესიგივეობრივობაარااბსოლუტური, რამეთუიგიგამოისახება, როგორცერთგვარიორმხრივობა, რომელშიცარსებობასაგრძელებსრაღაც"სხვა" სფეროც. შესაბამისად, იმისათვის, რათამთელისისრულითშევიცნოთ "ერთი,"უნდაავმაღლდეთნუსისდონეზეზემოთ. (66_//library.church.ge/).

რაამოძრავებსცხოვრებას, რაარის ისტორიულიცვალებადობისუმთავრესიმიზეზი? ჰეგელი ამტკიცებს, რომ არსებობსღვთაებრივისული, „მსოფლიოისტორიულისული",რომელიცმუდამმოძრაობაშია. „ბუნებამხოლოდსარკეაამსულის, ამაბსოლუტურიცოდნისა, იმგვარისარკეა, რომელშიაცგამოისახება (გამოიჭვრიტება) სულის, იდეისთვისებამხოლოდ,

როგორცვსთქვით, ესაბსოლიუტურისულიმუდამმოძრაობაშია. დაამ „სულის“, იდეისგანვითარებაიმგვარია, რომიგიერთსადაიმავედროს „ჰოსაც“ ამტკიცებსდა „არასაც“. როდესაციგიჰოსამტკიცებს, ეს „ტეზისის“ დაყენებასმოასწავებს, როდესაც „არას“-„ანტიტეზისის“. მხოლოდ „ტეზისი“ და „ანტიტეზისი“ (ჰოდაარა) ხელმეორედ „ჰოში“-„სინთეზში“ ერთდება. ამგვარაზრის, იდეისგანვითარებასჰეგელი „დიალექტიკურ“ განვითარებასუწოდებს. დაეს „დიალექტიკური“ განვითარებაარისმხოლოდცნებისთვით-განვითარება“(40_1).

ტექნიკური გაუცხოების ისტორიული დროის ფაზებში გამოკვეთილია ყალბი ნუგეშისცემის ნიშნები, რომლებიც სიკვდილის შიშს ზესოციალური, ღვთაებრივი სტატუსით აღჭურვავენ და პრაქტიკული სოციალური გაგებით, ღმერთს განსაზღვრავენ, როგორც შიშის, აპოკალიფსის, რისხვისა და სისასტიკის კონცენტრაციას, საიდანაც მომდინარეობს ბუნებრივ მოთხოვნილებათა უკიდურესი ჩახშობისაკენ მიმართული აკრძალვების სისტემა. ცნობიერების ტექნიკური გაუცხოება სოციალურ ურთიერთობაში ვლინდება და ყალიბდება სასიცოცხლო ინსტინქტების შეზღუდვის შეგნებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რასაც გარეგანი იძულებიდან გამომდინარე, არჩეული კომპრომისის ფაქტი განასახიერებს. ეს არის ტანჯული ადამიანის შიში მოსალოდნელი ხელახალი ტანჯვის წინაშე, რაც ტოტალური აგრესიის ვითარებაში, ერთადერთი და აუცილებელი ატრიბუტია პიროვნულ-ინდივიდუალური კეთილდღეობისათვის. ვინაიდან ყოველგვარი რეალური სინამდვილე ლოგიკური დაპირისპირების კულმინაციურ კვანძთა ერთობლიობაა, იქ იგივეობრივ საგანთა თანაარსებობა საერთოდ გამორიცხულია. ამიტომაც, ცვალებად და წარმავალ ბუნებაში, არ არსებობს არავითარი სიმართლე სიცრუის გარეშე და პირიქით. სულხან-საბა ორბელიანმაც ამ მოტივით დააკავშირა და გააიგივა სიბრძნე სიცრუესთან. ქართული ფილოსოფიის უბადლო მკვლევარი, შალვა ნუცუბიძე, სხვათაგან განსხვავებით, ერთადერთი იყო, ვინც მკაცრი ცენზურისა და დახავსებული კონიუქტურის გათვალისწინებასთან ერთად, მაინც ახერხებდა სულხან-საბა ორბელიანის წიგნის დასათაურებისმეტნაკლებად ზედაპირული ინტერპრეტაციის შეფარულ კრიტიკას, რასაც გვთავაზობდნენ როგორც ცალკეული ქართველი, ასევე უცხოელი კულტურათმცოდნეობის სპეციალისტი. მაგალითად, ერთერთი ასეთი ინგლისელი პროფესორის, დ.მ. ლანგის მიმართ წერდა: „სულხან-საბა ორბელიანი გაცილებით უფრო ღრმა და მრავალმხრივი მწიგმობარ-მოაზროვნეა, ვიდრე ამის გამოვლენა მოხერხდა დღემდე და მის საქმეში მრავალმხრივ გადახლართულია ერთიმეორეში ისეთი ელემენტები, რომელთა დღის სინათლეზე გამოტანა ფაქიზ ანალიზს მოითხოვს. დ. ლანგი მართალი იყო მაშინ, როდესაც, მან სულხან-საბა ორბელიანის წიგნის სათაურს

„საიდუმლოებით მოცული“ უწოდა. აქ საიდუმლოება მართლაც არის, მაგრამ მისი ამოცნობა მარტო ლიტერატურულ-ფილოლოგიური კვლევით არ მიიგნება“(27_250).
ქართველი ფილოსოფოსი სამართლიანად განასხვავებდა წიგნის დასათაურების რამდენიმე პრინციპულად საპირისპირო ვარიანტს,რაც ორი სიტყვის: „სიბრძნისა“ და „სიცრუის“კომბინაციის შედეგია. იგი შეიძლებოდა შემდეგნაირი ყოფილიყო: „სიბრძნე-სიცრუე,“ „სიბრძნე სიცრუისა,“„წიგნი სიბრძნე-სიცრუისა,“„წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა.“ შალვა ნუცუბიძის წამოყენებული ვარიანტებიდან, ნებისმიერი მათგანი ლოგიკურად დასაშვებია, რადგან კომპოზიტს, რომელიც ორივე შემთხვევაშია მოცემული, სიტყვა „ წიგნი“არაფერს მატებს. ამრიგად, მკვლევარის აზრით, დასახელებულ ცნებათა ორი მიმართება: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ და „სიბრძნე-სიცრუისა“ ერთმანეთს სავსებით უპირისპირდება, რაც უკვე გამოდის ლიტერატურულ-ფილოლოგიური კვლევის ფარგლებიდან და ფილოსოფიურ მნიშვნელობას ეზიარება. პირველი ვარიანტი ნიშნავს ნაზავს, „ნათხზს,“ძველი (პეტრიწისეული) სიტყვახმარებით, ხოლო მეორე_„სიცრუის“სიბრძნისეულ გაგებას და ახსნას (იქვე_252).
აბსოლუტურად ვეთანხმებით ნუცუბიძეს იმ საკითხშიც, რომ „და“ მაკავშირებლის ჩასმის შემთხვევაში, სრულიად იკარგება ორი ხსენებული კომპოზიტის საზრისისეული ფუნქცია ფილოსოფიური სიღრმის თვალსაზრისით, რადგანაც ამ გრამატიკული მაკავშირებლით შეერთებული „სიბრძნე“ და „სიცრუე“ გარეგნული კავშირისარამიზანშეწონილი, გაუმართლებელი ხაზგასმის ფორმით, კარგავს და აუქმებს „სიბრძნის“ სიცრუესთან კავშირის შინაგან ერთიანობასა და კანონზომიერებას. შალვა ნუცუბიძე თვლის, რომ ეს შინაგანი კავშირი, რეკომენდირებულია, ნეგატიური დიალექტიკის უკვდავ ნიმუშადაც იქნას განხილული. ჩვენის მხრიდან კი დავუმატებთ, რომ ნეგატიურთან ერთად, „სიბრძნე სიცრუისა“, „სიცრუის სიბრძნის“ ინტერპრეტაციის ვითარებაში, პოზიტიური დიალექტიკისუკვდავი ნიმუშიც გახლავთ. გასაგები **მიზეზების გამო, აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ თავი შეიკავა პოზიტიური დიალექტიკის** მეთოდოლოგიური ანალიზისაგან, თუმცა დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არა მარტო არ გამორიცხავდა ამგვარი განხილვის შესაძლებლობას, არამედ უცილობლად გულისხმობდა კიდეც. ჩვენი მიზანიც მდგომარეობს იმაში, რომ დავუბრუნდეთ ამ ყველასგან მივიწყებულ, მრავლისმეტყველ თემას და სისტემური დალაგების კუთხით, ბოლომდე მივიყვანოთ ის.
„სიბრძნე–სიცრუის“ წიგნშიიგავ–
არაკებიწარმოდგენილიაფაბულურიმოთხრობისფონზე.
სულხანსაბაორბელიანითავის „სიბრძნესიცრუისაში“
ძველქართულმწერლობაშიგავრცელებულსიმბოლურ–

ალეგორიული გამოხატვისერთ–ერთფორმას – იგავურიალეგორიზმისხერხსიყენებს. წიგნშიმოთავსებულია 300–ზემეტიიგავი. არსებობდამოსაზრება, რომსულხან–საბაზეგავლენამოახდინაფრანგმამეიგავემ – ჟანდელაფონტენმა.მოსაზრებამცდარია, რადგანსულხან–საბამ ევროპაში 1713–1716 წლებშიიმოგზაურა, ხოლოლაფონტენი 1694 წელსგარდაიცვალა. სულხან–საბამფრანგულიენა „სიბრძნესიცრუისას“ დაწერისშემდეგ (1686–1695წწ.)შეისწავლა, ამიტომლაფონტენთანლიტერატურულინაცნობობაცგამორიცხულია.სამაგიეროდ, სულხან–
საბაზეგავლენაიქონიახალხურმაზეპირსიტყვიერებამ.მისწიგნშიმრავლადგვხვდებაქა რთულიხალხურიიგავებიც (30_264).ილია ჭავჭავაძემ, თავის პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე–სიცრუე“, გამოთქვა მოსაზრება სულხან–საბას „სიბრძნე–სიცრუის“ შესახებ და ისაუბრა ზოგადად იგავ–არაკებზე. წერილის დასაწყისში ავტორი ამბობს, რომ ხშირად უფიქრია, თუ რატომ დაარქვა სულხან–საბა ორბელიანმა თავისი იგავების წიგნს „სიბრძნე–სიცრუისა“. წერილის ავტორი ამბობს, რომ სიბრძნესა და სიცრუეს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, ეკითხება თავის თავს, თუ რატომ უნდა ეკადრა საბა ორბელიანს, დარბაისელ კაცს, სიბრძნეში სიცრუის გარევა, შემდეგ კი ილია თვითონ სცემს პასუხს დასმულ კითხვებს. მისი აზრით, საბა ორბელიანს უნდოდა ეთქვა, რომ სიმართლეს ზღაპრით ამბობს, ზღაპარი კი „მოგონილი ამბავია, არაა მართალი, მაშასადამე, სიცრუეა“. ეს არ არის ის ტყუილი, „რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს“. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, იგავ–არაკია, ამისთანა ტყუილი კი, წერილის ავტორის თქმით, გამართლებულია. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ამ ნაწარმოების სახელწოდება მოფიქრებულია „ვარლაამისა და იოსაფის“ წიგნის სათაურის მიხედვით, რომელსაც ქართულად „სიბრძნე ბალავარისა“ ჰქვია (იქვე_322). აღნიშნული პოზიცია, ჩვენი შეფასებით, ერთობ ზერელე და მცდარია. ამის დასადასტურებლად ნუცუბიძის ის მორიგი შეხედულებაც საკმარისია, სადაც ხაზგასმულია, სათაურში ნაგულისხმევი როგორც „სიბრძნე-სიცრუე,“ისე „სიცრუის სიბრძნე,“და არამც და არამც „სიცრუეს“ და „სიბრძნეს,“ან თუნდაც წიგნს „სიბრძნისას და სიცრუისას.“სიბრძნის სიცრუესთან შეერთება და გაიგივება ნიშნავდა წინააღმდეგობათა იმ ერთიანობას, რაც ჯერ კიდევ ცნობილი იყო ქართული აზროვნებისთვის, პეტრე იბერიდან დაწყებული, იოანე პეტრიწის ჩათვლით. რა თქმა უნდა, ეს საბასთვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, სიბრძნე იმ აზრითაც შეგვიძლია გავაიგივოთ სიცრუესთან, რომ ორივე რაღაც დაფარულს გულისხმობს. ეს იდუმალი, რთულად საჭვრეტი ჭეშმარიტებაა, რის საწვდომადაც არაა საკმარისი მხოლოდ გულწრფელობიდან გამომავალი სიმართლე, რომელიც პირდაპირი გზით ცდილობს მივიდეს ჭეშმარიტებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმართლესა და ჭეშმარიტებას შორის უზარმაზარი სხვაობაა. თუ სიმართლის თქმა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია თვითმთქმელის სურვილზე, რომელიც ცდილობს გამოთქვას, რასაც ფიქრობს, თანაც ისე, როგორცაა რაიმე სინამდვილეში, ანუ ჭეშმარიტება. სამაგიეროდ, მთქმელის სურვილი, ცოდნა, მახვილგონიერება და გამოცდილება ამისთვის ხშირად საკმარისი არაა. ამიტომაც

ბევრჯერ ამბობენ სიმართლეს, მაგრამ მცდარ დასკვნებს აკეთებენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანები ერთმანეთს რაღაცას პირდებიან, წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, თუ რა დაპრკოლებები გადაეღობება მათ პირობებს. გამოდის, რომ ისინი ენდობიან არა თვით დაპირებებს, როგორც ხმამაღლა ამტკიცებენ ამას, არამედ დამპირებლებს_პიროვნებებს, რომლებიც მეტ -ნაკლებად ამას იმსახურებენ, რასაც გამონაკლის შემთხვევებში აღნიშნავენ, როცა ვინმეს მიმართ გამორჩეულ პატივისცემას გრძნობენ.

კიდევ ერთხელ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ სიმართლე სიცრუის გარეშე არ გამოითქმება, ხოლო როცა ვინმეს სჯერა, რომ სიმართლეს ამბობს და მასთან ერთად ჭეშმარიტებასაც გულისხმობს, მწარედ ცდება და სულ ტყუილად იმიზეზებს გამოუცდელობას, უცოდინრობას ან უგუნურობას, ხოლო როცა წინასწარ ხვდებიან მოსალოდნელი მარცხის შესახებ, ისინი ამ დროს მოხერხებულად ცრუობენ, ანუ სიმართლეს ამბობენ და არ გულისხმობენ ჭეშმარიტებას. ერთი ანდაზისა არ იყოს, „მამალმა თქვა, მე ვიყივლებ და თუ არ გათენდება, ჩემი ბრალი ნუ იქნებაო!“ გათენების გარეშე ხომ ყივილს ვინმესთვის აზრიც არა აქვს, თუმცა აზრი იმისთვის მაინც აქვს, ვინც ყივის, რადგან მას საბუთი სჭირდება ამისთვის დაეს მისი სურვილის უბრალო მინიშნებაა, მეტი არაფერი. ე. ი. მამალი მართლა იმიტომ ხომ არ ყივის, რომ მას სურს გათენდეს, ანდა ვინ იცის, რატომ ყივის საერთოდ მამალი?მოცმულ შემთხვევაში, „სიბრძნე“__ „სიცრუე,“ გულისხმობს მავანისა და მავანის მოხერხებულ თავის დაძვრენას საზოგადოებრივი აზრის მარწუხებიდან. მტკნარი, გულუბრყვილო სიცრუე ამისთვის საკმარისი არაა, ხოლო ის სიცრუე, რომელიც სიბრძნით გამოისახება და ფორმულირდება, თავის თავში ჭეშმარიტებასაც გულისხმობს, ოღონდ არა პირდაპირი, არამედ ირიბი, ნეგატიური ფორმით, რაც არის სოფისტიკური ნეგატიური დიალექტიკის ნათელი ნიმუში. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მომენტებით გაჟღენთილია ხსენებული კრებულის იგავარაკთა უმეტესი ნაწილი.

რაც შეეხება პოზიტიური დიალექტიკის რანგში აყვანილ „სიცრუის სიბრძნეს,“ ამის გაშიფვრაზე გარკვეული აზრით, თავს იკავებს ჩვენი სასიქადულო ჩვენი სასიქადულო ფილოსოფოსი. მისი არსი კი მდგომარეობს სიცრუის იდეის აუცილებლობის, კანონზომიერებისა და სარგებლიანობის დასაბუთებაში. აღნიშნული პრინციპის თანახმად, სიცრუე არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემთხვევითი, ზედმეტი და არასასურველი ცდომილება. მართალია, მორალური და რელიგიური პათოსით ყოველთვის ყოველთვის შთააგონებდნენ__არ ეცრუათ, თუმცა ამით ქვეცნობიერად პირიქით სტიმულს აძლევდნენ და ხალისიანად უბიძგებდნენ სიცრუისაკენ, რომელიც გახლავთყოველგვარი დიპლომატიისა და პოლიტიკის სოციალურ ინტერესთა თანაფარდობის მყარისაფუძველი. სიცრუეა ყველაფერი, რასაც ადამიანი თავის თავისთვის არ ამბობს და არ აკეთებს, ვინაიდან ნებისმიერი სხვა, თუნდაც ახლობელი, მეგობარი, მოყვარე და რაც მთავარია, ღმერთი, მისთვის წარმოადგენს არა უმაღლეს მიზანს, არამედ საშუალებას, საკუთარი თავის რეალიზაციის მიზნის განხორციელებაში, მაშინაც, როცა

თავგანწირვის ფასად იცავს მათ სასიცოცხლო ინტერესებს. დაახლოებით ასე ფიქრობდა ლაროშფუკოც: „ადამიანები დიდხანს ვერ მორიგდებოდნენ, ერთმანეთს რომ არ ატყუებდნენ“ (38_http://www.scribd.com/doc/88593510/segonebani).სებასტიან კასტილიოს აზრით, „ ადამიანები იმდენად არიან დარწმუნებულნი თავიანთი აზრის სამართლიანობაში, ხშირად ტყუილად დაჯერებულნი, მიიჩნევენ რა, მას ერთადერთ ჭეშმარიტებად, რომ სხვის მოსაზრებას ამპარტავნულად არად აგდებენ; ეს ქედმაღლობა პირველმიზეზია მხეცობისა და დევნისა, არავის სურს ითმენდეს მისგან განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანს, თუმცა აზრები ქვეყნად იმდენია, რამდენიც ადამიანი,მაგრამ არ არსებობს არც ერთი სექტა, რომელიც არ განსჯიდეს ყველა დანარჩენ სექტას და არ ისურვოს ერთპიროვნული ბატონობა“(იქვე). ყალბი მორალისა და ცრუ რელიგიური რწმენის მებაირახტრენი არასგზით არ დაეთანხმებიან მსგავს შეხედულებებს. ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, რა დღეშიც აღმოჩნდებოდა აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე იმდროინდელი იდეოლოგიური წნეხის პირობებში, თუ გაბედავდა და ამას გარკვევით, ცხადად იტყოდა. ცხადია, რომ ნებისმიერი ადამიანი თავს წირავს არა სხვის მოყვასს, არა სხვის ღმერთს, არამედ მხოლოდ თავისას, და თუ მოხდა ისე, რომ მან საკუთარს სხვისი ამჯობინა, მაშინ მოღალატედ შერაცხავენ და მომავალი თაობები წყევლა-კრულვას არ მოაკლებენ. ყველა ადამიანი იღწვის, ემსახურება, უყვარს, წუხს, ცოცხლობს და კვდება თავისთვის. ყოველივე დანარჩენი კი სიცრუე, დიპლომატია, კომპრომისი და ინტერესთა თანაფარობაა, რითაც სულდგმულობს, ცხოვრობს მთელი საზოგადოება, ერთიანი თანაარსებობა-თანაცხოვრების წესით. ასე ეთვისებიან, ეგუებიან და ერწყმიან ადამიანები ერთურთს საზოგადოებაში__ქმნიან ოჯახებს, სამეზობლოებს, სოფლებს, ქალაქებსა და სახელმწიფოებს; რასაც ისინი აღწევენ სიცრუის ბრძნული, დახვეწილი ოინბაზობის, ფანდებისა და მანევრების გზით. „სიცრუის სიბრძნე“ არის კულტურა, შემოქმედება, განსჯა, აზროვნება, როგორც დისკურსიული, ისე ინტუიტიური, რაც მთავარია, ეს არის გემოვნება, რწმენა, რომელიც, როგორც ტერტულიანე ამბობდა, აბსურდია, თუმცა მის შესახებ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გამოყენებულ იქნა ცოდნისა და რწმენის დაპირისპირების მიზნით. საინტერესო კიდევ ისიცაა, რომ გამოთქმა „მწამს, რადგან აბსურდია“, რომელიც ტრადიციულად ტერტულიანეს მიეწერება, მის შრომებში არ გვხვდება (33_ 699).

საითაც არ უნდა მიმოვიხედოთ, ყველგან თვალში გვეცემა სიცრუის კანონზომიერი და აუცილებელი მტკიცებულება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ადამიანი არასოდეს შეიმოსებოდა და სიშიშვლეს არ დაიფარავდა, არაფრის შერცხვებოდა, არაფერს დამალავდა, იარაღებსაც ვერ შექმნიდა, სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარს მოკლებული იქნებოდა, ვერ შეიყვარებდა, ვერც თავს გაწირავდა და ერთი სიტყვით, ვერაფერს ისეთს ვერ მოიმოქმედებდა, რის გამოც ადამიანი ადამიანად გაჩნდა და არა ქვა-ღორღად, რასაც არც ნებისყოფა აქვს, არც თვითშეგნება და არც რაიმე ნიშანწყალი სიცოცხლისა. „სიცრუის სიბრძნე“ წარმოადგენს

ადამიანური ცნობიერების უნარის მაქსიმალური ზღურბლის მიღწევას, მის დაუსრულებელ მიზანსწრაფვას ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც თავისი სუბსტანციური განსაზღვრულობით დასაბამს იღებს ზედროულ, მეტაფიზიკურ განზომილებაში. ისტორიამდელ და ისტორიის მომდევო ყოფიერებაში აბსოლუტურად მოხსნილია მისი ნეგატიური ამორალური ფუნქცია და დანიშნულება, ეს მოხდება განუხორციელებლის განხორციელების, არცოდნის განსწავლულობის, დაუსრულებლის დასრულების, ბოროტების გაკეთილშობილების, სიბნელის განათებისა და სხვა სახის კონტრასტული მიმართებების შეთანხმება-ჰარმონიზაციის გზით; ეს ის მიმართულებაა საითკენაც გზას გვიკვალავს „სიცრუის სიბრძნის“ პოზიტიური დიალექტიკა, რომელიც იდუმალმეტყველი გაგების ჰერმენევტიკული ხერხია და გამოიყენებოდა ანტიკური პერიოდის რამდენიმე მისტერიულ ტაძარსა და რიტორიკულ სკოლებში, მათ შორის ფაზისის კოლხურ იდუმალმეტყველების რიტორიკულ სკოლაშიც, რაზეც შედარებით დაწვრილებით, რომელიმე მომდევნო თავში ვიმსჯელებთ. სიცრუის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი ემსახურება სიმართლის საზრისისა და ფუნქციის შენარჩუნება-განმტკიცების მისიას. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ სახით ხელთ გვაქვს დიალექტიკის პოზიტიური და ნეგატიური ფორმის მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენების ნიმუშები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართული ფილოსოფიის ფასდაუდებელი ტრადიციების მემკვიდრეობას, რომელიც ნათლად წარმოაჩინა მეოცე საუკუნის ენციკლოპედიურმა მოაზროვნემ, ქართველ ჰეგელად წოდებულმა შალვა ნუცუბიძემ: „საბა ბურუსში ამოსული მზეა, რომლის სხივების ძალა არ ჩანს, მაგრამ იმდენი მაინცაა, რომ კაცმა ისტორიული სიბნელიდან გათენება მაინც შეამჩნიოს“ (27_258).

თავის დასასრულს, ინტერესმოკლებული არ იქნება სიცრუის ახალი პარადოქსების შემოთავაზება, იმისათვის, რომ გარკვევით იქნეს ნაჩვენები ისტორიული დროის გადაულახავი წინააღმდეგობანი, რის გამოც შეუძლებელია არსებულის შეცნობა და გამოთქმა: 1. მსგავსება განსხვავებაა, ხოლო განსხვავება__მსგავსება. პეტრე იმიტომ გავს პავლეს, რომ ეს უკანასკნელი არაა მისი, ანუ პეტრეს იგივეობრივი, მაშასადამე იგი განსხვავდება მისგან, ანუ პავლესგან, თუმცა იმავდროულად, როგორც პეტრე განსხვავდება პავლესგან, იგივენაირად, პავლეც განსხვავდება პეტრესგან. რაკი პეტრეც ისევე განსხვავდება პავლესგან, როგორც პავლე პეტრესგან, ამიტომაც ისინი იგივეობრივნი არიან. სანამ ამაზე ვინმეს გაეღიმება, ჯერ გვიჩვენოს ორი ერთმანეთის იგივეობრივი საგანი. დარწმუნებით ვიცით, რომ ამას ვერავინ შეძლებს, ვინაიდანიგივეობის შემადგენელი მხარეების ცალ-ცალკე გაყოფა და მათი ურთიერთშედარება განსხვავება-დაპირისპირების გარეშე შეუძლებელია. მეორე

მხრივ, შეუძლებელია ორი ცალკე აღებული ურთიერთგანსხვავებული საგნის განსაზღვრაც მათი საერთო, იგივეობრივი მიმართების გარეშეც. მაშასადამე, თუ განსხვავება, (წინააღმდეგობა) გახლავთ ერთიანი საგნის გაყოფა და გამოცალკევება, სამაგიეროდ, იგივეობა (ტოლობა)__ცალკეულთა შორის საერთო ურთიერთდამაკავშირებელი მიმართებაა. საგანთა შორის, ან თვით საგნის შიგნით რამდენი გაყოფა დაგამოცალკევებაცაა, იმდენივეა განსხვავება-წინააღმდეგობაც, ასევე საგანთა შორის, ან მათ შიგნით, რამდენი კავშირურთიერთობა და მიმართებაცაა, იმდენივეა იგივეობაც. ფორმალური ლოგიკის მიხედვით, იგივეობა და განსხვავება რაკი ერთმანეთს გამორიცხავს, ბევრს ჰგონია, რომ ალტერნატიული, დიალექტიკური აზროვნება დიდი შეცდომაა, ან პირიქით, მაგრამ ეს ასე არაა, ვინაიდან ფორმალური ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთშეთანხმებული, საორიენტაციოდ დადგენილი თამაშის წესების ვალდებულება და მოთხოვნა, რომლის მინიმალური შესრულების გარეშეც შეუძლებელია ნორმალური აზროვნება. **ისტორიული დროის მეოთხე განზომილების თვალსამზერიდან სიცრუედ გვესახება ის, რაც ფორმალური ლოგიკის თამაშის წესების საპირისპიროდ, ასაბუთებს უეჭველ ჭეშმარიტებას, ხოლო ისტორიამდელი და ისტორიისშემდგომი დროების სამგანზომილებიანი გონჭვრეტელობისთვის სუყველაფერი სიმართლეა, რამეთუ ისტორიის მიღმა, ისტორიისგან განსხვავებით, საერთოდ შეუძლებელია არარსებულის გამოთქმა.**

2.ვინც ჭკვიანია, ის სულელია, ხოლო ვინც სულელია__ჭკვიანი. ჭკვიანმა იცის, თუ სად, როდის, როგორ, რა გააკეთოს, რომ მიზანს მიაღწიოს და სარგებელი ნახოს; თუმცა მასთან ერთად, ეს ეცოდინება მის მოწინააღმდეგე ჭკვიანსაც, ვინც ხელს შეუშლის მიზნის მიღწევაში;ვინაიდან სისულელეა იმის გაკეთება, რასაც ჭკვიანი მეტოქე აუცილებლად მიხვდება, მაშასადამე ვინც ამას სჩადის, ის სულელია. ხოლო სულელი, რომელიც თვითონაც ვერ ხვდება სად, როდის, როგორ და რას აკეთებს, ამას ვერც სხვა მიხვდება, რის გამოც მას ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს ვერ შეუშლიან, ამიტომაც რაკი ჭკვიანურად იქცევა, მაშასადამე ჭკვიანიცაა.ეს მსჯელობა რომ საფუძველს მოკლებული არაა, ამაში დიდი მოჭადრაკეები მაინც დაგვემოწმებიან, რომლებსაც კრიტიკულ მომენტში, არაერთხელ გამოუცდიათ, თუ როგორ თავდაყირა დაუყენებია ერთ უცნაურ, მოულოდნელ სვლას თეორიულად უმაღლეს დონეზე გააზრებული მრავალსვლიანი კომბინაციები. უეცარი და მოულოდნელი სიურპრიზები არაერთხელ შემოუთავაზებიათ დიდ სამხედრო მხედართმთავრებსაც__გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის გამაოგნებელი მანევრი__„...წინგამოვიდაყივჩაღთა 200 კაცი. მუსულმანებმაიფიქრეს, რომისინიაპირებდნენდანებებოდნენამანსდაამიტომაცარმიიღესუსაფრთხოებისათვი

სსაჭიროზომები, შეერივნენმათ (აირივნენმათში) და (საპასუხოდ) ისრებიმიიღეს (მათგან).მუსლიმანთარიგებიაირიადაამიტომმათ, რომლებიცმოშორებითიდგნენ, ეგონათ,რომ (დავმარცხდითდა) გაქცევა (ლტოლვა) დაიწყოოდა (თავადაც) გაიქცნენ...“ (36_იბნალ-ასირი, იხ. 3, გვ. 104).

ისტორიული დროის ომები და ხოცვა-ჟლეტა საბოლოო ანგარიშით იყო უაზრობა და სისულელე ყოველი მხრიდან: მომხდურისგანაც, ვისაც ეგონა, რომ ომით სამშობლოს ძლიერებას და დოვლათს განამტკიცებდა, დამხვდურისგანაც, ვისაც სწამდა, რომ ომით მტრისგან თავს დაიცავდა, რადგან თავიანთი თავის პატრონობას ახერხებდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ომით არ უბრძოლიათ, მაგრამ წუთითაც არ გაჩერებულან უბრძოლველად და მშვიდად.მალთუსი იმით ცდილობდა მეცნიერულად დაემტკიცებინა ომების აუცილებლობა, რომ ადამიანთა უზომო გამრავლების შესაჩერებლად კაცობრიობის გადასარჩენად მეტი ვერაფერი მოიფიქრა(130_85).ომებს რომგამრავლება შეეჩერებინა, მაშინ ასე რატომ გამრავლდა კაცობრიობა? და თუ მეტი საშველი აღარაა, მაშინ სწორედ ახლა ყოფილა საჭირო ყველაზე დიდი ომი, რისიც ასე ეშინია დიდსა თუ პატარას.

ომი ყოველთვის გლობალურია თავისი მასშტაბებით, რომელსაც მუდამ თან ახლავს უაზრო გაუმართლებელი მსხვერპლი. ომი, ისტორიული თვალთახედვით, ყოველთვის მთავრდებოდა პროგრესული ძალების გამარჯვებით, ამიტომაც მას სამართლიანობის დამყარების ღვთაებრივი განჩინების ერთადერთ ეტალონადაც მიიჩნევდნენ. სინამდვილეში კი, ომის მასშტაბები დღითი დღე იზრდება და ყველაფერი მიექანება ყოვლის დამანგრეველი, ქვეყნიერების გამანადგურებელი კატასტროფისკენ. თუ არ შეიცვალა გაუცხოებული სოციალური ცნობიერების ძვალ-რბილში გამჯდარი სტერეოტიპული მიდგომა, გაყალბებულ ისტორიულ ფარსთან ერთად, ომების ისტორიული აღსასრულითაღესრულება მთელი კაცობრიობაც. უკვე კარგა ხანია, რაც „ჭკვიანმა პოლიტიკოსებმა“ მთლიანად ამოწურეს თავიანთსაზღაურად დაყვედრებულისისხლისა და მსხვერპლის აუნაზღაურებელი პოტენციალი. მათ ადგილს თანდათან იკავებენ ნორმიდან გადახრილი, ნახევრად წასულელო, ან მთლიანად სულელი, თავზე ხელაღებული ავანტიურისტები, რომელთა მიმართ ნდობა და პატივისცემაც საზოგადოებას მთლიანად უქრება.

გადავიდეთ შემდეგ პარადოქსზე_3. თუ ვინმე ჯიუტს გიწოდებს, მაშინ ის შენი მიმდევარია. ვინც ჯიუტს გვიწოდებს, ის ბრალს გდებს, რომ სხვას არ უჯერებ, თუმცა რაკი თვითონაც არ გიჯერებს, ამიტომაც ისიც შენსავით ჯიუტია და შენი მიმდევარია, ე. ი. გიჯერებს.მაშასადამე ჯიუტის მიმდევარი თვითონაც ჯიუტია, რომელიც, როცა არ იჯერებს, მაშინ იჯერებს, ხოლო როცა იჯერებს__არ იჯერებს.

რეალურადაც ასეა, **სიჯიუტე იმდენად გადამდები თვისება და მანკიერი ჩვევაა, რომ არა მარტო თაობიდან თაობას გადაეცემა, არამედ ერთიანად იპყრობს დილეტანტური სკეპტიციზმით გაჟღენთილ მასობრივ საზოგადოებას, რომელსაც ბრმა მიმბაძველობის ტყვეობაში თავგზააბნეულს, კრიტიკული განსჯის უნარი არ შესწევს იმისათვის, რათა მრუდი და მართალი ერთიმეორისაგან გაარჩიოს. სხვისი ფეხისამყოლი კაცი მუდამ იმაზე ბევრად შეუსმენელი და დაუჯერებელია, ვიდრე საკუთარ გულისთქმას ადევნებული ავზნიანი სული.**

4.საუკეთესო რჩევაზე დამყარებული არჩევანი,ყველაზე უარესია,რადგანაც ის საერთოდ არ კეთდება. ჩვეულებრივ, არჩევანს ვაკეთებთ თვითონ, ხოლო რჩევას ვღებულობთ სხვისგან. საუკეთესო რჩევის იმედით, ყოველთვის მივმართავთ სხვას, სხვა კიდევ სხვას და ა. შ. უსასრულოდ. საბოლოოდ კი ხდება ისე, რომ დაუსრულებელი, ამაო ლოდინით თავმობეზრებულნი, ვიღებთ ისევ საკუთარ არჩევანზე დამყარებულ ყველაზე უარეს გადაწყვეტილებას. ამიტომაცთავს უფლებას ვაძლევთ, საკუთარი არჩევანის პასუხისმგებლობისგან გაქცეულებს შევახსენოთ: **ისტორიული დროის ცინიკური და ირონიული ფარსის წყალობით, ბედნიერი მონობის ხვედრს დაწაფებული, დაუდგრომელი მაძიებელი, უბედური და სასოწარკვეთილი თავისუფლების საზღაურს მიიღებს.**

5.უდანაშაულო დამნაშავეა, დამნაშავე კი უდანაშაულო. დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულში, ბრალი იმდენ ხალხზე ნაწილდება, რომ დამნაშავის წილად აღარაფერი რჩება, ამიტომაც დამნაშავეს დანაშაულში ბრალი არ მიუძღვის. სამაგიეროდ, უდანაშაულოს, ვისაც ჩადენილ დანაშაულში ბრალი არ მიუძღვის, ყველაზე მთავარი ბრალი იმაში მაინც ედება, რომ მისი უდანაშაულობა დანაშაულის ჩადენას ხელს არაფრით უშლის. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში მაშინ დავრწმუნდებით, თუ ჩავწვდებითისტორიული ჯოჯოხეთის უმთავრეს პარადიგმას: **მთელი კაცობრიობის უმძიმესი დანაშაულისთვის არც ერთი ცალკეული დამნაშავენამცეცისოდენა პასუხსაც არ აგებს.**აღნიშნულ კონტექსტში სავსებით მართებულად მიგვაჩნია გ. ტარდის დებულება დანაშაულის წარმომავლობის შესახებ: "დანაშაულის წარმოშობა პირველ რიგში ისტორიულია, ხოლო მისი ახსნა სოციალური"(70_/downloads/protosocteoria/).ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ სიცრუე არის ყოველგვარი გაუცხოების ჭეშმარიტი საფუძველი, იგი დგას ჭეშმარიტებასა და სიმართლეს შორის. ერთ შემთხვევაში, სიმართლეს აფორმებს ჭეშმარიტებად, ხოლო მეორეში, ჭეშმარიტებას ანიჭებს სიმართლის მნიშვნელობას, რაც ზედმიწევნით შეესაბამება საყოველთაოდ გავრცელებულ კრეტელის „ცრუს“ აპორიას, რომელიც უბრალო სიტყვების თამაშზე აგებული სოფისტური ოინბაზობა კი არაა, როგორც ეს ძალიან ბევრ მოაზროვნეს ჰგონია,

არამედ ისევე, როგორც სხვა სოფიზმები, რეალურად არსებული შინაგანი წინააღმდეგობების გამოვლინებებია, რომლებიც დიალექტიკური კანონზომიერების რანგში წარმოგვიდგება. რაც შეეხება სიცრუის მეტაფიზიკურ წესს, მისი არსი მდგომარეობს დაფარულის გამომჟღავნებისა და სიცხადის დაფარვის ურთიერთგანპირობებულობაში, რომელიც უცვლელი, მარადიული და საყოველთაოა. საერთოდ გნოსეოლოგიური სიცრუის კლასიკური სიმბოლოებია ბგერა და რიცხვი, რისი მეშვეობითაც პროეცირებული ციფრთა და ასოთა სემანტიკა გადაგვტყორცნის ვირტუალურ, ხელოვნურად კონსტრუირებულ სამყაროში, საიდანაც გამოღწევა ამჟამინდელი ინტელექტუალური პოტენციალით შეუძლებელია.

თავი IV_ისტორიამდელი უკუსვლა, ანუ წინსვლა შემდეგისტორიამდე

/„რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება….არაფერია მზის ქვეშ ახალი. ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში“(ეკლეს. 1.9-10)./

არაისტორიული ყოფიერება ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ისტორიის გარეთ დარჩენილი ყოფიერების ნამდვილ პერსონაჟებს; ეს ეხება არა მარტო უისტორიო წარსულისა და ისტორიის შემდგომი მომავლის ხანას, არამედ ისტორიული დროის მეოთხე განზომილების პარალელურად მიმდინარე პროცესს, რომლის აღრიცხვასა და აღწერას ნებსით, თუ უნებლიედ არავინ ცდილობს, ან გამონაკლის შემთხვევაში, ყველა ცდა და მონდომება ამაოდ ჩაივლის.არაისტორიული ყოფიერება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ისტორიამდელ და ისტორიისშემდგომყოფიერებაში შესაღწევად. მეცნიერული ჰიპოთეზა, მნიშვნელოვანწილად, ინტუიციური ჭვრეტის ინდივიდუალურ უნარებს ემყარება, რაც ვარაუდების სფეროს შემადგენელი ნაწილია. მას დამაჯერებლობის დაბალი ხარისხით ათავსებენ ცოდნის ემპირიულ და რაციონალურ საზღვრებში, თუმცა მის

გარეშე ყოველგვარი კვლევა-ძიება აზრსა და დანიშნულებას კარგავს. თუკი ჰიპოთეზა თავისი ბუნებით ალბათური ხასიათისაა, რის გამოც მას არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს სიზუსტესა და საყოველთაობაზე, მაშინ რატომღა არქმევენ მას მეცნიერულს?__კითხვა სამართლიანია იმდენად, რამდენადაც უკვესაუკუნეებს ითვლის უშეღავათო კრიტიკული თვალსაზრისი, პირველყოვლისა მეტაფიზიკის, შემდეგ კი ფილოსოფიის მიმართ, მათი მეცნიერული ხასიათის შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე. უფრო მეტიც, კერძო მეცნიერული, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგების ინიციატივით და გავლენით, დიდი ხნის განმავლობაში უარყოფითად წყდებოდა საკითხი არა მარტო მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის მეცნიერულობაზე, არამედ თვით მეტაფიზიკისა და ფილოსოფიის ერთიანობისა და გაანუყოფლობის შესახებაც, რაც საერთოდ თავდაყირა აყენებდა არა მარტო საკუთრივ ფილოსოფიისა და მეტაფიზიკის, არამედ მთელი მეცნიერებისა და საკაცობრიო აზროვნების ისტორიასაც. ერთი შეხედვით, მეცნიერული მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. **„ნორმალური მეცნიერების“განვითარება, არსებული პარადიგმების ფარგლებში, გრძელდება იქამდე, სანამ არსებული პარადიგმა მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას არ ზღუდავს. „ნორმალური მეცნიერების“განვითარების ერთერთ ეტაპზე, გარდაუვალად წარმოიქმნება შეუსაბამობა პარადიგმების დაკვირვებადობისა და პროგნოზირების შიგნით, რაც ხდება სხვადასხვა სახის ანომალიების გამომწვევი მიზეზი. როდესაც მსგავსი ანომალიები საკმარისზე მეტი გროვდება, წყდება მეცნიერების სტაბილური მსვლელობა და დგება კრიზისული მდგომარეობა,რომელიც, როგორც წესი, უნდა გადაწყდეს მეცნიერული რევოლუციებითა და პარადიგმების ცვლილებებით.**

თ. კუნი, თეორიის არჩევას ახალი პარადიგმის როლზე დაყრდნობით, არ მიიჩნევს ლოგიკურ პრობლემად:„არც ლოგიკის, არც ალბათობის თეორიის დახმარებით არ შეიძლება წრეში შესვლის უარისმთქმელთა გადარწმუნება. პარადიგმების შესახებ წამოჭრილი კამათის ორივე მხარისთვის საერთო ლოგიკური წანამძღვრები და ღირებულებანი საამისოდ არასაკმარისად ვრცელია. როგორც პოლიტიკურ რევოლუციებში, ისე პარადიგმების არჩევაში, არ მოიპოვება შესაბამისი სოციალური თანაცხოვრების თანხმობაზე უფრო მაღალი ინსტანცია. პარადიგმების როლზე დაფუძნებული მეცნიერული თანაცხოვრება ირჩევს იმ თეორიას, რომელიც, როგორც ჩანს, უზრუნველყოფს მეცნიერების „ნორმალურ“ განვითარებას“(139_25).თეორიების ძირეული საფუძვლიანი ცვლილებები მეცნიერისთვის აღიქმება, როგორც ახალ სამყაროში შესვლა, რაშიც იმყოფება სრულიად განსხვავებული ობიექტები, გაგებები, განსხვავებულად გამოაშკარავებული პრობლემები და ამოცანები: „ნორმალური

მეცნიერების“ ფარგლებში პარადიგმების გასწორება და გამართვა შეუძლებელია. ნაცვლად ამისა, ნორმალურ მეცნიერებას მივყავართ მხოლოდ კრიზისებისა და ანომალიების გაცნობიერებისაკენ. ეს უკანასკნელი პრობლემა წყდება არა განჭვრეტისა და ინტერპრეტაციის შედეგად, არამედ რომელიღაც მოულოდნელი, არასტრუქტურირებული ხდომილების წყალობით, გეშტალტის გადართვის ანალოგიურად.ამგვარად, მეცნიერული რევოლუცია, როგორც პარადიგმების ცვლილება, არ ექვემდებარება რაციონალურ-ლოგიკურ ახსნას, ვინაიდან საქმის არსი მდგომარეობს მეცნიერული თანაცხოვრების პროფესიულ განწყობილებაში, რომელიც ან გაართმევს თავს აღნიშნული თანაცხოვრების მიერ წამოჭრილ თავსატეხს, ან უძლური იქნება მოერიოს დასახული პრობლემების სირთულეს. კუნს გაუმართლებლად მიაჩნიათვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ახალი პარადიგმა ძველს განიხილავს, როგორც ერთ კერძო შემთხვევას. იგი წამოწევს პარადიგმების არათანადროული ცვლილებების თეზისს. **პარადიგმების ცვლილებებით იცვლება მეცნიერების მთელი სამყარო, ისე, რომ არ არსებობს მეცნიერული დაკვირვების ობიექტური ენა. მეცნიერის აღქმები და შთაბეჭდილებები ყოველთვის დადასტურდება პარადიგმების გავლენებით.**

პოპერისაგან განსხვავებით, რომელიც მიიჩნევს, რომ მეცნიერების განვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ლოგიკური წესებით, კუნს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, შემოაქვს „ადამიანური“ფაქტორი, იზიდავს რა, მის გადასაწყვეტად, ახალ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მოტივებსაც (იქვე). პოზიტივიზმმა მიზნად დაისახა საბოლოოდ განედევნა მეტაფიზიკა მეცნიერებიდან. როგორც ცნობილია, მეტაფიზიკის შიგნით მოიაზრებოდა დაუკვირვებადი ზოგადი არსებანი__ძირითადი ცნებები და კატეგორიები, აგრეთვე შეუმოწმებადი მტკიცებულებანი. ფილოსოფია უნდა გაწმენდილიყო მეტაფიზიკურ ნაგებობათა ნაშთებისაგან და ცოდნის სისტემის მეტაფიზიკური დამუშავების ნაცვლად,დაკავებულიყო ენის ლოგიკური ანალიზის პრობლემებით. პოზიტივისტებისა და ლოგიკური პოზიტივისტების პროგრამა განუხორციელებელი დარჩა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა პოსტპოზიტივისტებისათვის, რომლებმაც ნათელყვეს მეცნიერებაში აუცილებლობით დასაშვები მეტაფიზიკური წანამძღვრები, რომელთა განდევნაც მეცნიერების ნგრევის ტოლფასი გახლდათ. პოზიტივისტური მიმართულებანი გამონაკლისი არ ყოფილან მეტაფიზიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაში აგრეთვე ჩართული იყვნენ მეცნიერების ფილოსოფიის ისეთი მნიშვნელოვანი კონცეფციებიც, როგორიცაა კონვენციონალიზმი (პ. დიუი, ა. პუანკარე), ინსტრუმენტალიზმი (ჯემსი, პირსი) ოპერაციონალიზმი და სხვა სახის პრაგმატიზმი. მეტაფიზიკის წინააღმდეგ გამუდმებულმა გალაშქრებამ მაინც გამოიღო თავისი ურგები ნაყოფი იმ მხრივ, რომ

თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში მეტაფიზიკური სისტემის აგების მცდელობა ღიმილისმომგვრელ, დონკიხოტობის მაგვარ აკვიატებად ითვლება. როგორც სურთ ისეთნაირად გაგვიგონ, ჩვენ მაინც გავაგრძელებთ მიზანდასახულ სვლას ისტორიისგან პრინციპულად განსხვავებული, ალტერნატიული ყოფიერების არსის შესაცნობად. პოსტპოზიტივისტურმა კრიტიკამ გადაულახავი ეჭვის ქვეშ დააყენა არა მარტო მეცნიერული ფილოსოფიის პოზიტივისტური თვალსაზრისი, არამედ ფილოსოფიის რაციონალური ტრადიციებიც. ამ კრიტიკას მართალია, მოჰყვა მეტაფიზიკის დაბრუნება მეცნიერების საზღვრებში, თუმცა სპეკულატური ჭვრეტის ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას კონცეპტუალური დაფუძნების პერსპექტივა მკვეთრად შეეზღუდა. ამის დამსახურებაა ისიც, რომ ახლანდელი დროის ფილოსოფიაში, ყველა დარგობრივ დისციპლინას აღარ გააჩნია მყარი მეცნიერული კრიტერიუმები, რასაც ძალუძს სრულყოფილად წინ აღუდგეს ფსევდო და ყალბ-მეცნიერული შეხედულებების ფართოდ გავრცელებას (122_3).

ისტორიული დროის პარალელური, არაისტორიული ყოფიერების მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ აისახება სოციალური ცნობიერების ეტაპობრივი ფალსიფიკაციის შედეგები, ამიტომაც ისტორიის პარალელურ არიალში მოქცეული არაისტორიული არსებობის თვისობრივი მაჩვენებლები აშკარად განსხვავდება ისტორიამდელ და ისტორიისშემდგომი სავარაუდო მაჩვენებლებისაგან, თუმცა ეს მაინც არ გვიშლის ხელს ინტუიციურ ჭვრეტაზე დაფუძნებული ინდუქციური ხასიათის დებულებათა ფორმულირებაში. აქვე დავსძენდით, რომ პოზიტივიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგობის ანალოგიურად, თვით ყველაზე უფრო ნომინალისტურად მომართული ემპირიზმიც, რომელიც ისტორიულად ვერაფრით ვერ ურიგდება ცნებათა რეალიზმის ლოგიკური სიცხადის რაციონალურ თეორიას, შინაგანად მაინც მიისწრაფვის პრინციპულად დაუკვირვებადი ალბათური მსჯელობებისაკენ, რისი წყალობითაც ხორციელდება მეცნიერული ცოდნის განახლებისა და გაფართოების პროცესი. **რაც არუნდა თავი გამოიდონ ჩვენმა ოპონენტებმა და გვიმტკიცონ, რომ ინდუქციური მსჯელობები, თავისი პრობლემატური ხასიათის გათვალისწინებითაც, ექვემდებარებიან დაკვირვებასა და შემოწმებას, სწორი და მართებული არაა, იმიტომ, რომ ინტენსიური გაგებით, ინდუქციური დასკვნა უსასრულო მსჯელობათა განუსაზღვრელი ალბათობაა, რომელიც მეცნიერული ვარაუდის მომენტში, ანუ მანამდე, სანამ იგი ამა თუ იმ ფორმით განხორციელდება სინამდვილის კონკრეტული ფაქტის სახით, პრინციპულად დაუკვირვებადი და შეუმოწმებადია. თანაც არც ერთი ასეთი ფაქტი არ გახლავთ აუცილებლობით განხორციელებული, აპოდიქტიკური ჭეშმარიტი მსჯელობა, ანუ იგი შემთხვევითი (ასერტორული, ან პრობლემატური) ხასიათისაა, შემთხვევითობას კი ერთადერთი გამონაკლისიც**

თავისუფლად ჰყოფნის, იმისათვის, რომ დაანგრიოს ნებისმიერი კანონზომიერება; ამიტომაც ვერც ერთი ტიპის თანმიმდევრული ინდეტერმინიზმი ვერუთავსდება ვერც ერთი ტიპის მეცნიერებას, შემთხვევითობა ხომ მეცნიერების მტერია.
ინდუქცია შეიძლება იყოს სრული და არასრული. სრული ინდუქცია, განსახილველ ცდაში, გულისხმობს საგნის ამა თუ იმ თავისებურების რეგულარულ განმეორებადობას. ინდუქციური განზოგადებანი ვრცელდებიან ყველა შესაძლო საწყის შემთხვევებზე. მაგ: ამ ბაღში მთელი ხეხილი თეთრია__დასკვნა მიგვითითებს გარკვეული პერიოდის მიმართ, როდესაც მიმდინარეობს ინტენსიური ყვავილობის პროცესი.არასრული ინდუქციური დასკვნა კი ვრცელდება, ანალოგიის წესით, განუსაზღვრელი რაოდენობის შემთხვევებზე, რომელთა თეორიული გამოანგარიშება პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენი წარმოდგენა, რომ ყველა გედი თეთრია, სავარაუდოდ სარწმუნოა, მანამ, სანამ არ დავინახავთ შავ გედს. ასეთი ტიპის დასკვნები ყოველთვის ალბათური ხასიათისაა.„ჭეშმარიტი ინდუქციის“ შექმნის მცდელობისას, ბეკონი იკვლევდა არა მხოლოდ დადასტურებულად მოცემულ ფაქტებს, არამედ მათი უარყოფების ვარიანტებსაც. ამ გზით მან ბუნებისმეტყველება აღჭურვა აღრიცხვისა და გამორიცხვის კვლევის მეთოდებით, სადაც ძირითად როლს თამაშობს გამორიცხვის მეთოდი. სწორედ მათი გამოყენებით დაამტკიცა, რომ თბომბადი „ფორმის“მიზეზად გვევლინება სხეულის უმცირეს ნაწილაკთა მოძრაობა.ამგვარად, თავის შემეცნების თეორიაში, ბეკონი განუხრელად ატარებდა მოსაზრებას, ჭეშმარიტი შემეცნების თეორიის გრძნობადი ცდიდან გამომდინარეობის შესახებ. ამგვარ ფილოსოფიურ პოზიციას ეწოდება ემპირიზმი. სწორედ ბეკონი ითვლება არა მხოლოდ მის ფუძემდებლად, არამედ ყველაზე უფრო თანმიმდევრულ ემპირისტად (123_540_547).

ისტორიული ყოფიერების ფალსიფიცირებული დროის მეოთხე განზომილებამდე, სანამდე ადამიანურ ინდივიდთა ურთიერთობის მოწესრიგების ფორმები ჩამოყალიბდებოდა სოციალური ცნობიერების მიერ ორგანიზებული სისტემების სახით, საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ერთიან პროცესში, გარკვეულ კრიზისულ ეტაპზე, ინტელექტის აქტიური ფუნქციების გამოვლენამ დასაბამი დაუდო აღნიშნული პროცესის მიმართ თვისობრივად განსხვავებული ფენომენის წარმოქმნას და მისი არათანაბარი სისწრაფით განვითარებას, რასაც ტექნიკური ადაპტაციის უნარი უნდა ეწოდოს.
ბუნებისმეტყველი მკვლევარების მიერ შემოთავაზებული დედამიწის წარმოშობა-განვითარების ასაკი, სახელდობრ, მისი ორგანული საფარის ჩამოყალიბების ხანგრძლიობათა ციკლები შეიძლება, არცთუ შემთხვევით, მოგვეჩვენოს ბიბლიური შესაქმის ანალოგიად, სადაც ღვთაებრივი შემოქმედების მთელი გვირგვინი გახლავთ

ადამიანი. სიცოცხლის გენეზისისთვის ნიშანდობლივი ციკლების ლოგიკური განპირობებულობა და თანაფარდობა, გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის კოსმიური დროის ცვალებადობის კანონზომიერებაზე, რაც დამკვიდრებული იყო დედამიწის ბიოლოგიური სიცოცხლის აღმოცენებამდე და მის შემდეგ.

აზრი იმაზე, რომ ორგანული ბუნება, არაორგანულთან შედარებით, თვისობრივი გარდაქმნების შინაგან პროცესთა ჭარბი ინტენსიობის მომცველია, სადაო არაა, თუმცა ბიოსფეროს ფორმირებამდე, მოძრაობა-ცვალებადობის გარეგანი კოსმიური პროცესი ისეთი კატაკლიზმების შემცველია, რომ ნივთიერი ქაოსის პირობებში, დედამიწის ქერქი წარმოგვიდგენია ასტეროიდების, მეტეორიტების, კომეტების, ან უფრო გიგანტური პლანეტარული ნამსხვრევებით განუწყვეტელი დაბომბვისა და თერმობირთვული აფეთქებების ვითარებაში, სადაც ფაქტიურად გამოირიცხება ორგანული საფარის გაჩენის ალბათობა. სიცოცხლე ჩნდება კოსმოგენური კატაკლიზმების დაცხრობისა და ცვლილებათა შედარებითი წონასწორობის პირობებში. ეს სიწყნარე და სტაბილური წონასწორობა ამ შემთხვევაში უკვე გარეგნული ხასიათისაა, შინაგანად კი, ის რაც კოსმოგენურ ცვლილებებს გარეგნულად განსაზღვრავს, ორგანულ სამყაროს შინაგან მამოძრავებლად უყალიბდება. ამ შინაგანი ძალის კატაკლიზმურ ცვლილებათა ტოლქმედს შეადგენს ცოცხალ ორგანიზმთა ევოლუციის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი. მაშასადამე, **კოსმოგენური კატაკლიზმების გარეგანი ინტენსივობა ნივთიერ-მატერიალური მოვლენების სფეროს შეადგენს, ხოლო იგივე ცვლილებები, შინაგანი ძალის გამოხატულების მიხედვით, სიცოცხლის ევოლუციის ბუნებრივ-ისტორიული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს. ამიტომაც იქ, სადაც ადგილი აქვს პირველ მათგანს, იმავდროულად შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს მეორესაც, თუმცა, თუ მოხდა პირიქით, მაშინ ეს ბიოლოგიური საფარის სრული კატასტროფით დასრულდება.**

მოცემულ შემთხვევაში, უადგილოდ არ მიგვაჩნია ესქატოლოგიურ მოძღვრებებთან კავშირი, რაც სხვათა შორის, უცხო არაა დასავლური ფილოსოფიისთვის, რომელიც გარკვეული ასპექტით, ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების მრავალგვარ მნიშვნელობას ბიბლიური თქმულების მემკვიდრეობად განიხილავს (141_6).სამყაროს შექმნის ბოლო ფაზაში ღმერთმა უმაღლეს ადგილზე დააყენა ადამიანი; მან მოუწოდა ადამსა და ევას: „გაიხარეთ, ინაყოფეთ, გამრავლდით, შეავსეთ დედამიწა და დაეუფლეთ თევზთა, ზღვისა, ხმელეთისა და ციურ ბინადართ, აგრეთვე ყოველგვარ ჯოგსა და ფარას ცხოველთა, რომელნიც კი გაივლიან მიწაზე“(იქვე_28). ეს მოწოდება, გარკვეულიაზრით, შეიძლება ბუნებისადმი აგრესიული დამოკიდებულების გამართლებადაც შეიძლება

მივიჩნიოთ, რაც გასაკვირი არაა, იმიტომ, რომ ეს ადამიანური არსების კანონზომიერი გამოხატულებაა. რელიგიური ანთროპომორფიზმის კონცეფცია, ამ მხრივ, სასიკეთო ზეგავლენას ვერ ახდენს ბუნებისადმი მომხმარებლურ, უდიერ მოპყრობაზე.

პრობლემურ ანალიზს მივყავართ იქეთკენ, რომ **ბუნებისადმი ადამიანის დაპირისპირების მიზეზი თვით ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ევოლუციის განსაზღვრულ საფეხურზე, ადამიანური ინტელექტის ფორმირებამ ჰომოსაპიენსს მისთვის არასასურველი გარემო პირობებიდან თავის დაღწევის საშუალება მისცა. ამდენად, ცნობიერება, რომელიც ტექნიკურ საშუალებათა წარმოების უნარის განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ, ამავდროულად, სასიცოცხლო ფუნქციის მთავარი განმსაზღვრელიც გახდა ადამიანის ბიოლოგიური თვითშენახვის პროცესში. აღნიშნულ ფაქტორთან მიმართებაში, ცხოველურმა ინსტინქტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.** ადამიანის თვისობრივად გამოკვეთილ მაშინდელ სახეს, ბიოგენეტიკური მუტაციების დონეზე, არსებითი ცვლილებები აღარ განუცდია, უფრო მეტიც, ცნობიერების ფაქტორის აქტუალიზაციის ინტენსიური ზრდის შემდეგ, ტექნიკური წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და პოსტინდუსტრიალიზაციის ერამ აშკარად შეაფერხა ადამიანისევოლუცია ბუნებრივი ადაპტაციის ფორმით და დასაბამი მისცა მის საპირისპირო უკუპროცესს.

ფილოსოფიაში, ტექნიკის პირველმიზეზთა კვლევა-ძიების აღნიშნულ განყოფილებას, საფუძველი ჩაუყარა ერნსტ კაპმა, რომელიც გახლავთ ავტორი წიგნისა: „ტექნიკის ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი. ახალი თვალსაზრისის აღმოცენება კულტურის ისტორიასთან მიმართებაში“(1877).1898 წელს ტექნიკის ფილოსოფიას მიეძღვნა ასევე გერმანელი ფილოსოფოსის, ფრედ ბონის შრომა: „ვალდებულებისა და სიკეთის შესახებ,“ ამავე პრობლემას გამოეხმაურა თავისი ბროშურით: „XIX საუკუნის ტექნიკური შედეგები“ რუსეთში მოღვაწე ინჟინერი, პეტრე ენგელმაიერი, თუმცა მოცემული მეცნიერების სისტემური შესწავლა დაიწყო მხოლოდ XX საუკუნეში. ტექნიკის ფილოსოფიის სხვადასხვა ასპექტები განიხილება მარქსიზმში, ტრანსჰუმანიზმსა და რიგ სხვა მიმართულებებში (142_16).მართალია, **ცნობიერების მაკონსტრუირებელი ფუნქციის გაძლიერებამ, მისმა ადაპტაციამ ტექნიკურ გარემოსთან, ცხოველური ინსტინქტების შესუსტების გამო, თანდათანობით ჩაახშო ადამიანის ბუნებრივი ევოლუცია, თუმცა გამონაკლის, უიშვიათეს შემთხვევებში, არ გამოირიცხებოდა განსაკუთრებული ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამომჟღავნების ფაქტები, რომელიც ნორმალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, აღმატებული ძალის სასწაულმოქმედებას უახლოვდებოდა. მსგავს რაღაცეებს ადგილი აქვს დღესაც** (ბოლო დროს იმდენად

განსაკუთრებით მომრავლდა შესატყვისი ფაქტები, რომ შეუძლებელია ყველა მათგანი თაღლითობად და შარლატანობად მონათლო).

ერთმა შესანიშნავმა ჩვენმა თანაქალაქელმა, მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, აწ განსვენებულმა ჯიმშერ რუხაძემ, ადამიანური გონის ფარულ, იდუმალ ძალებსა და უნარებს საგანგებოდ მიუძღვნა მეტად საინტერესო წიგნი: „დაუჯერებელი ფაქტებისა და სასწაულების რწმენის გზაჯვარედინზე," რომლის რედაქტორიც გახლავთ თქვენი მონამორჩილი. წიგნი მოგვითხრობს პრეისტორიული ადამიანის ევოლუციის, სხეულის სიკვდილისა და სულის რეინკარნაციის, ტელეფორტაციის, დროისა და სივრცის პარადოქსებისა და სხვა სახის ანომალიების შესახებ (29_35; 46; 65; 83; 91; 138).ფაქტობრივი მასალის მოცულობა იმდენად ტევადია, რომ მათი უბრალო ჩამონათვალიც კი ძალზე შორს წაგვიყვანს. გვსურს თუ არა მათი დაჯერება, მაინც **აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს იმ საღ, გონივრულ მიზანსწრაფვას, რომელიც მოწოდებულია კაცობრიობის გასაფრთხილებლად, მოსალოდნელი კატაკლიზმების წინაშე, რათა ადამიანთა მომხმარებლურმა, ხარბმა და ანგარებიანმა, ბუნების წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ გამოიწვიოს კანონიერი და სამართლიანი აღშფოთება პროგრესული მოღვაწეებისა, რომელთაც თავიანთი ზნეობრივი მისიის განსახორციელებლად, მართებთ წინ აღუდგნენ მტარვალთა ძალაუფლების თავხედურ აგრესიას, რათა აქტიურად შეუშალონ ხელი ბნელი ზრახვების სისრულეში მოყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედამიწას კისერში ამოუვა ამ აბეზარი და უმადური ხალხის ვერაგული საქციელი, ერთხელაც მძლავრად შეიბერტყავს ტანს, რითაც ვინ იცის, მერამდენედ, მოიშორებს ამ ცივილიზაციასაც, რომლის სიცოცხლეც ბუნებას სიკვდილის ფასად უჯდება. სამაგიეროდ, დაბადებს ახალს და ასე მოექცევა ყველას, მანამ, სანამ კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს გონს არ მოუხმობს, რათა მან ამ საბედისწერო მსჯავრიდან გაკვეთილი გამოიტანოს და ტოტალურ კატასტროფას თავი აარიდოს.**

ძველად, უისტორიო წარსულში, ამ სასწაულებრივი საკვირველების გამო, განსაკუთრებული ძალით აღჭურვილ ინდივიდებს, ღვთაებრივ წარმომავლობას მიაკუთვნებდნენ. ამიტომაც პრეისტორიული პერიოდი მითოსურ ხანად უნდა მოვიხსენიოთ. სწორედ აქედან იღებდნენ დასაბამს შორეული თქმულებები და ლეგენდები თავიანთი ნამდვილი და გამოგონილი გმირებითურთ. მითოსი არ გამქრალა არც ისტორიული დროის მანძილზე, იგი ღრმად დაილექა ჩვენი ქვეცნობიერი არსების სიღრმეში, საიდანაც მოულოდნელად და მძაფრად გვახსენებს თავის თავს იდუმალი ბედისწერის გრძნეული ჩურჩულით. პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების გზაგასაყარზე, ადამიანურ ინდივიდთა მზარდი უმეტესობა

თანდათანობით კარგავდა საკვირველი ცხოველმყოფელი უნარების გამომჟღავნების ძალას, ვინაიდან ტექნიკური ადაპტაციის პროცესში, ინტელექტუალური მანიპულაციების მეშვეობით, მიმდინარეობდა განუსაზღვრელი სიდიდის ენერგიის გასხვისება-გასაგნების ეტაპობრივი ციკლები, რომელიც კვალიფიცირდებოდა გაუცხოების ნაირგვარი სოციალურად აპრობირებული ფორმით, რაც მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავს შინაგანი მარგი ქმედების ცხოველმყოფელ ძალთა კოეფიციენტის გარეთ გამოდევნას და ხანგრძლივი ვადის განმავლობაში, გონითი აქტების ინტელექტუალური კონსერვაციის გზით, მის განივთებას უსულო საგნებში, რომლებიც შრომის ტექნიკური შეიარაღების გამოყენებით ბერკეტებად გვევლინებიან. **ცოცხალი ძალის არაცოცხალ მატერიაში გაახვისებამ შექმნა ნივთიერ-მატერიალური კვლავწარმოების ეფექტური განხორციელების ისტორიული პირობები.პროცესი გრძელდება რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე და ამჟამად იგი უკვე აპოგეას აღწევს.**

თავისი არსებობის მანძილზე ადამიანთა მოდგმამ ორი ძირითადი ფაზის გავლა შეძლო: 1.მილიონნახევარი წლის მანძილზე იგი ყალიბდებოდა მაღალორგანიზებულ, გონიერი ინსტინქტების მქონე ინდივიდად, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ბუნებასთან. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება, აღნიშნულ პერიოდში, სულ მცირე, ერთი დიდი და საინტერესო ცივილიზაციის არსებობისა და განადგურების შესახებ. თუ დასაშვებად მივიჩნევთ იმ აზრს, რომ ბიოგენეტიკური ევოლუცია, შემაფერხებელი ტექნიკური გარემოების არარსებობის პირობებში ბევრად უფრო დაჩქარებული ტემპით განხორციელდებოდა, მაშინ თავისუფლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ცხოველური მდგომარეობიდან ადამიანურ სასწაულმოქმედებამდე ამაღლებისთვის ორი, ან სამი ასიათასწლეული სავსებით საკმარისი იქნებოდა. 2.ბუნების სიურპრიზად შემოთავაზებულმა გამყინვარებამ მაშინდელი ადამიანი მკაცრი და სასტიკი გამოცდის წინაშე დააყენა. ჩვენი ვარაუდით, სწორედ აქ დაირღვა ადამიანის თავდაპირველი მდგომარეობის შესატყვისი ბუნებრივი კვების რაციონი. თუ ის მანამდე იყო ვეგეტერიანელი, ყველა მსგავსი ტიპის პრიმატებთან ერთად, გამყინვარების შემდეგ უკვე თანდათან ღებულობს ხორცისმჭამელ მტაცებელთა მხეცურ თვისებებს. აქედან მოყოლებული, დღემდე ის ყველა სახეობის მხეცზე უფრო გაუმაძღარი სასტიკი და დაუნდობელი ხდება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვეგეტერიანელობიდან ხორცის ჭამაზე გადასვლაში, მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ინტელექტმა, რომელმაც, პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების გზაგასაყართან, კაცობრიობას ჩაადენინა სამი უმძიმესი, მაგრამ გარდაუვალი და აუცილებელი უპრეცენდენტო გადახვევა, ანუ რელიგიური გაგებით, „ცოდვა.“

ვეგეტერიანელობიდან ცხოველურ საკვებზე გადასვლა იყო კაცობრიობის უპირველესი რადიკალური მეტამორფოზი, რასაც სავსებით შეგნებულად ვუწოდებთ ცოდვას, იმიტომ, რომ დღემდე სხვადასხვა მგრძნობიარე ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებს, უხვად შემორჩათ დასაკლავი საქონლის მიმართ მწვავე სინანული და სინდისის ქენჯნა. რომ არა კოლექტიური სოციალური ცნობიერებისთვის დამახასიათებელი, სიცრუეზე დაფუძნებული გამართლება და წახალისება, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს რელიგიური ტრადიციაც, ცალკეული პიროვნება ამის გამო, ტრაგიკული დილემის მდგომარეობას თავს ვერ დააღწევდა. ბოლოს და ბოლოს ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ამის გარეშე მხატვრულ შედევრად ვერ მოგვევლინებოდა. **მეორე ინტელექტუალური ცოდვა სოციალური ინტერესების განმსაზღვრელი სიცრუეა, რომელიც მიმართულია გლობალური განზოგადების მასშტაბით (იგულისხმება ადამიანთა შორის თვით კანიბალიზმამდე მიყვანილი შეურიგებლობა და მტრობა), პირველი ცოდვის გამართლებისაკენ.**თუ ორი დასახელებული ცოდვა პრეისტორიული ხანის უმძიმესი მემკვიდრეობაა, ისტორიულმა ყოფიერებამ ამას ზედ დაურთო აპოკალიფსური ძრწოლის მომგვრელი, **მესამე ინტელექტუალურიცოდვაც, რომელიც გახლავთ ისტორიული დროის მეოთხე, ფალსიფიცირებული განზომილების რეგლამენტით თავსმოხვეული, ტექნოკრატიული ურთიერთგაუცხოება ადამიანთა შორის, როცა თითოეული მათგანი, მეორის მიმართ კარგავს სოციალური თანაარსებობის უმთავრეს ფუნქციას, ღირებულებასა და დანიშნულებას.**

ჰაიდეგერი თვლის, რომ ადამიანმა უკვე გააცნობიერა საკუთარი „მიმწოდებლის“ ფუნქცია, რისთვისაც ბუნება გადააქცია „მიწოდებად“. მამფორდი მოგვიწოდებს მეგამაშინის ნგრევისაკენ. საგულისხმოა, ისიც, რომ ამ ორივე ფილოსოფოსს, და არა მარტო მათ, არ სჯერათ ტექნიკის გამო წარმოშობილი პრობლემების მოგვარება ისევ განვითარებული ტექნიკის მეშვეობით, მიუხედავად მისი შესაძლო სრულყოფისა და ჰუმანიზაციისა. ჯონ მარტინი ერთი მხრივ, აღიარებს, რომ „დღეს გაცილებით უფრო იოლია მთელი პლანეტის განადგურება, ვიდრე მის მიმართ მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია,“მეორე მხრივ, ტექნოლოგიური მიზეზით წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ გზად ესახება არა მისი განვითარების შეფერხება, არამედ ინტენსიური დაჩქარება. „აუცილებელია, ავირჩიოთ და განვავითაროთ, ისეთი ტიპის ტექნოლოგიები, რომლებიც ბუნებასთან ჰარმონიაში ექცევიან”(128_45).მსგავსი მიდგომების პოლემიკაში სკალიმოვსკი წერს: „ამ გაუკუღმართებულ და ყოვლისმომცველი სირთულეების საფეხურზე, ტექნიკა გადაიქცა ჩვენს ფიზიკურ და მენტალურ მფარველად, თუ მაინც იმ აზრზე დავდგებით, რომ ის აცარიელებს ჩვენს ბუნებრივ და ადამიანურ გარემოს, პირველი ადეკვატური რეაქცია გამოიხატება

სხვაგვარი ფორმისა და სახეობის შემუშავების თაობაზე, რასაც ვითომდა, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა შეუძლია“(136_89).ამგვარად, ტექნიკის ფილოსოფოსთა ერთი წყება საჭიროდ თვლის ტექნიკის (ტექნოლოგიების) ჰუმანიზაციას, რათა ის ბუნებისა და ადამიანისთვის ხელშემწყობი გახდეს, ხოლო მეორე წყება, სკალიმოვსკისნაირად, დარწმუნებულია ყოველგვარი ტექნოლოგიური გაჯანსაღების მცდელობათა წარუმატებლობასა და საბოლოო მარცხში. საგულისხმოა ისიც, რომ ორივე მხარეს გააჩნია თავიანთი დამაჯერებელი არგუმენტები.

როგორც უკვე ითქვა, **ბუნების სიურპრიზად შემოთავაზებული გამყინვარების ჟამს, ადამიანს მხსნელად მოევლინა ინტელექტი, რომლის მიერ გაფორმებულმა სოციალურმა ცნობიერებამ გამოამჟღავნა ადაპტაციის ხელოვნურად შეძენილი უნარი და გეზი აიღო ტექნიკური გარემოს გამომუშავებისკენ. ამ მეორე ფაზის გვიანდელ საფეხურზე, ტექნიკური გარემო უშუალოდ კი აღარ გამომუშავდება სოციალური ცნობიერების ინტელექტუალიზაციის შედეგად, არამედ, საკუთრივ ტექნიკური რეკონსტრუქცია იკავებს ადამიანური ინტელექტის ადგილს და ამის შემდეგ კარნახობს სათანადო პირობებს სოციალურ ცნობიერებას, რათა ამ უკანასკნელმა ადაპტაცია განიცადოს ადრინდელთან შედარებით, უფრო პასიური და დაქვემდებარებული შეგუების წესით.** ამ მეორე ფაზის თავისებურებას ზედმიწევნით შეესაბამება ტექნიკის ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ე. კაპის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტექნიკური შეიარაღება გახლავთ „პროექცია,“თავისებური გაგრძელება და გაძლიერება ადამიანური ორგანოებისა(87_327).ტექნიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ს. ფლორმანისა და ფ რაპის მიერ. ფლორმანი ამტკიცებს: „საჭიროა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ როგორც წესი, ინჟინრული იმპულსი ჩნდება ყველაზე ადრინდელ კულტურებში და მათი კვალის აღმოჩენა შესაძლებელია თვით გენეტიკურაგებულებაშიც“(90_129).აქ აშკარაა, რომ ნატურალისტური მიდგომა ყურადღებას აპყრობს ტექნიკურ საქმიანობაში ირაციონალურ დეტერმინანტებზე, თუმცა ფ. რაპის აზრით, ეს ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე, მეცნიერულად დაფუძნებული ტექნიკის დინამიკის გაგებას, ვინაიდან, თუ ამ კონცეფციას გადავაფორმულირებთ ევოლუციური თეორიის ენაზე: „გარემო, რომელსაც უნდა შევეგუოთ, თავდაპირველად შეიქმნა ადამიანის მიერ, ამგვარად ნებისმიერი ადაპტაცია გარდაიქმნება თვითადაპტაციად, მაშინ როდესაც ევოლუციური პერსპექტივა გამოყენებულია ნორმატიულ შეფასებათა მისაღებად“(იქვე_139).

რაც შეეხება ევოლუციის მესამე ფაზას, ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას მისთვის ჯერ არ მიუღწევია, თუმცა თუ მთლად ფანტაზიებისა და გამონაგონი ქიმერების მსგავს კატეგორიებში არ მოვაქცევთ ე. წ. ზებუნებრივ, ღვთაებრივი ან

დემონური პერსონიფიკაციების არსებობას, შეგვიძლია დავუშვათ, რომ სხვადასხვა მითოლოგიური და რელიგიური თქმულებების საერთო მსგავსება, ან უცხოური იდენტიფიკაცია, ემყარება იმ გამონაკლისი ინდივიდების რეალურ მოღვაწეობას, რომლებიც, თავიანთი უნარ-შესაძლებლობებით, წარმოდგენას გვიქმნიან ბიოგენეტიკური ევოლუციის მესამე ფაზაში შემავალ ადამიანებზე. ეს ის ფაზაა, რომლის რეალური განხორციელება რაციონალურ-ემპირიული განსჯისათვის დაუჯერებელია, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისეთი იდუმალი მოვლენების არსებობა, რომელთაც ადგილი აქვს, რელიგიური და მითოლოგიური თქმულებების გარეთაც, რეალურ სინამდვილეში, თუნდაც პარაფსიქოლოგიის, ტელეკინეზის, ტელეპატიის, ტელეფორტაციის, ალქიმიისა და მაგიის სახით, რის საფუძველზე აღმოცენებული წარმოდგენები მთლად აბსურდულად არ უნდა მოგვეჩვენოს. აქ ისიც გასათვალისწინებელია,რომ ზოგიერთ შეხედულებათა აბსურდულობის დამტკიცებას, პრაგმატიზმის კუთხით, უფრო უარესი აბსურდის აღიარებით აღწევენ.

ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროთა მკაცრმა ურთიერთგამიჯვნამ უკვე თავისი დრო მეცნიერებაშიც მოჭამა. ისედაც, ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები კარგად ამჩნევდნენ, რომ მიზეზშედეგობრივ კავშირთა ლოგიკური თანმიმდევრობის აუცილებელი დასრულების იქით, ყოველთვის წარმოიქმნება ილუზია არაფრიდან რაღაცის წარმოშობის შესახებ, რაც მეცნიერული მსოფლმხედველობის პრინციპს ეწინააღმდეგება. იმისათვის, რომ მეცნიერულად დასაბუთდეს და მსოფლმხედველობრივად დამაჯერებელი გახდეს რაიმე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას საწყისი მიზეზების შესახებ, რაზეც ემპირიული და რაციონალური მონაცემებით პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი ასეთი ახსნა, თავისი რეალური დროისა და სივრცის განზომილების საზღვრებში, არღვევს ლოგიკური იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და საკმაო საფუძვლის კანონს.თუ გვსურს რომ ეს კანონები არდავარღვოთ, ყველაფერი ისეთნაირად უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერი არსებული ამავე დროს მარადიულად არსებულის გამოვლენისა და კვლავ განმეორებადობის ფორმას წარმოადგენდეს, რაც გამორიცხავს ძველზე უნაშთოდ დაუყვანელი სიახლის წარმოშობას.

ცნობილია, რომ XX საუკუნის ფილოსოფიურ მიმართულებებში გამოიკვეთა ერთერთი მათგანი, რომელმაც „სიცოცხლის ფილოსოფიის“ სახელწოდება მიიღო. ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი, ო.შპენგლერი, ზ. ფროიდი, გ. ზიმელი და სხვები უსიტყვოდ დომინირებდნენ, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ფართო ინტელექტუალურ ასპარეზზე. დარვინიზმის იდეურ განშტოებებზე წამომართულმა ცნებებმა მყარად მოიკიდეს ფეხი სოციალურ ცნობიერებაში და გამოხატულება ჰპოვეს მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო, სოციოლოგიურ, ლიტერატურულ და ესთეტიკურ

ნამოღვაწარზე. ამავდროულად იგი იქცა მრავალი მეტაფიზიკური გონებაჭვრეტისა და სისტემური აგებულების შთაგონების წყაროდ.ისევ და ისევ ბიოლოგიის ტოტალური განვითარების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ბოლო პერიოდში, ფილოსოფიურ და სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიოფილოსოფიის“ ტერმინის მეტნაკლები დამკვიდრება და გავრცელება „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ნაცვლად. მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა დნმ სტრუქტურის გენეტიკური კოდის ძირითადი მნიშვნელობა და დანიშნულება (1953 წ.) უკვე აქედან მოყოლებული,ბუნებისმეტყველების ლიდერის, ფიზიკის ადგილი, თანდათან ჩაანაცვლა ბიოლოგიამ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1975 წელს, როდესაც დღის სინათლე იხილა ამერიკელი ენტომოლოგის, ე. ვილსონის წიგნმა „სოციობიოლოგიამ,“სოციალურ მეცნიერებებში მოხდა ნამდვილი გადატრიალება [100].ამ ხნის მანძილზე მიმდინარეობს კვლევით მიმართულებათა ფართო მოცულობის ერთიანი ველის ჩამოყალიბება, სადაც, სახელწოდებათა ჩამონათვალში, ძნელად გამოვარჩევთ ისეთს, რომელშიც არ დომინირებდეს „ბიო“ ან „ევოლუცია“: ბიოეთიკა, ბიოპოლიტიკა, ევოლუციური ეთიკა, ევოლუციური ეპისტემოლოგია და სხვა. სრულებითაც არაა საკვირველი ისიც, რომ აღნიშნულ წლებში, მიმდინარე მოვლენების ფონზე, ადგილი ჰქონდა, შესაბამისი მსოფლმხედველობის პოლიტიკური იდეოლოგიის სამყაროში მიმდინარე პროცესები,მის ფიზიკურ, ქიმიურ თუ ბიოლოგიურ გამოხატულებათა ხასიათით, ექვემდებარება გონიერ, მიზანშეწონილ და მოწესრიგებულ კანონზომიერებათა მოქმედებას, რომელიც იმართება ერთიანი სამყაროს უპიროვნო, აბსოლუტური სუბიექტის მიერ მსოფლიო კოსმიური და ბიოსოციალური ურთიერთკავშირებისრანგში. აღნიშნული პროცესების ასახსნელად, ადგილი ჰქონდა ფილოსოფიურ განზოგადებათა მცდელობებსაც. 1968 წ. გამოვიდა თანამედროვე ევოლუციონიზმის ერთერთი კლასიკოსის, გერმანელი მეცნიერის, ბ. რენშის მონოგრაფია, „ბიოფილოსოფია“(92).როგორც ჩანს ეს გახლდათ პირველი სასიგნალო გამოცემა, რასაც მოჰყვა მ.რიუზის(94)და დ.ჰალის(84)ნაშრომები.80_იან წლებში ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი შეიძინა, როდესაც სერიული გამოცემების სახით მიმდინარეობდა ფუნდამენტური ხასიათის მონოგრაფიების გამოქვეყნება ბიოლოგიის ფილოსოფიასა და ბიოფილოსოფიაში: ა.როზენბერგის „ბიოლოგიურ მეცნიერებათა სტრუქტურა“(93)და რ. სატლერის „ბიოფილოსოფია“ (96). აღნიშნული ციკლის დაგვირგვინება გახლდათ მ. რიუზის რედაქციით გამოსული საერთაშორისო ჟურნალი „ბიოლოგია და ფილოსოფია“1986წ.(95)რომელშიც წამოწეულია ბიოფილოსოფიური საქმიანობის სისტემატური დამუშავების საკითხები.**გამოდის, რომ XX საუკუნეს იწყებს „სიცოცხლის ფილოსოფია“და ასრულებს**

„ბიოფილოსოფია.“ეს ყველაფერი კი მეტყველებს, სიცოცხლის ფენომენის განმსაზღვრელ როლსა და მნიშვნელობაზე, სამყაროს სუბსტანციური არსების მიმართ, ადამიანის რაობის გარკვევის პრინციპზე დაყრდნობით. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყოველნაირაად გავამძაფრებთ ბიოკენეტიკური ევოლუციისა და ინტელექტუალური რეფორმაციის არსების დამოუკიდებლად კვლევა-ძიებას, რითაც, ერთი პატარა კვალის გავლებით, საკუთარი გონჭვრეტელობის გუთანსაც მოვუსინჯავთ ფხას და თანაც, ისტორიის მიღმა მდებარე, ეზოთერულ ნიადაგს ოდნავ მაინც გავუმარგლავთ ყამირ-სიმკვრივეთა მისტერიებს,რათა ამას იქით, უფრო მარჯვე და ბარაქიანი ხვნა-თესვა გააგრძელონ სხვებმა, რათა მრავალტანჯულმა კაცობრიობამ კიდევ ერთხელ, განუსაზღვრელი ხანგრძლიობის ვადით, თავი დააღწიოს ამ სოციალ-პოლიტიკური სიცრუისჯოჯოხეთის, შავბნელი და პირსისხლიანი ისტორიის მაჯლაჯუნას.

ეტაპობრივად იქმნება ერთგვარი ცდუნება „სიცოცხლის ფილოსოფიიდან“ „ბიოფილოსოფიამდე“მიმავალი ტრაექტორიის მომხიბვლელობაზე, მით უფრო, რომ სიცოცხლის ფილოსოფიის წარმოშობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა იმ ბუმმა, რასაც მაშინ განიცდიდა ბიოლოგიური მეცნიერება. ფ. ნიცშეს, ა. ბერგსონის, მ. შელერისა და სხვათა მიმართ ბიოლოგიის ზეგავლენამ გარკვეული ბიძგი მისცა ჰ. რიკერტს, ამ (20-იანი წლების) ახალმოდური მიმდინარეობისთვის მიეძღვნა საგანგებო მონოგრაფია, „ბიოლოგიზმის“ სახელწოდებით (134_68).ბიო-ფილოსოფოსების ნაშრომები, ამავე დროს, ერთთავად გაჟღენთილი გახლდათ ისეთი თემებითა და მტკიცებულებებით, რომელებიც არ შემოიფარგლებოდნენ მარტოდენ ბიოლოგიის ზოგადფილოსოფიური საკითხებით, ისინი ფართო დიაპაზონით იჭრებოდნენ აგრეთვე სოციოჰუმანიტარული მეცნიერებების, ეთიკის, ესთეტიკის, გნოსეოლოგიისა და ონტოლოგიის მეტაფიზიკურ პრობლემატიკაში; ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ვახსენოთ ბ. რენში, რომელიც შეეცადა თანამედროვე ბიოლოგიისა და პანთეისტური ფილოსოფიის ერთ მთლიან მსოფლმხედველობრივ შერწყმას.

ერთი შეხედვით, „სიცოცხლის ფილოსოფიისა“ და „ბიოფილოსოფიის“ დაახლოება გარკვეულ გადაულახავ ბარიერებთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც სიცოცხლის მკვეთრი ირაციონალური ხასიათის გამო, ფილოსოფიაში მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე მხრივ, ბიოლოგია, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება რაციონალური და ექსპერიმენტული დასკვნების ფარგლებს გარეთ ვერ უნდა გასულიყო. თუმცა ფილოსოფიური აზრის ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო მსგავსი ტიპის დაბრკოლებათა უძლურება და უპერსპექტივობა ინტუიტიური ჭვრეტის

გაცისკროვნებული, მახვილ-გამჭოლი გამოსხივების წინაშე. რასაკვირველია, ასეთი დაახლოება მეცნიერული და ფილოსოფიური აზრის ბუნებრივი ტრანსფორმაციის ლოგიკური შედეგია, რაც ზედმიწევნით მიესადაგება XX საუკუნეში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ ტექნოლოგიური ხასიათის ძვრებსა და გამოწვევებს.საგულისხმოა ისიც, რომ „ბიოფილოსოფიის“წარმომადგენლები თავიანთ თავს ვერ შეიგრძნობენ იმ ტრადიციების გამგრძელებლებად, რასაც დასაბამი დაუდეს სიცოცხლის ფილოსოფიის მიმდევრებმა. ყოველ შემთხვევაში, მათ შრომებში ნაკლებსავარაუდოა, დამოწმებულ იქნას ისეთი ავტორიტეტული სახელები, როგორიცაა ა. ბერგსონი, ფ. ნიცშე, გ. ზიმელი, მ. შელერი და სხვა. ეს ნიშანდობლივია არა მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურისთვის, არამედ თვით გერმანელი ბ.რენშის რამდენადმე განსხვავებული ყაიდის მსოფლმხედველობისთვის. მთავარი მაინც ისაა, რომ „სიცოცხლის ფილოსოფია“თავისი სპეციფიკით ფილოსოფიაა და არა რომელიღაც კერძო საბუნებისმეტყველო დისციპლინა, მათ შორის ბიოლოგია, ამიტომაც მისი სკოლის შიგნით, როგორი სახეცვლილებითაც არ უნდა წარმოდგენილიყო სიცოცხლის ცნება, იგი მაინც თავსებადი იყო კლასიკური ფილოსოფიური სისტემებისთვის განუყოფელი ისეთი ძირითადი ცნებებისა და კატეგორიებისაგან, როგორიცაა კოსმოსი, სუბსტანცია, მატერია სუბიექტი და სხვა.

სიცოცხლის ცნებაში, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით ასოცირდებოდა სამყაროსა და ადამიანის არსებანი, რომელიც ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსის შეხედულებით, თავის იდეურ მასაზრდოებლად საერთოდ არ საჭიროებდა დარვინისტულ ბიოლოგიას, რომელიც ორგანიცისტული სოციოლოგიის ფართომასშტაბიან მიმდინარეობაში გადაიზარდა XX სააუკუნის დასაწყისში. მათგან განსხვავებით, ჩვენ შემთხვევითად და უსაფუძვლოდ სულაც არ მიგვაჩნია ჰ. რიკერტისაგან „სიცოცხლის ფილოსოფოსთა“ „ბიოლოგისტებად“ მოხსენიება, მაშინაც, როდესაც მათი სულისკვეთება მკვეთრად „ანტიბიოლოგისტური“ტენდენციების გამომხატველი გახლდათ. „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ჩამოყალიბების გზაზე, ბიოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმით, რომ მან საყოველთაო ყურადღება მიაპყრო სიცოცხლის ფენომენზე. თავდაპირველად თუ ეს იყო დარვინიზმი, XX საუკუნის პირველ ათწლეულში ეს ზეგავლენა უფრო მეტად გაამძაფრა გ. მენდელის გენეტიკამ. რიკერტის პოზიციის მოწინააღმდეგეებს წარმოუდგენიათ, რომ ბიოლოგიური მეცნიერების გააქტიურებამდე უკვე არსებობდა სიცოცხლის ფილოსოფიის ნოყიერი ნიადაგი, რაშიც თავისუფალი გასაქანი ჰპოვა ახალი ბუნებისმეტყველების მიერ მიმოფანტულმა საჯიშე მარცვალმა.

გნოსეოლოგიურ- მეთოდოლოგიური ცალმხრიობისა და შეზღუდულობისაგან თავისდაღწევის ფიქრით გაწამებული ფილოსოფიის წინაშე მწვავედ იდგა ახალი მეტაფიზიკური და მსოფლმხედველობრივი სისტემის კრისტალიზაციისთვის საჭირო და აუცილებელი საკვანძო ცნებების შემოღება. ასეთ ვითარებაში, ბიოლოგიამ ფასდაუდებელი დახმარება გაუწია სიცოცხლის ფილოსოფიას, რომელიც კლასიკური ფილოსოფიის განმსაზღვრელი წინააღმდეგობებისა და დილემების გადალახვის საშუალებით, იმედს ისახავდა, რომ დაიბრუნებდა მანამდე იგნორირებული თავისთავადი რეალობის სრულყოფილ სიცხადეს. მისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრობითა და დამაჯერებლობით, ეს აზრი დააფიქსირა მ. შელერმა თავის უკანასკნელ ნაშრომში, „ადამიანის მდგომარეობა კოსმოსში“. ასევე იშვიათი გამონაკლისი არ გახლავთ ფილოსოფოსთა მორიგი კატეგორია, რომელიც რ. დეკარტისკენ იშვერს თითს, იმ მოტივით, რომ მან თითქოსდა ევროპულ აზროვნებას თავს მოახვია აუარებელი შეცდომების დასტა, ფსიქო-ფიზიკური პარლელიზმით გაორებული „აზრობრივი“ და „განფენილი“ სუბსტანციების დამკვიდრებით. პარალელიზმის ფაქტი რეალობის აღქმის სავსებით ნორმალური და ჩვეულებრივი აქტია, რისი რაციონალური ახსნა-განმარტებისთვის ამ ფაქტის აღიარება ზედმეტი სულაც არაა. თანაც გასათვალისწინებელია, ამ ფაქტის შემეცნების პროცესში, როგორც მიმართებითი დაყოფა-დანაწევრების საფეხურზე დადგენილი ცოდნისა და შეფასების დიხოტომიური ბუნება, ასევე უფრო მაღალ საფეხურზე, სიკვდილ-სიცოცხლის არსის სინთეზური გამთლიანების უნივერსალური და აბსოლუტური იგივეობის თვითცნობიერებამდე ამაღლება, რასაც დეკარტე და მისი მიმდევრები თავიანთი კრიტიციზმისა და მეთოდური სკეპტიციზმის მართებული პრინციპებით პირიქით ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჰეგელის რაციონალური პანლოგიზმის იდეა დასრულებულ სისტემად ვერ ჩამოყალიბდებოდა, ასევე, მეორე მხრივ, შელინგსაც დიდად გაუჭირდებოდა ფიხტეს ძირითად დებულებათა ტრანსცენდენტალური დიალექტიკიდან იდენტობის (იგივეობის) ფილოსოფიის პროეცირება, რაც, ჩვენი შეხედულებით, სიცოცხლის ფილოსოფიისა და ექსისტენციალიზმის არაცნობიერი საწყისისკენ მობრუნების ღერძულ ძალად წარმოიქმნა. ასე, რომ სუბსტანციური მონიზმის პრინციპი, რაოდენ გულუბრყვილო და სწორხაზობრივიც არ უნდა მოგვეჩვენოს, შინაგანად მაინც კრიტიკული დუალიზმის თავგზაამბნევი ნექტრითაა გაჯერებული. მსგავსი რამ კონსტანტინე გამსახურდიასაც უთქვამს ეჭვისა და რწმენის ერთიანობაზე: „ვისაც სკეპტიციზმის გესლი არ უგრძვნია, იგი ვერასოდეს შესულა რელიგიური შემეცნების სიღრმეებში“(8_387). მ.შელერი მაინც ცდილობს ერთიანი სუბსტანციის ორად გახლეჩის რაციონალისტურ მიდგომაში დაინახოს გადაულახავი წინააღმდეგობა:

ერთ შემთხვევაში იძულებულია, მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებს მიაწეროს ანთროპული ფსიქიკისათვის ნიშანდობლივი თვისებები, რაც უდიდეს უხერხულობას შექმნიდა ორგანული თუ არაორგანული ყოფიერების რეალობის გაცნობიერებაში, ხოლო მეორე მხრივ, ამ მდგომარეობისგან თავდასაღწევად, ადამიანური ცნობიერებისა და აზროვნების გარეშე მდებარე მოვლენების ახსნა მოეხდინათ წმინდა მექანისტური საფუძვლებითა და მიზეზებით, რასაც მოჰყვებოდა მეორე უკიდურესობაში ჩავარდნა, ანუ ადამიანის სრული აბსურდული იზოლიაცია გარემომცველი ბუნებისაგან. მთელი ამ უშედეგო და უკიდეგანო ჭაპანწყვეტის სულ მცირე ღირებულ მიღწევად შელერს მიაჩნია სულის ავტონომიურობის სუვერენული უფლების დამკვიდრება შემეცნების პროცესში, რითაც იკვეთება მისი პრიორიტეულობა და უპირატესობა ყველა დანარჩენ ორგანულ, სასიცოცხლო ქმნილებაზე (151_77).

სხვებთან ერთად, აღსანიშნავია ვ. სოლოვიოვის ნეგატიური განწყობაც კარტეზიანული ფილოსოფიისა და საერთოდ ყველა სახის დუალისტური პლატფორმის მიმართ, სადაც აქცენტი კეთდება მატერიალურ, ნივთიერ სუბსტანციაზე, რომელიც გაქვავებულ, ინერტულ მდგომარეობას ვერაფრით ვერ შორდება გარეგანი ზემოქმედების ფაქტორის დაუხმარებლად. მათი მხრიდან გასაგებია ისიც, რომ **ფილოსოფიურ აზრს შეუძლია ყველაფრის ატანა, გარდა სუბსტანციური უმოქმედობისა.** თავის პოპულარულ ნაშრომში, „ჭეშმარიტი ფილოსოფიის გზაზე“ (1883 წ.), სოლოვიოვი ამბობს: „მივყვებით რა, ისტორიული თანმიმდევრობით, ზუსტ მეცნიერებებში გაბატონებულ უკიდურესმექანიცისტურ თვალსაზრისს, ასევე, პარალელურად, ფილოსოფიაში გაბატონებული იდეალიზმის მსვლელობას, ვაწყდებით საერთო საწყისის პრობლემას, რომელშიც მოთავსებულია მათივე ბედუკუღმართობის გასაღები. კარტეზიანული სკოლის ძირითადი შეცდომა გავრცელდა საერთოდ ევროპულ განმანათლებლობაზე, რომლისგანაც თავისდაღწევას ცდილობდა ჯერ ლაიბნიცი, შემდეგ__შელინგი, თუმცა შეუძლებელი იყო მსოფლმხედველობრივი გზებით ამის გაკეთება, ვინაიდან დეკარტედან მომდინარე, ამ საბედისწერო შეცდომის არსი მდგომარეობს ჩვენს სინამდვილეში მოცემული, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი სუბსტანციის ცნობასა და აღიარებაში: ერთი მხრივ, მკვდარი ნივთიერება, რომლის არსებაც განისაზღვრება უძრავი განფენილობით,მეორე მხრივ, არამატერიალური სული, რისი უნაყოფო არსების ერთადერთი მახასიათებელიც წმინდა აზროვნებაა“(137_327–328).მას მერე, რაც აჩვენა, თუ როგორი გადაულახავი წინააღმდეგობის გზით მივყავართ დეკარტეს ამოსავალ დებულებებს, სოლოვიოვი გვთავაზობს შემდეგ გამოსავალს: „ამ გონებრივი ლაბირინთიდან გამოღწევა

ერთადერთი გზით შეიძლება: უარი ითქვას თავდაპირველ მცდარ არჩევანზე, ანუ გადაჭრით ვცნოთ მკვდარი ნივთიერებისა და წმინდა აზრის უსაფუძვლობა, რამეთუ სამყაროს უნივერსალური მექანიზმი და უნივერსალური სილოგიზმის თავისთავადი არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია, ისინი მხოლოდ ჩვენი გონების გართულობის პროდუქტებია, რომელთა ადგილიც განსჯის ფორმალურ ინსტანციებსა და ფარგლებს იქით არ ვრცელდება. რეალური სუბსტანციად უნდა გამოვაცხადოთ ისეთი რაღაც მესამე მდგომარეობა, რომელიც თავისი არსებით არ შეესაბამება არც უსულო ნივთიერებას და არც უნაყოფო იდეას. წმინდა აზრიც და წმინდა ნივთიერებაც იმით გამოირჩევიან ყველაფრისაგან, რომ ორივენი ერთნაირად უსიცოცხლონი და უნაყოფონი არიან....სიცოცხლე არის ყველაზე საერთო, ყოვლისმომცველი სახელწოდება ყველგან და ყველაფერში. შეგვიძლია ერთნაირი უფლებით ვიმსჯელოთ ღვთაებრივ, ადამიანურ და ბუნებრივ სიცოცხლეზე“ (იქვე, 330). ვფიქრობთ, სალავიოვის, შელერისა და რენშის მკვეთრი კრიტიკული მოტივები რაციონალური და კლასიკური ფილოსოფიის ტრადიციული მიდგომებისადმი არა მარტო გადაჭარბებული, არამედ გაუმართლებელიცაა, ვინაიდან გასულიერებული ბუნების სტიქიური სუბსტანციური მამოძრავებელი ძალებისადმი პრიორიტეტის მინიჭება ჯერ კიდევ მითოსურ საბურველში გახვეული ძველი ბერძენი ფილოსოფოსებისთვისაც არ იყო უცხო, თუმცა ისინი ბევრად უფრო წინ იდგნენ ყველა ჯურის „სიცოცხლის ფილოსოფიისა“ თუ „ბიოფილოსოფიურ“ პოზიციებზე მდგომ ხსენებულ ავტორებთან შედარებით, იმით, რომ გონების რაციონალური წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გავრცელება-გაზიარებისაგან კატეგორიულად თავს იკავებდნენ. **სიცოცხლე რომ ყოვლისმომცველი და უმთავრესია, ამაზე არავინ დაობს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც იოლი დასანახია; საქმის არსი მისი გაგება და შეცნობაა, რაშიც მდგომარეობს არა მხოლოდ მეცნიერული ფილოსოფიის, არამედ საერთოდ ფილოსოფოსობის ერთადერთი და ძირითადი დანიშნულება.** ძალიან ხშირად ეს ბევრ გენიალურ მოაზროვნეებსაც ავიწყდებათ, რის გამოც თეორიული არგუმენტების ნაცვლად, ემოციურად დატვირთულ მხატვრულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ სხვადასხვაგვარი პროზაისტული, თუ პოეტური ხერხის გამოყენებით. იმათ კი, ვისაც თეორიებშიც ისე მწარედ მოსცარვიათ ხელი, რომ მაგიერი პოეტური მადლითაც ვერ აღვსილან, თავიანთი უნიათო წუწუნითა და საყვედურებით, სერიოზული და საქმიანი კრიტიკის ფუნქციების თავის გართმევა დიდად გაუჭირდებათ. ამიტომაც **რაც არ უნდა ეცადონ ფილოსოფიისა და მეცნიერების ერთმანეთისაგან მოწყვეტას და თითოეული მათგანის მიერ მოპოვებული იდეისა, თუ აღმოჩენის მიმართ მეორის როლისა და დამსახურების განეიტრალებას, ყოველი ასეთი ინტელექტუალური**

მანევრი, ან პოლიტიკური სარჩულით დახლართული ავანტიურა, საბოლოო კრახისთვისაა განწირული. არც მეცნიერებას და არც ფილოსოფიას არ გააჩნიათ ისეთი ორიგინალური და განსაკუთრებული მოთხოვნილებანი, რომელიც რაიმე დოზით აკლდებოდეს, ან აღემატებოდეს საერთო ეპოქალურ, ადამიანურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ფილოსოფიაც და მეცნიერებაც ერთნაირი ვალდებულებით ემსახურებიან იმ ფუნდამენტური მიზნებისა და ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის ურთულეს მისიას, რაც განპირობებულია, ამ უკიდეგანო სამყაროში, ადამიანის როლის, ადგილის მოძიების, სიცოცხლის საზრისისეული გამართლების აუცილებლობითა და კანონზომიერებით.

რაც შეეხება, ბიოფილოსოფიას, აქ სიცოცხლის ფილოსოფიისაგან დიამეტრულად განსხვავებული ვითარებაა: პირველი, რაც თვალშისაცემია, პრიორიტეტული ხდება კერძომეცნიერული ხერხებისა და ცოდნის წესების გამოყენება. მეორე, მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა გახლავთ, მთელი საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევებისა და მონაპოვრების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გადახალისება-გადამუშავების გზით, კონკრეტული მსოფლმხედველობრივი შინაარსის დებულებებისა და დასკვნების დეკლარირება სიცოცხლის ძირითადი და უმთავრესი თავისებურების გასარკვევად. დასახული მიზანი ნათელი და გასაგებია, თუმცა ისიც ცხადია, რომ როგორი ფართო დიაპაზონითაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, თუნდაც ყველაზე თანამედროვე, კვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ, სიცოცხლის ფენომენი, რაშიც გათვალისწინებული იქნება მისი ისეთი უაღრესად ეგზოტიკური მხარეები, რომლებიც არაცოცხალი, ინერტული ნივთიერების ნაცვლად, მიუთითებენ ზოგადჰიპოტეტური, ნახევრადმისტიკური, პირველმატერიიდან მის წარმოშობაზე (სხვათა შორის, ამ პოზიციას იცავენ საკმაოდ სერიოზული ავტორიტეტის მქონე მეცნიერები), ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფენომენი ვერ გადაწვდება მთელი სამყაროს სასიცოცხლო ძალთა უნივერსალური შესაძლებლობების მასშტაბებს და შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული კოსმიური, ან რომელიმე ბუნებრივი სინამდვილის (შესაძლოა გრანდიოზულიც) კერძოდ გამოკვეთილი ნაწილის დახასიათებით. როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, „ბიოფილოსოფია“ვერ მოგვევლინება „სიცოცხლის ფილოსოფიის“რაციონალურ-ემპირიული მოდელირების სახეშეცვლილ ანალოგად, ვინაიდან, რაციონალურ-ლოგიკური სიცხადე და ემპირიულ-რეალური მეცნიერულად დაკვირვებადი ფაქტობრივი სინამდვილე ვერაფრით ვერ ჩაანაცვლებს ირაციონალურ-მისტიკურზე-ინტელექტუალურ-ნათელმხილველური ჭვრეტის საკრალურ და ეზოთერულ უნარებსა და ძალებს. სიცოცხლის ფილოსოფიასა და ბიოფილოსოფიას შორის კავშირი მეტად რთული, მაგრამ საინტერესოა ფილოსოფიური და კულტურული

მიმართების კუთხით. ბიოფილოსოფიის ტერმინის ქვეშ მეცნიერულ-ფილოსოფიური ცოდნის საგანი იგულისხმება, რაც თავის მხრივ, მოითხოვს როგორც ფილოსოფიის, ისე მეცნიერების კომპეტენციების საზღვრების დადგენას. კონკრეტულად ამ საკითხს თავის ნაშრომებში ეხებოდა რალფ სატლერი (96_5).მისი აზრით, „ბიოფილოსოფიასთან“ შესაძლებელია არაერთი განსხვავებული მიდგომის განხილვა, რამდენადაც იგი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა, „ბიოლოგიური მეცნიერების ფილოსოფიას,“რისი დაზუსტებული განსაზღვრება კიდევ ერთხელ გვაბრუნებს ფილოსოფიის არსის ხელახალი განმარტებისაკენ, ვინაიდან რამდენი ფილოსოფოსიცაა, იმდენი განსხვავებული გაგებაა ამასთან დაკავშირებით. რიუზი მიმართავს რედუქციული კვლევის პროგრამულ თანმიმდევრობას. სხვადასხვა ქვეყნის ფილოსოფიურ ტრადიციას გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიოლოგიის მეცნიერებაზე იმდენნაირად და იმდაგვარად, რამდენნაირი კონცეპტუალური ხედვაც წარმოგვიდგება მეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების კონკრეტული ასპექტით. კონტინენტური ქვეყნების ინტელექტუალური ტრადიცია და გამოცდილება აქცენტს აკეთებდა ისეთი სახის სიცოცხლის შესატყვისი ასპექტების გამომხატველ ცნებებზე, როგორიცაა: სტრუქტურა, ფორმა, მთელი, ნაწილი და სხვა. მაშინ, როდესაც ბრიტანული და საერთოდ ინგლისურენოვანი ტრადიცია უფრო მეტად ექვემდებარება ადაპტაციური პარადიგმების პრობლემური განხილვის თემას (94_155).

კულტურულ-ეკონომიკური, რელიგიური, სამართლებრივი, ეპისტემოლოგიური და მორალური საკითხების ბიოლოგიური საფუძვლების კვლევებში უპირატესობა ენიჭება მათემატიკურ-გამოთვლით ანალიზზე დამყარებული პოპულაციური გენეტიკისა და ევოლუციის სინთეთიკურ თეორიებს, თუმცა ზოგჯერ, მათი ჩარჩოებიდან დაცილებულ, (მაგალითად, ბიოეთიკის) ისეთ დეონტიკურ დისციპლინებს, როგორიცაა: ბიოპოლიტიკა, ევოლუციური ეთიკა, ევოლუციური ეპისტემოლოგია და სხვა. აღნიშნული მიმართულებების ლიდერები ნათლად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ რიგ შემთხვევებში, მკვეთრად გამოხატული კერძო საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდებით, ეს დისციპლინები ცდილობენ შეიჭრან ფილოსოფიის წმინდათაწმინდა ინსტანციებსა და სპეციფიკური ხასიათის პრობლემატურ უფლებამოსილებაში. თანამედროვე ეპისტემოლოგიური ევოლუციის ერთერთი აქტიური წარმომადგენელი, გ. ფოლმერი წერს: „ისეთი სახის ფილოსოფიურ საკითხზე, როგორიცაა სუბიექტური და ობიექტური სტრუქტურების ურთიერთთანხმობა, პასუხი გვეძლევა მეცნიერული თეორიის, სახელდობრ, ევოლუციური თეორიის მეშვეობით. რამდენად კანონიერია ეს? შესაძლებელია თუ არა, ფილოსოფიურ კითხვას გაეცეს მეცნიერული პასუხი? შეიძლება, იმ შემთხვევაში,

თუ გვჭირდება გადავაბიჯოთ ფილოსოფიის ზღვარს მიღმა. ფილოსოფიური პრობლემების გადასაწყვეტად გამართლებულია ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში შეღწევა, რაც არა ერთხელ მომხდარა ფილოსოფიის ისტორიაში“ (144_40–41).

თავის მხრივ, ბიოფილოსოფიას გააჩნია ინტერესთა ორი ვექტორი, რომელთაგან ერთერთი დაკავშირებულია ბიოლოგიური თვალთახედვისათვის დამახასიათებელი სიცოცხლის გამოკვლევის ფორმებთან (როგორც ვთქვათ, კიბერნეტიკის ფარგლებში, ინფორმაციული მიდგომის პოზიცია, ზოგად-სისტემური თეორიის ფარგლებში, სინერგეტიკა, თვითორგანიზაციის თეორია და ა.შ.), მეორე მხრივ, ბუნებრივ და სოციალურ სისტემებზე, მათ შორის მთელ სამყაროზე, როგორც კერძო ბიოლოგიური, ისე უფრო განზოგადებული ცნებებისა და კატეგორიების გავრცელება სასიცოცხლო პროცესების შესწავლისა და გაგების მიზნით. ამგვარად ჩნდება და ყალიბდება „თვითორგანიზებადი სამყაროს,“ „გლობალური ევოლუციონიზმის“ და სხვა თანამედროვე, უნივერსალური მოძღვრებების, მეცნიერული ნატურალიზმის სქემებში მოქცეული სამყაროს სქემატური მოდელები და კონცეფციები. სწორედ ამ მიმართულებით შეიძლება წავაწყდეთ მეტნაკლებად მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს „ბიოფილოსოფიაში,“ მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა დამსახურება ჰქონდა ბუნებრივი სიცოცხლის გააზრებასა და იდეის ფორმირებაში იგივე კიბერნეტიკას, დისიპატიური სტრუქტურისა და სინერგეტიკის თეორიას, რომ აღარაფერი ვთქვათ ლ. ბერტალანფის ზოგადთეორიულ სისტემაზე აგრეთვე სპეციფიკური ბიოლოგიური ცნებების (ადაპტაციის, შერჩევის, მუტაციისა და ა. შ.) როლზე თანამედროვე თვითორგანიზაციისა და გლობალური ევოლუციონიზმის კონცეფციის რამდენიმე (მათ შორის ნ.ნ. მოისეევის მიერ დამუშავებული) ვარიანტის მიმართ, არსებული ეჭვების გაფანტვა თავისთავად შესაძლებელია. თავიანთ გარეგან თავისებურებათა გამოხატულების ჩათვლით, მეცნიერული და ფილოსოფიური სფეროები სიცოცხლის შესწავლისა და გაგების შინაგანი ღრმა კავშირურთიერთობების კონტექსტში განიხილება. საბოლოოდ, ყალიბდება სამყაროს „არაკლასიკური“ მეცნიერული სურათი, ერთგვარი მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელშიც ი. პრიგოჟინის აზრით, „მეცნიერულად კონსტრუირებული სიცოცხლე წყვეტს ჩვეულებრივი სახის ფიზიკის კანონებთან დაპირისპირებას, რათა გაექცეს მოსალოდნელი განადგურების საბედისწერო ხვედრს. ნაცვლად იმისა, როდესაც სტიქიურად მშფოთვარე სიცოცხლე წარმოგვიდგება იმავე პირობების თავისებურებით, რაშიც იმყოფება ბიოსფერო, არასწორხაზობრივი ქიმიური რეაქციებით და გაუწონასწორებელი რადიაციული ეფექტების მონაცვლეობით“ (132_56).

მართალია, „სიცოცხლისფილოსოფიისაგან“ განსხვავებით, „სიცოცხლე“ძველებურად აღარ გვევლინება ცენტრალური მნიშვნელობის საკვანძო ცნებად, თუმცა „მატერია,“თავისი ახლებური მეცნიერული ინტერპრეტაციით, ხდება დინამიური და აქტიური, რომელიც იქცევა შეუქცევადი პროცესების გამომწვევ სუბსტანციურ ძალად. მაშასადამე, აქტიური მატერია იწვევს შეუქცევად პროცესებს, ხოლო შეუქცევადი პროცესები ორგანიზებას უკეთებენ მატერიას (იქვე: 37). ჯერ კიდევ, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მანძილზე, განსჯითი იდეოლოგიისადმი ტოტალური მიჯაჭვულობის წინააღმდეგ, ადგილი ჰქონდა რეაქციას სხვადასხვაგვარი რომანტიკული მოძრაობის სახით, რომლის დროშაზეც ეწერა__ბუნება! ბუნებრიობის, სტიქიურობის, პირველქმნილი მდგომარეობისა და უშუალობის კულტი მტკიცედ დაუპირისპირდა მშრალ, სპეკულატურ, რაციონალისტურ განსჯას ყველა მიმართულებით. ცოცხალი „ბუნება“ ერთნაირი შეურიგებლობით ემიჯნებოდა როგორც მკვდარ, მექანიკურ „მატერიას,“ ასევე აბსტრაქტულ, განსჯით-ინტელექტუალურ „კულტურას.“ფრიად შთამბეჭდავია, რომ სწორედ ამავე პერიოდში იშვა „სიცოცხლის ფილოსოფიის“ტერმინი, რითაც დასათაურებული იქნა 1827 წელს გამოსული ფ. შლეგელის ნაწარმოები.

ამ ეპოქასაც გამოუჩნდა მორიგი შემცვლელი, მეცნიერული რაციონალიზმის ახალი პოზიტივისტური მოდელის სახით, რომელმაც თავის აპოგეას მიაღწია XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ორგანიცისტულ შეხედულებებზე აღმოცენებული სოციალ-დარვინისტული კონცეფციის გავრცელებით. ცოცხალ ორგანიზმთა „ვიტალური“ აგებულებისა და ფუნქციონირების, ბუნებრივი გადარჩევის პრინციპით მომართული „მიზანდასახულობის“ნათელი დემონსტრირებით, ჩ. დარვინმა დამოუკიდებლად გადაწყვიტა პრობლემა, რომლის გადაჭრის პერსპექტივაც, ბუნებისმეტყველების არსებული მიღწევების ფარგლებში, თვით ი. კანტისთვისაც კი წარმოუდგენელი გახლდათ. დარვინის ასეთმა წარმატებულმა საქმიანობამ გადაგვიშალა მეცნიერული რაციონალიზმის ჯერ არნახულ შესაძლებლობათა თვალუწვდენელი ასპარეზი, რომელშიც ჩართულ იქნა ცოცხალი ბუნებისა და ადამიანის ევოლუცია, ამის საშუალებით სისრულეში იქნა მოყვანილი მეცნიერული მსოფლმხედველობის უნიკალური მოძღვრების ჩამოყალიბების პროცესი. ძალიან რთულია იმ ენთუზიაზმის აღწერა, რომელიც ცხოვრების ყველა კუთხით და მიმართულებით გამოიწვია დარვინის ბიოევოლუციურმა თეორიამ. აურაცხელი რაოდენობის მასალაა შექმნილი იმ მძლავრი გავლენის საილუსტრაციოდ, რაც დარვინიზმმა მოახდინა სოციოჰუმანიტარულ სფეროებზე, როგორიცაა ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია. დარვინიზმის ზემოქმედებამ განსაზღვრა ევოლუციური ეთიკის

ახლებური დამუშავების მეთოდოლოგიაც. დარვინიზმის გავლენა ძირფესვიანად ვრცელდება მახიზმის გნოსეოლოგიაზე, პრაგმატიზმსა და სხვა ფილოსოფიურ მიმართულებაზე, განსაკუთრებით ბუნების მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენის კუთხით. XIX ს. ბოლოს სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე იმდენად მასშტაბური იყო დარვინიზმის გავლენა, რომ იმ დროის მთელი არსებული ლიტერატურის გადამუშავების შედეგად აღფრთოვანებულმა ჰ. რიკერტმა ლამის წამოიყვირა: „პირდაპირ გამაოგნებელია, რომ თითქმის ყოველმა სოციალ-პოლიტიკურმა მიმართულებამ მოახერხა ეპოვა საკუთარი თეორიული დაფუძნების საჭირო ნიადაგი სიცოცხლის ბიოლოგისტური ფილოსოფიის შიგნით“(135_74). მაინც რომელი მიმართულებები ჰქონდა მხედველობაში ჰ. რიკერტს?__„ჩვენს სქემატურ განხილვაში, რაც სავსებით საკმარისია ამის დასადგენად, შეგვიძლია სოციალიზმის, ინდივიდუალიზმის, დემოკრატიისა და არისტოკრატიის ცნებების ერთმანეთთან ისეთნაირი დაკავშირება, რომ წარმოვქმნათ ოთხი კატეგორიის მიმდინარეობა: ინდივიდუალურ-დემოკრატიული, ანუ „ლიბერალიზმი“, სოციალ-დემოკრატიული, რამაც საინტერესო გამოხატულება ჰპოვა მარქსიზმში და არა თვით მარქსთან; ინდივიდუალურ-არისტოკრატიული, რასაც მეტნაკლები ავტორიტეტულობით ქომაგობდა ფრიდრიჰ ნიცშე, და ბოლოს იმ მისწრაფებათა წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავს სოციალ-არისტოკრატებად მოიხსენიებენ.

ყოველი მათგანი, აღნიშნული ოთხეულიდან, ებრძვიან ერთიმეორეს, თუმცა ერთ რამეში მაინც თანხმდებიან: სამი მათგანი თავიანთი იდეალების სინამდვილედ გადაქცევას, თითქმის თავიდან ბოლომდე შეეცადა ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით, ხოლო მეოთხესთვის, ნიცშესთვის, სულ ცოტა, ჩამოყალიბების პროცესში მაინც, ბიოლოგიურ ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა“ (135_75).ყოველივე ეს რეალურ საუძველს გვაძლევს, რათა თამამად განვაცხადოთ, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ჩარლზ დარვინის ბიოლოგიურ იდეაზე დაყრდნობით, ფორმდება თავისებური ბიოფილოსოფიური მოძრაობა, ანუ იგივე „ბიოფილოსოფია.“

XX საუკუნის დასაწყისში ამ დარვინისტული „ბიოფილოსოფიის“შემცვლელად გვევლინება „სიცოცხლის ფილოსოფია,“რომელიც როგორც უკვე ითქვა, ბევრი რამით იყო დავალებული დარვინიზმთან, თუმცა შინაარსობრივად, ღია სულისკვეთების მიხედვით, ანტიდარვინისტული და ანტიბიოლოგისტური ხასიათის მოძღვრება გახლდათ. ისევე როგორც ადრე, აღნიშნულ პერიოდშიც პრიორიტეტი ენიჭება უშუალობას, პირველქმნილებას, სისრულეს, სიცოცხლის „ამბოხს, “რომელიც თავისი არსით მიუწვდომელია განსჯისა და დისკურსიული შემეცნების საშუალებებით, ამდენად უცხოა მეცნიერული რაციონალობისთვის ნიშანდობლივი კანონებისა და

სქემატიზმისთვის. ამ რეაქციასაც ჰქონდა თავისი ახსნა და გამართლება მიმდინარე მოვლენების ფონზე, ეს იყო ზედაპირულად გაგებული დარვინიზმის წინააღმდეგ გალაშქრების ერთერთი ეტაპი. XIX საუკუნის ბოლო პერიოდში გაბატონებული ბუნებისმეტყველების მატერიალისტურ-მექანისტური და პოზიტივისტური თვალსაზრისის წინააღმდეგ ასეთი დამოკიდებულება სავსებით ლოგიკური და მართებული იყო. როდესაც ჰ. რიკერტი ეხება ისეთი ცნობილი მოაზროვნეების დამსახურებას, როგორიცაა დილთაი, ზიმელი, ნიცშე, ბერგსონი, ჯემსი და სხვა, იგი სამართლიანად აღნიშნავს: „მათ მიერ წარმოებული ბუნებისმეცნიერული დასკვნების კრიტიკა სინამდვილეში გულისხმობდა რაციონალურ-მეტაფიზიკური დოგმებისადმი შეურიგებლობას, რაც წარმოგვიდგება განმათავისუფლებელი მოღვაწეობის სახით, რომელმაც გააფართოვა ჩვენი გონების ჰორიზონტი, სამყარო, პრობლემათა არიალი, რისი წყალობითაც ცნობიერება გახდა მეტად დატვირთული. ბერგსონი რეკომენდირებულია მათთვის, ვინც პრეტენზიას აცხადებს „მონისტურ“ ფილოსოფოსობაზე, ვინც როგორც არასდროს, ისე ორიენტირდება (Systime de la nature) ფიზიკურ ცნებათა კომპლექსზე, რათა ამ გზით მოიცვას მთელი სამყარო.მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა დამსახურებას დებენ ისინი ნიუტონისა და აინშტაინის თეორიებში, სამყარო არც ისეთი უბადრუკია, როგორც მათ წარმოუდგენიათ. ბერგსონმა კი ყოველივე ეს დაინახა სულ სხვა მხრიდან, რაც მექანიკური გამოთვლებისთვის აბსოლუტურად მიუწვდომელია”(135_153).

უკვე, ამ ბოლო ათწლეულში, „სიცოცხლის ფილოსოფიის“ შემცვლელად კვლავ ბრუნდება „ბიოფილოსოფია“და კვლავ მეცნიერების პრინციპული შეზღუდულობის გაბათილების მორიგი კონტექსტით ამზადებს ახალ პასუხებს ეპოქალური ცნობისმოყვარეობისა და პოზიტიური ცოდნის ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ამგვარად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ და შესატყვისი სახელი დავარქვათ „სიცოცხლის ფილოსოფიიდან ბიოფილოსოფიამდე“ მრავალსაფეხურიან გადასვლას: XIX საუკუნის პირველი ხანების სიცოცხლის ფილოსოფიიდან___XIX საუკუნის ბოლო ხანების ბიოფილოსოფიამდე; XIX საუკუნის ბოლო ხანების ბიოფილოსოფიიდან__XX საუკუნის პირველი ხანების სიცოცხლის ფილოსოფიამდე; XX საუკუნის პირველი ხანების სიცოცხლის ფილოსოფიიდან XX საუკუნის ბოლო ხანების ბიოფილოსოფიამდე. ბუნებრივად იბადება კითხვა, გაგრძელდება თუ არა ეს ბოლო 200 წლიანი ტრადიცია ამ ახალ XXI საუკუნეშიც?__ჩვენი აზრით აღნიშნულ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკურმა, საბუნებისმეტყველო დარგებმა, ყველგან და მათ შორის ბიოლოგიაშიც, უკვე ამოწურეს ირაციონალური ფილოსოფიური პრობლემების გადაწყვეტის ის მრავალჯერადად სახეცვლილი, რაციონალური მოხმარების პანაცეად გასაღებული

„სამკურნალო“რეცეპტი, რასაც აქამდე უხვად აწვდიდნენ სიცოცხლის აზრის დაუოკებელი წყურვილით გათანგულ საზოგადო ცნობიერებას. ბოლოს და ბოლოს პოზიტიური ცოდნის დოზას გადამეტებულმა, ნარკოლოგიური ეფექტის მომგვრელმა ტრანკვილიზატორებმა სასიკვდილო ეფექტით, საბოლოოდ გამოიყვანეს მწყობრიდან ტექნოკრატიული გაუცხოების დეპრესიაში დაუძლურებული ადამიანური ინტელექტი, რომელიც ესესაა, რაც ემსხვერპლა უწარსულო ისტორიის ფალსიფიცირებული დროის ე. წ. მეოთხე განზომილებას. ამ ავბედითი ისტორიის დასრულებამდე, მისი აღდგენისა და აღორძინების რეალური პირობები აღარ არსებობს. სოციალურ-ანთროპოლოგიური ცნობიერების მკვდრეთით აღდგენა და განახლება განხორციელდება სწორედ ამ საუკუნეში, ისტორიის დასრულების შემდეგ, როდესაც გაგრძელდება სამი-ოთხი ათასწლეულის მანძილზე შეწყვეტილი ბიოგენეტიკური ევოლუცია ინტელექტუალური რეფორმაციის შედეგად. ის, თუ როგორ წარმოგვიდგენია ეს, ამის შესახებ ზოგადი სურათის მიხედვით შთაბეჭდილება თანდათანობით შეგვექმნება წიგნის დასრულებამდე.

სამყაროში მიმდინარე პროცესები, მის ფიზიკურ, ქიმიურ, თუ ბიოლოგიურ გამოხატულებათა ხასიათით, ექვემდებარება გონიერ, მიზანშეწონილ და მოწესრიგებულ კანონზომიერებათა მოქმედებას, რომელიც იმართება ერთიანი სამყაროს უპიროვნო, აბსოლუტური სუბიექტის-მსოფლიო გონის მიერ. ეს უკანასკნელი არ უნდა დავაშოროთ ყოვლისმომცველი ნებისყოფისაგან, რაც მართალია, არ დაიყვანება ცალკეულ მიზნებზე და სურვილებზე, თუმცა ეს ხელს ვერ შეგვიშლის იმაში, რომ ყოველ ელემენტარულ სურვილსა და მიზანში განვჭვრიტოთ სამყაროს სუბიექტის ფარული ნებისყოფა. საკუთრივ ნებისყოფას, სულერთია, ინდივიდში მოვიაზრებთ მას, თუ აბსოლუტურ სუბიექტში, არავითარი საბოლოო ინსტანციის მიზანი არ ამოძრავებს, ამიტომაც ვერ ვიტყვით, რომ მას, როგორღაც სურვილები და მიზნები განსაზღვრავენ; სამაგიეროდ, უცვლელი ნებისყოფა ისევე გამოყოფს ცვალებად სურვილებსა და მიზნებს, როგორც მზე სხივებს. ის, თუ როგორი სახით წარმოგვიდგენია უცვლელი ნებისყოფა აბსოლუტურ სუბიექტში, ანუ ღმერთში, მოგვიანებით გახდება ცნობილი. მანამდე კი ვიტყვით იმას, რომ სიცოცხლე, როგორც უნივერსალური და ყოვლისმომცველი ძალა, არ შეიძლება დაიყვანებოდეს მხოლოდ მის ბიოლოგიურ გამოხატულებაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, არაორგანული ნივთიერი მატერიიდან სიცოცხლის სინთეზირების უტყუარი ფაქტი, არარსიდან არსის დაბადების იმგვარი აღიარების ტოლფასი იქნება, რაც კატეგორიულად მიუღებელია კლასიკური გაგების მქონე მეცნიერებისა და ფილოსოფიისათვის. ეს ჩვენს გაგებაშიც დაუშვებლად მიგვაჩნია, რამდენადაც ამით

ყოველგვარ ცოდნას და მტკიცებულებას აზრი ეკარგება. ხშირად, მსგავს სიტუაციებში, რელიგიურ დოქტრინასაც იშველიებენ, რის მიხედვითაც, ბიბლიური თქმულების თანახმად, ღმერთმა სამყარო არაფრისაგან შექმნა. თანამედროვე ფიზიკაც, ფილოსოფიის კლასიკური თვალსაზრისისთვის, მეტად უჩვეულო და საჩოთირო შეხედულებებს ავრცელებს, რაც შინაგანად იმდენად წინააღმდეგობრივია (ლოგიკურობაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი), რომ შეუძლებელია ეს ყოველივე მეცნიერებად მოვნათლოთ. მაგალითისთვის მოგვყავს ერთერთი პოპულარული თანამედროვე ფიზიკოსის, სტივენ ჰოკინგის მეტად უცნაურად „ახირებული“ შეხედულება ამასთან დაკავშირებით:
„სამყაროსდასაწყისში,დროისროლისსაკითხიარისბოლოეტაპი,
რომელიცდიადიდამპროექტებლისსაჭიროებასმთლიანადანულებსდაგვამცნობს,
როგორშექმნასამყარომსაკუთარითავი.
როცაგადავდივართუკანდროშიდავუახლოვდებითდიდაფეთქებას,
სამყაროსულუფროპატარავდება, სანამწერტილადარიქცევა.
ამწერტილშიმოქცეულიამთელისამყარო, სივრცეკიიმდენადპატარამასშტაბისაა,
რომუსასრულოდმცირედაუკიდურესადმჭიდროშავხვრელსწარმოადგენს.
დღევანდელიშავიხვრელებისმსგავსად, რომლებიცსივრცეშიტივტივებენ,
ბუნებისკანონებიამშემთხვევაშიცრაღაცარაჩვეულებრივზემიგვანიშნებენ.
ისინიგვამცნობენ, რომდრო აქაცშეჩერებულიიყო. შესაბამისად,
ვერვისაუბრებთდიდაფეთქებამდელდროზე, რადგანმანამდეარაფერიარსებობდა.
როგორციქნა, აღმოვაჩინეთისეთირამ, რასაცარგააჩნიამიზეზი,
რადგანდიდაფეთქებამდეარარსებობდადრო, რომელშიცმიზეზიმოხდებოდა.
ჩემთვისესიმასნიშნავს, რომშემოქმედისარსებობისალბათობანულია,
იმიტომრომარარსებობსდრო, რომელშიცისიმოქმედებდა.
რადგანაცდროთავადდიდიაფეთქებისმომენტიდანდაიწყო,
ესისეთიმოვლენაგახლდათ, რომელსაცარჰქონდამიზეზიდაარცშექმნილიიყოვინმეს,
ანრაიმესმიერ. მეცნიერებამმოგვცაპასუხები, რომლებსაცშეუპოვრადვეძებდით,
რომლებსაცკაცობრიობის 3000 წლიანიმცდელობადასჭირდა. ჩვენაღმოვაჩინეთ,
როგორდაიწყესსამყაროსმასასადაენერგიაზემოქმედმაბუნებისკანონებმაპროცესები,
რომლებმაცსაბოლოოდჩვენშეგვქმნა, გაგვაჩინაამპლანეტაზე.ასე,
რომ,როცამეკითხებიან, შექმნათუარასამყაროღმერთმა, მევპასუხობ,
რომესკითხვააზრსმოკლებულია. დიდაფეთქებამდედროარარსებობდა,
ამიტომარცღმერთისთვისიყოდრო, რომსამყაროშეექმნა. ესდაახლოებითიგივეა,
ეძებომიმართულებებიდედამიწისკიდისკენ.
დედამიწასფეროადამასკიდეებიარგააჩნია.

ამიტომმისიძებნაუნაყოფოდაფუჭიმცდელობაა.ჩვენთავისუფლებივართიმისარჩევაშ
ი, რადავიჯეროთდაჩემიაზრით, ყველაზემარტივიახსნაისაა,
რომღმერთიარარსებობს. არავისშეუქმნიასამყაროდა
არცარავინწარმართავსჩვენსბედს.
ესმიბიძგებსუფროშორსმჭვრეტელურიდასკვნისკენ,
რომარცსამოთხეარსებობსდაარცსიკვდილისშემდგომიცხოვრება.
ჩვენმხოლოდერთისიცოცხლეგვაქვსდაუნდადავაფასოთესარაჩვეულებრივისამყარო,
რისთვისაცმეგანსაკუთრებითმადლიერივარ“(60_Posted by Charlius on 01/04/2012).
სამწუხაროდ, ფიზიკოსების ამ ზედმეტად თავდაჯერებულ, ანტიმეცნიერულ და აბსურდულ წარმოდგენებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა ცალკეულ ავტორიტეტულ ფილოსოფოსებზეც, მათ შორის ჩვენთვის ფრიად პატივსაცემ და კეთილისმყოფელ თანამემამულეებზეც. ერთერთი მათგანი გახლავთ ბატონი ს. ავალიანი, რომელსაც მოაქვს საკმარისზე უხვი მასალა კოსმოლოგიური კრეაციონიზმის პოზიციის გასამყარებლად (1_73-87).არარადან ქმნადობის იდეას ასტრონომთა დიდი უმრავლესობა აღიარებს. გამოჩენილი კოსმოლოგი ა. გუთი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის გაფართოებადი სამყაროს „თეორიის“ შემუშავებაში, წერს: „ხშირად ამბობენ, რომ მუქთი საუზმე (ლანჩი) არ არსებობს, მაგრამ სამყარო, როგორც ჩანს, ასეთ მუქთ საუზმეს წარმოადგენს.“ კაცობრიობას დიდი ხანია სწამდა, რომ ex nihilo nihil fit (არაფრიდან არაფერი არ წარმოიშვება). მაგრამ ახლა ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყველაფერი არარადან წარმოიშვა“(131_215).XX საუკუნის დიდ კოსმოლოგთა მთელი თაობა: ჟ. ლემეტრი, გ. ა. მოვი, ჰ. ბონდი, ფ. ჰოილი, ტ. გოლდი, პ. დირაკი, ა. გუთი და სხვები სხვადასხვა კუთხით ასაბუთებენ მატერიალური სამყაროს სპონტანურ ქმნადობას. ბონდი და გოლდი ამტკიცებენ, რომ სამყაროს გაფართოება არარადან მატერიის სპონტანური ქმნადობის შედეგია. ამიტომ სამყარო ყოველთვის წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება. მისი წონასწორობა იმას ნიშნავს, რომ არარადან მატერიის ქმნადობა აწონასწორებს მატერიის განმხოლოებას გაფართოების შედეგად. სწორედ ამიტომ სამყაროს სიმკვრივე უცვლელია(138__Вопроси философии №4).კოსმოლოგი ფ. ჰოილის განმარტება ყოველგვარი თეორიული მტკიცებულების ჩარჩოებსა და ზომიერების მასშტაბებს სცილდება: „ახალ-ახალი მატერია განუწყვეტლად იქმნება...თუ ზოგჯერ გვეკითხებიან, საიდან მოდის შექმნილი ნივთიერება, მაშინ უნდა ვუპასუხოთ: არსაიდან არ მოდის; უბრალოდ მატერია ჩნდება, იგი იქმნება. დროის გარკვეულ მომენტში მატერიის შემადგენელი სხვადასხვა ატომი არ არსებობს. მაგრამ უფრო გვიან ისინი არსებობენ....უფრო ძველი თეორიების თანახმად, სამყაროს მთელი ნივთიერება მყისიერად უნდა გაჩნდეს; ამასთანავე ქმნადობის პროცესს დიდი

აფეთქების ფორმა აქვს. რაც შემეხება მე, ეს იდეა უფრო უცნაურად მეჩვენება, ვიდრე განუწყვეტელი ქმნადობისიდეა“(50__104-106).

არაფრიდან რაიმეს წარმოქმნის შესახებ, პირდაპირი მნიშვნელობით, გამოთქმული წინადადება იმდენად უაზროა, რომ მასზე კამათი საერთოდ წარმოუდგენელია; ეს ის ზღვარია, რომლის იქითაც ყველაფერი დასაშვებია, რადგან როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვს. რაც შეეხება, ბიბლიურ თქმულებაში გადმოცემულ რელიგიურ მოსაზრებას, ღმერთის მიერ არაფრიდან სამყაროს შექმნაზე, აქ უჩვეულო არაფერია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ღმერთიც და სამყაროც ერთმანეთის იდენტური ცნებებია, რადგანაც ყველა ატრიბუტი, რაც შეიძლება მიეწეროს ღმერთს, ზედმიწევნით მიეწერება სამყაროსაც. არაფრიდან შექმნა კი ნიშნავს იმას, რომ ამ სამყაროში თავისთავად არაფერი არაა, გარდა ღმერთისა, რომელიც თვითონ არაფრისგანაა შექმნილი, ანუ მარადიული არსებაა. ასევეა სამყაროც. მაშინ რატომ ითვლება ღმერთი სამყაროს შემოქმედად?__იმიტომ, რომ სამყარო ღვთიური არსებაა. ყოველივე რაც მასში ხდება, განსაზღვრულია უფლის ნებით და ძალით. **სამყაროში მიმდინარეობს ქმნადობის დაუსრულებელი პროცესი, რაც ღვთაებრივი შემოქმედების განუწყვეტელი აქტისცხადი დემონსტრირებაა. ამ ქმნადობაში არაფერი არ იკარგება, ერთი მდგომარეობა მეორით იცვლება და ამ უსასრულო ქცევადობაში, ყოველი ნივთიერი და სულიერი არსება, ურთიერთ გარდასახვის გზით აღწევს ყველას ყველაში და ყოველივეს ერთში ყოფნის მარადიულ ჭეშმარიტებას, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ღვთაებრივი შემოქმედების არსის დადასტურებას.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარადიული და საყოველთაო ქმნადობის აქტის გათვალისწინებით, სიცოცხლის უნივერსალური და სასწაულმოქმედი ძალა შეუძლებელია დაიყვანებოდეს მხოლოდ მის ბიოლოგიურ მახასიათებელზე. შესაბამისად, იგივე კანონზომიერების პრინციპით, საზოგადოებაშიც არაფერი ხდება ისეთი, რასაც ადგილი არ ჰქონია ბუნებაში.რამდენადაც საზოგადოება ადამიანური ბუნების გამოხატულებაა, ადამიანური ბუნება კი მთლიანი ბუნების შემადგენელი თვისობრივი კომპონენტია, როგორც ნებისმიერი სხვა ცოცხალი, ორგანული სისტემა. შესაბამისად, მთელ ბუნებაშიც არ ხდება არაფერი ისეთი, იგივე კანონზომიერების მიხედვით, რაც არხდება გარე კოსმიურ კავშირ-ურთიერთობებში, სადაც ასტრო-ფიზიკური, თუ ქიმიური კატაკლიზმური ცვლილებები, თავიანთი გლობალური გავლენის სფეროების დაბალანსების, ჰარმონიზაციისა და მიზანმიმართული წესრიგისა, თუ ქაოსის თანაფარდობის მიხედვით, გონიერი, საზრისიანი, ცოცხალი ნებისყოფის დამახასიათებელ აქტებს ახორციელებენ და აფორმებენ. ამგვარადაა განსაზღვრული და განპირობებული სამყაროს ყოველი მაკრო და მიკრო სისტემა,

სადაც მოცემულ კანონზომიერებებს გააჩნიათ შეუქცევადი, პერმანენტული ციკლური ხასიათი, თუმცა აბსოლუტური სიზუსტე ამ მიზანმიმართულ წესრიგში მაინც არ არის, იმის გამო, რომ ასევე მიზანმიმართულ ქაოსის კანონზომიერებასაც ქონდეს თავისი ადგილი და როლი მარადიული ქმნადობის პროცესში.

ამ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში, ბუნებრივი მრავალფეროვნების განმსაზღვრელი ფუნდამენტური კანონების შესახებ წარმოდგენები,რადიკალურად შეიცვალა. ბევრი რამ გახდა ცნობილი ნივთიერების შემადგენელი „მშენებარე ელემენტების“შესახებ, მათი თვისებებისა და ურთიერთობების თავისებურებებზე. რასაკვირველია, მეცნიერები ყოველთვის არ თვლიან საჭიროდ მატერიის სიღრმისეული თვისებების ამომწურავი ანალიზის ჩატარებას; მაგალითად, სითხის აგებულების შესწავლისას განიხილება უკვე მზამზარეული მინიატურული „აგურები“__ატომები, მოლეკულები, რომლებიც ქმნიან ამა თუ იმ ნივთიერებას, მაგრამ ვერ ახერხებენ ამავე მასალისაგან აგებულიშენობის არსებაში წვდომას, რაც განპირობებულია მათი ურთიერთზემოქმედების სპეციფიკურ კანონზომიერებათა ნაწილობრივი, ან სრული გაუგებრობით. თანამედროვე ბიოფილოსოფიისა და ფილოსოფიურად მოტივირებული ასტროფიზიკის წინაშე იშლება საოცარი მოვლენების გრანდიოზული მრავალსახოვნება__უმარტივესი, ჰარმონიული ტალღებიდან, ტურბოლენტურობისა და სხვადასხვაგვარი წესწყობის სითხისეულ მდგომარეობათა მოცულობის ჩათვლით, რითაც შესაძლებელი ხდება, როგორც ცუნამის ტალღების, ისე იუპიტერის დიდი წითელი სარტყლის წარმოშობის ახსნა, თუმცა ყოველი ფეხის ნაბიჯზე, გვხვდებაბევრი ისეთი მოვლენაც, რომელიცთანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესწავლილი კანონების მოთხოვნებს არ ექვემდებარება. მაგალითად__სითბოს ტევადობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, რომელიც განისაზღვრება მარტივი ლაბორატორიული აღჭურვილობით, კლასიკური ფიზიკის პოზიციებიდან აუხსნელი რჩება. ასევე გამოცანად რჩებოდა ზედაპირულგამტარიანობა არსებული მეთოდოლოგიური მიდგომების ბაზაზე. მსგავსი მოვლენების ახსნა-განმარტების ცდებს მკვლევარები გარდაუვალად გაჰყავს ნივთიერების აღნაგობის გაცილებით უფრო ღრმა, ახლებური გაგების დონეზე, სადაც მნიშვნელოვნად იცვლება წარმოდგენები ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთზემოქმედების, აგრეთვე სივრცისა და დროის თავისებურებებზე.

როგორც წესი, წარმოების ახალ ეტაპებზე გაღწევა, მოითხოვს შედარებით უფრო მაღალი ენერგიებისა და ექსპერიმენტის ურთულესი ტექნიკის გამოყენებას, ხოლო დამაჯერებელი თეორიული გამოთვლებისთვის__ასეთივე სირთულის მქონე მათემატიკურ მეთოდებს. აღნიშნული დანახარჯები ნაზღაურდება არა მარტო ახალი

ცოდნის შეძენით, არამედ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნით. მაგალითად, კვანტური მექანიკის კანონების აღმოჩენამ მეცნიერებას გზა გაუკაფა ნახევარგამტარათა თავისებურების ასახსნელად და ფართო ასპარეზი გადაუშალა თანამედროვე ელექტრონიკას, რითაც ემპირიული დაკვირვების დიაპაზონში, მაკროკოსმიურ გარემოსთან ერთად, მოექცა მიკროსამყაროს ზღაპრულად გამაოგნებელი პეიზაჟებიც. თავის მხრივ, ბირთვული ენერგიის კანონების შესწავლამ და მათი გამოყენების ტექნოლოგიების გამომუშავებამ დასაბამი მისცა ბირთვულ ენერგეტიკას, ხოლო უახლოეს პერსპექტივაში, თერმობირთვული ენერგიის ბაზაზე, ამოქმედდება თერმობირთვული ენერგეტიკაც. თუმცა ტექნიკური პროგრესის ცალმხრივი მიდგომის ტენდენციამ შეიძლება დააჩლუნგოს სიფრთხილის საჭირო ალღო, რასაც არც თუ იშვიათად მოსდევს კატასტროფული შედეგები. უმეცარი და უდიერი მომხმარებლობის ტრაგიკული აღსასრულის სიგნალი უკვე გაისმა, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებით, რისი თავიდან აცილებაც, რეალურად მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინების პირობებში, სავსებით შესაძლებელი იყო.**თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ფილოსოფიური იდეების, შეხედულებებისა და განსხვავებული პრინციპების როგორც თანხმობადმა, ასევე წინააღმდეგობრივმა მხარეებმა. მართალია, ბევრი მათგანი, ზედაპირული შეფასების მიხედვით, დრომოჭმული წარსულის გადმონაშთადაა კვალიფიცირებული, თუმცა თანმიმდევრული სიღრმისეული ანალიზისა და განჭვრეტის მონაცემები ძლიერ კონტრარგუმენტებზეა დამყარებული, რასაც, ახალი ბუნებისმეტყველების დასკვნების გაკეთებისას, აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს.**ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს ცნობილი ასტროფიზიკოსის, კ. შვარცშილდის ნათქვამი: „შესაძლოა, ბუნების კანონები, რომელთა იდუმალებაში შეღწევასაც ჩვენ ვცდილობთ, სავსებით მოწესრიგებული და სრულყოფილია, მაგრამ ადამიანური გონება ძალზე შორსაა ამისგან; რადგანაც იგი მუდამ მიდრეკილია შეცდომებისკენ, რაშიც წარსულის მაგალითებზე მიღებული გამოცდილება არსებით როლს არ თამაშობს. ისევ და ისევ, ბუნებისაგან რის ვაი-ვაგლახით გამოტაცებული მონაცემების დაკვირვების საფუძველზე, მიღებული დასკვნები და განზოგადებანი თუ დაგვაბრუნებენ სწორ გზაზე“(69__http://ru.wikibooks.org/).

თანამედროვე ბუნებისმეტყველების ცენტრში ბიოლოგიასთან ერთად, დგას ფიზიკა, რომელიც ატომური ენერგიის პრაქტიკული გამოყენების ხერხებს ეძიებს და იჭრება მიკროსამყაროს სფეროებში, ატომის, ატომგულისა და ელემენტარული ნაწილაკების სიღრმეებში. ფიზიკამ ასაზრდოვა და დასაბამი მისცა

ბუნებისმეტყველების ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა ასტრონომია, კიბერნეტიკა, ბიონიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბიოკიბერნეტიკა და სხვა. ფიზიკა, ქიმიასთან, მათემატიკასთან და კიბერნეტიკასთან ერთად, ეხმარება მოლეკულურ ბიოლოგიას გადაწყვიტოს ხელოვნური ბიოსინთეზის თეორიული და ექსპერიმენტული ამოცანები, რასაც აუცილებლად მოყვება ხელოვნურად კონსტრუირებული ცოცხალი ორგანიზმების__„ბიოკიბერნეტიკული მუტანტების“სერიული გამოცემა, არც თუ მთლად უწყინარი და კეთილშობილური ზრახვების განსახორციელებლად. მემკვიდრეობის სიღრმისეული საწყისების მოკვლევა, კოსმოგონიისა და კოსმოლოგიის პრობლემათა ჭიდილში მიპოვებული, ნაყოფიერი შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, რადიკალურად შეცვლის ჩვენი ფალსიფიცირებული ისტორიის მიერ დამახინჯებული ყოფიერების სურათს.

თანამედროვე მეცნიერება, როგორც არასდროს, ისე იძლევა მდიდარ, ნოყიერ ნიადაგს სხვადასხვა ტიპის რელიგიური და იდეალისტური მოძღვრებისათვის. ამის მიუხედავად, მაინც ანგარიშგასაწევია, რომ ათეიზმი და მატერიალიზმი ყოველთვის ინარჩუნებდა და მომავალშიც შეინარჩუნებს გნოსეოლოგიური, მეთოდოლოგიური, პრაგმატული მოტივებისა და ინტერესების, სისტემურ, აქტიურ, გეგმაზომიერ ხასიათს. ისე, რა თქმა უნდა, როგორც ფ. ბეკონი ამბობდა, მეცნიერული ცოდნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „მცირე ცოდნა გვაშორებს ღმერთისგან, ხოლო დიდი ცოდნა კიდევ უფრო მეტად გვაახლოებს მასთან“(109__328).**სასწაულებრივი, იდუმალებით მოცული მოვლენების არსებობა, იმაზე ბევრად უფრო რეალური და ცხადია, ვიდრე ამას რომელიმე თეოლოგიური მოღვაწე, ან ღვთისმსახური წარმოიდგენს, ამიტომაც მას ვერც ამჩნევს და ვერც აღიქვამს ობსკურანტიზმით (ხელაღებით უარყოფა) შეპყრობილი, შტამპებსა და ჩარჩოებშიმოქცეული ფსევდომეცნიერება, ან დოგმატური აკრძალვა-შეზღუდვებით ინიცირებული ფსევდორელიგია,ის, მარტოოდენ,ცოცხალი, კრიტიკული, მიუკერძოებელი, პირუთვნელი, ფილოსოფიური აზრისა და გონისთვისაა ხელმისაწვდომი, რომელიც ჭეშმარიტი რელიგიისა და ნამდვილი მეცნიერების ერთადერთი ჯანსაღი კავშირურთიერთობის უნივერსალური მედიუმია.** იმდენად ღრმა და დიდმნიშვნელოვანი იყო ბეკონის აღნიშნულითეზა, რომ ამას ათეისტი მარქსისთვის ხელი არ შეუშლია, რათა ამ დიდი მოაზროვნისათვის „ექსპერიმენტული მეცნიერების ჭეშმარიტი მამამთავარი“ეწოდებინა (22__235).ასევე ჰეგელიც, რომელიც, თავის მხრივ, ემპირიულ კვლევაზე დამყარებული ფილოსოფიის ავტორიტეტს დიდად არ სცნობდა, ბეკონს „ყოველგვარი ცდისეული ფილოსოფიის სარდლად“ მოიხსენიებდა (42__117).

ბუნებისმეტყველების სულ უფრო მზარდი, აქტიური როლი თავს იჩენს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ტექნიკური პროგრესის გამოვლინებებში, თუმცა სახეზეა საპირისპირო ტენდენციებიც, რომელთაც მეტაფიზიკური, მსოფლმხედველობრივი პრინციპები უპირისპირდებიან, კერძო მეცნიერული დისციპლინების პრეტენზიული ფაქტობრივი სიზუსტით, ცალმხრივად შემოფარგლულ კვლევის ობიექტს. პრაგმატული ინტერესის საფუძველზე წინასწარ გათვალისწინებული შედეგები გარკვეული აზრით, დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს მიზანსწრაფული კვლევა-ძიების არასტანდართული ცნობისწადილით აღძრულ ჰიპოთეზზე, რომელიც თავისი სუბიექტურობის გამო ძნელად უთავსდება აუცილებლობასა და საყოველთაობას.რეალურად კი, შინაგანი და გარეგანი სპეციფიკა მოვლენათა თანმიმდევრობაშიუნდა განისაზღვროს მათი დაფუძნების წესის მიხედვით, რაც შესაძლებელია ფილოსოფიურად კონსტრუირებული მეცნიერების საზღვრებში და არა მის გარეთ. ჯერ კიდევ, ძველი ბერძენი ნატურფილოსოფოსებიდან მომდინარე, ბუნების კვლევა-ძიება ნამდვილი ცოდნისა და სიბრძნისმეტყველების დასაბამს წარმოადგენდა; ბუნების ცენტრში თვით ადამიანი იდგა, თავისი შინაგანი მიკროკოსმოსური თვითმოქმედებისა და თვითრეალიზებადი მიზანსწრაფვის პათოსით. ჰერაკლიტე ამის შესახებ ასე იტყოდა: „აზროვნება იშვიათი თვისებაა და სიბრძნე ის არის, რომ ჭეშმარიტებას ვიტყვით და ვიმოქმედებთ ბუნების შესაბამისად იმით, რომ ჩვენს შიგნით არსებულ ბუნებას ჩვენივე აზრებით ამოვიკითხავთ და მოვუსმენთ“(116__кн. 9. Фр. 112).მაშინდელი ბუნებისმეტყველება პირდაპირ კავშირში იყო სულიერი არსების ჰილოძოისტურ საწყისთან და სწორედ ეს გახლდათ ძველ-ბერძნული ნატურფილოსოფიის იდეალისტური საფუძველი, რომელიც ზედმიწევნით აქარწყლებს, იონიელ ფიზიკოსთა შესახებ გამოთქმულ, მარქსისტულ ინტერპრეტაციას. ჰილოძოიზმი ანტიკური ბუნებისმეტყველების იდუმალი, მისტიკური ჭვრეტის გამოხატულებაა, რაც თავის დასრულებულ სახეს პოულობს პლატონის ფილოსოფიაში, კერძოდ, დიალოგ „ტიმაიოსში,“სადაც გამორჩეულია არა მარტო კოსმოლოგიისა და ნატურფილოსოფიის საკითხები, არამედ ანთროპოლოგიისა და მედიცინისა. პლატონის მისტიკური ბუნებისმეტყველების მსოფლმხედველობაზე უშუალო ზეგავლენა მოახდინა პითაგორამ და პითაგორელებმა, რომლებმაც მათემატიკურ რიცხვთა სიმბოლოებში და მათგან კონსტრუირებულ სქემებში მსოფლიო სულის ღვთაებრივი ჰარმონია ამოიკითხეს და ამის საშუალებით ჩაწვდნენ ყოველგვარი მეცნიერებისა და ხელოვნების, მათ შორის, ასტრონომიისა და მუსიკის პოლიფონიური ჰანგების მომნიჭებელ გრძნეულებას.

ახალი დროის ფილოსოფიაში, ბუნებისმეტყველების თვითკმარი ემპირიზმის შეზღუდულობის წინააღმდეგ, ჯერ ლაიბნიცის, შემდეგ კი ჰეგელის წარმატებული გალაშქრების შემდეგ, გამოკვეთილად განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები სუბიექტივისტმა ემპირიოკრიტიკოსებმა: მახმა და ავენარიუსმა, რომლებმაც ფიზიკური სხეულის არსებობა შეგრძნებათა იმპულსების კორელატად წარმოადგინეს და მატერიის ობიექტური რეალობა ფიქციად გამოსახეს. ეს იყო მე-20 საუკუნის ფიზიკასა და ფილოსოფიაში რევოლუციის ტოლფასი გადატრიალება, რითაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს აინშტაინის რელატივობის თეორიაზე. მართალია, გარკვეულ ეტაპზე, ამით, ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა კრახი განიცადა, თუმცა ბევრისთვის შეუმჩნევლად, არც ობიექტური იდეალიზმი არ აღმოჩნდა, ამის გამო, უკეთეს დღეში, ვინაიდან ფიქტიური მატერია სხვა არაფერია, თუ არაფიქტიური იდეის რეალიზაცია დროში და სივრცეში, საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს თვით დროისა და სივრცის ფიქტიურობაც. ამის მერე, შემეცნების სუბიექტს, ინტერსუბიექტური გაგებისა და შეფასების გარდა, არავითარი დამაჯერებელი საბუთი აღარ რჩება. როცა, საუკეთესო შემთხვევაში, ინტერსუბიექტური ცოდნის საფუძვლად ცხადდება ობიექტური სინამდვილე, სახეზეა გადაულახავი წინააღმდეგობა ცდისეულ მასალასა და ლოგიკურ სიცხადეს შორის, რაც ნათლად გამოავლინა ი. კანტის კრიტიკულმა ფილოსოფიამ. პრობლემა მთლიანობაში ვერც ჰეგელმა დაძლია, რისი გამოძახილიც იყო მისი გენიალური ფრაზა: „მით უარესი ფაქტებისათვის“(110__172).მით უმეტეს, როდესაც ინტერსუბიექტური ცოდნა დამყარებულია სუბიექტურ გაგებათა კონვენციურ დასკვნებსა და შეფასებებზე, საყოველთაო კანონზომიერებისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის ნებისმიერი პრეტენზია, უკიდურესად გამონაკლისი მომენტების გარდა, ავტორიტეტულ ფილოსოფიურ საზოგადოებაში, არასერიოზულ, ღიმილისმომგვრელ დილეტანტობად აღიქმება. პრობლემური ანალიზის შესაბამისად, არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ ე. მახის გენიალურ ფრაზას, რომელიც, ანალოგიურ წინააღმდეგობათა ჭრილში, მეცნიერების რეალური არსებობის საკითხის გადაწყვეტას ახდენს: „მეცნიერება ფაქტობრივად არსებობს; იგი შეუძლებელია, უკვე ცნობილი, თუნდაც არასაკმარისად ცხადი ფაქტებისა და მისი შესაბამისობების გარეშე, რომლებიც მიღებულია აზრთა სიცხადის წინასწარი გათვითცნობიერების შედეგად. ეს უკანასკნელი გვაიძულებს ვირწმუნოთ პირველი, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილია. შესაძლებელია, რომ არსებობს საკმარისი სიცხადე; ყოველ შემთხვევაში, რაცაა, ისიც კი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ მეცნიერების პროგრესულობის იდეის დაფუძნება მოახერხოს“(127__75).როდესაც შევეცდებით მახის მიერ ხსენებული სიცხადის უკმარისობის კომპენსაციას,

მოულოდნელად მეცნიერების ჩარჩოებიდან გასვლის ალტერნატივას წავაწყდებით, ან გაუგებრობისაკენ, ან მისტიკისაკენ. პირველ შემთხვევაში, გაუგებრობაარის, სოკრატული გაგებით, არცოდნის ცოდნა, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობის ფაქტს აზროვნების დიალექტიკურ ხასიათში პოულობს, მეორე კი, სასწაულებრივი ფენომენის იდეათა საკვირველებაში, ზეგრძნობადი სამყაროს ჭვრეტის უნარს გვანიჭებს. რახან მისტიკას შევეხეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გარკვეული ისტორიული ექსკურსის გაკეთება მისი ფილოსოფიური გათვითცნობიერებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მისტიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს იდუმალს, რომელიც ზებუნებრივი, ღვთაებრივი სამყაროს წვდომისკენაა მიმართული. მართალია, ფორმალურად განარჩევენ მისტიკის ორ ტიპს, რელიგიურსა და ფილოსოფიურს, თუმცა არსებითად, ორივე მათგანს ერთი მიზანი გააჩნია: ტრანსმედიტაციური ხილვებისა და გამოცხადების მეშვეობით, ეზიაროს ღვთაებრივი სინათლით გაბრწყინებული გონების სიბრძნეს, რაც პირდაპირ კავშირშია ექსტაზის, მედიტაციისა და სულიერი ნეტარების რწმენით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. მისტიკური ხილვების მეშვეობით, ჩვენს თვალწინ იშლება სამყაროს მთელი მრავალფეროვნება და მშვენიერება; იგი ყოველნაირად ცხადი და გასაგები ხდება ზეგრძნობადი, უმაღლესი გონითი უნარების საგანგებო გამომუშავების შედეგად. ის, რაც დაფარული და მიუწვდომელია განსჯისა და ინტელექტის ემპირიულ-რაციონალური შემეცნების გზებისათვის, ერთბაშად ღია და ხელმისაწვდომია ზეგრძნობადი, არაინტელექტუალური, ნათელმხილველი გონისათვის, რომლის იარაღსაც ინტუიცია წარმოადგენს. კლასიკურ ფილოსოფიაში, დეკარტეს შემდეგ, ფართო განხილვის ცენტრში დადგა ინტელექტუალური ინტუიცია, თუმცა, მის პარალელურად, გრძნობადი ინტუიციის ფორმებსაც სწავლობდნენ, ხოლო, რაც შეეხება ზეგრძნობად, ირაციონალურ, მისტიკურ ინტუიციას, მის შესახებ გამოკვეთილი პოზიტიური შეხედულებანი თანამედროვე ფილოსოფიაში მყარად დასაბუთებული არაა, ამიტომაც ზოგირთი მიმართულება, მაგალითად, ნეოპოზიტივიზმი, საერთოდ უარყოფს მას, აღიარებს რა, შემეცნების ერთადერთ და უტყუარ წყაროდ ემპირიული და ლოგიკური ხასიათის ცოდნას(117__784).ჩვენთვის მათი პოზიცია გაუმართლებელია, იმდენად, რამდენადაც იგი საერთოდ უარყოფს ადამიანური გონებისათვის ზებუნებრივი უნარის გამომუშავების შესაძლებლობას. არ შეიძლებაილუზია ვუწოდოთისეთ რამეებს, რასაც ადამიანი რეალურზე უფრო მძაფრად განიცდის და რეალურთან შედარებით, ბევრად ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება. აქედან გამოდის დასკვნა: ის, რაც რეალური არაა, არ შეიძლება ყოველთვის მხოლოდ ილუზია იყოს, რამეთუ სამყარო რეალურზე ბევრად მეტია,

ამიტომაც მისი იდუმალი ყოფიერების წვდომა სხვა ტიპის კატეგორიათა აღიარებასაც მოითხოვს. უფრო მეტიც, რეალობა, ობიექტურობის გაგებით, თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში არ მტკიცდება, რის გამოც სუბიექტივიზმი კვლავ ძალაში რჩება(115__94–118).

ლოგიკური პოზიტივიზმი თვითონ მივიდა აღნიშნულ შეხედულებამდე, როდესაც მან ცდა გაიგო, როგორც სუბიექტურ შეგრძნებათა მოწესრიგების ფორმა, რაშიც რაიხენბახი კანტს სავსებით ეთანხმებოდა და მათემატიკის, აგრეთვე ფიზიკის თავისებურებად მიაჩნდა არა არსებობისა და ჭეშმარიტების, არამედ ცალკეულ მიმართებათა შესაძლებელი ფორმების დადგენა დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მეშვეობით(91__453).ასეთი ფორმები ობიექტურობას სავსებით მოკლებულნი არიან და გამოდის, რომ სუბიექტი თვითონ ირჩევს მათ საკუთარი განცდების საფუძველზე(150__327).ამის შემდეგ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთივე წესით ხდება ზეგრძნობადი უნარების გამომუშავება მის განცდებში. თუ ვიტყვით, რომ მას სჭირდება გარკვეული კრიტერიუმები დასაბუთებისათვის, ხოლო დასაბუთება ვერ შედგება ცდის, აქსიომებისა და თეორიების მიხედვით, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ წინასწარ გვინდა ვუარყოთ ის, რისი აღიარებაც არ გვსურს, ისე, რომ არც დავინტერესდეთ სხვა შესაძლებელი არგუმენტებით, რომელიც უკვე მეცნიერების საზღვრებს მიღმა უნდა ვეძებოთ.

მისტიკას არ გააჩნია რაციონალურ-ემპირიული დებულებების გამოთქმის პრეტენზია, ის მისგან განსხვავებულ სფეროებში იჭრება, ამიტომაც გაუმართლებელია მეცნიერული კრიტერიუმებით მისი მართებულობის შეფასება, ხოლო გამართლებულია, საკუთრივ, მისი სპეციპიკის კვლევა-ძიება და თუნდაც მეცნიერების ენაზე „გადმოთარგმნა“,რამდენადაც ეს ჩვენთვის შესაძლებელია, თუმცა გერმანელი მისტიკოსი, ფილოსოფოსი, მაისტერ ეკჰარტი ამბობდა: „ერთ ჭურჭელში არ შეიძლება ერთდროულად ორი განსხვავებული სითხის სუფთად შენახვა; თუ გსურს მისი გავსება ღვინით, წყალი უნდა გამოვაქციოთ__უნდა გავაცარიელოთ, ამგვარად, თუ ცდილობ მიიღო ღმერთის ხილვით გამოწვეული სიხარული, შენი სულიდან უნდა გადმოღვარო და გარეთ დატოვო ყოველი ამქვეყნიური ზრუნვა, ჭირვარამი და ნამოქმედარი.“ერთი ჭურჭელი სამყაროა, ხოლო მისი მთლიანობაში გაგება და გაცნობიერება ფილოსოფიის გარდა, არც ერთ სხვა მეცნიერებას არ ძალუძს. ბუნებისმეტყველებასთან მიმართებაში ერთობ საინტერესოა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიერ მოცემული აპოფატიკური, მისტიკური მეთოდის ჩამოყალიბება, რომელიც ღმერთის შემეცნებისა და ინტუიციური წვდომის ნეგატიურ გზას გვთავაზობდა კატაფატიკური გზის საპირისპიროდ. მტკიცებულების არსი მდგომარეობდა ემპირიულად ფიქსირებული

ფატებისა და სიგნიფიცირებული სიმბოლოების უკუგდებაში, სადაც შესაძლებელია, ფორმალურად მაინც, ღმერთის გამოსახვა უარყოფითი განსაზღვრებებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზა ოფიციალური თეოლოგიისთვის მისაღები ჯერ არასოდეს არ ყოფილა.

გამოცხადების საიდუმლოს სწორედ ასე მიაკვლია, მეტაფორული გამომსახველობის ფორმაში, ფსევდო-დიონისედ წოდებულმა ქართველმა მოაზროვნემ, პეტრე იბერმა, რომელმაც მისტიკური წვდომის მეთოდი თეოლოგიიდან ფილოსოფიაში გადმოიტანა, რითაც კიდევ უფრო დაუახლოვა ფილოსოფიური აზროვნების სიღრმისეული ჭვრეტა ირაციონალური ინტუიციის ნათელმხილველ უნარს. ეს ის უნიკალური მეთოდია, რომელიც იქცა, შუა საუკუნეების სქოლასტიკური დეკადანსიდან, რენესანსის ანტიკური აზროვნებისა და შემოქმედების ტრადიციებისაკენ, განახლებული სულის შემობრუნების ამოსავალ პუნქტად, მას მერე, რაც ფსევდო-დიონისეს არეოპაგიტიკული კორპუსები გულდაგულ გადაამუშავა და გადათარგმნა ევროპელმა ფილოსოფოსმა, იოანე დუნს სკოტმა_ერიუგენამ; სწორედ ამ კორპუსებში მოიპოვებოდა მისტიკის ცნებით-ტერმინოლოგიური მეთოდისა და საბაზო რესურსების პრობლემური განხილვის ასპექტები.

აღნიშნულმა მეთოდოლოგიამ კვება და ასაზრდოვა ევროპული კლასიკური და ახალი პერიოდის ფილოსოფიური იდეების იმგვარი ტრანსფორმაციები, როგორიცაა: ი.ბოემეს, ლ. კ. დე სენ-მარტენის, სვედენბორგის, შელინგის, ბერგსონის, რ.შტაინერის და სხვათა მისტიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატები. მთელ რიგ შემთხვევაში, ამან თავისებური გავლენა მოახდინა ლოგიკური პოზიტივიზმის, ლინგვისტური ფილოსოფიისა და ემპირიოკრიტიციზმის შეხედულებებზეც.

მისტიკა და ბუნებისმეტყველება სამყაროს იდუმალი არსების გაგების ურთიერთშემავსებელი ინსტანციებია, რომლებიც ერთნაირად ექვემდებარებიან ბუნების დიადი საკვირველებისა და მისგან მომდინარე სიბრძნისმეტყველური ცოდნის წყაროს. ჭეშმარიტი მეცნიერება, რომელიც კითხულობს ბუნებისმეტყველების დიად მათემატიკურ ანბანს, თავისი მოპოვებული ცოდნით არათუ არ ამცირებს საკვირველებისა და სასწაულის მნიშვნელობას, არამედ უფრო განსაცვიფრებელი სასწაულით აღავსებს შემოქმედებითი გონის აღუვსებელ საწყაულს. საერთოდ, ჭეშმარიტი რწმენა ემყარება ჭეშმარიტ ცოდნას, უცოდინრობაზე კი, მხოლოდ ბრმა სარწმუნოება იკიდებს ფეხს. უცოდინრობით გამოწვეული გაკვირვება, შიშის გრძნობაში შთანთქმის შედეგად, შინაგან უსუსურობასა და იძულებას წარმოშობს, მისთვის ყოველივე ამაღლებული უკიდურესად დამთრგუნველი და სასტიკია, ხოლო ჭეშმარიტ ცოდნაში ბრძენი

მუდმივად პოულობს სასწაულს თვით საკუთარიცხოვრების უბრალოებასა და ბუნებრიობაში, რისგანაც გამომდინარე გაკვირვება არნახულ ძალასა და სიყვარულს ბადებს მასზე დაფუძნებულ რწმენაში. მისტიკური ჭვრეტის არსი უკვდავი სიცოცხლის დაუშრეტელ წყურვილსა და დაუსრულებელ შემოქმედებით ძიებაში მდგომარეობს. ჭეშმარიტი ცოდნა კი, ბუნებისმეტყველური სიბრძნე და მეცნიერებაა, ხოლო, ჭეშმარიტი ხელოვნება, მისტიკურ ჭვრეტაზე წარმოქმნილი რწმენის სასოების გამოხატულებაა სულიერი ნეტარებისა, რომელიც მოიპოვება სიცოცხლის სიყვარულით, სულ ბოლოს, კლასიკური ფილოსოფია გახლავთ უაღრესად გონიერი, მიზანმიმართული წესრიგი, სადაც მეცნიერების, ხელოვნების, ცოდნისა და რწმენის ხაზები ურთიერთთანხმობაში ემყარებიან სულის ინდივიდუალური უკვდავების ცხოველმყოფელობის განცდას.

ყოველივე, ჩვეულებრივიც და მისტიკურიც, ჩართულია ბუნების შიდა და გარე კოსმიური კატაკლიზმების ფაზებში, სადაც ადგილს იკავებენ სხვადასხვა სახის მზარდი ინტენსიობის გადახრები და ცდომილებები. რაც უფრო მაღალია მათი გამოვლინების ხარისხი, მით უფრო ცხადად და გამოკვეთილად ვლინდება გონიერება, რომელიც თანდათანობით იძენს, აგროვებს შეცდომების საფუძველზე მიღებულ სწორ გამოცდილებას და ადამიანური ინტელექტის სახით ადგენს, აფორმებს სოციალურ ცნობიერებას, რომელიც ამჟამად გვევლინება, როგორც ტექნიკურად კონსტრუირებულ გარემოში ადაპტირების უნარი. მეცნიერები ინტენსიურად იყენებდნენ ევოლუციის თეორიას, რათა ღრმად გაეანალიზებინათ და განეჭვრიტათ საზოგადოების არსებული და მომავალი ურთიერთობების ნაირგვაროვანი ტენდენცია. ასე მოგვევლინა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნება__საზოგადოება, რომელიც ფლობს ეკონომიკური ინოვაციების სექტორს, მაღალმწარმოებლური მრეწველობით, ინდუსტრიული ცოდნით, მაღალი შემოსავლებისა და ინოვაციური მომსახურების ხვედრითი წილით.პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციამ დიდი აღიარება მოიპოვა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, დანიელ ბელის შრომების შედეგად, კერძოდ, მისი წიგნის, „მომავლის პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, რომლის საფუძველშიც ჩადებულია მთელი საზოგადოებრივი განვითარების სამი ეტაპი: აგრალური(ინდუსტრიამდელი)__განსაზღვრული სოფლის მეურნეობის სფეროთი, რისი ძირითადი სტრუქტურებიაეკლესია და არმია; ინდუსტრიული, განსაზღვრული მრეწველობის მთავარი სტრუქტურებით__კორპორაციითა და ფირმით; პოსტინდუსტრიული__განსაზღვრული თეორიული ცოდნით, მისი დამახასიათებელი სტრუქტურაა__უნივერსიტეტი, როგორც აღნიშნული ცოდნის წარმოებისა და დაგროვების ადგილი(111__222-230).

სამრეწველო რევოლუციის კვალობაზე, ყალიბდება კონვეირული წარმოება, შრომის გაზრდილი ნაყოფიერებითა და მასობრივი მოხმარების პირობებით, რაც იწვევს ინფორმაციული ნაკადის მოზღვავებას, სოციალური განვითარების ყველა მიმართულების უზრუნველყოფით. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნიშნებს განეკუთვნება: მომსახურების სექტორის გაბატონება (მმართველობა, საბანკო საქმე, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება და კულტურა) გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებთან შედარებით,მით უმეტეს, ტრადიციული სოფლის მეურნეობისა და სამთომოპოვების სფეროებთან, რომლებმაც მე-19 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის შემდეგ თანდათანობით დაკარგეს დომინანტური ფუნქციები (99__509_511);ინფორმაციული ტექნოლოგიების ზრდის მნიშვნელობა, ხანგრძლივი პერიოდის დაგეგმარებისა და მოდელირების ტენდენციების როლის ამაღლება, ტრადიციულ ეთიკასა და იდეოლოგიაზე ტექნოკრატიული ცნობიერებისა და პრაგმატიზმის გაბატონება, გამოყენებითი ტექნოლოგიებისა და ინტელექტის ფაქტორის მკვეთრი გაძლიერება, ტრადიციულისოციალურ-კლასობრივი იერარქიის ცვლილებანი__მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური ელიტის მიერ ტრადიციული ბურჟუაზიული ელიტის გავლენისა და ღირებულების დაკნინება და სხვა(105__163).

აღნიშნული თავის დასასრულს, ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, შევეცდებით, თავი მოვუყაროთ ყველა იმ ძირითად საკვანძო დებულებას და საორიენტაციო მიმართულებას, რითაც მოსახერხებელი გახდება გარკვეული რეზონანსული კითხვების მიმართ პასუხების გაცემა. მიზანშეწონილი თანმიმდევრობით კოდიფიცირებული საწყისების სუბსტანციური სახეები იმყოფებიან არსის ერთიან, როგორც უსასრულო, ისე სასრულ ყოფიერებათა აბსოლუტურ და რელატიურ შრეებში, ისეთნაირად, რომ ისინი ერთდაიმავდროულად წარმოადგენენ უსასრულოდ მცირეს უსასრულო სიდიდეში და ასევე პირიქით, მაშინ, როცა მოიაზრებიან უნუვერსალური და აბსოლუტური შესაძლებლობების სახით, ხოლო, როდესაც მათ გააჩნიათ რეალური სინამდვილის ნიშნები, დროსა და სივრცეში, ამ შემთხვევაში უკვე სასრულ ფორმებს შეესაბამებიან. ამ სახით კოდიფიცირებული მიმართებები და განსხვავებანი არსის ერთიანი ნებისყოფის მახასიათებლებია ერთიანი იგივეობის შიგნით, რაც ღვთაებრივად მოწესრიგებულ კანონზომიერებებს, მათ პრინციპებსა და იდეებს გააჩნიათ ბედისწერის წესწყობის ძალით. ბედისწერა კი, ეს სხვა არაფერია, თუ არა, საგნებსა და მოვლენებში ასახული ენა, რომლის ამოკითხვაც და გაგებაც დაქვემდებარებულია შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, მკვეთრი და გამჭოლი ინტუიციის

ძალაზე, რაც სრულყოფილი სახით უნდა განხორციელდეს ადამიანის ბიოგენეტიკური ევოლუციის განახლების შედეგად სოციალური ცნობიერების მესამე ფაზაში.

ლოგიკური გამომდინარეობის ტრანზიტულობის წესის სრული თანხმობითა და შესაბამისობით, შეგვიძლია ავაგოთ სქემა, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის სამყაროს ღვთაებრივი შემოქმედების ერთადერთ, უცვლელ, განუწყვეტელ კვლავწარმოებაზე: 1. პოლი და მეგაგალაქტიკური, გალაქტიკათაშორისი, შიდაგალაქტიკური, პლანეტათა-შორისი და შიდაპლანეტარული სისტემები წარმოადგენენ გარეგანი, რელატიური ცვლილებების შინაგანად აბსოლუტური უცვლელობის მყარ, ენერგეტიკულ კვანძებს, რომლებიც იბადებიან, იზრდებიან, ვითარდებიან და კვდებიან, ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, რათა კვლავ, მარადიულად, უსასრულოდ, ხელახლა მოგვევლინონ სამყაროს ყოველ კუთხე-კუნჭულში. ალბათ, ასე უნდა შექმნილიყო დედამიწა, დაახლოებით, ექვსი მილიარდი წლის წინათ; 2. ბუნება, დაახლოებით ერთნახევარი ან ცოტა მეტი მილიარდი წლისაა, რაც ერთობ ხანმოკლეა ექვს მილიარდთან შედარებით; 3. ადამიანის გაჩენა, ამ თანაფარდობისთვის შეუდარებლად მცირე პერიოდს_ერთნახევარ მილიონ წელს მოითვლის, რაც თავისი განუსაზღვრელი სიმცირის მიუხედავად, სავსებით საკმარისია ორი ან სამი უმაღლესად განვითარებული ცივილიზაციის დასაწყებად და მოსასპობად. მერამდენე ცივილიზაციას მივეკუთვნებით ჩვენ__ეს საკითხი ჯერჯერობით გარკვეული არ არის; არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, უმარტივეს ტექნიკურ საშუალებათა წარმოება ასიათასზე ნაკლები წლით განისაზღვრება. 4. ამ ჯერჯერობით უკანასკნელი კულტურისა და ცივილიზაციის ეპოქის ვადა არ აღემატება ერთ ათეულ ათას წელს. 5. ბოლოს კი, რასაც ჰქვია ტექნიკური ინდუსტრიისა და პოსტინდუსტრიის ხანა, სკურპულიოზური სიმწირითა და სიმცირით__ორასი და მომდევნო ორმოცი-ორმოცდაათი წლით განისაზღვრება. აი, სწორედ ამ უკანასკნელ ფაზაში დააყენა ტექნიკამ ადამიანი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. ეს ის ზღვარია, როცა ტექნიკურმა პროგრესმა და ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციებმა უკვე ამოწურეს განუყრელი და სასურველი თანაარსებობის პოტენციალი, რის შედეგადაც ამ ახალი საუკუნის პირველ-ორ ათწლეულში ისახება ერთობ დრამატული ალტერნატივები: 1.ტექნიკური პროგრესის თვითრეგულირებადი გაგრძელება ადამიანთა ტოტალური ფიზიკური განადგურების მერეც იქნება შესაძლებელი. 2. ტექნიკაც და ადამიანიც ერთდროულად მოისპობა. 3. ტექნიკური პროგრესი შეწყდება და ადამიანთა შეწყვეტილი ბიოგენეტიკური ევოლუცია კვლავ გაგრძელდება, ანუ ამ იღბლიანი გამართლების შემთხვევაში, ადამიანი გადავა სოციალური ცნობიერების მესამე

ფაზაში, რომლისთვისაც ერთადერთი და უმთავრესი თავისებურება აღარ იქნება ტექნიკურ გარემოში ადაპტაცია. მოცემული შეხედულებების მიხედვით, გაუმართლებელ უკიდურესობდ ჩაითვლება ტექნიკის ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი უარყოფა მთელი თავისი თვისებებით და ატრიბუტებით, როგორც ადამიანთა ბუნებრივი ევოლუციისთვის მიუღებელი და დამღუპველი. ჩვენთვის, ტექნიკის განვითარება, ისეთივე ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია, როგორც საკუთრივ, ადამიანის წარმოშობა-განვითარება, აქაც, იმავე ლოგიკური ტრანზიტულობის წესის თანახმად, გვიწევს აღნიშნული თეზისის დასაბუთება. ლუის მამფორდი, თანამედროვე სოციალური ფილოსოფიის წარმომადგენელი, სავსებით სამართლიანია, როდესაც ტექნიკური „მეგამანქანის“ფაქტორს საღი აზრის პოზიციიდან აფასებს: „მეგამანქანა არა მხოლოდ უბრალო წინამორბედი გახლდათ მომდევნო თაობათა რთული კონსტრუქციის სამანქანო მოდელებისა, არამედ ეს იყო ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი წესრიგის დამყარების წინაპირობაც, მას მერე, რაც საწარმოო ნედლეულის მარაგი და სარწყავი არხების სისტემა შორს გასცდა ნეოლითური სოფლის შეზღუდულ მასშტაბებს; უფრო მეტიც, მეგამანქანამ თამამად დაარღვია გვარტომობრივი ადათწესების აბეზარი კაპრიზების ერთფეროვნება, რის სანაცვლოდაც შემოგვთავაზა ერთობ რაციონალური და პოტენციურად მზარდი უნივერსალურიმეთოდი“(88__http://gtmarket.ru/laboratory/basis/3115/3124).მასთან შედარებით, ჩვენი შეფასება შედარებით ზომიერი და მოკრძალებულია, თუმცა ამასაც საკმარისი ოპტიმიზმი ახლავს. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად, როდესაც ადამიანი იწყებდა პრიმიტიული ტექნიკური საშუალებების შექმნასა და მოხმარებას, იგი საკუთარ შინაგან ცოცხალ ძალას ასაგნებდა უსულო ინერტულ საგნებში და იქ ახდენდა მთელი თავისი ძალღონის კონსერვაციას, ამით მან გაასხვისა საკუთარი უნარი გარემდებარე ობიექტებში. ამჟამად კი, მაღალგანვითარებული პოსტინდუსტრიული ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის პირობებში, როცა სულ უფრო თვალშისაცემი ხდება ბიოკიბერნეტიკის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვა, ადამიანს ეძლევა საშუალება ტექნიკის მეშვეობით გააქტიურებული მგრძნობიარე ობიექტებიდან ისევ უკან დაიბრუნოს და თავის თავში შემოიტანოს ათასწლეულთა მანძილზე გასხვისებული უნარ-შესაძლებლობანი, რითაც ის ხელახალ ბიძგს მისცემს შეწყვეტილი ბიოგენეტიკური ევოლუციის გაგრძელებას. ამ გზით ადამიანი შეძლებს ინდივიდუალურ ღმერთადაც კი მოგვევლინოს, თუ რა თქმა უნდა, იგი არ შეიწირა ჯერ-ჯერობით მაინც, მისგან დისტანცირებულმა უკიდურესად გაუცხოებულმა ტექნიკამ.

იქამდე, სანამდეც ტექნიკა მოითხოვს ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარების ინტენსიურ განვითარება-გაძლიერებას, დახვეწილ შემოქმედებით ოსტატობას, იგი

არა მხოლოდ სასარგებლო, არამედ სასიცოცხლო ფუნქციების გამომხატველი ძალაა, მაგრამ, მას მერე, რაც ტექნიკური საშუალებები თვითონ ირგებენ ერთადერთი მწარმოებლის ფუნქციას, უკვე აღარ საჭიროებენ ადამიანის ჩარევას და გზას უხშობენ მის შემოქმედებით, მწარმოებლურ უნართა აქტივობას, იღებენ ყოველმხრივსაზიანო და დამანგრეველ ხასიათს.

ისმის რიტორიკული კითხვა, თუ რა აიძულებს, ტექნიკასთან მიმართებაში, ადამიანს გადააბიჯოს ხელსაყრელი თანაარსებობის ზღვარს?__ამისათვის გავიხსენოთ ძველბერძნული მითი დედალოსსა და იკაროსზე. მწერალ ოთარ ჭილაძის აზრით: „დედალოსისსულშითავისუფლებისთესლირომარგაღვივებულიყო, მისისახელიცისევედაიკარგებოდაჩვენთვის, როგორცმისიშემოქმედება. დედალოსიმაშინგახდაჩვენთვისძვირფასიდაახლობელი, როცა მისთავისუფლებასსაფრთხედაემუქრა. ყველაფერი, რაციქამდემოხდა, იმიტომმოხდა, დედალოსსესრომეგრძნოდა, მიუხედავადმსხვერპლისსიმძიმისა, მაინცაღესრულებინათავისიგიჟურიგანზრახვა, თუკიუნდოდა, კაცობრიობათავიდანვეარშეჰგუებოდამონობას. დედალოსმაყველაჩვენგანსაჩუქათითობუმბულითავისიფრთისა“… (58__Posted by: burusi | 06/08/2009).

ძველი მითების სამყარო წარმოდგენას გვიქმნის ადამიანური ბუნების სხვადასხვა მანკიერებაზე, როგორიცაა სწრაფვა იოლი ცხოვრებისაკენ, სულსწრაფობა, სიზარმაცე, სხვებზე გაბატონებისა და განუსაზღვრელი ძალაუფლების დაუოკებელი ჟინი და ასე შემდეგ. იმათ, ვისაც მრავალგვარ გარემოებათა გამო, ასეთი ლტოლვები ჩახშობილი აქვთ, სამაგიეროდ, ჭარბად ახასიათებთ დათრგუნული, დაკნინებული, სულიერად დეპრესიული გუნება განწყობილება, რომელიც მონური მორჩილების, უდრტვინველი ქედმოდრეკილების, დამამცირებელი და უბადრუკი გრძნობაა.ბუნებრივ ქმნილებათა, მათ შორის ადამიანთა არასრულფასოვნების შესახებ შეხედულებას ჯერ კიდევ არისტოტელე გამოთქვამდა. რეალურად არსებულ სახეობათა ცალკეული ინდივიდები, ბუნებრივი შესაძლებლობების არასრული გამოვლინების გამო, განიცდიან ცვლილებებს იდეალური „ფორმებისაკენ“(83__309-337).მართალია, ეს გახლდათ ბუნების ტელეოლოგიური გაგების შემადგენელი ნაწილი, რამაც განსაკუთრებული მხარდაჭერა და აღიარება მოიპოვა შუა საუკუნეების სხვადასხვა ქრისტიანულ, თეოლოგიურ მოძღვრებებში, სადაც ყოველი საგანი, ღვთაებრივი კოსმიური წესრიგის მიმართ გარკვეული დანიშნულების მატარებელია,თუმცა არისტოტელეს არ მოუხდენია ცხოველთა სახეობებისა და ტიპების ფორმულირება, როგორც მეტაფიზიკური ფორმების ზუსტი ასლებისა, ცალკეულ შემთხვევებში, ამის სანაცვლოდ, მას მოჰყავდა ახალი სახეობის ცოცხალ არსებათა წარმოქმნის მაგალითები(98__44-45).ჩვენი აზრით, ფ. სტეფანის ეჭვი უსაფუძვლოა, რადგანაც ევოლუციის ბუნებრივად თვალშისაცემი ფაქტები სრულებითაც არ ეწინააღმდეგება წმინდა მეტაფიზიკური, იდეალური

„ფორმების“არსებობის ზოგად-სუბსტანციურ კანონზომიერებას, რაც არისტოტელეს ნამდვილად არ შეეშლებოდა.
ბიოგენეტიკური ევოლუციის საკითხში, თანამედროვე მეცნიერები ამჩნევენ არა მხოლოდ დაპირისპირებისა და კონფლიქტების მკაფიოდ გამოვლენილ ეპიზოდებსა და ნატურალურ სცენებს, არამედ საინტერესო კორპორაციულ თანაარსებობასაც, რომელსაც მოიხსენიებენ „კოევოლუციის“ სახელწოდებით. არა მარტო მცენარეული, ცხოველური ორგანიზმები, მწერები, მატლები და სხვები განიცდიან თანაადაპტაციას, არამედ მომიჯნავე სახეობის მტაცებლები და მსხვერპლი, რაც ძალიან წააგავს ადამიანურურთიერთობებში ისტორიულად დამკვიდრებული ძარცვა-გლეჯის, სისასტიკისა და მტაცებლობის ფორმებს. მაგალითად, მტაცებლის ევოლუციას მოსდევს მსხვერპლის ევოლუციაც, რაც კიდევ დამატებით ფაქტორად გვევლინება ისევ მტაცებლის უფრო მეტი ევოლუციისთვის. კოევოლუციის ნიმუშად აღებულია ყვითელგულა ტრიტონი, როგორც მსხვერპლი და მახრჩობელა გველი__მტაცებელი; ევოლუციის შედეგად ტრიტონს უმუშავდება ტეტროდოქსინის შხამის დიდი რაოდენობა, თუმცა ეს იწვევს მახრჩობელაში ამ შხამის საწინააღმდეგო გამძლეობის უნარის მკვეთრ ამაღლებას(47__2067-2082).
მთავარი ჩვენთვის მაინც ისაა, რომ სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ურთიერთობები სავსეა, კოსმოგენური კატაკლიზმებისათვის ნიშანდობლივი გაუთავებელი ბრძოლებითა და ურთიერთდაპირისპირებით, სადაც ტექნიკური აღჭურვილობის დონეს გადამწყვეტი პრაქტიკული როლი აკისრია, რის გამოც სახელმწიფოები, თავიანთი ძალაუფლებისმოყვარე ლიდერების წყალობით, ვერასოდეს ვერ შეელევიან რევოლუციურად დაჩქარებული ტექნიკური რიტმის ოდნავ შენელებასაც. ერთადერთი გამოსავალი მესამე ფაზის ადამიანთა იმგვარი მისიის განხორციელებაა, რაც მითებისა დარელიგიური თქმულებების თანახმად, ჰქონდათ გილგამეშს, ამირან-პრომეთეს, ზარატუსტრას, ბუდას, ოდინს, მოსეს, იესოს და სხვებს. ისინი კაცობრიობას მოევლინენკაც-ღმერთებად, ზეკაცებად, ზღაპრული ეპოსის გმირობათა ეტალონად და კიდევ, რაღაც დაუჯერებელ იდუმალ ქმნილებებად. თითქმის ასეთივე საკრალური მნიშვნელობის მქონეა კოლხეთის მეფის ასულის, მედეას ფენომენიც, რომელთანაც ასოცირდება სხვადასხვა სამეცნიერო დარგებისა და ზეგრძნობადი კომუნიკაციების აღმნიშვნელი სახელდებანი.მათი სასწაულმოქმედი უნარები თავისებურად ერწყმიან ცალკეულ ნივთებში თავისთავად არსებულ, მაგიურ, იდუმალ თვისებებს, რომელიც კოდიფიცირებულია მისტიკური, ეზოთერული სიბრძნის ენაზე. მისი ტრანსცენდენტური ბუნების ამოცნობა და გაგება ძალუძს მარტოდენ გამჭოლი ინტუიციის ჭვრეტის უნარით ადაპტირებული ზეკაცის გონებას, ხოლო, იქ, სადაც წყდება ბიოგენეტიკური ევოლუცია, სადაც მეორე ფაზის ადამიანის საარსებო ინტერესები შესისხლხორცებულია ტექნიკურ გარემოსთანისე,

რომ კულმინაციას აღწევს მათი შინაგანი წინააღმდეგობა; ცივილიზაცია უიპირისპირდება კულტურას და ამით სერიული მომხმარებლობა ადგილს ართმევს შემოქმედებით მწარმოებლობას, აკნინებს, აჩლუნგებს და გონებასთან ერთად კლავს ნივთებსაც, რომლის მაგიური ძალის გამოყენება და წარმოება დამოკიდებულია ადამიანის შემოქმედებით ოსტატობაზე.

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ძალზე ნეგატიურად აისახება ერებისა და სახელმწიფოების ურთიერთობებზეც. პირველ რიგში, გადაშენებისა და უსახო, მასობრივ კონგლომერატში გათქვეფის საფრთხის წინაშე იმყოფებიან ჩვენისთანა მცირე კულტურული, მდიდარი ეთნოსოციალური ტრადიციის მქონე ერები, ხოლო შემდეგში, რასაკვირველია, დიდი ერების ჯერიც დადგება, რადგანაც დიდი და მცირე ურთიერთთანაფარდობითი ცნებებია, ამიტომაც სადაც იშლება და ნადგურდება მცირე ერი, იქვე ქრება და ორთქლდება დიდი ერიც, რისი დადასტურებაც ისტორიაში საკმარისზე მეტიცაა. უთვისტომო, უსამშობლო და უეროვნო ადამიანი, რომელიც ბუნებრივი გაუცხოების კვალობაზე ადაპტირებულია ტექნიკურ გარემოსთან, განიცდის ღრმა სულიერ დეპრესიას, იგი იფიტება და იძარცვება ფიზიკურად, ფსიქიკურად, მიდის სრულ დემორალიზაციამდე და აპათიამდე, რასაც არც თუ იშვიათად, მოსდევს სუიციდი, ან სულაც გაუაზრებელი შურისძიება და აგრესია სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე, მათ შორის, ბავშვებზე, ქალებსა და მოხუცებზე, რისი ფაქტებიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ბოლო დროს, საკმაოდ გახშირდა. გამოფიტული, გადაგვარებული სხეული კარგავს ბუნებრივ ჯანმრთელობასა და მშვენიერებას, ხოლო სული მოკლებულია გაკვირვების, აღტაცების, სიხარულის, მწუხარების, ცნობისმყვარეობისა და თანაგრძნობის განცდას. **თავისი არსით და ცნობიერებით, ტექნოკრატიული საზოგადოება ერთადერთია მთელ ბიოსფეროში, რომელიც ყოველგვარი სიამოვნების გარეშე ახერხებს თითოეული, მასში ადაპტირებული ადამიანის ჯოჯოხეთურ ტანჯვას, ამას ყველაფერს შეგნებულად, გამიზნულად იცავს, ამართლებს და წარმართავს ე. წ. ლიბერალური დემოკრატია. წამოჭრილპრობლემებზეპასუხისგაცემისორმაყველაზემნიშვნელოვანმამცდელობამ, აზრთაგანსაკუთრებულისხვადასხვაობაგამოიწვია,რომლებიცდაკავშირებულიიყოამ ერიკელიმეცნიერებისფრენსისფუკუიამასადასემუელჰანთინგტონისსახელებთან.**

1989 წელსსატატიის, 1992 წელსკი,წიგნისსახითგამოქვეყნდაფ. ფუკუიამასნაშრომი,„ისტორიისდასასრულიდაუკანასკნელიადამიანი“(32), რომელმა ცსათავედაუდოინტელექტუალთადისკუსიასიმისთაობაზე, თუროგორიიქნებამსოფლიოსმომავალი, „ცივიომის“ დასრულებისადაკომუნიზმისიდეოლოგიისმარცხისშემდეგ. ფ.ფუკუიამამსცადადაესაბუთებინა, რომლიბერალურიდემოკრატია,

ადამიანთამოდგმისიდეოლოგიურიევოლუციისბოლოსაფეხური,
მმართველობისუკანასკნელიდაუცვლელიფორმაიქნება,
რითაცდასრულდებაკიდეცისტორია. „ისტორიისდასასრულში“
ავტორიგულისხმობდაარახდომილებათარიგის,
მოვლენათაქრონოლოგიურითანამიმდევრობისშეწყვეტას,
არამედდასასრულსიმისტორიისა,
რომელიცგაიაზრებაერთიანევოლუციურპროცესად,ყველახალხისადაყოველიდროის
ერთობლიობაში. ისტორიისდასასრულინიშნავდაიმას,
ბოლშევიკებისმიერსაქართველოსმომავალიდაპყრობისშესახებ.აღსანიშნავია,რომგუ
რჯიევმა თბილისშიჩამოსვლის (დაბრუნების)
დროსშეიტყო,რომმამამისი,ივანეგურჯიევიმოეკლათ,ხოლოდედადაახლონათესავებ
იტიფითგარდაცვლილიყვნენ.ესკიდევამტკიცებსიმფაქტს,რომ თბილისთანარა
მარტომასჰქონდამჭიდროკავშირი,არამედმისოჯახსაც.შესაძლებელია,გურჯიევის
ოჯახითბილისშიცხოვრობდა.გურჯიევსსაქართველო-
თურქეთისსაზღვარზეხალიჩებისდიდი
კოლექციაჩამოართვეს.მისტიკოსთარწმენითამკოლექციაშიონელიებრაელის,ვინმემო
შე შიმშილაშვილის„მფრინავიხალიჩაც” იყო (ზოგიმას„დიდიმოგოლის”
ცისფერხალიჩადაც
მიიჩნევს).თუმცაარსებობსვერსია,რომსაზღვარზეხალიჩებისჩამორთმევაშირმაიყოდა
გურჯიევმაამით„სხვარაღაც”,უფრომნიშვნელოვანი„გააპარა”.გურჯიევი 1922
წელსპარიზში ჩადისდამისმახლობლადფონტენებლოშიმკვიდრდება. 1930-
იანწლებისბოლოსადა 1940-იანი
წლებისდასაწყისშიისტიბეტშიჩადის.იმდროისთვისესქვეყანათითქმისმთელიმსოფლ
იოსთვისდახურულიიყო
(იქვე).ტიბეტშიგურჯიევირამდენჯერმეინახულა„ნომერმეორეფაშისტმა,”
რუდოლფჰესმა.ჰესსაინტერესებდა,როგორმიდიოდაფაშისტებისმიერგაგზავნილიექს
პედიციისმუშაობა.ფაშისტებიტიბეტშიმითურქვეყანას – შამბალასეძებდნენ(?!).
ჰესისაკმაოდჭკვიანიადამიანიდა,ამასთან,
ჰიტლერისგეგმებისკრახშიდარწმუნებულიციყო.ამაშიგურჯიევთანშეხვედრისდროსა
ცდარწმუნდა.ბერლინშიდაბრუნებისდროს,როდესაცასტროლოგმავრონსკიმმასფაშის
ტებისმომავალიმარცხისშესახებაუწყა

(ამაზემიუთითებდაფაშისტებისპირადიასტროლოგიკარლერნესტკრაფტიც),მანგერმა ნიისდატოვებაგადაწყვიტა.ასტროლოგვრონსკისპროგნოზით,ჰესსადასხვაფაშისტლი დერებს (გარდაჰიტლერისა),სახრჩობელაელოდათ.ჰესი,ვრონსკისრჩევით, 1941 წელსბრიტანელებსტყვედჩაბარდა. 1946 წელს,ნიურნბერგისსასამართლოპროცესზე,ჰესისგარდა,ყველაჩამოახრჩვეს,ჰესსკი,სამ უდამოპატიმრობამიუსაჯეს,თუმცა 1980-იანწლებში,მანერთკაციანსაკანშითავიჩამოიხრჩო.არარსებობსმტკიცებულება,რომგუ რჯიევიჰიტლერსპირადადიცნობდა,თუმცამეორემსოფლიოომისდროს,ისსაფრანგეთ შიცხოვრობდადამოღვაწეობდა.მიუხედავადამისა, ფაშისტებსისარშეუწუხებიათ.გურჯიევისცნობილი„ენიგრამები”-სინტერპრეტაცია-გაშიფვრაყველაზეუკეთესადქართულიანბანისგამოყენებითხდებადამკვლევართააზრ ით,დიდიალბათობაა,რომგურჯიევიმუშაობისასსწორედამანბანსიყენებდა. **იგიიყოფე ნომენიდაშეეძლოუსუსურიადამიანისთვისუზარმაზარისულიერიდაფიზიკურიძალა შთაებერა.**

სხვათაშორის,ბულგაკოვისბიოგრაფებიამტკიცებენ,რომრომანში„ოსტატიდამარგარი ტა”,ვოლანდისპროტოტიპისწორედგურჯიევია.ამასამტკიცებსისფაქტიც,რომ 1917 წელსგურჯიევისესენტუკშიცხოვრებისდროს,ბულგაკოვიცსწორედიქისვენებდადაარ არისგამორიცხული,რომსწორედაქმოხდამათიშეხვედრა,რამაცმწერალსსერიოზულიი მპულსიმისცამომავალირომანისთვის(იქვე).

გურჯიევსა და შტაინერს, ორივეს ერთნაირად, ამოძრავებდათ ბუნებისმეტყველების მისტიფიკაციისა და რელიგიის მეცნიერულობის (სციენტიფიკაცია) მკაფიოდ გამოხატული მიზანი, რაც ბევრს გულუბრყვილობად და უტოპიად ეჩვენებოდა, თუმცა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც ოკულტური მედიტაციების განსაცვიფრებელმა ღონისძიებებმა თავისი გამაოგნებელი ძალა აჩვენა მედიცინაში, ბუნებისმეტყველებაში, ასტროლოგიაში, პედაგოგიკასა და ხელოვნების სასწავლებლებში, რისი უარყოფაც ყველაზე ახირებულ ოპონენტებსაც კი არ ხელეწიფებათ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ დასახელებულ მისტიკოსთა განაზრებანი, მეტამფსიქოზისა და კარმის სასარგებლოდ, ან საკმაოდ ნათელი და თანმიმდევრული არ გახლავთ, ან უბრალოდ, ვერ სცდება პითაგორეიზმისა და ბუდიზმის მოძღვრების ფარგლებს, რასაც ასევე მიუთითებენ არა მარტო კრიტიკოსები, არამედ მათი იდეური თანამზრახველებიც. ამის მიუხედავად, ეს ოდნავადაც ვერ აფერმკრთალებს მათ პრაქტიკულ, გენიალურ მოღვაწეობას. რაც შეეხება ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ არგუმენტაციას, ამას უკვე რატომღაც საჭიროდ აღარ თვლიდნენ კანტისა და ჰეგელის შემდეგ, განსაკუთრებით, ირაციონალური ფილოსოფიური აზრის გამოკვეთილი მიმდევრები, თუმცა ამის

გარეშეც, მათი როლი და დამსახურება აზროვნების ისტორიაში, სრულიად აღმატებული, დაუფასებელია. ასეთნაირად მომართულ ირაციონალურ პოზიციას, ერთგვარ ამაღლებულ სულისკვეთებასანიჭებდა არტურ შოპენჰაუერის ბრწყინვალე გამოთქმა:„როგორც ლაგამი ვერ მოთოკავს აწყვეტილ ცხენს, ასევე ვერ მოთოკავს ინტელექტი და ცნობიერება ადამიანის__ნებას(63__http://intermedia.ge/სტატია/27550). ჩვენი ამოცანა კი, სიცოცხლის ენერგეტიკული სუბსტრატის, იგივე ცხოველმყოფელი „მე“_ს თვითგანცდადი მგრძნობელობის ერთადერთობისა და ერთიანობის, მარადიულობის, უცვლელობის, აბსოლუტური არსებობის რაციონალური დასაბუთებაა. ეს უნდა გავიგოთ, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის არსის მეტაფიზიკური დასაბამის სრული სიცხადე და გარკვეულობა. აი, სწორედ ეს უნდა დადგინდეს, როგორც უძრავი მამოძრავებელი, ყოველგვარ სიდიდეთა მომცველი, უმცირესი განუყოფელი ელემენტი, ურთულესად დახლართულ სიძნელეთა უმარტივესი განმსაზღვრელი, ყოველთა მიმდებარე ვრცეულთა განფენილობის საუფლოთა განმრიგებელ-გამწესრიგებელი__უფალი ღმერთი__ღრმა „მე“ ერთი.

მეტამფსიქოზის სახელით ცნობილი სულის მოგზაურობა ხომ, მრავალ რელიგიებსა და ხალხებში გავრცელებული, ძველთაძველი თქმულებაა. როგორც მოგვითხრობს, დიდი ისტორიკოსი, ჰეროდოტე: „ეგვიპტელებმა პირველებმა გამოთქვეს აზრი, ადამიანის სულის უკვდავების შესახებ. მას მერე, რაც სხეული დაიღუპება, იგი აღწევს სხვა ცხოველში, რომელიც იმავ წუთს იბადება. როდესაც სული დაივლის ზეცის, ზღვისა და ხმელეთის ყველა სულდგმულს, კვლავ შედის ადამიანის სხეულში, რომელიც იმ დროს იბადება (იქნებ ჩასახვისთანავე?). სულის ამ შემობრუნებას ესაჭიროება სამი ათასი წელიწადი“(124__263).სულის მოგზაურობის შესახებ თვალსაზრისსასევე დიდი ადგილი უკავია ინდურ მსოფლმხედველობაში. ბრაჰმანიზმი, ჯაინიზმი და ბუდიზმი, სულის გადასახლებას, სანსარას ასევე ციკლურ პროცესად თვლიდნენ, თუმცა მათ მიაჩნდათ, რომ სულის გადასვლა ამა თუ იმ კონკრეტულ ცოცხალ არსებაში დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა მავანი და მავანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში(64__http://iveria.ucoz.ru/load/).ბერძნულ სინამდვილეში, სულის მოგზაურობაზე, პირველად ყურადღებას ამახვილებს პითაგორას მასწავლებელი, ფერიკიდე. შესაბამისად, პითაგორაც ამტკიცებდა, რომ ის იყო ჰერმესის შვილი ევფალიდე, შემდეგ მისი სული ჩასახლდა ევფორისის სხეულში, მერე იქცა ჰერმოტიდედ, ბოლოს კი, სანამ თავის სხეულში დაბინავდებოდა, დელოსელ მეთევზე პიროსად. ამიტომაც ნიშანდობლივი იყო ის ფაქტი, რომ პითაგორელთა უმთავრესიტაბუ-ვეგეტარიანელობა (ვეგეტარიანელობის თემას ჩვენ ადრეც შევეხეთ, პირველი ფაზის ადამიანთა დახასიათებისას) უკავშირდება ცხოველებში ადამიანის

სულის მოთავსების შესაძლებლობას: „ხომ შეიძლება, შენს მიერ შეჭმულ ცხოველსა, თუ ფრინველში, ბებიაშენის სული აღმოჩნდეს ჩასახლებული?“(7__52).პითაგორას შემდეგ მეტამფსიქოზის შესახებ მოძღვრება გაიზიარა ემპედოკლემ. მას ეკუთვნის სიტყვები, რომ წინარე ცხოვრებაში იგი იყო ბიჭიც, ქალიშვილიც, ბუჩქიც, ფრინველიც და თევზიც (იქვე: 12). სულის უკვდავებაზე მოძღვრება ასევე გაიზიარა პლატონმაც, რომელიც, თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში, პითაგორეიზმს დაუბრუნდა. არისტოტელედან მოყოლებული, სტოელებისა და ნეოპლატონიკოსების ჩათვლით, ცალკე იქნა გამიჯნული გონის საფეხური, რომელიც მთელი სულის არსებას არ უიგივდება; თანდათანობით, ეს გონი აღწევს ღვთაებრივი აბსოლუტის საფეხურს, როგორც ეს კარგად ჩანს პლოტინთან, ხოლო ბევრად მოგვიანებით, ჰეგელთან(124__10). აბსოლუტური გონი სამყაროს ღვთაებრივი შემოქმედების სუბიექტია, რომელიც ადამიანში ლოგიკურ-ისტორიული პროცესის მიერ განხორციელებულ თვითშემეცნებას წარმოადგენს. ამ პროცესს ჰეგელთან მყარი თეორიული სისტემის ძალა გააჩნია, თუმცა მასთანაც შკარად იგრძნობა მისტიციზმის ძლიერი გავლენა.ამის შესახებ, თავის დროზე, მართებულად შენიშნა თ. ბუაჩიძემ:„რელიგიურ-მისტიკურიხასიათისმიუხედავად, ჰეგელმაშეძლოსამყა-როყველამისგანზომილებაშიწარმოედგინა, როგორცდიალექტიკურიქმნადობა, კა-ნონზომიერიგანვითარებისპროცესი. იქ,სადაცერთიშეხედვით,წმინდაშემთხვევითო-ბაბატონობს,ჰეგელიეძებსდაპოულობსკანონს,შინაგანლოგიკას. განსაკუთრებითნათ-ლადგამოჩნდაესჰეგელისმიერისტორიისფილოსოფიისადაფილოსოფიისისტორი-ისდამუშავებისას“(68__http://literatura.mcvane.ge/main/).

ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აგრეთვე შევეხოთ რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფიურ მოძღვრებასაც, რომელიც მისტიკისა და თეორიული დასაბუთების მოდიფიცირებულ ვარიანტებთან ერთად, გვთავაზობდა ოკულტური კვლევა-ძიების მეცნიერულ-პოზიტივისტურმეოდოლოგიას, რომელიც, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ და ექსპერიმენტულ-კვლევით ოპერაციებზე დაყრდნობით, ცდილობდა თეოსოფიურ შეხედულებათა დაფუძნებას ზუსტი მეცნიერების ბაზაზე. თუ ჩვენი პოზიციიდან შევაფასებთ სულის მოგზაურობის შესახებ გამოთქმულ მის პოპულარულ მოსაზრებებს, შეგვიძლია ისინი დავყოთ სამ კატეგორიად: 1. წმინდა მისტიკური, მითოლოგიური კოსმოგონიისთვის დამახასიათებელი წარმოდგენა; 2. მხატვრულ-მისტიკური, ნახევრად-თეორიული კონცეფცია; 3. რაციონალურ-გნოსეოლოგიური, ნახევრად-მისტიკური თეორიულ-პრაქტიკული დოქტრინა. რ.შტაინერის მოძღვრებაც სწორედ მესამე კატეგორიისაა, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისებური სინთეზია__ერთი მხრივ, უკიდურესი რაციონალური და ირაციონალური, ხოლო მეორე მხრივ, მისტიკურ-

რელიგიური და კერძო პოზიტივისტურ-მეცნიერული მიდგომებისა, რაც მხოლოდ ნაწილობრივ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და გამართლებულად, ვინაიდან მისტიციზმი და კერძო მეცნიერული დოქტრინებით აღჭურვილი ცოდნა რამდენადმე აფერმკრთალებს ფილოსოფიური რეფლექსიის რაციონალურ ეფექტს და ამის გამოერთგვარ გნოსეოლოგიურ დისკომფორტს უქმნის როგორც რელიგიურ სუბიექტს__ე. წ. მორწმუნეს, ასევე პრაგმატისტ პერსონას, ორიენტირებულს, კერძო, გამოყენებითი მეცნიერების პრაქტიკულ წარმატებებსა და სარგებლიანობაზე (44__275). რელიგიური სუბიექტი ამ დისკომფორტს ავლენს გარკვეული შიშითა და უნდობლობით, საერთოდ მეცნიერებისა და მისი შესატყვისი ფილოსოფიის მიმართ, ხოლო პრაგმატისტი პერსონა დილეტანტური სკეპტიციზმისთვის დამახასიათებელ ნიჰილიზმსა და ცინიზმს ამჟღავნებს, საერთოდ რელიგიისა და მისი შესატყვისი ფილოსოფიის მიმართ. ორივე ვითარებაში დარტყმის ქვეშ ექცევა ფილოსოფია, ვინაიდან სწორედ ფილოსოფიური არგუმენტების თანმიმდევრობაზეა დამყარებული ის, თუ რამდენად მისაღები იქნება მორწმუნისთვის მეცნიერება და პრაქტიკული ადამიანისთვის რელიგია, რომელთა შორის ხიდის გადება, ან პირიქით, აყრა, მხოლოდ ამა თუ იმ ფილოსოფიურ დასკვნებზეა დამოკიდებული და არა სხვა რაიმეზე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე.

რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, რომ ეს სიძნელე მეტ-ნაკლებად არ იყო გათვალისწინებული ანთროპოსოფიურ მოძღვრებებში, თუმცა მაინც აშკარაა, რომ რაციონალურ არგუმენტებზე მეტად, უპირატესი ყურადღება მაინც ენიჭებოდა ან მისტიკას, ან კიდევ ექსპერიმენტულ-პრაქტიკულ კვლევა-ძიებას, რაც, ჩვენი აზრით, საკმარისი არაა, ეგზომ მნიშვნელოვანი ღირებულებისა და ვრცელი ხანგრძლიობის მქონე, იმგვარი პრობლემის ნათელყოფისა და გაგებისათვის, როგორიცაა მეტამფსიქოზი, ანუ „სულის მოგზაურობა.“ აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ სულიც და სხეულიც, ჩვენი დაკვირვებით, ერთნაირად დიფერენცირებადი და ცვალებადია; ისინი ერთნაირად განიცდიან კვდომას, თუმცა წმინდა ცხოველმყოფელი „მე“_ს თვითგანცდადი მგრძნობელობა, რომელიც სამყაროს ღვთაებრივი, მონისტური სუბსტრატის ფორმით გვევლინება, ახდენს უსასრულოდ მრავალჯერადი ვარიაციების მიხედვით, იმდენნაირ განახლებულ სინთეზს, რომ ლოგიკურად გარდაუვალია სხვადასხვაგვარ, განუსაზღვრელ მოდიფიკაციათა ტოტალურ მიმდინარეობაში, ნებისმიერი წინანდელი ცოცხალი სინთეზის უსასრულოდ მრავალჯერ განმეორებაც.

უხსოვარი დროიდან დღემდე, ცნობილია ლეგენდა სამი საკრალური და ეზოთერული იდუმალებით მოცული სასწაულმოქმედი სიბრძნის ნივთიერი ინსტრუმენტის, ანუ ყოვლისშემძლე იარაღის შესახებ. ესენია: ფილოსოფიური

ქვა__გრაალის თასი, პერპეტუმ-მობილე__მარადიული ძრავის ენერგია და დროის მანქანა. სამივე მათგანის საერთო სპეციფიკა მდგომარეობს მათ მითიურ, ფანტასმაგორიულ არსებაში, ვინაიდან ჯერჯერობით, არც ერთი მათგანის ფუნქცია არ თავსდება არც რაიმე დროისა და სივრცის განზომილებაში, არც რაიმე კონკრეტულ ნივთიერებასა და ფიზიკური ძალის გამოხატულებაში. სამივე მათგანი არღვევს ჩვენთვის დადგენილ-დაკანონებულ საზღვრით სიდიდეებს და ერთმანეთთან აკავშირებს გრძნობად-მატერიალური მოვლენების გადაულახავ გზაკვეთილებსა თუ წყალგამყოფ მიჯნებს, რომელთა ურთიერთთავსებადობაც თავდაყირა აყენებს საგნობრივი სინამდვილის უეჭველობა-სიცხადისა და მათი მოძრაობა-ცვალებადობის კანონებს. აქედან გამომდინარე, ამ სამი ინსტრუმენტის თავისებურობა მათ მეტაფიზიკურობაში მდგომარეობს. ფილოსოფიურიქვის საშუალებით შესაძლებელი ხდება იმ უნივერსალური ელემენტის პოვნა, რომლის სტრუქტურიზაციის საფუძველზე, ნებისმიერი ნივთიერება გარდაიქმნება რომელიმე სხვა ნივთიერებად__მაგალითად, ნახშირი ოქროდ და ა. შ. რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ნივთიერება ერთი და იმავე საწყისი ელემენტებისგან შედგება. პერპეტუმ-მობილე წარმოადგენს ენერგიის განუსაზღვრელი, ულევი მარაგის უნივერსალურ ძრავას, რომელიც არასოდეს არ ჩერდება და სხვა, გარეგანი წყაროს ზემოქმედებაზე არაა დამოკიდებული; იგი თვითრეგულირებადი, მარადიულიპროცესის გამოსახულებაა, რომელიც არ ექვემდებარება არავითარ აჩქარებასა და შენელებას. მისი სიჩქარე დროის ყველა მონაკვეთში აბსოლუტურად იგივეობრივია. რაც შეეხება დროის მანქანას, იგი საშუალებას გვაძლევს გადაგვიყვანოს ნებისმიერ სხვა დროსა და სივრცეში__როგორც უხსოვარ წარსულში, ისე შორეულ მომავალში. მისთვის ყველა ადგილი და ხანგრძლივობა აბსოლუტურად იგივეობრივია, რამეთუ მას შეუძლია ნებისმიერი ვინმე, ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერი ხანგრძლივობით დააკავშიროს. დასახელებული სამივე ინსტრუმენტი ერთნაირი კანონზომიერებით არღვევს სამ რეალურ გადაულახავ ბარიერს__საგანთა და მოვლენათა განმსაზღვრელ საზღვრით სიდიდეს, თავ-თავიანთი როლისა და ფუნქციის შესაბამისობით.

უახლესი მეცნიერული პროგნოზების თანახმად, პერპეტუმ-მობილე მარტივიმოწყობილობაა, რომელსაცენერგიაარჭირდებამუშაობისგანხორციელებისთვის. ესარის 21-ესაუკუნისსასწაული, რომელმაცშეიძლებაძალიანდიდიგანვითარებაჰპოვოსთანამედროვემეცნიერებაში (62__http://intermedia.ge/vid/169170-პერპეტუმობილე/).„ფილოსოფიურ ქვასთან“ დაკავშირებულ სასწაულებს კი მეცნიერებაში ყველაზე მეტი სკეპტიკოსი ჰყავს, ისინი ამ ყველაფერს ჭორებად აღიქვამენ, რასაც მოწმობს შემდეგი ამონარიდი

აღნიშნულ საკითხზე, არსებული სამეცნიერო მასალებიდან: „მსოფლიოშიარსებობსნივთიერება,რომელიცდაჯილდოებულია,უნიკალურითვისებ ით – ყველანაირმეტალსაქცევსოქროდ.უფროსწორედ,ნივთიერებაიყოორგვარი:ერთი„სპეც იალიზირდებოდა” ოქროზე,მეორეკი, ვერცხლზე.ასევთქვათ,ალქიმიისცენტრიდაპერიფერიაშესაბამისად.ალქიმია, ესიყომეცნიერება, რომლისმოღვაწეებიცძალ– ღონესარიშურებდნენ,დღიდანდღემდეიმისცდაშიიყვნენ,რომ ფილოსოფიურიქვის ფ ორმულაშეექმნათ.ასევეუნდააღვნიშნოთ,რომჭორები ფილოსოფიურიქვისარსებობაზ ე, გაუშვავინმეჰერმესტრისმეგისტმა – (ძველიეგვიპტისმცხოვრები).მასდღემდემიიჩნევენფილოსოფიურიქვისაღმომჩენადდ ასაერთოდ, ალქიმიისშემქმნელად.ეტყობა, ამნახევრადმითიურმაადამიანმაშექმნაქვისსწორი „რეცეპტი,“სხვაშემთხვევაში,ჰერმესზეარავინარაფერსგაიხსენებდა.ტრისმეგისტმა თა ვისწიგნში,ფილოსოფიურიქვის შესაქმნელიინგრედიენტებიცკიშეიტანა.შეიძლებაზო გისთვისგაუგებარიიყოს. გაუგებარიკიდარჩა:თურეცეპტი, ასევთქვათგამოქვეყნებულიიყო,მაშინყველაჩვენიწინაპარირატომარგახდა ფილოსოფ იურიქვის ბედნიერიმფლობელი?რატომგააგრძელაალქიმიამგანვითარება?რატომმოს დიოდაკიდევათას„მეცნიერებისმოღვაწეს” მარცხიახალირეცეპტისშექმნაში?ალბათარავისსჯერა,რომჰერმესისნაშრომები,ალექსა ნდრიისშუქურასთანერთადდაიწვა,გადაუკითხავადდაგადაუწერლად,მაგრამფაქტიფ აქტადრჩება, ტრისმეგისტის ნაშრომებმაარანაირისარგებლობაარმოიტანა“ (71__http://ucnauri.com/154072/).ამგვარ ზერელე და ბრიყვულ შეფასებას ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით, ვინაიდან ასე უბრალოდ და მარტივად, ათასწლეულთა მანძილზე არსებული წარმოდგენები არაფრით არ შეიძლება საფუძველს მოკლებული იყოს. ამის დასტურად, ერთი პატარა მაგალითიც საკმარისია__თუ მკურნალის ხელი არ ჩაერია, არცერთნაირ ნივთიერებათა მექანიკური ნარევით, წამლის ნაზავი არ მიიღება.

რაც შეეხება დროის მანქანას, დროშიმოგზაურობაზეადამიანებიუხსოვარიდროიდანოცნებობდნენ. მსოფლიოფოლკლორშიამოცნებამთავისიასახვაჰპოვა. ზღაპრული,თუმითურიგმირებიხშირადმოგზაურობენწარსულშიდააწმყოსცვლიან. მათმომავლისგანჭვრეტა, დანახვადაშეცვლაცშეუძლიათ. დროისმანქანაზეუამრავიფანტასტიკურიჟანრისნაწარმოებიშეიქმნადაიქმნებალიტერ ატურასა,თუკინოში. ამ “მანქანის” შექმნაზემეცნიერებისრულისერიოზულობითმუშაობდნენდაჩვენსდროშიც –

ერთიმხრივ, პრაგმატიზმისადა, მეორემხრივ, ტექნიკისარნახულიგანვითარებისეპოქაში – იმედსისევარკარგავენ, რომდადგებადღე, როცაადამიანიშეძლებსწარსულსა, თუმომავალშიშეღწევას. ადამიანისსწრაფვაშეუცნობელისშეცნობისაკენ, სამყაროსსაიდუმლოებებშიწვდომისაკენ,დაუოკებელია. ასტროლოგებსადაეზოთერიკოსებშიარსებობსინფორმაცია, რომტიბეტში, ეგრეთწოდებულსარკეებისველზე, მომავლისადაწარსულისკარიბჭეიხსნება, საიდანაცადამიანებსწარსულსადამომავალშიმოგზაურობაშეუძლიათ, ოღონდარა – ფიზიკურად, არამედცნობიერებაში. სხვასაკითხია, რასმოუტანსესკაცობრიობას. ქრისტიანულირელიგიისსწავლებით, იმზღვარისგადალახვამ, რაცთვითსამყაროსშემოქმედის, უფლისმიერარისდაწესებული, ადამიანსშეიძლებაისხვრელებიგაუხსნას, საიდანაცმისსულშიდემონებიდაბნელიძალებიშეაღწევენ, ესკისრულიდაღუპვაა (72__http://ucnauri.com/60722/).რუსმამეცნიერმაკოზირევმაშექმნაჩაზნექილისარკეები სსისტემა. ტიბეტშიარისადგილი, რომელსაცსარკეებისველსეძახიან. კოზირევმათავისიმოდელისწორედამადგილისმიხედვითშექმნა. ესარისმთებსშორისმოქცეულიველი. მისგარშემოარისჩაზნექილიქვისფილები, რომლებიცჩაზნექილისარკეებისეფექტსქმნიან. ვინციქხვდება, მასშეუძლია, დროშიიმოგზაუროს. იქმიდიანადამიანები, რომლებსაცმომავლისდანახვა, ანწარსულშიჩახედვაინტერესებთ. კოზირევისექსპერიმენტირამდენიმექვეყანაშიტარდებოდა. მაგალითად, ექსპერიმენტიერთდროულადრუსეთსადაბრიტანეთშიჩატარდა. ადამიანებიერთსადაიმავეეპოქაშიხვდებოდნენდაერთნაირამბებსაღწერდნენ. სხვათაშორის, ამცდისმიზანიიყო, რომსარკეებისველშიმოხვედრილადამიანებსერთმანეთთანტელეპათიურიკავშირიგა ებათ, მაგრამსხვაშედეგიმიიღეს – ადამიანებიწარსულშიმოხვდნენდაერთნაირისურათებიდაინახეს. კოზირევისთეორიისმეცნიერულიდასაბუთებაარარსებობს. მეცნიერებმავერაფრითახსნეს, ესყველაფერიროგორხდება. სხვათაშორის, ამასვერცკოზირევიასაბუთებს. მანუბრალოდტიბეტისჩაზნექილისარკეებისველისანალოგიშექმნა (იქვე).

ახლა კი, კვლავ დაუბრუნდეთ, საგანთა და მოვლენათა განმსაზღვრელ, საზღვრით სიდიდეთა რღვევის ფაქტებს, სამი მიმართულებით: 1.ფილოსოფიური ქვა, ნივთიერებათა აგრეგატული მდგომარეობის მიზანდასახული გარდაქმნა-მონაცვლეობით, აღწევს სასურველი ნივთიერების პროექციას, სასურველი

აგრეგატული მდგომარეობის_სიმყარის, თხევადობისა და გაზობრიობის სახით, ისე, რომ ადგილი აქვს ნებისმიერი სახის მიმოქცევას პირაქეთა, თუ პირიქითა მიმართულებით, რასაც ის ასრულებს სკურპულიოზური სიზუსტით, სრულიად უდანაკარგოდ. როგორც იუნგი მოხდენილად იტყოდა__„ჩვეულებრივ შემთხვევებში, ადამიანებს არ ძალუძთ სერიოზული დანაკარგების გარეშე, ისეთი მარტივი აგრეგტული მონაცვლეობის ოპერაციის ჩატარებაც, როგორიცაა თუნდაც უბრალო წყლის გამოხდა“ (154__28).ამრიგად, ფილოსოფიური ქვისთვის ბარიერს არ წარმოადგენს ნივთიერების სამი აგრეგატული მდგომარეობის განმსაზღვრელი სიდიდე, რათა ელემენტთა სტრუქტურული სიხშირეების იგივეობრივი შენარჩუნებით, მიიღოს სხვადასხვა სასურველ ელემენტთასტრუქტურის ნივთიერება. 2. პერპეტუმ-მობილეს ძრავა არღვევს ფიზიკური ძალის აჩქარებისა და მასის საზღვრით სიდიდეს. როგორც ფიზიკიდან ვიცით, ძალა, რომელიც ენერგიის კონცენტრაციაა, უდრის მასისა და აჩქარების ნამრავლს, რაც პერპეტუმ-მობილესთვის სავალდებულო სრულიადაც არ გახლავთ, ვინაიდან მას ძალუძს, ნებისმიერი სიჩქარით, თანაბარი მოძრაობა, ყოველგვარი წონის, სიმძიმისა და ინერციის მქონე აჩქარების გარეშე.იგი დაუწველად იწვის, ისევე თანაბრად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე, რომარ ექვემდებარება არავითარი აჩქარებისა და შენელების გარეგან ზემოქმედებას, რითაც ის შეუზღუდავად აღწევს ნებისმიერი განუსაზღვრელი სიდიდის სიჩქარეს; და ბოლოს, 3. დროის მანქანა არღვევს წარსულის, აწმყოსა და მომავლის განმასხვავებელ საზღვრით სიდიდეებს, ისე, რომ მას შეუძლია აწმყოში ყოფნასთან ერთად, იყოს როგორც უხსოვარ წარსულში, ისე შორეულ მომავალში, ისევე იგივეობრივად და თანაბარი ხანგრძლივობით, როგორც ეს წინა შეთხვევების მსგავსად იყო. სამივე შემთხვევაში, საზღვრითი სიდიდეების დარღვევის მეშვეობით, მიიღწევა განსხვავებულთა შორის სრული იგივეობის დონე, რითაც შესაძლებელია თავის თავში ყოფნასთან ერთად, ყოფნა სხვაშიც. ამიტომაცაა, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებული ოცნებისა და ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა საკმარისად ლოგიკური და თეორიული პრინციპებით გაჯერებული ვარაუდებია, რომლის განხორციელების ალბათობაც, ნაკლებად დასაშვები და მისაღებია თანამედროვე ბუნებისმეცნიერებისათვის.

ჩვენი სინამდვილის გრძნობად-მატერიალური საგნები, მოვლენები და მათი შესაბამისი შთაბეჭდილებები, როგორც ცნობილია, თავიანთ გარკვეულობას ღებულობენ შეგრძნებათა უნარების მიერ წარმოებული საზღვრების შიგნით, რომლებიც, გარკვეული გვარეობის ცხოველმყოფელ ინდივიდთა ურთიერთობაში ჩამოყალიბებული,გასაგნებული მდგომარეობების პირობებია, ხოლო ადამიანებისთვის__ცნობიერების რანგში აყვანილი საზღვრითი სიდიდეები. ამ მდგომარეობათა პირობებს, თუ საზღვრით სიდიდეებს, გააჩნიათ კონვენციური, ურთიერთშეთანხმებითი,რელატიური ხასიათი. რადგანაც არც ერთი, ერთი და იგივე ნივთი არ შეიძლებაყველასათვის ერთნაირი მნიშვნელობის იყოს, ამიტომაც ყოველი მათგანი, თავისი ყველა შესაძლებელი მნიშვნელობის შინაარსითა და

მოცულობით, წარმოადგენს თავისებური ფორმალური მთლიანობის შემცველტექსტს, რომელიც იმდენნაირად შეიძლება იქნას აღქმული, წაკითხული, გაგებული, თუ ინტერპრეტირებული, რამდენი შეკვეთა და მოთხოვნილებაცაა მის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, კანტის მიერ შემოტანილი, „ნივთითავისთავად“, რომელიც დამოუკიდებელია გრძნობიერების სუბიექტურობისაგან, განსხვავდება არასაგნობრივი, უარყოფითი მდგომარეობისაგან, რასაც კრიტიკულ ფილოსოფიაში ნოუმენის სახელით მოიხსენიებენ, როგორც საზღვრით ცნებას, რომელსაც საგანი არ გააჩნია. ამიტომაც „წმინდა გონების კრიტიკის“ იმ თავს, რომელშიც ეს საკითხია განხილული, ეწოდება „საგანთანოუმენებად და ფენომენებად დაყოფის საფუძვლისათვის,“ამგვარი დაყოფა თვით კანტისთვის არ ყოფილა გამართლებული, მაგრამ მისი აზრით, ამგვარ რაიმეს უშვებს ინტერსუბიექტური გონი, რომელიც ამის გამო მეტად პრობლემატურია (6__83).

უბრალო ნივთისა და მოვლენის ფარგლებს რომ გავცდეთ და ადამიანური ურთიერთობების მასშტაბებში აღმოვჩნდეთ, იქაც ანალოგიურ ვითარებებს წავაწყდებით. თუ გამოვრიცხავთ ჩვენი არსებობის ფაქტში სხვის თანამონაწილეობას, ამით საკუთარ არსებობასაც ვაუქმებთ, რაც ონტოლოგიურად შეუძლებელია, თუმცა ფორმალურად დასაშვებია, როგორც გნოსეოლოგიური შეცდომა. ამიტომაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიჯეროთ, რომ რომელიმე ჩვენთაგანს, ან რომელიმე სხვა მათგანს, ერთმანეთის გარეშე შეეძლოს ყოფნა და არსებობა საერთოდ. დიახ, არავინ და არაფერი არ შეიძლება იყოს, არც ერთი იმ სხვის გარეშე, ვინც, ან რაც ოდესმე ყოფილა, ან შესაძლოა მომავალშიიყოს ჩვენთვის, როგორიც სხვა, თანაც არა მარტო ისინი, ვისაც ოდესღაც უცხოვრია და უარსებია მანამდე, ჩვენს ერამდე, ვისაც ვხვდებოდით და ვხვდებით სადღაც, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, არამედ ისინიც, ვინც კვლავ დაიბადებიან, იცხოვრებენ და იარსებებენ მომავალში, კვლავ ჩვენთან ერთად და არა ჩვენამდე, ან ჩვენს მერე, ვინაიდან ჩვენ მუდამ განუყრელად ერთად ვართ, ყველა წარსული და მომავალი ჩვენი კუთვნილებაა. მართალია, ეს მსჯელობა საერთოდ არ წააგავს ნორმალური ადამიანისთვის, ე. წ. საღი ჭკუისთვისდასაშვებ მოსაზრებას, თუმცა ეს სრულებითაც არაფერს ნიშნავს მეტაფიზიკისთვის, რადგან მას აინტერესებს საქმის ჭეშმარიტიარსი და არა ის, თუ რას იფიქრებს ადამიანთა უმრავლესობა ამის შესახებ.

ახლა დავუშვათ საპირისპირო, რასაც ეთანხმება საზოგადოების უმრავლესობა__ ვაღიაროთ, რომ ყველა ჩვენგანს თავისუფლად შეგვიძლია ყოფნა მათ გარეშე, ვინც იყო ოდესღაც, ან იქნება ჩვენამდე და ჩვენს შემდეგ. სანამ საკითხი შეეხება ჩვენს უშუალო წინაპარს, ან მემკვიდრეს, საღი აზრის ადამიანი შეეცდება კორექტივის შეტანას და განაცხადებს, რომ ისინი აუცილებლად უნდა გამოაკლდნენ იმათ რიცხვს, ვის გარეშეც შეგვიძლია არსებობა. ამის მერე, როცა შევახსენებთ, რომ ის წინაპარიც

და მემკვიდრეც, თავის მხრივ, ისეთ ვინმეებთან და რამეებთან იყვნენ დაკავშირებულნი, რომელთა გარეშეც მათი არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა, მას ისევ მოუწევს კორექტივის შეტანა უკვე იმ არსებულთა სიმრავლის მიმართაც, რაც მანამდე მხედველობიდან გამორჩათ. რამდენიმე მორიგი საფეხურის შემდეგ, იგივე ნორმალური მოაზროვნე მიხვდება, რომ**ყოველთაარსებულთა თანაარსებობის გარეშე, თითოეულის არსებობა შეუძლებელია, რამეთუ ყველა ყველაშია და ყოველივე ერთში.**

ამით შეგვიძლია დავაკონკრეტოთ ჩვენი რამდენიმე მტკიცებულებაც: ყოველი საგანი,თუ მოვლენა წარმოადგენს თავისებურ ტექსტს, რომელთა წაკითხვა შეიძლება იმდენენაზე და იმდენნაირი მნიშვნელობით, რამდენი ენა და რამდენნაირი წაკითხვის წყურვილიც არსებობს ამ სამყაროში. აი. თურმე სადყოფილა ფალსიფიცირებული ისტორიული დროის მეოთხეგანზომილებაში ჩაკარგული ნამდვილი წარსულის საიდუმლოების წაკითხვის სამხილი?! თითოეული აღქმა, შინაარსი, მოდიფიკაცია და საზღვრითი სიდიდე, აბსოლუტურად თანაბარი ძალის კანონზომიერებისა და აუცილებლობის მატარებელია, რომელთაგან ერთის უგულებელყოფაც კი ნიშნავს ამ საგანთა საგნობრიობისა და მოვლენათა გამოვლინების ყველა შესაძლებლობის უგულებელყოფას. ამიტომაც საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართებაშიც ყველა ყველაშია და ყოველივე ერთში, ანუ ღმერთში.

დროის მანქანის სავარაუდო ფუნქციების გასარკვევად, აუცილებელია დროისა და სივრცის ცალკეული ისეთი თავისებურების გათვალისწინება, რომლითაც ვაწყდებით, დაახლოებით, იმგვარი პარადოქსების ფაქტს, როგორსაც ადგილი ჰქონდა სიცრუის ფენომენის განხილვისას. ამისათვის საჭიროა, კიდევ ერთხელ გადავამოწმოთ წარსულის, აწმყოსა და მომავლის ზოგადი თავისებურებანი:

__წარსულია ის, რაც იყო და აღარაა, მომავალი__რაც ჯერ არ დამდგარა, ხოლო აწმყო არის ახლა__აქ და ამჟამად, ანუ აწმყო არ შეიძლება აღმოჩნდეს არც წარსულში და არც მომავალში. ისმის კითხვა, რა შეიძლება იყოს ასეთი?__თუ რაიმეს ვამბობ, იგი ან უკვე ითქვა, ან ჯერ არ თქმულა; აბა რას ვამბობთ ახლა?__ არაფერს, რადგანაც წარმოთქმისთანავე ის აღარაა აწმყო, მისი დაფიქსირება შეუძლებელია. ასეთ დროს, იგივე საღი აზრის კაცი გამოიტანს ნაადრევ დასკვნას, რომ აწმყო საერთოდ არ არსებობს. არის თითქოს მარტო წარსული და მომავალი, მაგრამ თუ მას შევახსენებთ, რომ ის წარსულიც თავის დროზე აწმყო თუ არ იქნებოდა, ვერც წარსული გახდებოდა და ასევე ის მომავალიც, თუ აწმყოდ არ იქცევა, ისე არც მომავალიიქნება__საღი აზრის კაცი, შესაძლოა, დაიბნეს. მდგომარეობას განმუხტავს ისევ და ისევ ჭეშმარიტი მეტაფიზიკა__რისთვისაც საჭიროა, ჩვენი ცხოველმყოფელი „მე“_ს თვითობის

განცდა გავაიგივოთ აწმყოსთან. მე ვარ! მე ვაზროვნებ! „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ!“__დეკარტეს ეს ბრწყინვალე გამოთქმა ზედმიწევნით განასახიერებს მარადიული ყოფიერების ერთადერთ და ჭეშმარიტ აწმყოს, რომლის იქით, არც წარსულია და არც მომავალი; სამივე ეს განზომილება ერთი მარადიული მე-ს აწმყო_მყოფობის საყოველთაო დვრიტაში განისაზღვრება, სწორედ ისე, როგორც ერთი ღმერთი განსაზღვრავს სამების სამ ჰიპოსტაზს__მამას, ძეს და სულიწმიდას. აქედან დასკვნა__იმიტომ კი არაა აწმყო, რომ იყო წარსული და იქნება მომავალიც, არამედ იმიტომაა წარსულიც და მომავალიც, რომ არის მარადიული აწმყო__„მე ვარ“__ცხოველმყოფელი განცდა. ამრიგად, „ვარსებობ აქ და ამაჟამად, მაშასადამე, ვარსებობ მუდამ ყველგან, და ყოველთვის ყველაფერში!“

სხვათა შორის, დღევანდელიგენური ინჟინერიის მიღწევებმა დაგვარწმუნა, რომ გენური კოდებით (დნმ) შეიძლება უამრავი წარსული ინფორმაციის არამც თუ მოპოვება, არამედ თვით წარსულში არსებული ორგანიზმების ე. წ. კლონირება-აღდგენა, რაც ყველაფერთან ერთად, სხვადასხვა რელიგიურ და ეთიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული (43__1302-1303).წარსულის მეხსიერებაში შეღწევა უკვე შესაძლებელია და ეს დღითი დღე უფრო ინტენსიური და მოსახერხებელი ხდება. ალბათ ახლო მომავალში, თანამედროვე ადამიანები არა მარტო აითვისებენ წარსულის რომელიმე ეპოქის ადამიანის, ცხოველის, ან ფრინველის დნმ-ის მსგავს საინფორმაციო კოდებს, რათა ზუსტად აღნუსხონ იმ ეპოქის ყოფა-ცხოვრება, თავისი მეხსიერებით, რომელიც მას, ან მკვლევართა გარკვეულ ჯგუფს დააინტერესებს, არამედ, ცოტა მოგვიანებით, სამემკვიდრო კოდებსაც გაშიფრავს, რითაც უშუალოდ დაუკავშირდება მომავალს. ამის შემდეგ, გაიშიფრება თითოეული ნივთიც, რომელიც ისევე ინახავს მასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას უხილავი ელექტრომაგნიტური ტალღების მოძრავი კვალის მეშვეობით, როგორც კინოლენტა, ან ვიდეოფირი, რითაც შეგვიძლია თვალ-ყური ვადევნოთ წარსულის ცოცხალ ქრონიკებსა და გარდასულ მოვლენებს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ნივთებთან გასაუბრება მათივე ენაზე, რომლის ამოდგმა-ამეტყველებაც ადამიანთა სიცრუის ენის დამუნჯება-დადუმების მომასწავებელი გახდება. ამით საბოლოოდ დასრულდება უწარსულო ისტორიული ცნობიერების ავბედითი სოციალური გაუცხოების მეორე ფაზა და კაცობრიობა ინტენსიურად შეუდგება გადასვლას რეფორმირებული ცნობიერების მესამე ფაზაში, როდესაც ბიოგენეტიკური ევოლუციის ხელახალი განახლების გზით, ინტელექტუალური, განსჯით-დისკურსიული აზროვნების უნარი, გონითი მმართველობისა და ორგანიზაციის ფუნქციებს გადააბარებს ინტუიტიური ჭვრეტის არნახული პოტენციის მქონე აქამდე დაფარულ, გამოცანადქცეულ ღვთაებრივ უნარს, რომელსაც არათუ ადამიანში, არამედ უბრალო ცხოველებშიც შეუძლიათ განსაცვიფრებელი თვისებების გამომჟღავნება. ათეიზმის ეპილეფტიკური სახადით გონებადაბინდულმა და უგზოუკვლოდ დაბნეულმა მატერიალისტურ-პოზიტივისტურმა ბუნებისმეტყველებამ, ამ საოცრებების წინაშე, მეტი ვერაფერი მოიფიქრა, იმის

გარდა, რომ ფიზიოლოგიური პროცესების ძირითად კატეგორიებში, უპირობო რეფლექსების ერთ-ერთ ქვეკატეგორიად მოენათლა და ინსტინქტების კვალიფიკაციით გაესაღებინათ. პავლოვის „ფისტულარულ-ექსპერიმენტული“ფიზიოლოგიური სკოლის ერთმა გავლენიანმა, ქართველმა მეცნიერმა_ივანე ბერიტაშვილმა, სადღაც, გვიან სიბერეში, ვიღაცას გაანდო__ინსტინქტი ჩვენ დავარქვით იმას, რაც ვერ დავადგინეთ და არ ვიცითო. სხვათა შორის, ამ გენიალური მოღვაწის ღვაწლი მთელი მსოფლიოს უდიდესი მეცნიერების მიერ იყო აღიარებული. 30-იან წლებში ი. ბერიტაშვილმა აღმოაჩინა თავის ტვინის ფსიქონერვული აქტივობა. მან შემოიღო ახალი მეთოდი, - ცხოველთა ქცევის შესწავლა, თავისუფალი მოძრაობის პირობებში, რამაც უდიდესი ნაყოფი გამოიღო: ი. ბერიტაშვილი ჯერ კიდევ 30-იან წლებში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პირობითრეფლექსური მოქმედება არ უნდა იყოს უმაღლესი გამოვლინება ტვინის მოქმედებისა, როგორც ამას პავლოველები მიიჩნევდნენ. იგი აგროვებდა ფაქტებს, იმის დასამტკიცებლად, რომ ცხოველებს ფსიქიკა გააჩნიათ და სწორედ ე.წ. ფსიქონერვული მოქმედება არის ტვინის მოქმედების ურთულესი გამოვლინება. ცნობილია, რომ თვით ი. პავლოვს და ი. ბერიტაშვილს ურთიერთპატივისცემის, კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდათ. სიტუაცია შეიცვალა ი. პავლოვის გარდაცვალების შემდეგ. თავს დაესხნენ ივანე ბერიტაშვილის ფსიქონერვულ თეორიას. ბატონ ივანეს „ანტიპავლოველი" და „იდეალისტი" უწოდეს, აუკრძალეს ლექციების კითხვა და ექსპერიმენტების წარმოება, გაანთავისუფლეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან. XXI საუკუნეში ნეირომეცნიერების ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა თავის ტვინის კოგნიტიური ფუნქციების კვლევა, თავის ტვინის კოგნიტიური ფუნქციები კი სხვა არაფერია თუ არა ბერიტაშვილისეული თავის ტვინის ფსიქონერვული მოქმედება (55__http://24saati.ge/index.php/).

ასე, რომ თეორიულად სრულიად რეალური წარმოსადგენია დროის მანქანის ბიო-გენეტიკური მოდელი; თუმცა არსებობდნენ და ახლაც არიან განსაკუთრებული, მესამე ფაზის წინამორბედი ადამიანებიც, რომელთაც ახსოვდათ, ან იციან, ვინ იყვნენ დაბადებამდე, სხვა ცხოვრებაში, ან ვინ შეიძლება გახდნენ მომავალში და სხვა. რეინკარნაციის, იგივე მეტამფსიქოზის ფაქტები ძალზე მრავალია, მაგრამ მათი უეჭველობის დადასტურებისთვის ფილოსოფიური არგუმენტების მნიშვნელობა მაინც არსებითი და გადამწყვეტია. მართალია, ხმამაღალ პრეტენზიას არ ვაცხადებთ ჩვენი არგუმენტების შეუვალობაზე, თუმცა ხმადაბლა გამოთქმული მოსაზრებაც სავსებით საკმარისია, რათა ამან, თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში რაღაცნაირი განსხვავებული ღირებულების კვალი მაინც დატოვოს, რა თქმა უნდა, თუგავითვალისწინებთ ამგვარი თემატიკის მკვეთრ ნაკლებობას. საერთოდ, ცხოველმყოფელი „მე“-ს თვითგანცდას განვიხილავთ, არა მხოლოდ ცალკე არსებული სასიცოცხლო ელემენტის მომცველი სუბსტრატის სახით, არამედ

ყოველგვარ ხილულ ნივთიერებათა და უხილავ ძალთა თანაარსებობის საერთო საწყისის სახით. მატერიალური მნიშვნელობით იგი დაუშლელი დაგანუყოფელია, ამიტომ სწორედ მას უნდა ეწოდოს ატომი, როგორც განუყოფელი, რასაც აუცილებლობით გულისხმობდა დემოკრიტეც და არა იმას, რაც თავის დროზე ფიზიკოსებმა გაყოფილად და დაშლილად წარმოაჩინეს. ამას სხვას ვერც ვერაფერს შევუსაბამებთ__ვერც ანაქსაგორას ჰომოიომერებს, რამეთუ ისინი დამოუკიდებელი თვითმოქმედებით არ გამოირჩევიან და რაღაც მოლეკულების მსგავს დიფუზიურ ნაკადს წარმოქმნიან, ასევე ვერც ლაიბნიცის მონადებს, ვინაიდან მონადების განლაგება ე. წ. პრესტაბელური ჰარმონია, მათი იერარქიული განსხვავების სუბორდინაციას ექვემდებარება, სადაც უმაღლესი მონადა ღმერთია, ხოლო უდაბლესი__მატერია. „მე“_ს მგრძნობელობა, ისევე როგორც ჭეშმარიტი ატომი, არ შეიძლება მატერიალურ წარმომავლობაზე დავიყვანოთ, ვინაიდან, ჯერ ერთი, მატერიალური ბუნება განასახიერებს ნივთიერ-სხეულებრივ მასას, რომელიც რაღაც სასრული დონის დაშლადი ელემენტის საზღვრებს მიღმა გადადის არამატერიალურ უხილავ ენერგიაში; მეორეც, „მე“_ს თვითობის განცდას წარმომავლობა არ გააჩნია, თავისი მარადიულობის, უცვლელობისა და ღვთაებრიობის გამო. თუმცა ენერგია, რისი სუბსტრატიც ის გახლავთ, თავიდან ბოლომდე იდეალურსაც არ ემთხვევა, ვინაიდან დროში და სივრცეში ავლენს თავის განცდადობას, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ მთლიანობაში ის დროსა და სივრცესაც თვითონ განასახიერებს, იმით, რომ თავისი განცდა-მგრძნობელობით მარადიული აწმყოა, ხოლო აქ-მყოფობის უკიდეგანო მდებარეობით, ყოვლისმომცველი ვრცეულობა__ უთანაზომო სიდიდე. სხვაგვარადაც შეგვიძლია მისი დახასიათება: თუ მას ენერგეტიკული თვისება გააჩნია, რაც უეჭველია, მაშინ მას მატერიალიზაციის უნარიც ენიჭება. ასევე ის ამასთანავე იდეალურიცაა, იმით, რომ შეუზღუდავი და განუსაზღვრელია, დროსა და სივრცეში. „მე“ აბსოლუტურად გაწონასწორებულია აბსოლუტურ სრულყოფილებაში, სადაც ერთნაირად იქვემდებარებს და ასევე ექვემდებარება აბსოლუტურად იდენტურ „მე“_თა განუსაზღვრელ ოდენობას. გაუგებრობისა და ბუნდოვანებისგან თავდასაღწევად, წარმოვიდგინოთ თვალუწვდენელი ოკეანე, რომელშიც წყლის აღურიცხავი ოდენობაა, სადაც არსებობს თითოეული წვეთი, რომელიც დანარჩენ წვეთებთან კავშირ-ურთიერთობაში, არ საჭიროებს სიცარიელეს, დაუსრულებელი მოძრაობა-ცვალებადობისთვის. ისინი იმგვარად განმსჭვალავენ, ერწყმიან და ეყრებიან ერთმანეთს, რომ არც ერთი ცალკეული წვეთი არ იკარგება. ოკეანეში არის ფენობრივი სახეცვლილებანი, რომლის თავზეც მორთმეული ქაფი ტივტივებს, ბუშტების ჭავლი, რომელიც ზედაპირისკენ მიემართება, მორევი, რომლის ძაბრისებური ღერძიც, თითქოსდა, ფსკერს ბურღავს და ტალღები,

რომლებიც სანაპიროებს ემსხვრევა, ისე, რომ ამდენი მრავალსახოვნების მიუხედავად, ყველგან და ყველაფერში ერთი და იგივე თითო წვეთი მიმოიქცევა. ფიზიკოსებს შორის დღესაც მიმდინარეობს დავა ენერგიის ტალღური, თუ კვანტური თვისობრიობის შესახებ. ტრადიციულადფიზიკაშიგამოყოფენმატერიისორფუნდამენტალურსახეს__ ნივთიერებასა და ფიზიკურველს.თუმცაასეთიდაყოფაპირობითია, რამდენადაც ველისკვანტურითეორიის მიხედვით,ნებისმიერინაწილაკიაღიწერებად აკვანტულიფიზიკურიველით.ველებისდაკვანტულობამათაძლევთ კორპუსკულარულ ნიშნებს (106__4).უკანასკნელწლებში, სამყაროსაჩაქრებულიგაფართოების (რაცდასტურდებაა სტრონომიულიდაკირვებებით) ასახსნელად, წამოყენებული იქნაჰიპოთეზები,ახალისახისმატერიისარსებობისშესახებ, რომელმაცმიიღოსახელწოდება ბნელიმატერია.დღეისათვისბნელიმატერიისბუნებაუცნობია (114__13).პუანკარესა და კარლ პოპერის დაკვირვებათა განზოგადებით__ე. წ. ენერგიის უმარტივესი კვანტი__ფოტონი, საერთოდ არ ექვემდებარება მექანიკურ მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას და ერთგვარი თვითნებობის, ვოლუნტარისტულ თვისებებს ამჟღავნებს ეკრანზე გამოსახული მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით. ასევე ცდებმა აჩვენა, რომ ფოტონებსგააჩნიათიმპულსი,მსგავსადნივთიერებისჩვეულებრივინაწილაკებისა,რომ ელთაცუძრაობისმასააქვთ. სხეულისმიერმათიშთანთქმისდროს,ფოტონებიგადასცემენთავისიმპულსსსხეულს. იმპულსისმუდმივობისკანონისთანახმად,სხეულისიმპულსიშთანთქმულიფოტონები სიმპულსისტოლია. ამიტომ, უძრავისხეულიიწყებსმოძრაობას. ნიუტონისმეორეკანონისთანახმად, სხეულისიმპულსისშეცვლანიშნავს,რომსხეულზემოქმედებსძალა (65__http://lemill.net/content/).ეს ძალა ღვთაებრივი ზემოქმედების დაუშრეტელი უნარია, რომელიც ზედმიწევნით შეესაბამება სასიცოცხლო ორგანიზაციის ფუნქციური იერარქიის მმართველობის წესით განსაზღვრული დაქვემდებარების კანონზომიერებას. აღწერილი ცდების ჩატარების შემდეგ, სავსებით მართებულად და ლოგიკურად გამოითქვა ვერსია იმის შესახებ, რომ ხომ არ ახდენდა რაიმე ზეგავლენას, ჩვენი ქვეცნობიერი ფსიქიკა, აღნიშნული ელემენტის მოძრაობის ტრაექტორიაზე? თუკი დავუშვებთ, რომ ეს ასეა, მაშინ ეს ე. წ. უმარტივესი ენერგიის კვანტი უნდა განვიხილოთ არა, როგორც სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა, არამედ ობიექტივირებული სუბიექტურობის საწყისი, ანუ

იგივე „მე“_ს წმინდა ინდივიდუალური მგრძნობელობა__ცხოველმყოფელობის თვითგანცდა.

თანმიმდევრული წვრთნის, მედიტაციური გონჭვრეტელობის ციკლთა თანდათანობითი ათვისებისა და სპეციფიკური კვლევა-ძიების ინდივიდულური უნარის გამომუშავებით, შესაძლებელია ღვთიურ-მისტიკური ხილვებისა და გამოცხადების პროცესის რეალიზაცია. იგი არ უნდა გავიგოთ, როგორც ილუზია, ან ჰალუცინაცია, თუმცა მათაც რეალური მიზეზი და საფუძველი აქვთ, რაც ჯერ საერთოდ მეცნიერებისაგან მნიშვნელოვნად გამოკვლეული არ გახლავთ. მაგალითად, ვერავინ ვერ განმარტავს მეცნიერების ენაზე, თუ რატომ ემართებათ ძლიერი შხამიანი ქვეწარმავლისაგან დაკბენილ და სასწაულებრივად გადარჩენილ, სასიკვდილო აგონიაში მყოფ ადამიანებს, თითქმის ერთნაირი გრანდიოზული, მითიური ხილვები? რატომ დომინირებს, ამ ხილვებში, აჩირაღდნებული კარიბჭის თავზე გამოკვეთილი ოქროს ვერძის თავი? რატომ იყო, არგონავტების შესახებ მითში, ოქროს საწმისი მისტიურ სიბრძნეთა დაუფლების საშუალება, რატომაა მიჩნეული შხამიანი გველი, იდუმალი, სასტიკი დამცველი სხვადასხვა ძვირფას საუნჯეთა და დიდებულთა სიმბოლოდ სიბრძნის, მედიტაციისა და ავბედითი ბედისწერის რგოლის, რომელიც არწივის ნისკარტზეა შემოხვეული? განა დიად მხატვრულ ნაწარმოებებში, ბიბლიაზე რომ არაფერი ვთქვათ, გველის მეშვეობით არ ხდება ადამიანისთვის ცოდნისა და სიბრძნის გადაცემა? განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი,“სადაც სიბრძნეზე ზიარებულ ერთუბრალო გლეხს, მინდიას, ძალუძს უდიდესი გულთამხილაობით ჩაწვდეს და გაუგოს ყოველ ცოცხალ სულდგმულთა ენას, ანუ ზედმიწევნით წაიკითხოს ბუნების იდუმალ საგანთა და მოვლენათა ღვთიური ტექსტი.

ზემოხსენებული მედიტაციური ვარჯიშის წყალობით, განსაკუთრებულად მგრძნობიარე ადამიანებს, რომელთაც ძალიან ხშირად აგონდებათ სრულიად ახლობელი და იდენტური ყოფითი სიტუაციები, რის გამოც გაოცებით გაიძახიან__„ეს ხომ სადღაც უკვე მინახავს!“__შესაძლებლობა მიეცემათ, განუსაზღვრელად ყველა დროსა და სივრცეში, აგრეთვე ყველა ცოცხალ სულდგმულში შეღწევისა და მოგზაურობისა; რაოდენ დაუჯერებლად და ფანტასტიკურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ისინი თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი დაკვრით შეძლებენ ერთი ნივთიერების მეორე ნივთიერებად და სხეულებად გარდაქმნას, რამეთუ მათ მტკიცედ სწამთ, რომ „ყველა ყველაშია და ყოველივე ურთიერთობა ერთმანეთშია!“ „მე“_ს თვითგანცდის, სრული და აბსოლუტური ღვთაებრივი იგივეობის საფუძველზე, დგინდება ყოველგვარი მსგავსება და განსხვავება, რითაც სავსეა სამყაროს კოსმიურ-ონტოლოგიური, გნოსეოლოგიურ-

აქსიოლოგიური და ტელეოლოგიური მრავალფეროვნება_ჰარმონია, რომელსაც არც არავითარი დასაწყისი და არც არავითარი დასასრული არ გააჩნია დროსა და სივრცეში.

ანთროპოსოფიური მოძღვრების კვლევითი თავისებურება ცალმხრივად არ შეიძლება ამოწურულ იქნას მისტიკური წარმოდგენებისა და კერძო ბუნებისმეცნიერული, ემპირიული დაკვირვების გზებით და საშუალებებით; მისი ადამიანთმცოდნეობის დონე და ხარისხი გაცილებით უფრო ეფექტურ დამაჯერებლობას იძენს რაციონალურ ფილოსოფიურ თეორიებთან ინტენსიური და განუწყვეტელი კავშირ-ურთიერთობების საფუძველზე. ტრანსმედიტაციური წიაღსვლებისა და მრავალგზისი ინტუიტიური გონგახსნილობის შედეგად, შეგვიძლია რაღაცნაირად დავხატოთ არცთუ შორეული, ისტორიის შემდგომი მომავალი ყოფიერების ნათელი სურათი. ანალოგიურ მცდელობას ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის დამდეგსაც. შეიქმნა თავისებური ფანტასტიკური მომავალი ყოფიერების ამსახველი მოდელები. ესყველაფერი,დეკემბრისთვეში, 1900 წლისდადგომამდე,სულრაღაცერთითვითადრედაიწერა.ესსტატიაჟურნალ The Ladies Home Journal ჯონუიტკინსმაგამოაქვეყნა. წარმოიდგინეთ,რააღტაცებითწაიკითხავდაყოველივეამას,იმდროისგაზეთისმკითხველი.

თუმცაარანაკლებაღტაცებაშიმოვყავართამსიტყვებსდაფანტაზიისგასაქანსდღესაც. ესხომმაშინდაიწერა,როცაესმხოლოდლამის„გიჟური“ოცნებებისსფეროსწარმოადგენ და,მაგრამმაინც,ესძალიანლამაზიოცნებაიყო,რომელთაუმეტესობაახდაკიდეც (77__http://www.mtvarisklubi.com/).

ახლა შევეცადოთ ასი წლის შემდგომი ისტორიის შემდგომი ყოფიერების შინაგანი და გარეგანი იერსახის აღწერას, ისეთივე ფორმით და შინაარსით, როგორი ხატიც აღვიქვით ტრანსმედიტაციური ხილვების შედეგად. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფორმულირების არსი ისტორიის დასასრულთან დაკავშირებით, მდგომარეობს შემდეგში: **ისტორია იქ დამთავრდება, სადაც აღარ განმეორდება არც ერთი და იგივე ტოტალური შეცდომა, არც ერთი და იგივე სასჯელი, მონობის ტრაგიკული ხვედრით გატანჯულ-განაწამები მსხვერპლისა.**ეს რომ მოხდეს, ამისთვის სულ მცირე, აუცილებელია, ძალაუფლებისთვისქვეშეცნეულმა ლტოლვამ დაკარგოს შესაბამისი აზრი და მოტივაცია. ამის პირობა კი გახლავთ,მონური თვითშეგნების უეცარი და მყისიერი ტრანსფორმაცია, ვალდებულებით დაკისრებული პასუხისმგებლობის ტვირთის მკვეთრი შემცირება, მის სრულ განეიტრალებამდე, სამაგიეროდ, იგივე პასუხისმგებლობის ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა ბატონ-პატრონის კუთვნილებით ვალდებულებაში, რის გამოც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების

შანსები კატასტროფულად მცირდება, რითაც იკარგება მთელი მისი მაცდურობისა და მომხიბვლელობის ანდამატური ჟინიც. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სახეზეა რაღაცნაირი პრივილეგირებული მონობის უფლება, ფორმალური ვალდებულების წესით. ინდივიდუალური კავშირები და კომუნიკაციები იმდენად ყოვლისმომცველი, ხელმისაწვდომი და მომგებიანი გახდება, რომ სახელმწიფოები ვერღარაფრით აღუდგებიან წინ ალტერნატიულ, სეპარატულ, ურთიერთხელსაყრელი ინტერესების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებებს, რომლებიც ყველა ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, მოხერხებულად და უმტკივნეულოდ ჩაანაცვლებენ ნებისმიერ ოფიციალურ სტრუქტურას, რასაც დღესდღეობით არეგულირებენ სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები და ინსტრუმენტები. რაც შეეხება თითოეული სუბიექტის ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიებს, რისთვისაც შეიქმნა და გაფორმდა სამოქალაქო ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო, როგორც კანონიერი იძულებისა და ძალდატანების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, საჯარო-სამართლებრივი, მატერიალურ ეკონომიკური და საგადასახადო-ფინანსური მმართველობის სისტემა, თანდათანობით დაკარგავს აზრსა და ფუნქციას, ვინაიდან საბოლოოდ დამარცხდება მზარდ და განვითარებად,ჰიპერაქტუალურ, მოდერნისტულ, ინტერესჯგუფებთან კონკურენციაში. მანამდე კი, ადგილი ექნება გრანდიოზულ, თუმცა სრულიად უპერსპექტივო მცდელობას, ერთიანი, მსოფლიო მთავრობის მიერ მსოფლიოში გაბატონებისა, რაც ნანო-ტექნოლოგიებით წარმოებული ომების შედეგად, ელვის სისწრაფით გარდაქმნის საერთაშორისო გეოპოლიტიკის არსებულ წეს-წყობას. განახლებულ ომებს არ ექნებათ დასასრული, ოღონდ იმგვარად, რომ გლობალური დაპირისპირება პროცესუალურად ტრანსფორმირდება ლოკალურ კონფლიქტებში, სადაც ადგილს დაიჭერს აღურიცხავი, სეპარატულად განცალკევებული, დამოუკიდებელი სტრატეგიებით აღჭურვილი,ჭრელა-ჭრულ სუბკულტურებად დახლართული, პოლიტიკურ სოციუმთამობილური ინტეგრაციისა და დიფერენციაციის უჯრედოვანი კვანძები. ტექნოლოგური განვითარების შეუქცევადი ხასიათი მიგვიყვანს ბიო-კიბერნეტიკულ მოაზროვნე არსებათა კონსტრუირებამდე. **სულ რაღაც, საუკუნე-ნახევრის შემდეგ მომავალში, ადამიანები კი აღარ დაიბადებიან და გარდაიცვლებიან, არამედ სხვადასხვაგვარი კლონირებისა და ხელოვნური ტრანსპლანტაციების გზით დამონტაჟდებიან, კონსტრუირდებიან, ან პირიქით, დემონტაჟდებიან და დეკონსტრუირდებიან, წინასწარ სპეციალურად შერჩეული პროგრამების მიხედვით.** მათ შეეძლებათ სიზმრების აღბეჭდვა ვიდეოფირებზე, მატერიალური ნივთების მდებარეობისა და ხანგრძლიობის მიხედვით, ნებისმიერისხვადასხვა დროის სიტუაციური მოვლენების კადრებისა და სურათების

დემონსტრირება, რითაც ისინი მისხალ-მისხალ გაშიფრავენ წარსულში მომხდარ ნებისმიერ, მათთვის საინტერესო ეპიზოდს, იმ ხელსაწყოებით და აპარატურით, რაც ასევე მათივე სხეულის ორგანოებშივე იქნება ჩაჩიპულ-ჩაპროგრამებული. ბიო-კიბერნეტიკული ადამიანები, თავიანთი პროგრამების მიხედვით, წარმოგვიდგებიან, როგორც ერთგვარი ბიო-რობოტები, თუ ნანო-ანდროიდები. მათ ნებისმიერ ამინდში ექნებათ თავიანთი სხეულისთვის სასურველი ტემპერატურის დარეგულირებისსაშუალება, იმ დროისათვის საბოლოოდ დამარცხდება ყველა სახის ეპიდემია და ავადმყოფობა, რაც მთავარია, გაქრება სიბერე, მოხუცებულობა, თუმცა სიკვდილი მაინც, როგორც გარდაუვალი, ინტენსიური კანონზომიერება, დარჩება არა მარტო მოულოდნელ საშინელებად, არამედ აუცილებელ მოთხოვნილებადაც, რომლისგარეშეც, არავითარ სიცოცხლეს აზრი არასოდეს არც ჰქონია და არც ექნება. განსაკუთრებულად წარმოებული, მრავალ-ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროებიდან, დამოუკიდებლად მოპოვებული, ტექნოლოგიურად რაფინირებული საკვები, რასაც ასევე მიიღებენ საკუთარი პროგრამით გათვალისწინებული ზომა-წონისა და გემოვნების მიხედვით, მოემსახურებიან, როგორცმის სასიცოცხლო, სარეკონსტრუქციო ბიო-ტექნოლოგიურ ფუნქციათა განახლებასა და გამართულობას, ასევე სასურველი ეფექტის მომგვრელი სიამოვნების მიღებას. საკვებ-მომნელებელი სისტემის ტრანსფორმაცია იმდენად დახვეწილი იქნება, რომ ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებათა და სხვადასხვა საზიზღრობების ნაცვლად, მოხდება სასარგებლო და ეგზოტიკური ნაერთების გეგმაზომიერი გამოყოფა, დაახლოებით ისე, როგორც ფუტკრებში. ისინი იმდენად კოლოსალური სისწრაფით გადაადგილებას და უზარმაზარი სიმძიმის ტვირთის გადაზიდვას შეძლებენ, რომ სპეციალური, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი საჭირო აღარც იქნება. ასევე აღარ იქნება საჭირო ახალი შენობა-ნაგებობების შექმნაც, არც არავითარი ტელეფონი, რადგანაც თითოეული სუბიექტის საკომუნიკაციო კავშირი და თავშესაფარი მისივე ორგანიზმის შემადგენელი პროგრამული ელემენტი გახდება, რასაც ენერგეტიკულ წყაროებზე მიმართული, საგანგებო კოდების გამოყენებით, ნებისმიერი სიდიდის, სისქისა და გამჭვირვალობის გარსის შეკვრით უზრუნველყოფს, თუმცა ეს მათ ხელს არ შეუშლით უდაბურ ადგილებში, ოკეანეებისა და ზღვების თავზე, მთვარეზე, მარსზე და სხვაგან, კოსმოსში, წყალქვეშ, თუ მიწისქვეშეთში,გააშენონ ულამაზესი კონსტრუქციების თვალისმომჭრელი ქალაქები, ჰაერში დაკიდებული გიგანტური ზღაპრული კოშკებითა და სრა-სასახლეებით. მათ არ დასჭირდებათ ვაჭრობა, ფინანსები, ხელშეკრულებები და გარიგებები, ვინაიდან ეყოლებათ თავთავიანთი პროგრამების გარკვეული სპეციფიკის შესატყვისი სათვისტომოები, რომელთა შორისაც გაჩაღდება მძაფრი კიმბერტექნოლოგიურ-კოსმოგენური,

პარაფსიქოლოგიური კონკურენცია და ღია კონფლიქტი, რაც გამუდმებით გაანადგურებს, შეიწირავს მრავალსა და მრავალს.
მაშ ასე,ისტერიული ომების ისტორიის დასრულებისთანავე, დაიწყება და გაჩაღდება მისტერიული ომები, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას არ მისცემს არა მარტო „ბიო-კიბერნეტიკულ ჰუმანოიდებს,“არამედ დანარჩენ ცოცხალ სახეობებსაც, რომელთაც ასევე ექნებათ ჩანერგილი ბიო-კიბერნეტიკული მართვის მაღალორგანიზებული პროგრამები და თავიანთი მხრივ, ისინიც ჩაებმებიან დიად კონკურენციაში. მისტერიების ომი დაიწყება, გაჩაღდება და გაგრძელდება მორიგ კოსმიურ კატასტროფამდე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ დედამიწას, ან მზის სისტემას, არამედ მთელ გალაქტიკას, მიკრო-კოსმიური შრეების ვრცელი რადიუსისა და დიაპაზონის ფარგლებში, რის შემდეგაც ყველაფერი, ვინ იცის მერამდენედ, კვლავ დაიწყება თავიდან და მთელი ეს საშინელი ორომტრიალი კვლავაც ახალი მითოსის შარავანდედით შეიმოსება....

-დასკვნის მაგიერ-

ფილოსოფოსობა, როგორც დიადი მეგობრობის დაუშრეტელი ნიჭი და ღვთივკურთხეული მადლი

/„ეომე საკუთარ თავს, რათა არ
გაიმარჯვოს სხვამ!“/

ამ მეორე წიგნის დასკვნით ნაწილს, რომელიც შევწყვიტეთ არც თუ ისე ოპტიმისტურად სახარბიელო მომავლის ბატალურ ეპიზოდებში, მივუძღვნით ფილოსოფიის როლსა და ადგილს, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. იმ

დღიდან, რაც ჩამოყალიბდა თეორიული მსოფლმხედველობის უნივერსალური მეცნიერული ჭვრეტა და ცოდნის განსაკუთრებული ფორმა, ფილოსოფია, თავისი ხანგრძლივი არსებობის მთელ მანძილზე განიცდიდა ათასნაირი ჯურის არაკეთილმოსურნეთა გამუდმებულ თავდასხმებს. ამიტომაც შემთხვევით არ უთქვამს ციცერონს: „ფილოსოფია კმაყოფილდება მსაჯულთა მცირე რიცხვით და განზრახ გაურბის ბრბოს, რომელსაც სძულს იგი და რომელიც ეჭვით უყურებს მას; ასე, რომ ვინც მოინდომებს მის გმობას, იგი ხალხის მოწონებას დაიმსახურებს“(149__115).საერთო შეფასებით, ამგვარი რეაქცია აიხსნებოდა მასობრივი საზოგადოების უმეცრებით და მისგან მომდინარე აგრესიულობით, რომელიც ფარავს შინაგან უპასუხისმგებლობას და ზნედაცემულობას. ამის დასტურად, ჰეგელი მიიჩნევდა: „ რაც უფრო ნაკლები გამჭრიახობით და ნაკლები საფუძვლიანობით ხორციელდება ფილოსოფიაზე თავდასხმები, მით უფრო პოპულარულია იგი გაუნათლებელ საზოგადოებაში“(42__30).ვ. ერქომაიშვილი აღნიშნულ ფაქტს ხსნიდა შემდეგნაირად: „ვინაიდან ადამიანთა უდიდეს ნაწილს გააჩნია არათეორიული მსოფლმხედველობა, ამიტომაც არ მიმართავს ფილოსოფიას, ან უნდობლად ეკიდება მას, რამდენადაც მიაჩნია, რომ შეუძლია მის გარეშეც იოლად იცხოვროს“(11__63).აქვე არ შეიძლება იმის უგულებელყოფაც, რაცუდავოდარსებობს ნებისმიერ ადამიანში, კერძოდ ის, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა თ. ბუაჩიძე: „ადამიანისთვის ნიშანდობლივია ის, რომ იგი ქმნის მიზნისეულ სურათს, რომელშიც შემდეგ თავად მონაწილეობს, როგორც ამ ყოფიერების შემქმნელიც და წევრიც. ამგვარად, ადამიანი საკუთარ თავს აცნობიერებს, როგორც შექმნილს და როგორც შემოქმედს კულტურული ღირებულებისა“(7__5).

ფილოსოფიისადმი ზერელე, გულგრილი, ან სულაც ცინიკური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, ახასიათებს არა მარტო ადამიანთა ცალკეულ კატეგორიას, არამედ სხვადასხვა დარგის მეცნიერებსაც და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თვით ფილოსოფოსთა ერთ ნაწილსაც. მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიაში ვხვდებით ზოგიერთი პოზიტივისტური მიმართულების, მეტწილად კი, პრაგმატიზმისა და თანამედროვე პოსტმოდერნიზმის წარმომადგენელთა შეხედულებებს, რომლებიც ფილოსოფიური ცოდნის დაკნინებისა და გაქარწყლებისათვის არავითარ ძალღონეს არ იშურებენ. სწორედ მათი ნამოღვაწარის წყალობაა ის, რომ უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო განათლების რეფორმათა ცალკეული პროექტი (რომელთაგან ერთ-ერთი უარესი ვარიანტი, ჩვენმა განათლების სამინისტრომ უკრიტიკოდ გაიზიარა), მაქსიმალურად ზღუდავს ფილოსოფიურ დისციპლინათა სწავლებას, ან საერთოდ აუქმებს მას; განსაკუთრებით ეს ეხება აქსიოლოგიურ დისციპლინებს__ეთიკასა და ესთეტიკას. თვით ევროპის კლასიკურ კერებშიც კი,

ზოგიერთ ფაკულტეტზე, ზემოთ დასახელებულ საგნებთან ერთად, ამოღებულია ფილოსოფიის ისტორიაც. მდგომარეობა იქამდე დამძიმდა, რომ მსოფლიოს ფილოსოფიურ საზოგადოებას, არც თუ უსაფუძვლოდ, ეუფლება მეტად უსიამოვნო წინათგრძნობა, ვაითუ, მალე უნივერსიტეტის არსებობის ცალკეულ მნიშვნელოვან და აუცილებელ ატრიბუტებთან ერთად, საჭიროდ აღარ ჩაითვალოს ფილოსოფიის ფაკულტეტის მითითება და დასახელება. თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ ეს იქნება არა თვით ფილოსოფიის მოსპობა და განადგურება, არამედ მთელი მეცნიერების, აზროვნების, განათლების განდევნა და ამოძირკვა, რაც კაცობრიობას დაღუპვამდე, ტოტალურ კატასტროფამდე მიიყვანს. ამიტომ მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას არ დაუშვებს პროგრესულად მოაზროვნე, კულტურული საერთაშორისო საზოგადოება, ის ჯანსაღი ძალა, რომელსაც, თანამედროვე ტექნოკრატიული გაუცხოების პროცესში, უდიდესი ჰუმანური მისია აკისრია. სრულიად მართებულად მიგვაჩნია, ფილოსოფიისადმი ნეგატიური სულისკვეთებით განმსჭვალულ პირთა მიმართ, ს. ავალიანის მტკიცებულება: „ვინც ფილოსოფიას უარყოფს, მას თავისი საქმეც ხეირიანად არ ესმის და ვერც ვერასოდეს მიხვდება, რა უნდა აკეთოს“(3__16).აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ ენგელსის სიტყვებიც „ფილოსოფიის სიღატაკიდან,“როდესაც რეაქციულ ფენებს ახვედრებს კონტრარგუმენტს იმის თაობაზე, რომ ფილოსოფიის უარყოფასაც თავისებური ფილოსოფიური დასაბუთება ესაჭიროება, თუმცა ეს ყველაზე ცუდი და უვარგისი ფილოსოფიაა (22__299). ფილოსოფიის უარმყოფელთა შორის დომინირებს აზრი, ფილოსოფიის სირთულესა და გაუგებრობაზე. ადამიანთა დიდი ნაწილი, რომლებიც ისედაც დარწმუნებულნი არიან ცხოვრების სირთულეში, მუხთლობასა და ბედის ირონიაში, სრულიად ზედმეტად მიიჩნევენ სამყაროსა და ადამიანის ყოფიერების არსის გაცნობიერებას, რაც, მათი შეხედულებით, თავის დამძიმება-ატკივებისა და გადაღლის გარდა, კარგს არაფერს მოიტანს. უფრო მეტიც, არსებობს საფრთხე იმისა, რომ შეიძლება ამ დროს კაცი გაგიჟდეს და ყველა „სიკეთესთან“ ერთად, სასაცილო მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს. ტყუილად ხომ არ აქვთ ე. წ. ნორმალურ ადამიანებს ფილოსოფოსებისა და გიჟების ურთიერთშედარებისა და შესაბამისობის წარმოდგენები? ერთადერთი, რაც შეიძლება ამ ე. წ. ნორმალურმა პიროვნებამ კომპრომისის სახით დაუშვას ფილოსოფიასთან მიმართებაში, ისაა, რომ ან სიმთვრალეში, ან რაღაც მსგავსი სიამოვნებისა და ნეტარების წიაღში ყოფნისას დაიწყოს საუბარი კაცობასა და ადამიანობაზე, სამართლიანობასა და სინდის-ნამუსზე. შეიძლება ეს ყველაფერი ლამაზად ნათქვამ მორიგ სადღეგრძელოში, ან ალერსით თავდავიწყებამდე მისულ ქათინაურში ჩააქსოვოს, რადგანაც, სწორედ ღვინოსა და ალერსს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამდენი ტანჯვა-ვაებისა და ჭირ-

ვარამის მიუხედავად, სადრეგრძელოებს ვსვამთ და არა სადღემოკლოებს, რომ სულსწრაფობით სული გველევა და ჭკუა-გონება დაკარგულებს აღარაფერი გვახსოვს იმგვარი რამ წამიერი ნეტარებისა და თავდავიწყებული ჟინისაგან, რაც ადამიანურ ვალდებულებებსა და ზნეობრივ ღირსებას შეგვახსენებს, ფხიზელი გონებით მწარედ ჩაგვაფიქრებს.

ამავე აზრით და რწმენით, თუ კაცი სიმთვრალეში ფილოსოფოსობს, იგი „კარგი ცხოვრების“ მოყვარულია, ხოლო ვინც ამისთვის სიფხიზლეში იცლის, ის სულელი და გიჟია, რაშიც ისინი, ვინც ამ შეხედულების გამო, თავის თავს ჭკვიანსა და ნორმალურს უწოდებს, სასტიკად ცდება, რამეთუ ვერ ატყობს იმას, რომ, როცა თვითონ რეალური ცხოვრებისეული სიძნელეების წინაშე დადგება, სულ უფრო და უფრო ღალატობს ნებისყოფა, ნელ-ნელა ყრის ფარ-ხმალს, უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში ვარდება; ამის გამო, დარდთა განსაქარვებლად, ეძალება ღვინოს, ედევნება ათასნაირ დროებით, თავშესაქცევ ლამაზმანს, თუ პარტნიორს, ლოთობს, მრუშობს, ესეც აღარ ყოფნის და მიმართავს ნარკოტიკებს, რათა ყველა ხერხით და საშუალებით გაეცალოს ჯერ ფიქრებსა და დარდებს, მისგან გამომდინარე ფილოსოფიას და, საერთოდ, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მთელ ცხოვრებასაც. ესაა ფილოსოფიის უარმყოფელთა პირველი კატეგორია, რომელთაც თავიანთი ცხოვრების წესით ეკარგებათ ადამიანის სახე, თუმცა, როგორც ახლავე ვნახავთ, მეორე კატეგორიის დახასიათების მერე, მათ მაინც გარკვეული რომანტიკული ელფერი დაჰკრავთ.

რაც შეეხება ფილოსოფიის უარმყოფელთა მეორე კატეგორიას, ისინი პრაქტიკულ, პრაგმატულ ხალხს განეკუთვნებიან. პირველებთან შედარებით, ფილოსოფიასთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიან, თუნდაც იმიტომ, რომ ზომიერად, ცოტ-ცოტას სვამენ და ნებივრობენ, ან საერთოდ უარს ამბობენ ამ სასიამოვნო ცდუნებებზეც და დაკავებულნი არიან კარიერის, ფულის კეთების გზებისა და საშუალებების, ან უარეს შემთხვევაში, პოლიტიკური ძალაუფლების ძიებით, ფიქრით და მისწრაფებით. გავიხედოთდავნახოთ,როგორისურათიაჩვენსნაქებ 21-ესაუკუნეში?

დღესადამიანიისეთიდაუნდობელიდახარბია, როგორცარასდროს.სიხარბისადაქონებისდატაცებისგამო, მკვლელობებისციფრმაყველარეკორდიმოხსნა.დღესჩვენშიმშილითდამარტივიდაავადებებითუფრომეტადამიანსვკლავთწელიწადში,ვიდრენაცისტებმამთელიჰოლოკოსტისმანძილზემოასწრეს. ესოფიციალურიფაქტებია - გარემოსგანვითარებისპროგრამისადასხვასაერთაშორისოორგანიზაციების მიერმოძიებული.კვლევისშედეგებიახლაარხმაურდება (57__http://blogs.liberali.ge/).

ყველა შემთხვევაში, კარიერაც, ფულიც და ძალაუფლებაც ერთიმეორეს ავსებს, ერთიმეორეს მისდევს. წარმატების შემთხვევაში, ასეთი ადამიანი ამჩნევს, მხოლოდ საკუთარ „მინდას“_ს, რომელშიც ისევე არაფერია, როგორც სარკეში, ანარეკლს მიღმა. წარუმატებლობის ვითარებაში, „მინდა“ დგება იძულების ფაქტის წინაშე, რაც საკუთარ ანარეკლზე სარკის საღებავის ჩამოფხეკის ტოლფასია. ჩამოფხეკილი ანარეკლის, მინის მიღმა, ჩანს სწორედ ის ფაქტი, რომელიც მან იძულებით „უნდა“დაინახოს, თავისი „მინდას“ გარეთ, რაც ძალიან არ მოსწონს და სრულ დისკომფორტს უქმნის. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა იძულებასთან კონფლიქტით, თუ კომპრომისით, რადაც არ უნდა დაუჯდეს, აღადგინოს მინის ბნელი ლაქა (საღებავი), რათა ჯერ ერთი, არავინ არ უყვარს, არავისზე არ დარდობს საკუთარი თავის გარდა, მეორეც, რაკი არავინ და არაფერი არ ენაღვლება, არც არაფერი არ აქვს დასაკარგი და, მაშასადამე, უბედურიც ვერ გახდება. ყველა შემთხვევაში, ასეთ ხალხს ელის საზარელი დასასრული: ადრე თუ გვიან, რამდენი თხუპნა და ფხეკაც არ უნდა აიტანოს მისმა სარკემ, იგი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ეს ლანდი და ანარეკლი მოჩვენებაა და მეტი არაფერი, რომ იგი არ არის ის, რაც მას ეგონა, რომ მის „მინდა“-ში სხვა „უნდა“-ს პანიკური შიშის გარდა, არავითარი შინაარსი და აზრი არაა. იგი ცარიელია, ფუტუროა, ყოველმხრივ გამოშიგნულია და სწორედ ამ სიცარიელის განცდა ხდება მისთვის საბედისწერო დასასრული, როდესაც ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი სიკვდილიც არ უნდა ეღირსოს, ეს იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე უამრავჯერ ჩადენილი საზიზღარი თვითმკვლელობა.

აქვე, ჩვენი პოზიციის გასამყარებლად, ძნელია, ზერელედ გვერდი ავუქციოთ და სიღრმისეულად არ დავეთანხმოთ ჩვენი კოლეგა ფილოსოფოსის, საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწისა და თავისი მამის ღირსეული, გენეტიკური და სულიერი მემკვიდრის, ირაკლი კაკაბაძის მოსაზრებებს: „დღესუკვეცხადზეცხადია, რომემპირიულილოგიკაყველაამკითხვასვერპასუხობს.

ადამიანიბევრადუფრორთულიარსებააღმოჩნდა,

ვიდრეესყველაზეოპტიმისტიდეალისტებსეგონათ.

თუმცა,ადამიანსკვლავაქვსარაჩვეულებრივითვისებები - მასჯერკიდევშეუძლიასიყვარული,ანუსხვაადამიანისგამოთავისშეწუხება,ზოგჯერთავისგაწირვაცკი.

ესსაოცარირამარის,სწორედამიტომაცაა,რომესადამიანი,ყველათავისნაკლთანერთად,უყვარდასტენლიკუბრიკსაც,ჩარლიჩაპლინსაც,ვალტერბენიამინსაც,ბერტოლტბრეხტსაცდაბევრსხვასაც.

ადამიანსმაინცშეუძლიადაუგეგმავადგაღვიძებადათავისისატრფოსათვისყვავილებისყიდვა.ბავშვსმაინცშეუძლიასაოცარისიკეთისგამოვლენამხოლოდღიმილითაცკი.სწო

რედამიტომმგონია,რომსტენლიკუბრიკსაცსჯეროდა - ადამიანითავისიარსითსუპერ-
რაციონალური, სუპერ-გმირი Hal-იარარის.
ერთიპატარაბავშვისღიმილიყველასუპერ-
გმირისტექნოლოგიურსაოცრებასგადასწონისდასწორედამიტომღირსცხოვრება.
დანარჩენიყველაფერიილუზიაა;
როგორცვალტერბენიამინიიტყოდა„ფანტასმაგორია.“
ნამდვილიცხოვრებაბევრადუფროდიდიბედნიერებაა,ვიდრეყოვლადუაზროფანტასმ
აგორიაშიყოფნა“ (იქვე).
და ბოლოს, მესამე კატეგორიის ადამიანები(**უშუალო და პირდაპირი წინამორბედნი, ბიოგენეტიკური ევოლუციის გზით, რეფორმირებული ცნობიერების მესამე ფაზის ადამიანთა, იგივე ისტორიის შემდგომი ყოფიერების ნათელსხივოსან მკვიდრთა, ვინც თავიანთი ბუნებრივობით, მცირერიცხოვნობითა და კეთილმოქმედი, საღვთო მისიით, ძირეულად გაემიჯნება ბიო-კიბერნეტიკულ „ნანო-ჰუმანოიდებსა“ და „კიბორგებს“**), ან თვითონ არიან ფილოსოფოსები, ან სისტემატიურად ცდილობენ იფილოსოფოსონ, მაშინაც კი როცა ერთი შეხედვით, ფილოსოფიისადმი კეთილი განწყობით არც გამოირჩევიან. ისინი ყოველთვის ფიქრობენ, აზროვნებენ და კამათობენ, რაზეც იმოდენა დროს ხარჯავენ, რომ წუთისოფელი თვალსა და ხელს შუა უქრებათ, ისე, რომ უკან მოხედვასაც ვერ ასწრებენ, როცა ბავშვობიდან გადადიან მოწიფულობაში, შუა ხნის ასაკში, მოხუცებულობაში და მაინც ერთნაირი შემართებით, რწმენით, ჟინით და ენთუზიაზმით აგრძელებენ ფიქრს, აზროვნებას და კამათს. მათთვის ყველა ასაკი, ეპოქა, ცალკეული საგანი თუ, საერთოდ, საგანთა სივრცე ერთნაირად ძვირფასი, საინტერესო და სანატრელია, ისევე, როგორც სამყარო. მათი ნებისმიერი პატარა ეჭვი დიდი ნდობის დამადასტურებელი საბუთია, ხოლო მათი კრიტიკა__თანადგომა და გვერდით ყოფნა, რაც ერთგულებასა დაუანგარო სიკეთეს ემსახურება. ისინი თავს არ დებენ კეთილშობილებასა და სიბრძნეზე__ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ არიან შინაგანად ბოროტნი, ხოლო მეორე, იმიტომ, რომ არ არიან უგუნურნი, ვინაიდან მათ არ იციან, რაც სხვებს ჰგონიათ, რომ იციან და ამის გამო იციან, რაც არ იციან. **ის, რაც სხვისთვის დაუსაბუთებელი და განუსაზღვრელია, ფილოსოფოსებს განსაზღვრებათა დასასაბუთებლად გამოადგებათ, ხოლო ის, რაც დანარჩენთათვის უაზრობა და სისულელეა, ფილოსოფოსებისთვის უმაღლესი მიზანი და ცხოვრების აზრია. როდესაც, დიდობაში მას, ფილოსოფია ხელახლა ახსენებს პატარაობაში დავიწყებულ ბავშვობას, ან როცა უყვარს და მიტომაც სძულს, რომ სიხარულის გამო სწუხს და პირიქით, არასოდეს არ კარგავს სულიერ წონასწორობასა და განსჯის უნარს, ე.ი. აქედან გამომდინარე იგი არ კარგავს თავის ობიექტ-საგანს, ინარჩუნებს სხვას და სხვისი მეშვეობით, საკუთარ თავსაც.** სწორედ

მასზე უთქვამს რუსთველს: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.“ ფილოსოფიური გაგებით, მარტო სიყვარულია ღმერთი, მაგრამ არა პირიქით. **ფილოსოფიური სიყვარული, ეს არის მსხვერპლის გაღების უნარით აღჭურვილი თავისუფალი მიზანსწრაფვა, რომელიც თავდავიწყების გზით გვაძლევს საკუთარი თავის შეცნობის ერთადერთ გზას.**

ის ფაქტი, რომ კერძო მეცნიერებანი აქამდე ვერარკვევენ ფილოსოფიის ჭეშმარიტად (და არამც და არამც ჭეშმარიტ) მეცნიერულ არსებას, ეს მათი საჭირბოროტო პრობლემა უფროა, ვიდრე ფილოსოფიის. ეს საკითხი ძალიან ჰგავს ჩვენი საკუთარი თვისებებისა და უნარ-შესაძლებლობების შესახებ სხვადასხვა კომპეტენტურ პირთა წარმოდგენებსა და შეფასებებს. თუ სხვებმა არ გვითხრეს, არ დაგვარქვეს და არ დაგვიწესეს, ისე, თურმე ვერაფრით მივხვდებით და გავიგებთ, ვინ ვართ, ან რა შეგვიძლია, რადგანაც ჩვენს შესახებ რაიმე სარწმუნო მოწმობას მხოლოდ სხვა ადამიანები გასცემენ, თუმცა ისინი ვერასოდეს ვერ ჩაენაცვლებიან ჩვენივე არსების შინაგან განცდებს, რის გარეშეც, დანარჩენი ყველაფერი უაზრობა და სიყალბეა. ასევე **ვერც ერთი კერძო მეცნიერება ვერასოდეს ჩაენაცვლება ფილოსოფიას, სამყაროს ამსოფლიურ თვითგანცდა-მგრძნობელობაში, რომლის გარეშეც, ღირებულებათაგან დაცლილი და ყოველმხრივად გაუფასურებული, შემეცნება ფუჭი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.**

წიგნის დასასრულს, დასკვნის მაგიერ, შემოგთავაზებთ ერთ მცირე განმარტებას ფილოსოფოსთა საყოველთაო და სრულყოფილი მეგობრობის შესახებ: ვინ იცის, რამდენი რამ თქმულა და დაწერილა მეგობრობაზე, მრავალი ნაცნობი, თუ უცნობი, ჩვეულებრივ საუბარში მეგობრად მოგვიხსენიებს, ასევე ვიქცევით ჩვენც სხვებთან მიმართებაში, თუმც ნამდვილი მეგობარი მაინც განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. გაჭირვების ჟამს ყველაზე მეტად რაც გვაკლია და უსაშველოდ გვჭირდება, არის მეგობარი. ბევრჯერ ხდება ისეც, რომ შორ-მახლობელ ნათესავთაგან მივიწყებულსა და მიტოვებულს, სრულიად უცხო ადამიანები გამოგვიწვდიან დახმარების ხელს და გულისხმიერებას იჩენენ ჩვენს მიმართ, რაც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს ჭეშმარიტ აზრს, რომ ქვეყნად სიკეთის მადლს ვერაფერი გამოლევს. კარგია სულიერი გამხნევების ყველა ასეთი ნაცადი ხერხი, გინდაც უცხოსაგან და გინდაც შინაურისაგან, მაგრამ მეგობრობის სულიერი ერთიანობის ცხოველმყოფელ განცდას მაინც ვერაფერი შეედრება.ადამიანები ყოველთვის ყველგან მრავლად არიან, მჭიდროდ დასახლებულნი, ჯგუფ-ჯგუფად შეერთებულნი, ერთადთანამავალნი, რომლებიც ერთმანეთს უღიმიან, ესალმებიან, მოკითხვებსაც უხვად ურიგებენ უსასყიდლოდ და უცერემონიოდ, მაგრამ ეს მათ სულიერი მარტოობისაგან ვერ იცავთ. კომპანიონობა და თანამშრომლობა საქმის

ინტერესის ნაწილია, რასაც მომეტებული ადგილი უკავია აქტიური ადამიანის ყოფაში, ოღონდ ეს ვერ ცვლის არსებითად იმ სიცარიელეს, რასაც ჩვენი თავის ირგვლივ მით უფრო მძაფრად ვგრძნობთ, რაც უფრო ხშირი და ინტენსიურია ეს საჯარო თუ პერსონალური კომუნიკაციები.

მეგობრობა რომ მოახერხო, დახმარება უნდა შეგეძლოს. დახმარებას კი ვერ შეძლებ, თუ არ იცი, ვის, როდის, როგორ და რით დაეხმარო. ამას ბევრი გარემოება განსაზღვრავს: ჯერ ერთი, დასახმარებელი რესურსი თავზე საყრელი არასოდეს არაა, რისი რაციონალური განაწილების წესი გვავალდებულებს, რომ ვიყოთ განსაკუთრებულად ფრთხილნი და ზომიერნი. ადამიანური ურთიერთობების ცოდნა ცხოვრებისეული სიბრძნის ყველაზე მთავარი მონაპოვარია, რასაც მოაზროვნე კაცობრიობა მთელი თავისი რუდუნებით, ათასნაირი ფორმით და შინაარსით გვინარჩუნებს. ურთიერთობის წესის დაუფლება გონების თეორიული მოღვაწეობის შედეგია და მას თვითშეგნების ხარისხით საზრისისეული ფუნქცია ესაზღვრება, ხოლო ურთიერთობის სივრცე და არეალი, უკვე როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი მექანიზმებით მომართული პრაქტიკული მოქმედების უნარჩვევების მთელი ქსელია, სადაც თავს იყრიან უამრავი მოლოდინები, გაუთვალისწინებელი შემთხვევები, კაზუსები, კრიზისები, იძულებით თავსმოხვეული ალტერნატივები, თუ მიზანდასახული გადაწყვეტილებანი.

ფილოსოფოსები ერთადერთი ხალხია, ვისაც დახმარება შეუძლიათ. მათი აზროვნება, გამოცდილება და ალღო გვეხმარება იმაში, რომ ჩვენი თავი უკეთ შევიცნოთ. ისინი ახერხებენ ჩვენს დახმარებას იმის მიუხედავად, თუ რა მანძილი გვაშორებს მათგან დროში და სივრცეში. ამ დახმარების ეფექტს განსაკუთრებით მაშინ შევიგრძნობთ, როცა თვითონ ვიწყებთ ფილოსოფოსობას და სხვათა ომებში ბრძენთაბრძენად გვეგულება თავი. ყველაზე საკვირველი სიამოვნება კი მაინც ისაა, როცა თავს იმად განიცდი, რაც სინამდვილეში არ ხარ. ფილოსოფოსები იმიტომაც არიან სიბრძნის მოყვარულები, რომ ბრძენკაცებს არ წარმოადგენენ, ისინი ბაძავენ მათ, რათა ამ გზით განიცადონ თავი ბრძენთა სწორად და ეზიარონ მსგავსების იდუმალმეტყველ ძალას. **ფილოსოფოსობა არა მარტო მეგობრობის დიდი ძალა და უნარია, არამედ ამაზე უფრო მეტად, ის სხვა არაფერი არაა. ფილოსოფოსი მეგობრობს ყველასთან და ყველაფერთან, რასაც კი მოიაზრებს. მას შეუძლია მუდმივ დიალოგში იმყოფებოდეს საკუთარი შემეცნების ობიექტთან, საგანთან. ფილოსოფოსი იმდენად ღრმა თავდავიწყების სტიქიებს აღძრავს სამყაროს სუბსტანციური არსის წვდომის დაუოკებელი წყურვილით, რომ მას შეუძლია, არამც თუ ადამიანს, არამედ თვით უფალსაც გაუწოდოს სამეგობროდ შემართული ხელი, გულწრფელი დახმარების სურვილით.**

ფილოსოფია, როგორც უნივერსალური მეცნიერული ცოდნა, მუდმივად წილნაყარია შემეცნების სირთულეებთან და პრობლემებთან. კერძო მეცნიერებანი კი, თავიანთი თვითკმარი ბუნებით ვერ ახერხებენ პრობლემებთან გაუთავებელ ჭიდილს. უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება მათ ჰაერივით ესაჭიროებათ. ისინი ამოწურავენ რა, თავიანთი შემეცნების საგნებს, განვითარებისა და წინააღმდეგობის იმპულსებს კვლავ ფილოსოფიისაგან სესხულობენ. მათი პრაგმატული ხასიათი ადამიანთა დიდი ნაწილის სულმოკლეობას მოგვაგონებს, რომელთაც ჭირდებათ მეგობრები გაჭირვებაში, თუმცა თვითონ არ ძალუძთ მეგობრობა და სხვებს ვერ ეხმარებიან. **სადაც პრობლემა და გაჭირვებაა, იქაა ფილოსოფიაც თავისი მეგობრობის დიადი ძალისხმევით. ამიტომ ვინც ახერხებს ფილოსოფოსობას, ის ახერხებს მეგობრობასაც. არ არსებობს სხვა მეგობარი და სხვაგვარი მეგობრობა თვინიერ ფილოსოფოსისა და ფილოსოფიისა. არაფილოსოფოსი არამეგობარია, რადგან მას სულიერი ძალა თავისი თავის სანუგეშოდაც არ ყოფნის და მით უმეტეს სხვის სანუგეშოდ რაღა რჩება?!__მეგობრობა მარადიულია, ხოლო მეგობარი კი უკვდავი, ამიტომაც ფილოსოფოსები ყოველთვის ახერხებენ მეგობრობას. მათ ამაში ხელს სიკვდილიც კი ვერ უშლით. მართლაც, ფილოსოფოსისთვის სულერთია, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, რადგან მის აზრებს ვერც ვერაფერი მოკლავს და ვერც ვერაფერი წაშლის.** ეს ის აზრებია, რომლებიც წყვდიადს განანათლებს და ხრიოკს გაამწვანებს, რომელიც ბოროტს კეთილად მოაქცევს და ჭირ-ვარამს ნეტარების სიტკბოებად გარდაქმნის. ფილოსოფოსობა დიადი მეგობრობის მაკავშირებელი გზა და ხიდია ღმერთსა და მის ხელდასმულ კაცობრიობას შორის.

ქუთაისი__16. 12. 2013.

Non historical, before historical and after historical existence philosophy

Resume

In our first book, „The historic-philosophical horoscop of recognition persons,“The determination of marked basic aims of the historical persons’clasification can lead us to

solvation of the phenomenon of authority and the historical persons' progresity. This problem will depend on the method of identification of historical persons' essential individual featurs. The principles and course of this research leads us to the conclusion that the authority with all its contend is impossible to the profound analysis of this phenomenon of turns out that the will of power determines motives and aims of positire, as well negative actions of a man. All these are exspressedby moral, as well as immoral point of view.

Now, in this second book,Critical philosophy of history is the "theory" aspect of the discipline of academic history, and deals with questions such as the nature of historical evidence, the degree to which objectivity is possible, etc. Speculative philosophy of history is an area of philosophy concerning the eventual significance, if any, of human history. Furthermore, it speculates as to a possible teleologicalend to its development—that is, it asks if there is a design, purpose, directive principle, or finality in the processes of human history. Part of Marxism, for example, is speculative philosophy of history. Another example is the "historiosophy", term coined by Gershom Scholem to describe his understanding of history and metaphysics. Though there is some overlap between the two aspects, they can usually be distinguished; modern professional historians tend to be skeptical about speculative philosophy of history. Sometimes critical philosophy of history is included under historiography. Philosophy of history should not be confused with the history of philosophy, which is the study of the development of philosophical ideas through time.

The future is the indefinite time period after the present. Its arrival is considered inevitable due to the existence of time and the laws of physics. Due to the apparent nature of reality and the unavoidability of the future, everything that currently exists and will exist can be categorized as either permanent, meaning that it will exist for the whole of the future, or temporary, meaning that it won't and thus will come to an end. The future and the concept of eternity have been major subjects of philosophy, religion, and science, and defining them non-controversially has consistently eluded the greatest of minds. In the Occidental view, which uses a linear conception of time, the future is the portion of the projected time line that is anticipated to occur. In special relativity, the future is considered absolute future, or the future light cone.

In the philosophy of time, presentism is the belief that only the present exists and the future and the past are unreal. Religions consider the future when they address issues such

as karma, life after death, and eschatologies that study what the end of time and the end of the world will be. Religious figures such as prophets and diviners have claimed to see into the future. Organized efforts to predict or forecast the future may have derived from observations by early man of heavenly objects.

Future studies, or futurology, is the science, art and practice of postulating possible futures. Modern practitioners stress the importance of alternative and plural futures, rather than one monolithic future, and the limitations of prediction and probability, versus the creation of possible and preferable futures.The future has been explored through several art movements and cultural genres. The futurism art movement at the beginning of the 20th century, explored every medium of art,including painting, sculpture, poetry, theatre, music, architecture and even gastronomy. Futurists had passionate loathing of ideas from the past, especially political and artistic traditions. Instead, they espoused a love of speed, technology, and violence.Futuristic music involved homage to, inclusion of, or imitation of machines. Futurism expanded to encompass other artistic domains and ultimately included industrial design, textiles, and architecture.

It was not until the twentieth century that the development of the ethics of technology as a systematic and more or less independent subdiscipline of philosophy started. This late development may seem surprising given the large impact that technology has had on society, especially since the industrial revolution. A plausible reason for this late development of ethics of technology is the instrumental perspective on technology that was mentioned in Section 2.2. This perspective implies, basically, a positive ethical assessment of technology: technology increases the possibilities and capabilities of humans, which seems in general desirable. Of course, since antiquity, it has been recognized that the new capabilities may be put to bad use or lead to human *hubris*. Often, however, these undesirable consequences are attributed to the users of technology, rather than the technology itself, or its developers. This vision is known as the instrumental vision of technology resulting in the so-called neutrality thesis. The neutrality thesis holds that technology is a neutral instrument that can be put to good or bad use by its users. During the twentieth century, this neutrality thesis met with severe critique, most prominently by Heidegger and Ellul, who have been mentioned in this context in Section, but also by philosophers from the Frankfurt School (Adorno, Horkheimer, Marcuse, Habermas).

The scope and the agenda for ethics of technology to a large extent depend on how technology is conceptualized. The second half of the twentieth century has witnessed a richer variety of conceptualizations of technology that move beyond the conceptualization of technology as a neutral tool, as a world view or as a historical necessity. This includes conceptualizations of technology as a political phenomenon (Winner, Feenberg, Sclove), as a social activity (Latour, Callon, Bijker and others in the area of science and technology studies), as a cultural phenomenon (Ihde, Borgmann), as a professional activity (engineering ethics, e.g., Davis), and as a cognitive activity (Bunge, Vincenti). Despite this diversity, the development in the second half of the twentieth century is characterized by two general trends. One is a move away from technological determinism and the assumption that technology is a given self-contained phenomenon which develops autonomously to an emphasis on technological development being the result of choices (although not necessarily the intended result). The other is a move away from ethical reflection on technology as such to ethical reflection of specific technologies and to specific phases in the development of technology. Both trends together have resulted in an enormous increase in the number and scope of ethical questions that are asked about technology. The developments also imply that ethics of technology is to be adequately empirically informed, not only about the exact consequences of specific technologies but also about the actions of engineers and the process of technological development. This has also opened the way to the involvement of other disciplines in ethical reflections on technology, such as Science and Technology Studies (STS) and Technology Assessment.

The following biological and philosophical study presents the genesis and development of the idea of "the elementary unity of life". The thesis that all life is composed of some kind of indivisible, elementary units is the postulate of not just one but many philosophical doctrines, namely the "biological atomism" theory. According to this, the functioning of every living organism can be observed and explained as a result of the activity and effects of these elementary components of life — the "atoms of life".So far as The philosophy of biology can be seen as following an empirical tradition, favoring naturalism,and so many contemporary philosophers of biology have largelyavoided traditional questions about the distinction between life and non-life. Instead, they have examined the practices, theories, and concepts of biologists with a view toward better understanding biology as a scientific discipline (or group of scientific fields). Scientific ideas are philosophically analyzed and their consequences are

explored. It is sometimes difficult to delineate philosophy of biology as separate from theoretical biology. Vitalism is the view, rejected by mainstream biologists since the 19th century, that there is a life-force (called the "vis viva") that has thus far been unmeasurable scientifically that gives living organisms their "life." Vitalists often claimed that the vis viva acts with purposes according to its pre-established "form" (see teleology). Examples of vitalist philosophy are found in manyreligions. Mainstream biologists reject vitalism on the grounds that it opposes the scientific method. The scientific method was designed as a methodology to build an extremely reliable understanding of the world, that is, a supportable, evidenced understanding. Following this epistemological view, mainstream scientists reject phenomena that have not been scientifically measured or verified, and thus reject vitalism.

Some philosophers of biology have attempted to explain the rise and fall of reductionism, vitalism, and holism throughout the history of biology. For example, these philosophers claim that the ideas of Charles Darwin ended the last remainders of teleological views from biology. Debates in these areas of philosophy of biology turn on how one views reductionism. At the contemporary stage, that is at the second phase of consciousness, technology placed a human at the boundary of being and not being, where the technical progress and human vital functions exhausted the possibility and potential of their mutually useful existence, resulting in rather dramatic, crucial alternatives in the wake of this century: 1. Proceeding of the self-regulation of the technical progress will be possible even in case of the total extinction of humans; 2. Both technology and humans will be extricated simultaneously; 3. The technical progress will come to its end, and humans halted biogenetic evolution will be proceeded, that is a human will transfer to the third phase of social consciousness, to which the adaptation in the technical environment will not be the only and principal feature.

One should not justify the radical opinion that technology, with all of its features and attributes, is in acceptable and fatal the natural evolution of humans, as far as there is a certain boundary before which technology requires the intensive development of human physical and spiritual abilities, creative skills; in this respect, technology is a necessary and vital force, however, after technical tools take on the founction of an active and only producer, they no longer need the human involvement in various activities, closing the way for the vital self-realization. It is important that international relations, with their endless struggles and contradictions owing to their leader willing power, will not devoid the slight slow-down of the

revolutionary rhythm of technology. Therefore, the only the solution is the realization of a kind of a mission of the third phase humans, cousing the survival or prolongation of life of the humankind in analogy with ancient myths and religious legens.

So, philosophy has ability play the role of survival and protector in the life of a human being it gives the honorable social and general cultural cost toa person. It enables a man to perceive the being of the univerce as a whole and to determine himself in it. The philosophy studies everything that exists and accept every truth existing in it. It can create subjective reality by means of the vords, and imitates to the universal act of creating the world by the God by these means.

ბიბლიოგრაფია

1. ავალიანი ს., თეორიული ფილოსოფია. თბილისი., 2007.
2. ავალიანი ს., ქეცბაია კ., ფილოსოფია ყველასათვის., თბ., 2009.

3. ავალიანი ს., XX საუკუნის ნატურფილოსოფია., თბილისი.,2004.
4. არისტოტელე. პოლიტიკა., ნაწ.I-II, თ. კუკავას თარგმანი, თბ.,1995-1996.
5. ასათიანი გ.პ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია., თბ.,1987.
6. ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი., ტ.I. თბ., 1982.
7. ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ანთროპოლოგია; თბილისი., 2003.
8. გამსახურდია ზ., წერილები ესეები.,თბილისი. 1991.
9. გოგიბერიძე მ. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.,ტ.III. თბილისი, 1972.
10. დოსტოევსკი თეოდორ., ძმები კარამაზოვები., თბ.,2011, ტ. I.
11. ერქომაიშვილი ვ., ფილოსოფია; თბილისი, 1998.
12. ენგელსი ფრ., ბუნების დიალექტიკა., თბილისი, 1954.
13. ვებერი მ., პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა. თბ., 1994.
14. იუნგი კ. გ., განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის; (თარგმნა ნუგზარ კუჭუხიძემ), ქუთაისი. 2005.
15. კვარაცხელია ნ., მეტაფიზიკის ბედი დასავლურ ცივილიზაციაში., ფილოსოფიური ძიებანი; კრებული IX, თბ.,2005
16. კოდუა ე., ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის., თბ., 1985.
17. კიკნაძე ზ. ქართულ ხალხური ეპოსი, გამომცემლობა „ლოგოსპრესი", თბ.: 2001.
18. კიკნაძე ზ. ხუთწიგნეულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა. თბ.: 2004.
19. კიკნაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,ტ. 11., თბ., 1987.
20. მაკიაველი ნ., მთავარი, თბილისი., 1986 .
21. მარქსი კ., ენგელსი ფ.,რჩ. ნაწერები.ტ.6, თბ.,1965.
22. მარქსი კ. ენგელსი ფ. რჩ. ნაწერები., ტ2, თბილისი, 1964.
23. მჭედლიშვილი ლ., ივანიძე ნ., ლოგიკა., თბილისი., 1997.
24. ნიცშე ფ., ესე იტყოდა ზარატუსტრა., თბ. 1993.
25. ნოვიკი ბენიამინ, ტოლერანტობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები/ სოლიდარობა \#3’06/ საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი/2006 წ.
26. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია., ტ.I., თბილისი.,1956.
27. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია., ტ.II, 1958.
28. პოპერი კ., ისტორიციზმის სიღატაკე, თბილისი, 2006
29. რუხაძე ჯიმშერ; დაუჯერებელი ფაქტებისა და სასწაულების რწმენის გზაჯვარედინზე. ქუთაისი. 2011.
30. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე (გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე) გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1992.
31. ფორჩხიძე ბ., „პიროვნებათაამოცნობის ისტორიულ-ფილოსოფიური ჰორსკოპი.,წიგნი I.ქუთაისი 2006.
32. ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999.
33. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985 წელი.
34. ქსენოფონტი., მოგონებანი სოკრატეზე.,64I.IV.
35. ყაუხჩიშვილი ს., აგათია სქოლასტიკოსის შესახებ, გეორგიკა., ტ.II., თბ.,1934.

36. ჩხარტიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ივ., დიდგორის ბრძოლა., თბ., 1973.
37. ყაუხჩიშვილი ს., რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“.,ტ.X_XIII. თბ.,1940.
38. შემდგენელი კ. კინწურაშვილი., შეგონებანი., თბ., 2009.
39. შოპენჰაუერი ა., ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები., კრებ. ფილოსოფია, რელიგია, კულტურა., თბ.,2009.
40. ჯორჯაძე, არჩილ: „„ისტორიული მატერიალიზმის გამო „ცნობის ფურცელი“, 1524, 1901. წმიდანთა ცხოვრება“, ტომი II, თბილისი, 2001 წ.2.
41. ჰანთინგტონის.,ცივილიზაციათა შეჯახება? თბ., 1997.
42. ჰეგელიგ.ვ. ფ.., ლოგიკის მეცნიერება., თბილისი 1962.

43. Alberts B., Johnson A., Lewis J., Raff M., Roberts K., Walter P., 2008. «Molecular biology of the cell», 5th ed., Garland Science, USA, pp. 1302—1303
44. Baldewein J., Anthroposophie. Eine kritische Darstellung, Konstanz., 1985.
45. Bilogy and Philosophy /Ed. M.Ruse.1986, 1.
46. Blavatsky, Helena P._The Secret Doctrine: The Synthesis of Science, Religion, and Philosophy.London(1888). : The Theosophical Publishing Company .
47. Brodie ED Jr, Ridenhour BJ, Brodie ED 3rd. The evolutionary response of predators to dangerous prey: hotspots and coldspots in the geographic mosaic of coevolution between garter snakes and newts // Evolution. — 2002. — T. 56. — № 10.
48. BURUSI burusi.wordpress.com/2013/03/15/freud/ზიგმუნდ ფროიდი – კულტურითუკმაყოფილება|ბურუსი
49. charliusscom/2012/07/16/arguments-for-and-against-the-existence-of-god/2.
50. Diels H., Die Frogmente der Vorsokratier. Bd 1,9 Aufl B.,1960.
51. Diels H., Die Frogmente der Vorsokratiker. Bd 1,9 Aufl B., 1960.
52. Dieter Senghaas. The Clash within Civilizations (Coming to terms with cultural conflicts).Routledge.London-N. Y. 2002.
53. Hoyle H., The nature of universe, Oxford, 1950,
54. Habermas J.Technik und Wissenschaft als “Ideologie”. Frankfurt a. M., 1968.
55. http://24saati.ge/index.php/category/culture/2010-01-11/2582.
56. http://apocalypse.ge/usjuloebis_saidumlo_s_p_filimonovi_saidumlo_globalizacia_anu_ristvisaa_sachiro_terorizmis_safrtxe.html.
57. http://blogs.liberali.ge/ge/blog/1160/113812/.
58. http://burusi.wordpress.com/2009/08/06/otar-chiladze/.
59. http://burusi.wordpress.com/2010/11/05/guram-tevzadze-5/.
60. http://charliuss.com/2012/04/01/stephen-hawking-did-god-create-the-universe/.
61. http://geoskeptic.wordpress.com/2013/02/12/bible_horrors/.
62. http://intermedia.ge/vid/169170-პერპეტუმობილე/11/user:matrigeorgia:show:channel:loop:true.

63. http://intermedia.ge/სტატია/27550-ფილოსოფოსები ადამიანის შესახებ. მსჯელობენ, ადამიანები კი ფილოსოფოსების შ/53/.
64. http://iveria.ucoz.ru/load/skhva_religiebi/12.
65. http://lemill.net/content/webpages/sinatlis-cneva-2.
66. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=300%3A2011-02-19-13-32-&catid=46%3A2010-03-11-12-05-27&Itemid=55&lang=ka.
67. http://literatura.mcvane.ge/main/brdznuli/brdznuli-gamonatqvamebi/28629-bbbbb-bbbbbbbb-bbbbbbbbbbbb.html
68. http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/18896.
69. http://ru.wikibooks.org/wiki/Микромир,_элементарные_частицы,_вакуум.
70. http://socium.ge/downloads/protosocteoria/g-tardi-mibadzvis-teoria-sociologiashi.pdf/.
71. http://ucnauri.com/154072/არაჩვეულებრივი-ნივთებ იმ/.
72. http://ucnauri.com/60722/ადგილი-საიდანაც-დროში-მო/.
73. http://wikisource.org/wiki/გველის_მჭამელი.
74. http://www.ambioni.ge/virtualuri-rwmena.
75. http://www.bfm.ge/society/3068-gurjievi.html.
76. http://www.ezoterika.ge/index.php?option=com.
77. http://www.mtvarisklubi.com/2012/11/1900.html#.UqNeBns43gQ.
78. http://www.nsu.ru/classics/plato/omeara.htm.
79. http://www.orthodoxtheology.ge/„viii-მსოფლიო-საეკლესიო-კრე/.
80. http://www.orthodoxy.ge/tserilebi/avgustine/agsarebani10.htm.
81. http://www.orthodoxy.ge/tserilebi/paisi/1-2-1.htm.
82. http://www.qadageba.ge/index.php?option=com_content&view=article&id.
83. Hull D. L. The metaphysics of evolution // The British Journal for the History of Science. — 1967. —Т. 3. —№ 4.
84. Hull D. Philosophy of Biological Science.N.Y., 1974.
85. Huntington S. P. The Clash of Civilizations and Remaking of the World Order. N. Y., 1996.
86. ka.wikipedia.org/wiki/ქრონოლოგია/
87. Kapp e. Grundlinien einer Philosophie der Technik.Zur Entstehungsgeschichte der Kultur aus neuen Gesichtspunkten.Dusseldorf, 1978.
88. Mumford Lewis. The Myth of the Machine.Technics and Human Development. 1967.
89. Heidegger M.. Kant und das Problem der Metaphysik. Frankfurt am Main. 1965.
90. Rapp F. Philosophy of Technology: A Review in: interdisciplinary Science Reviews 1985.
91. Reichenbach H., Philosophie der Reum-zeit-Lehre; 1967.
92. Rensh B.Biophilosophy. Columbia Un. Press, 1971.
93. Rosenberg A.The Structure of Biological Science.Cambrige, 1986.
94. Ruse M. Philosophy of Biology Today. Albang: State Un. of New York Press, 1988.

95. Ruse M.The Philosophy of Biology.L., 1973.
96. Sattler R. Biophilosophy. Analytic and Holistic Perspectives. N.Y., Tokyo, 1986.
97. Sattler R. Biophilosophy. Analytic and Holistic Perspectives. N.Y., Tokyo, 1986.
98. Stephen F. Mason. A history of the sciences. — Collier Books, 1968. — С..
99. Sztompka, Piotr, *Socjologia*, Znak, 2002
100. Wilson E.O. Sociobiology: The New Synthesis. Cambrige, 1975.
101. www.orthodoxy.ge/apologetika/filioque1.htm
102. Американская социология.,Перспективы,проблемы, методы.,М., «Прогресс»,1979.
103. Белый А. Р. Штейнер и Гете в мировоззрении современности., М. 1917.
104. Бердяев Н., Смысл творчество.,М. Изд. Ир. М. Неверова.,1915.
105. В.Иноземцев. Современное постиндустриальное общество: природа, противоречия, перспективы. Введение. М.: Логос, 2000.
106. Дмитриева В.Ф. Прокофьев В.Л Основы Физики ; Москва «Высшая школа» 2001.
107. Валери Поль. Об искустве. М., «Искуство»., 1986.
108. Гегел. Сочинения, Т. I (Энц.Философских наук), М. Л. 1929 стр. 70.
109. Городенский Н. Франциск Бэкон, его учение о методе и энциклопедия наук. Сергиев Посад, 1915.
110. Гулыга А. В. Гегель. — М., 1970.
111. Белл Д.. Грядущее постиндустриальное общество. М., Академия, 1999.
112. Дарендорф Р. Элементы теории социального конфликта // СоцИс. — 1994. — № 5.
113. Дестунис Г. Разыскания о греческих богатырских былинах средневекового периода, СПБ, 1883.
114. Мэрион Дж.Б. Физика и Физический Мир; Издательство Мир; Москва 1975.[1]
115. Джохадзе И. Неопрагматизм Ричарда Рорти и аналитическая философия // Журнал «Логос», 1999 — №6.
116. Диоген Лаэртийский // Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона: В 86 томах (82 т. и 4 доп.). — СПб., 1890—1907..
117. Зотов А. Ф. Современная западная философия: Учебное издание — М.: Высшая школа, 2001.
118. История философии., М., 1940.
119. История философии., Т. 2., М., 1940.
120. История философии., Т. 2., М., 1941.
121. Ясперс Карл. Философская вера. Смысл и назначение истории. Издательство политической литературы. Москва, 1991.
122. КуликовС. Б. Перспективы развития прогрессивистского образанауки. Saarbrücken, 2011.

123. Либих Ю. Ф. Бэкон Веруламский и метод естествознания. СПб., 1866.
124. Лосев А. Ф., История античной эстетики., М. 1963.
125. Лосев А. Ф., История античной эстетики., М. 1963.
126. Макбрайд У. Глобализация и межкультурный диалог. - В журн.: Вопросы философии, М., 2003, № 1.
127. Мах.,Э., Познание и заблуждение., Изд. С. Скурмунта., 1906.
128. Механика и цивилизация XVII–XIX вв. М., 1981.
129. Николадзе Н., Полукопеечный сбор.,доклады и статыи с незданным очерком: Мечта и жизнь, Поти.,1908.
130. Опыт о законе народонаселения или изложение прошедшего и настоящего действия этого закона на благоденствие человеческого рода, с приложением нескольких исследований о надежде на отстранение или смягчение причиняемого им зла. СПб.: типография И. И. Глазунова, 1868.
131. Девис П.. Суперсила. М. 1989.
132. Пригожин И., Стенгерс И. Порядок из хаоса. Новый диалог человека с природой. М., 1986.
133. Проблемы социальных изменений хх века., М., 1957.
134. Риккерт Г. Философия жизни. Изложение и критика модных течений философии нашего времени. СПб., 1922.
135. РиккертГ. Философияжизни. Изложение и критика модных течений философии нашего времени. СПб., 1922.
136. Сколимовски Х. Философия техники как философия человека // Новая технократическая волна на Западе. М., 1986.
137. СоловьевВ.С. Соч.: В 2 т. М., 1990. Т. 2.
138. Бутрик Ст..Идея спонтанного возникновения материи из ничего космологии XX века,„Вопросы философии“ №4, 1976.
139. Кун Т., Структура научных революций, М., Прогресс, 1977
140. Торо Г., Валден, или жизн в лесах., М., 1910.
141. Философия техники в ФРГ; Москва „прогрес“ 1989.
142. Философия техники, история и современность. — Москва, 1997
143. Философская мысль“ (сборник), Москва., 1972
144. Фолмер Г. Мезокосмос и объективное познание (о проблемах, которые решены эволюционной теорией познания) // Вестн. МГУ. Сер. 7. Философия. 1994. № 6.
145. Фрагменты ранних греческих философов.,М., 1989.
146. Франс А. Рреступление Сильвестра Воннара.М.,»Гослитиздат», 1955.
147. Фреид.,З. Психология масс и анализ человеческого „ Я“ М., 1925.
148. Целлер Э., Очерк истории греческой философии., СПБ., 1886.
149. Цицерон М. Т., Философские трактати., М. 1985.

150. Швырёв, В. С. Неопозитивизм и проблема эмпирического познания — М.: Наука, 1966.
151. Шелер М. Положение человека в Космосе // Проблема человека в западной философии. М., 1988.
152. Шелер М., Положение человека в Космосе (Пер А Филипова), Проблема человека в западной философии.,М. Прогресс. 1988
153. Штаерман.Е.М.Кризис_античной_культуры,.М.,«Наука»,1975г...
154. Юнг К. Г. Психология и Алхимия.,М. 2008.

შინაარსი

1. წინასიტყვაობა___3 გვ.
2. თავი I_ისტორიული დროის არასრული გენეალოგია___7 გვ.
3. თავი II_ უისტორიო წარსულისა და უწარსულო ისტორიის თვალსაწიერი___24 გვ.
4. თავი III_სიცრუის სიბრძნის პოზიტიური და ნეგატიური დიალექტიკა____59 გვ.
5.თავი IV_ისტორიამდელი უკუსვლა, ანუ წინსვლა შემდეგ ისტორიამდე___81 გვ.
6.თავიV_რას გვაუწყებს ისტორიული დროის წყვდიადში გაჭიატებული სხივის იდუმალება?____129 გვ.
7. დასკვნის მაგიერ_____ 181 გვ.
8.**Non historical, before historical and after historical existence philosophy**
Resume_____ 189გვ.
9. შინაარსი_____ 194 გვ.